

652 /
1992 /2

W 4-5, 6

ISSN 0134 3459

କୃତ୍ତବ୍ୟାମିଳ

**ପ୍ରକାଶିତିଥେ ୧୯୬୫ ୧୦୮ ପ୍ରକାଶନକାଳୀ
ଅ କାହିଁ ତ୍ଵାଲିକ ଉପିକାଳୀ—**

ଶ୍ରୀକୃତ୍ସନ୍ଦିବ ପ୍ରମାଣିତ ହେଲା

ଅଳ୍ପାତ, ଶ୍ରୀରାମଙ୍କିଳ ତେବେ...
୩୧ ମେ ୨୫୨୦୯୦:

— ჩემს სისხლს დალევს უწინამდე!

და მე ვმღერი:

— აფხაზეთი ჩემი!

Հռոմեաց „Արցու“

(სხვა ხომალდი გუშინაც)

ମୋହନବ୍ରଦ୍ଧ
ଶେଖରପାତ୍ର ଫକ୍ତଳ ପଦିତ

83

→ მკვდარსა მნახველ ულინაშია!

ଭାବୀ ପରିମଳାରେ

— ଏହିକୁ କିମି?

ზღვაო პონტის!

რიფებს მაღავ უჩინარს —

ବ୍ୟାକ୍ ପରିଚୟ

ზედ მიუმსხვრა გემი...

ଡା ମେ କ୍ୟୁଗିରି:

— ၁ၬ, ဗြိုင်းမြို့, ဗြိုင်းမြို့!

ଭା ପ୍ର ପରିମଳାରାଜ

— အဖွဲ့အစိုက် ပိုမို!

ଶ୍ରୀକୃଷ୍ଣ ଲୋହାନୁପାତ

1975

1992 4-5

მოისეენი, უფალო, დვობი დაცული
 ერი ჩვენი და მეუფება მისი, გარე
 უკანული მყორეობისანი მათი და
 დაუმორჩილენ კვევი ვერთა მათთა
 ყოველი მხარი და გარდონი მათი,
 და ზოაუთხრენ გულთა ზინა მათთა კათილი
 და გვივილობა წმიდის ეკლესიისთვის,
 და გოვლის ერისა შენისა, და მიეც მათ
 გვივილობა და დაუყრარება, რათა
 მუჭღოვასას ზინა მათსა, დაუყრარებული
 ცხოველება გვაკვდეს, გართლითა
 სარდაუნოებითა და კათილ-მსაცერებით
 ვცხოვებოდეთ...

ლოცვა ცოცხალთათვის

652
30/992/2

კონტაქტი


4
5

ივლისი — 4-5, 6
ოქტომბერი
1992
გამოცემის
54-ე შედე

II რ.

(10)

რა მშენებელი ზღვა გვაქვს, აჭარა,
რა მომავალი, ძვირფასი ბედით...
ქალაქი — ჩვენი ქვეყნის ფანჯარა
აღმოსავლეთით და დასავლეთით.



880 340

მთავარი რელატორი

ԵՐԵՄ ԱՊՈՀԱՑՈՒՅՑ

სარედაქციო კოლექტი:

ଏହିକୁ ପାଇଁ ଆଶ୍ରମ କରିବା
ପାଇଁ ଆଶ୍ରମ କରିବାର
ପାଇଁ ଆଶ୍ରମ କରିବାର
ପାଇଁ ଆଶ୍ରମ କରିବାର
ପାଇଁ ଆଶ୍ରମ କରିବାର

ଭର୍ତ୍ତାର କିମ୍ପଦ,
 ଦୁଇଟି ତବେଳାରୀ,
 ଏଣ୍ଠରେବେଳେବେ ସାହିତ୍ୟ,
 କୁଣ୍ଡଳ ପାତାରୀ,
 ଶୁଣେନେବେଳେ ଜ୍ଞାନୀ,
 ଅନ୍ଧରୀର ଧୂର୍ବଲୀ,
 ଦୁଇଟି କ୍ଷେତ୍ରକିରଣୀ,
 ଜୀବାଲ୍ଲ ଜୀବାଲ୍ଲୀ।

ନେମ୍ବେରି ଗାନ୍ଧୀଜୀଙ୍କା ବିଷୟରେ

ედაქციის მისამართი: ბათუმი, გელიქიშვილის ქ. № 21. ტელ. 3-32-71

გადაეცა წარმოებას 23.07.92, ხელმოწერილია დასაბეჭდად 30.09.92
საბეჭდი თაბაზი 9,5, საგამომცემლო თაბაზი 8,9, შეკვეთის № 615, ქათა-
ლიდას ზომა $60 \times 90\text{cm}$, ტირაჟი 1.500.

საქართველოს რესპუბლიკის შექმნითი სიტყვის დეპარტამენტის
აქარის პოლიგრაფიული საწარმოო გაერთიანების სტამბა, ბათუმი,
იმპრიის, 91.

ჯემალ ჩათაშაბა

შურისძიება

2016.9

სამხელო ბეგარის ქალაქ ბათუმში ვინდიდი. ყოველ შაბათ-კვირს სოფელში ჩავდიოდი და მშობლებს ვეხმარებოდი, ჩაის ფოთოლს ვკრეფ-დი, ციტრუსებს ვუვლიდი, ვცელავდი, ვრგავდი, სოფელში საქმეს რა გამოლევს. ამიტომ სამხედროში სამსახური ჩვენს ოჯახს დიდად არ დაჰკ-კლებია, მაგრამ ერთი რამ მაწუხებდა, საღამოს ნაწილში დაბრუნება. ძილის წინ ზემდგომი სიას წაიკითხავდა, ჩვენც ვბასუხობდით: აქ ვარო! ხოლო დაგვიანების ან შეგნებულად გამოუცხადებლობისათვის ნაწილს „ჩეპე“ არ ასცდებოდა. ამიტომ ვცდილობდი სამწყობრო შემოწმების დროს ადგილზე ვყოფილიყავი და ამას გერმანული სიზუსტით ვაკეთებ-დი.

ჩვენი ნაწილის ზემდგომი უფროსი სერუანტი არ იყო ურიგო ახალ-გაზრდა, არაყი უყვარდა, მეც სოფლიდან მისვის ჩამომქონდა საგანგებ-ოდ შერჩეული ჭაჭა. შეიპარებოდა პატარა ოთახში, ჩუმად გადაპრავდა, ლოყები წამოუწითლდებოდა, ყოველთვის მრისხანე და უუმური ვალ-ოდია პოპოვიჩი საუკეთესო ხსიათზე დადგებოდა, ბიჭებსაც აღარ იწვ-ლებდა. „ადბოი!“ ბრძანებდა და ისევ წავიდოდა ოთახში არაყის დასალე-ვად. როცა არაყი შემოელეოდა, ჩუმად ყურში ჩამჩურჩულებდა: — გინ-და სახლში გავიშვა?

— კი, ახლა ბევრი საქმეა სოფელში. — ვეტყოდი.

— წალი, მაგრამ დროზე მოდი!

— არის.

აზემდგომი ჩაიღიმებდა. ორი ბოთლი ჭაჭა უკვე გარანტირებულ-ჰქონდა, რომელსაც ძალზე შეეჩია. უწინ თუ ვეხვეწებოდი სახლში გამიშვი-მეთქი, ახლა თვითონ მთავაზობდა.

ერთხელ, მუშაობაში გართულს, შემაგვიანდა, სულ გადამავიწყდა ჭარისკაცობაც და მისი მძიმე მოვალეობაც. კიდევ კარგი დედაქემმა შემ-ახსენა.

— რას შერები შვილო, არ რიდიხარ?

საათს დავხედე. მატარებელზე დავაგვიანე, ველარ მივუსწრებდი.

ხოლო „დაჩნი“ ათის ნახევარზე გადიოდა. გზატკეცილზე გამოვედი, მაგრამ საათში ერთი მანქანა თუ გაივლიდა, ისიც ტვირთით დატენილი, ჩემთვის ვის ეცალა, ბოლოს, მაინც მატარებლის იმჟღით, სადგურში წავდი. იმ ღროს მატარებლები დაუგვიანებლად მოძრაობდნენ. ჩემი „დაჩნიც“ ზუსტად მოვიდა ოზურგეთიდან.

ვაგონში რომ შევედი სული შემეხუთა, ძალზე ცხელოდა, ამიტომ ლია ვაგონში გადავედი, იქ მართალია მგზავრები უფრო მეტი იყვნენ, სამაგიეროდ გრილი ქარი ქროდა.

უცებ შევნიშნე ვიღაცამ თეთრი ხელი შემართა, გამიღიმა, ხალხის ტალღა გამოარღვია და ჩემსკენ წამოვიდა. ვიცანი, ჩემი სკოლის მეგობარი ნაზიბროლა, არ მინდოდა მასთან შეხვედრა, ამ ქალიშვილს ცუდი სხელი ჰქონდა გაგარდნილი, რას არ ლაპარაკობდნენ. სკოლა მიატოვა, მოლაბული გზა აირჩია, თავისუფალ ცხოვრებას ეწეოდა, სახლში აღარ დადიოდა, ერთ ღროს ჩუმი და პატიოსანი ქალიშვილი ჭორიყანების საკორტნელად იქცა, ამ მშვენიერი ქალიშვილის საქციელი მართლაც იმსახურებდა ხალხის გაკიცხვას. ამიტომ არ მესიამოვნა ნაზიბროლას შევეღრა, არ მინდოდა ვინმეს ვენახე მასთან, არც მისი თამამი ღიმილი მომეწონა, მაგრამ რა მექნა, იგი ჩემთან გაჩნდა, სახე მომანათა და მკითხა:

— ვერ მიცანი?

— ღამცინი?

— აბა რას ნიშნავს ეს დუმილი?

— არაფერს. — ვთქვი.

— ეს რა პასუხია? — არ მომეშვა და ხელი მომკიდა მკლავზე, —

ჩვენ ხომ სკოლის მეგობრები ვართ?

— კი, მერე?

— ასეთ ცივ შეხვედრას არ ველოდი.

— რა ვქნა, ვიცეპვო?

— თუ საჭიროა, უნდა იცეპვო.

მე გამეცინა. ასეთი თამამი და გაბედული ნაზიბროლა მე არ მახსევს, როგორ შეცვლილა, ჯერ კიდევ ბავშვია და რამდენი რამე, უნახავს, მისი ღიმილიც, სითამამეც სინანულს მგვრის, უფრო მეცოდება, ამ მოჩვენებით ღიმილში ტანჯვა მეტია, ტკივილი, მწუხარება, იგი მისი სურვილით როდია ჩაძირული ამ ჭაობში, საიდანაც ძალზე ძნელია გამოსვლა, ახლა იგი აგანსცემზეა, რომელიმე ტრაგიული გმირის როლს თამაშობს, სხვები თუ არა, მე ვგრძნობ და ვკითხულობ მას.

ნაზიბროლას წყაროსავით ხმა ყურებში იღვრება.

— ქალაქში მიღიხარ?

— აბა, სად წავალ.

ჰო, მართლა, შენ ხომ ჯარისკაცი ხარ. — მთლად დაიბნა იგი.

უროვნეული
პირების თავი

ფორმაც გიხდება.

— შენ სად მიღიხარ? — ახლა მე ვკითხე ცივად.

— მეც ქალაქში.

— ასე გვიან?

— ნათესავი მელოდება, კაბა უნდა შემიყეროს, ღამეც იქ დავტჩები,

— ვიცი იცრუა ქალიშვილმა. — შენ როგორ გაზრდილხარ.

რამდენი ხანა არ შევხვედრილვართ. როგორ მიჰქრის დრო..

— თქვა და ჩაიკისკისა, თოვლისფერი კბილები საოცრად უხ-

დებოდა. თბილი ღიმილის კორიანტელი შემომაყარა. ბავშვო-

ბის ფიქრების ბურუსში გამახვია, რა ანგელოზია და.. შევხედე. ბროლ-

ის ყელზე ოქროს ჯვარი ეკიდა, თეთრი კაბა ეცვა, შიშველ მქლავზე

ოქროს საათი ეკეთა, ყურებზე ფირუზზისთვლებიანი ყურსაკიდი.

ზღვისფერი თვალები მომაჭედა, ხელით პერანგი შემისწორა, სულ ახ-
ლოს მოვიდა, კინალამ ჩამეხუტა, მისი თბილი გულის ძალუმი ხმა მესმოდა,
მისი ნაზი სუნთქვა, კოკორივით გაუფურჩქვნელი ბაგე საკოცნელად
მიწვევდა, რალაცას მთხოვდა ეს ტუჩები, მაგრამ მე ვდუმდი, აქეთ-
იქით ჩუმად ვიხედებოდი, არ მინდოდა ვინმეს დავენახე ნაზიბროლას
გვერდით, ჭორების მეშინოდა. ქალიშვილმა შემატყო გულგრილობა,
არ მოეწონა ჩემი ცივი შეხვედრა და წყენით მითხრა:

— რას ჩამოგტირის სახე?

— ვის? მე?

— ჰო, შენ. განა ასე ხვდებიან ქალიშვილს? მე კი ვნატრობდი შენ-
თან შეხვედრას. შენ? შენ არ მოგვნატრე?

— არა!

— რატომ ბიჭო? — ნაზიბროლას ანთებული ღიმილი ჩაუქრა სახეზე
და ლოყაზე ცრემლის ალი წაეკიდა, მერე ზღვისფერი თვალები მომარი-
და, თავი ძირს დახარა. ოქროსფერი დალალები ნაზი თითებით შეისწო-
რა, წამწამებზე დილის მანანა ნამივით ცრემლების წვეთები დაეკიდა.
ახლა მართლა ჰვავდა იგი კალმით ნახატ ანგელოზებს, ახლა უფრო
ღრმელ ჩაგრძელი ქალიშვილის ტკივილს, მის სულში სულ სხვა რამე იმა-
ლებოდა, რომლის მიგნება და ამოხსნა მაშინ არ შემეძლო, ეს ქალიშვი-
ლის თვალებში წავიკითხე, ფიქრებს მივეცი თავი, მკერდში ტკივილი ვი-
კრძენი, შეწუხებულ ნაზიბროლას შევყურებდი და ვწუხდი: — მაინც
რა მოხდა, რამ აიძულა იგი მოლიბულ გზაზე დამდგარიყო, რატომ გაექცა
ნამუსიან ცხოვრებას, რატომ შეაცია ზურგი დედას, და-ქმებს, ნათესა-
ვებს, სოფელს, ყველას. ბავშვობიდან ვიცნობდი ნაზიბროლას. შველივით
უწყინარი და კეთილი გოგონა იყო, მორიდებული და მორცხვი, მარ-

თალი და კეთილმოსურნე, არა, არა, აქ რალაც ამბავია, მაგრამ უშემდების
ში დამიტრიალდა ეს კითხვა.

ამასობაში მატარებელი მახიჯაურში გაჩერდა, კარებისაკენ გაცემუ-
რე. ნაზიძეროლამ, ნაღვლიანად შემომხედა და მკითხა: — ჩადიხარ?

— არა, ჯერ არა კიდევ ორი გაჩერება.

— მერე რა გაჩქარებს?

— ვერ ხედავ რამდენი ხალხია. ისედაც დავაგვიანე ნაწილში.

— მეც ჩამოვალ. — თქვა ქალიშვილმა და მოემზადა გასასვლელი-
საკენ.

— შენ რატომ?

— ნაწილამდე მიგაცილებ.

— არ მინდა!

— მაინც ჩამოვალ, აი ნახავ, — დაუკინა.

მატარებელი გაჩერდა. ჩამოვედი ბაქანზე, ისიც ჩამოვიდა, ხელი
მკლავში გამომდო და ხმალაბლა თქვა: — უჰ, რა სალამოა! საცაა მთვარეც
ამოვა. გიყვარს ჯუმბერ მთვარიანი რამე?

— აი, მაგრამ მეჩქარება, ხომ იცი ჯარისკაცი ვარ, დროზე უნდა
მივიდე ნაწილში.

ნაზიძროლამ საათს დახედა, გაეცინა, მერე უფრო მაგრალ მომიჭირა
ხვლი და სიცილით თქვა: — ჯერ ადრეა, რა დროს ძილია ბიჭო ახლა. წა-
ვიოქთ, იავიაროთ, რა ლამეა, რა სანაპირო. რა მთვარე და რა წყვილები
ვართ, არა?

— არა, არ შემიძლია, დამსჯინა, მეტს აღარ გამიშვებენ სახლში. უნ-
და წავიდე, შენც წადი, უკვე გვიანაა.

— მე შენთან მინდა ყოფნა. — დაუკინა.

ნაზიძროლამ ეშხიანი თვალები შემომანათა, ხელი მარჯვედ მომიჭი-
რა ხელზე. ამიო მიმახილდრა, ასად ავაშიშვებო. ტანზი ქრუანტელმა და-
მიარა, ქალს შევხედე, მშვიდად იდგა, მერე კვიპაროსის ხესთან შევჩერ-
დით, იქვე სკამზე დაჭდა, მეც ახლოს ჩამოვჭექი.

— უთრო ახოროს მოღი. ნუ გეშინია, არ შეგჭიმ, რამ დაგაფრინხო
ასე, მე შენთვის ისეთივე ნაზიძროლა ვარ, როგორიც ადრე ვიყავი, გა-
სოვს ჩემთვის კონცელიძის ბიჭი რომ გალახე?

— კი.

— ხელი ვამარტყა. შენ კი დამრცავი, გაღაირე, გოგოს ხელი როგორ
გარტყო ლა სცემე, იცი როგორ ვამახარე? შენში პატიოსანი თა დამც-
ველი დავინახე. მაშინ შემიყვარდი, თუ დამიჭერებ.

— მაშინ შენც სხვა იყავი.

— ახლა? ახლა სხვა ვარ?

— პო. ახლა ის აღარა ხარ. — მე წავილ, — ფეხზე წამოვდექი. კუთხეობის
— მერე მარტო მტოვებ? ეს რა ზრდილობაა. ეს შენ არ გამოვიდება,
რება, ამ ღამეში ქალიშვილის ასე მიტოვება შეიძლება?

— რა გინდა ჩემგან! — გავბრაზდი.

— არავერი, ერთხელ კიდევ გავიხსენოთ ის ღრო. ისევ მომაჟედა
გრძნობაშორეული თვალები, უფრო ძალუმად ვიგრძენი გულის ფარქვა,
ნაზი ვარდივით ტუჩები ორად გაიპო და ღამის სიბნელეში ქალიშვილის
სიტყვები ჩაიღვარა.

— მე მიყვარხარ, შენ ეს არ იცი, კარგია რომ არ იცი.

— როდის მოასწარი? — ვკათხვ.

— მერაბ კონცელიძე რომ გაღახე ჩემს გამო, იმ დღიდან.

— მართლა?

— შენ არ გვერა? იცი, სულ შენზე ვფიქრობდა.

— ეს ბავშვური გატაცება იყო.

— მაგრამ სიოცრიად კეთილი და ლატვიშუარი, — იქვა ნაზიბროლამ
და თმაზე ხელით შემეხს.

— რას შვრები? — გავბრაზდი.

— მოვეფერო მინდა.

— მე არ მსურს.

— შენ უნამუსო ქალი გგონივარ?

— არა, მაგრამ შენზე ცუდს ლაპარაკობენ.

ნაზიბროლამ ჩემს სიტყვებს ყურადღება არ მიაქცია, სიბრაზემ გა-
დაუარა, მომაჯადოებელი თვალებით შემხედა, გამიღიმა და ჩემსკენ საკოც-
ნელად წამოიწია, ტუჩები კი არა, მგონი გაზაფხულის თითქვი კუკორი
გაიშალა, მაგრამ თავი შეიკვეა, უცებ სახე მოენისლა, ხასიათი გაუფუჭ-
და, მუხლებამდე ამოწეული ქაოქათა კაბა გაისწორა, ზღვას შეხედა, წა-
მოდგა: — მგონი დროა წავიდეთ! — ახლა მე აღარ ვჩქარობდი, ნაზიბ-
როლასთან სიახლოეს მინდოდა, გადამავიწყდა სამხედრო ნაწილიც და
ვალოდია პოპოვიჩის მრისხანე სახეც.

ქალიშვილი მაძალებდა, წავიდეთ, უკვე გვიანაა, მეც მეჩქარება, შენ
აგერ „ყაზარმაში“ შეხვალ, მე კი ცენტრში უნდა ჩავიდო. მალე ავტო-
ბუსებიც შეწყვეტენ მოძრობასო.

— მე გაგაცილებ.

— ბიჭი, აქამდე მე გეხვეწებოდი, ახლა რა მოგივიდა. წავიდეთ!

— არ წამოვალ. — განგებ გავიკიტდი, თანაც გავიღიმე.

— მართლა გამაცილებ?

— აბა, იმ ღამეში მარტო გაგიშვებ?

ნაზიბროლას გაუხარდა, ვატყობლი ჩემთან ყოფნა უნდოდა, იგი გამ-
ხიარულდა, გამიღიმა, ისევ ჩამოგდა ბამბუკის სკამზე.

— იცი, დადი ხანია ველოდი შენთან შეხვედრას. — თქმაში მოვარდება
ლმა.

— რატომ ნაზიბროლა?

— ხომ გითხარი მიყვარხა-მეთქი. ბავშვური სიყვარული გულიდან
ადგილად არ ამოქრება. — მოიწყინა. — ჩემი გზა არ მოგწონს ხომ?

— არა. ვის მოეწონება ასეთი ანგელოზი და ასეთი ცუდი საქციელი.
მაგრამ მთლად შენი ბრალი არაა, მკაცრ დროში მოგვიწია ცხოვრება.

— აი, მთვარი. — წამოიძახა ნაზიბროლამ. — შენ ყველაფერი არ
იცი, მინდა კი იცოდე, ამიტომაც გეძებდა ჩემი გული. რასაც მოგიყვები,
ჯერ არავისთვის გამიმხელია, დღემდე გულით ვატარე, ახლა სულერთია
ჩემთვის, ყველაფერი დასრულდა, მოდი გავყვეთ სანაპიროს, გამაცილე,
ჩემი წარსულის მწარე ფურცლებს გადაგიშლი, მინდა ყველაფერი იცო-
დე. არაუშავს, ცოტა დააგვიანე, ამისთვის არავინ დაგხვრეტს.

— განდაბას დავაგვიანო, წავიდეთ.

ნაზიბროლას მკლავში ხელი გავუკეთე და ზღვისპირის ქუჩით ქალა-
ქის ცენტრისაკენ წავედით. იგი ჭალრის ხესთან შეჩერდა, მთვარე მტი-
რალის მთიდან ვადმოგორდა. მიდამო ვერცხლისფერ სხივებში გაახვია.

— მაშ, ასე. ყველაფერს გავამხელ. ფიცი მომეცი, რომ არ გამცემ,
რასაც ჩემგან ახლა გაიგონებ, გულში ჩაიმარხავ, კაციშვილს არ გაა-
დობ.

— სიტყვას გაძლევ, დაიწყე.

— „ორმოცდახუთში“ — დაიწყო ნაზიბროლამ — მამაჩემი დააპატი-
მექს, ვიღაცამ „ჩაუშვა“ ჩეკაში, სამხედრო ტრიბუნალმა ათი წელი
მიუსახა და ცოლ-შვილს მოანატრა იგი. დაიწყო ჩვენი წვალება, ყველანი
პატარები ვიყავით, დედის ამარა დავრჩით ხუთი შვილი, ვეიჭირდა, დე-
დაჩემს ჩიტის ბარტყებივით შეცყურებდით, საწყალი ქალი დღე და და-
მეს ასწორებდა, ხან საკარმიდამოში, ხან კოლმეურნელბაში მუშაობდა და
ასე ვეზრდიდა. ომი ახლად დამთავრებული იყო, ყველაფერი ჭირდა,
ყველაფერს ცაცხლო ეკიდებოდა, თოთი მჭადი ათასი მანითი ღირდა, გა-
ნა მარტო ჩვენ! ყველას უჭირდა მაშინ ცხოვრება, ეს შენც იცი კარგად,
მაგრამ ჩვენს გაჭირვებას მამაჩემის დაპატიმრებაც დაემატა და ამან უფ-
რო ჟავ დღეში ჩაგვაგდო.

ასე ვიზრდებოდით, ვსწავლობდით, ვშრომობდით, დედას ვეხმარე-
ბოდით, ბავშვობა დაგვავიწყდა, უცებ წამოვიზარდეთ.

ერთხელ დედაჩემმა მეურნეობის მაღაზიაში მარილის საყიდლად
გამგზავნა, მაშინ უკვე მერვე კოსასის მოწაფე ვიყავი, კარგად ვსწავლობ-
დი, არც ტანი მაკლდა და არც შეხედულება, ყველას ვუყვარდი, შენც

კარგად გახსოვს რა ლამაზი, მოხდენილი, თვალადი ქალიშვილი ვიყავი, ჩემი შემხედვარე ვინ ითქმულებდა რა სიღარიბეში ვიზრდებოდა, და ჩემს თვეი მოსწონდა ჩემით და სხვებზე უფრო კარგად მაცევდა, მიღრო ხილდებოდა, ცოტას მამუშავებდა, წიგნები იკითხეო, მეტყოდა და მომიალერსებდა, ხან კიდევ მკოცნიდა. ვაი, ოომ ვერ გავუმართლე იმედები, ვანა ჩემი ბრალია? ყველაზე დიდი უბედურება იმ დღეს დაიწყო, ერთ საბედისწერო წუთს შეუძლია ადამიანის ცხოვრების გამწარება, ერთ დაუფიქრებელ ნაბიჯს უფსკრულში გადაჩეხვა, ასეც მოხდა. როგორც კი ცენტრალურ ქუჩაზე ჩანთით გამოვედი, მსუბუქი ავტომანქანა გაჩერდა, იქიდან შუახნის კაცმა თავი გადმოყო და მკითხა:

— სად მაღიხარ შვილო?

— აგრე მაღაზიაში, მარილი უნდა ვიყიდო. — ვუპასუხე და გზა გვაგრძელე.

შოთერმა მანქანის უკანა კარი გააღო და მითხრა:

— დაჯეჭი, მეც იქით მიღდივარ.

— არა, ფეხით წავალ, მაღაზია აქვეა, აგვერ ორ ნაბიჯზე.

— ვიცი, დაჯეჭი, მიგიყვან.

მამაჩემის ხნის კაცი იყო, გამიტაცა ბავშვურმა სითამამემ, ხათრი ვერ გავუტეხე, მაშინ მსუბუქი ავტომანქანა სასწაულს უდრიდა, წამძლია სულმა, უარი როგორ მეთქვა, სულ შვილოს მეძახოდა.

მანქანა რომ დაიძრა ადგილიდან, მკითხა: — ვისი შვილი ხარო?

— მემედ შავიშვილის.

— ო, ვიცნობ მამაშენს, — თქვა და ოდნავ დაამუხრუჭა მანქანა, — შენ მემედის ქალიშვილი ხარ?

— იცნობთ მამას? — ვკითხე და გავიღიმე.

— როგორ არა, ახლახან შევხედი.

— საღ? მამაჩემი ხომ პატიმარია?

— ვიცი, რუსთავში იხდის სასკელს. — მშვიდად ჩაილაპარაკა და კარგად დამაკვირდა.

მე გამიხარდ, სულაც დამავიწყდა მაღაზიაც და მარილიც, მინდოდა შამაჩემზე არაც შეიძლება ბევრი გამეგო, უცნობი მშვიდად, აულელვებლად იჯდა საჭესთან და ხშირად მიყურებდა.

— წერილებს რატომ არ გვწერს? — გულუბრყვილოდ ვკითხე.

შოთერს გაეცინა, უკან მოიხედა და მიპასუხა:

— იგი ხომ პატიმარია, ისიც პოლიტიკური, წერილებს როგორ მოგწერთ, არ შეიძლება, კანონით აკრძალულია, მერე ისიც მინდა გითხრა, მემედი საიდუმლო სამქროში მუშაობს, იქ ყველაფერი გასაიღუმლოვანულია, თვით სიცოცხლეც კი. ასეთი ხალხი მართალია ცოტათი პატივ-შია, მაგრამ გარე სამყაროს მოწყვეტილია.

— თქვენ ყველაფერი საიდან იცით, მამაჩემთან იჯექით?

— არა, მე იქ ვმუშაობ.

— გარტლა? უფროსი ხართ? — გამიხარდა და უცხო კაცს დავაკვი-
რდი, მდიდრულად ეცვა, ნაპატიებიც მეჩვენა, კმაყოფილი და მაძლა-
რი კაცის ფერი ჰქონდა.

— რად მუშაობთ ბიძია, მამაჩემს ხშირად ხვდებით?

— ხშირად. მალე შეებულება მითავდება, ვნახავ და შენს მოკითხვას
გადავცე, ვეტყვი ციცინათელასავით ქალიშვილი გყოლია-მეთქე.

— მე გამიხარდა: — რა კარგია! — სიხარულით წამოვიძახე. ამსობაში
მაღაზიაც გამოვიარეთ და ჩაქვიც. ჩემი უცნობი „ბიძია“ მანქანას მიაქ-
როლებდა და მამაჩემზე საუბრით ლამაზ ბურანში მახვევდა.

— უი, მაღაზია. გააჩერე ბიძია. დედა მელოდება, მომკლიავს.

— ჰო, მართლა, ლაპარაკში გართულს სულ დამავიწყდა, მაგრამ არა-
უშავს. მალე უკანვე მოვბრუნდები, ერთი წუთით საქმეზე შევივლი, მე-
გობარს წერილი უნდა გადავცე, კოლონიიდან გამომატანეს. — ამის თქმა
და მანქანა მარჯვნივ ჩაის პლანტაციებში მიმავალ გზისკენ მიაბრუნა,
მთავარი შარაგზა უკან დარჩა, ბორტანიური ბალის დაბურულ ტყეებში
მიყეროდით.

უცებ მანქანა დაამუხრუჭა, ივი ოდნავ ალელვებული ჩანდა, იქით-
აქით გაიხედა, მერე ჩემთან მოვიდა: — შენ მანქანაში მომიღადე, წუთით
შევირბენ მეგობართან, აქ მუშაობს, მეცნიერი მუშავია, და წავალთ.

ხმა აღარ ამომიღია, რა მექნა, მანქანაში დავრჩი, არ მომეწონა ამ კა-
ცის კილო, არც ის ბორტანიკური ბალი, რომლის შესახებ მაშინ წარმოდ-
გენაც არ მქონდა, არც ის ადგილი, სადაც მანქანა გააჩერა, არსაც ადამია-
ნის ჭაჭანება არ იყო. ოგვლივ ტყეები, ცოტა მოშორებით ჩაის პლანტა-
ციები მოჩანდა, საღლაც ქვემოლან შავი ზღვის ტალღების ხმაური ისმო-
და, მალე გამოჩნდა წითური ბიძია. პირდაპირ ჩემსკენ წამოვიდა, სახე
უფრო გაწითლებოდა, უფრო გის ჰეგავდა, აღამიანის ფერი აღარ ჰქონ-
და, მელა ნამდვილად შევშინდი, მაგრამ გულის სიღრმეში მაინც არ მჯე-
როდა თუ ასე გამიმეტებდა, მე ხომ ჯერ კიდევ ბაგშვი ვიყვავი, მერვე
კლასის მოსწავლე, ის კი ორმოცდახუთის მაინც იქნებოდა, რაღაცას მი-
პირებდა.

— მომატყუე ბიძია? — ბაკუშური გულუბრყვილობით ვთქვი და
ტირილი დავიწყე, მაგრამ იმ აჩაქაცმა ტირილი აღარ მაცალა, თხელი
ნარმის კაბა ტანზე შემომახია, მანქანის უკანა საჯდომზე დამაგდო, ჩვა-
რივით გამაყრა, პირზე დიდრონი ტორები დამაფარა და ათი ფუთი კაცი
დამაჯდა.

— რა გინდა ჩემვან ბიძია, რას შვრები. — ცუკირლი, მაგრამ პირზე

ცხვირსახოცი დამატარა და ჩემი ხმა ყრუ გოლებას უფრო ჰეგავტა. კართველები
თორემ მოგდლავ, შენ უკვე სრული ქალიშვილი ხარ და იცი რკინისადა, გობს
ხებით, გესმის ხებით.

— რა ქენი მაგი, ბიძა.

— კარა, ხელს ნუ მიშლი, ჩემს საქმეს მაინც ვიზამ, ქვეყანა რომ
შეყარო მაინც ვიზამ, ნუ ყვირი, ჩემო ნუკრო. — მოფერება სცადა.

წვერებში ვეცი, რაც შემეძლო თავს ვიცავდი, წინააღმდეგობა გაგუ-
წიე, მაგრამ რა შემეძლო უმწეო გოგონას, ამხელა მხეცთან. მეტი ბრძოლა
აღარ შემეძლო, კაბა მთლიად გამხადა, გამაშიშვლა, გონება დავკარგე,
მგელი ბატყანს რომ ეცემას ისე მეცა და დამგლიჯა, მეტი არაფერი მახ-
სოვს, თვალი რომ გავახილე, არაკაცის კმაყოფილი სახე დავინახე, ამღვ-
რეული თვალებით შემომხედა, დაფიქრდა, მერე დაჭმულებილი კაბა, მეს-
არლა და მყაცრად მიბრძანა: — ჩაიცვი!

ალბათ მომკლავს — გავიფრჩრე. კაბა ჩავიცვი, დაჭრილი შველივით
ვცახცახებდი, თავი მტკიოდა, გული მერეოდა, პირის ღებინება დავიწყე.
ჩემი დამღუპველი მიყვიროდა, მაგრამ ვერ გავიგე კიდევ რა უნდოდა
ჩემგან.

კაბა რომ ჩავიცვი, საცვლებიც მესროლა: — ესენიც ჩაიცვი!

მერე თვითონ მომკიდა ხელი. დარეტიანებული მანქანაში ჩამავდო
და გამაფრთხილა: — ხმა არ ამოიღო, ყვირილი და ტირილი არ ატე-
რო, თორემ წიწილივით მიგაკლავ აქვე.

დიღხანს ვიჯექი მანქანაში და ჩუმად ვტიროდი, გარეთ აღარ მიშვებ-
და, მანქანა დაძრა ადგილიდან და იმ შავი ტყიდან. გამომიყვანა, ალარ
მოგდლა, იქ ჩამომაგდო, საიდანაც წამომიყვანა, მისი ცივი თვალები, სახე,
ოიდილი და ხმა სამუდამოდ დამამახსოვრდა, მას ათას კაცში ვიცნობდი,
მაშინ პირველად ვიგრძენი შურისძიების ძალა, შევიძულე ადამიანები,
გაეხდი მყაცრი და ხელალებული, დავკარგე სირცევილის გრძხობა, სინანუ-
ლი, შეცოლების იმუნიტეტი, მზად ვიყავი იარაღი ამეღო და ყველა მამა-
კაცი დამეხოცა, ვისაც შარვალი ეცვა და ვისაც შეეძლო ჩემისთანა ქალი-
შვილის გაუბედურება.

ორარ ვიცოდი რა მექნა, სად წავსულიყავი, ერთი წუთით თავის მოკვ-
ლა გაღავწყვიტი, მაგრამ ის არაკაცი ხომ გავიდოდა მაშინ უხიფათოდ
ფონშე, ხომ გოხარებდა ჩემი სიკვდილით, ისე ღმერთის მეტი ვერ გაიგე-
ბდა მის საქციელს, მე კი მინდოდა მისი დასჭა, ღიას, მე, პატარა ქალი-
შვილს, ამ პატარინა ხელებით.

ამ დროს აზრად მომიერდა ჩემს ნათესავთან წავსულიყავი, არაფე-
რი მითქვამს, ავად ხომ არ ხარო მითხრა. აქცოტა სული მოვრტები, ოდ-
ნავ დავმშვიდიდი, ძალა მოვიკრიდე, ფერი მომივიდა, იმ კოშმარული წვა-
ლების ბარიერი გადავლახე და სახლში წავედი.

დედაქემი გადარეული დამხვდა, მაღაზიაშიც მისულა, გამყიდველ
უთქვამს, არ მინახავს, თუმცა მეც გვიან გავალე, იქნებ მიცალური მადმე
ამხანაგთან წავიდაო.

დედაქემი დამშვიდიდა თურმე, რომ დამინახა გაუხარდა და გადაირია
კიდეც: — სად იყავი ამდენ ხანს, სახლის გზა დაგავიწყდა? წამოვიდა
საცემრად, მაგრამ ალბათ პირველად ვიცრუე — მაღაზია დაკეტილი დამ-
ხვდა და ამხანაგთან წავედი-მეთქი.

— სად დაკარგე ნამუსი გოგო. მთელი დღე დაგემებ.

რა იკოდა საწყალმა დედაქემია, — იმ საშინელ დღეს მართლა და-
კარგე ნამუსი, დასრულდა ჩემი ისედაც უსიხარულო დღეების მწარე წუ-
თები, ჩემი მომავალი, სიხარული, იმედები და ცხოვრება.

დედა რომ დამშვიდიდა, წავედი, ლოგინში ჩავწექი, ჩუმად მთელი ღა-
მე ვტიროდი, მხოლოდ ერთხელ ჩამთვლიმა, მაგრამ საშინელმა სიზმარმა
გამომაღვიძა, ისევ ის არაკაცი გამომეცხადა, პირში ცხვირსახოცი ჩამტენა
და მხეცივით მეცა, დაიწყო ჩემი წვალება, ბურანში ხმამაღლა დავიყუი-
რე და რომ გამოვიღვიძე, ოფლში ვცურავდი, თვალი რომ გავიხილე, დე-
და დავინახე, შუბლზე ხელი დამადო, ცეცხლში ვიწვოდი.

იქვე ახლოს სამედიცინო პუნქტიდან დედაქემა ექიმი მოიყვანა,
გამსინჯა, წამლები დამიტოვა, დავლიე, ცოტა ჭანზე მოვედი, სიცხემ
დამიწია, იმ დილით სკოლაში აღარ წავსულვარ, არც მეორე დღეს წა-
ვედი, საერთოდ სწავლაზე გული ამიცრუვდა, ყველაფერი შემეზიზა,
წიგნიც, მასწავლებელიც, ცხოვრებაც და ჩემი თავიც. სახლიდან გაქცევას
გაპირებდი, მაგრამ დედაქემის მეშინოდა, ამასთან სასტიკი ბიძა მყავდა,
რომელიც მომკლავდა ჩემი „დანაშაული“ რომ გაეგო. სახლში გაჩერება
აღარ შემეძლო, ჩემი თვალები იმ არაკაცს ეძებდნენ, მასთან შეცვედრა
მინდოდა, გადავწყვიტე, რადაც არ უნდა დამჯდომოდა, იმ ავკაცობისა-
თვის, ავხორცობისათვის ჩემი გაუბედურებისათვის პასუხი მომეთხოვა,
მაგრამ სად? როგორ? რუსთავში წასულა მინდოდა. რატომდაც დავიჯე-
რე მისი სიტყვა. მამაქემი მოთლად გადამავიწყდა, ყველაფერზე ხელი ჩა-
ვიქნიე, დავიწყე სახლიდან გაპარვა, ხან გვიან, ხან სულაც აღარ გბრუ-
ნდებოდი. შეწუხდნენ ჩვენები, გადაირია ბიძაჩემი, მოკვლით მემუშრებო-
და. ჩემი უფროსი და დარიკო ბოზს და გათახსირებულს მეძახდა, დედა-
ჩემი ლოგინად ჩავარდა, მეცოდებოდა, მაგრამ ბოლოს ეს გრძნობაც
გამიციუდა, გავხდი უგულო და ხელალებული, გამოჩნდნენ ჩემსაქით
წყალწალებული მეგობრები, მაგრამ პროსტიტუციას არ ვეწეოდი, არ შე-
მეძლო მამაკაცის სიახლოვე, ზიზღს მგვრიდა, სულ ის შავწვერა დამიღ-
გებოდა თვალწინ, როგორ მომატყუუ, ბავშვიც არ დამინდო, მოტყუუბით
გმიტაცა ტყეში და ნამუსი ამხადა, არც ტირილი, ხვეწნა, მუდარა გამი-
ვიდა, სულერთია ვიღაცამ ხომ უნდა გაგაფუჭოს, არ ჯობია მე ვიყო ის

ვიღაცა? იმ ბოროტის ხმა დღემდე მიხვრიტავს ყურებს. მოვექალი არ ჯობდა? ალბათ კი.

ნათესავები, განსაკუთრებით ბიძახემი, მოსაკლავად დამდევდნენ, მაგრამ ვერ მოახერხეს და სირცხვილით თავს საზოგადოებაში ვერ ყოფ-დნენ, მე კი ვემალებოდი ჩემებს, შენ ამ დროს უკვე ქალაქში სწავლობ-დი და ჩემი ისტორია ყურმოკრული ამბებით იცი, — ამიტომ გიამბობ ასე დაწვრილებით. მოგწყინდა?

— არა, განაგრძე! — ვუთხარი და გავჩუმდი.

— ერთხელ, — განაგრძო ნაზიბროლამ, — მეგობარ ქალიშვილთან ერთად პარტიის რაიკომის შენობასთან შევჩერდი. ზაფხულის დღე იდგა, ოდნავ ცხელოდა, უცებ მანქანა გაჩერდა, იქიდან ჩემი „ძველი“ ნაცნობი გადმოვიდა, შევჩელე, ვიცანი, სწორედ იგია, კი, ჩემთვის გავითიქრე და გულმა ბაგა-ბუგი დამიწყო. წვერი გაეპარსა, ახალი კოსტიუმი ეცვა, ვიღაცას გაუდიმა, ვიღაცას თავი დაუკრა, მერე ერთი სანდომიანი ქალი-შვილი გააჩერა, მგონი ხელზეც ეამბორა, რაღაცა ჰკითხა და მარმარი-ლოს კიბეებით ზემოთ აუჩქრებლად აუყვა.

— ვინ არის ის მამაკაცი თქვენ რომ მოგესალმათ? — ვკითხე ახალგა-ზრდა კაცს, რომელიც პარტიის რაიკომის შესასვლელთან იდგა და ვი-ღაცას ელოდა.

— მაგი ჩვენი რაიონის მილიციის უფროსია, ადრე ჩეკაში მუშაობ-და, აქაურია, ჩვენებური, არ იცნობთ?

— არა, რა ვგარია?

— ნოდარ თომაძე, კაი კაცია. — სხვათაშორის დაუმატა ახალგაზ-რდამ და დამიწყო ყურება, მგონი მოვეწონე, რადგან ახლა თვითონ გამიბა საუბარი.

— უშიშროების კომიტეტში რომ მუშაობდა, ბევრი სიკეთე გაუკე-თებია, ხალხი გადაურჩენია დაპატიმრებას.

— შეიძლება. — ჩუმად ჩავილაპარაკე და წამოვედი.

კაი კაციაო. გამეცინა, მანქანას შევხედა, ახალი „პობედა“ იდგა პა-რტიის რაიკომის შენობის წინ. ნომრებიც ჩავიჭიდე თავში, გულზე მო-მეშვა, ვთქვი, ან შენ ან მე. მესამე გზა სამარისაკენ მიდის.

— რას ჩურჩულებ? — მკითხა დაქალმა.

— არაფერს, რაღაც გამახსენდა.

— იცნობ იმ ახალგაზრდა კაცს?

— რომელს?

— ახლა რომ საუბრობდი.

— არა, რაღაც ვკითხე.

— რა?

— აი ის „პობედა“ უისია მეთქი.

— მოგწონს?

— არა.

— რატომ?

— მანქანებმა და ფულებმა გარყვნა ხალხი.

— ოჰო, შენ თურმე ქონება არ მოგწონს, რომ დამიჯერებდე, სულ ასეთი მანქანებით გატარებდი, მაგრამ არ ვინდა თავისუფალი ჩიტივით ცხოვრება.

— არა, არ მინდა. — ზიზლით გადავაფურთხე. — აი იმ ფურთხის ღირსია ზოგი მამაკაცი, შენ ეს არ იცი.

კიდევ მინდოდა რალაცის თქმა, მაგრამ რაიკომის შენობიდან ნოდარ თომაძე გამოვიდა, ამყად „პობედის“ კარი გააღო, რბილ სავარებელში, ჩაეშვა, ძრავა ჩართო და ფართო ქუჩაზე გაასრიალა მანქანა.

მე შენ გასეირნებ თუ ქალი ვარ, იყავი მილიციის უუროსი, გინდაც სარდალი, წინ ვერაფერი დამიდგება, გახსოვდეს, ქალი ეშმაკზე აღრეა დაბადებული, ეს შენი მაუზერი ოხრად დაგრჩება, შენს ცოდვილ საფლავზე მე თვითონ მოვაღონებ. აი, ნახავს ქვეყანა ამას.

ამის შემდეგ ხშირად დავიწყე რაიკომის შენობის ახლოს სიარული, იქვე ორ ნაბიჯზე იყო რაიონული მილიციის განყოფილებაც. იუცილებლად შემხვდებრდა თომაძე, ის ჩემისთანა ქალიშვილს „უურადლების“ გარეშე არ დატოვებდა.

მდიდარი ვაჭრის ქალიშვილს ვთხოვე მისი თეთრი კაბა, მოდური ტუფლები, ძვირფასი სამკაულები, ოქროს საათი, ხელთათმანები. თვითონ ჩამაცვა, სამკაულებით შემამკო, მერე ქალთა სალონში წამიყვანა, ერთი საათი მამშვენებლნენ, სარგებში რომ ჩავიზედე, ჩემი თავი ვეღარ ვიცანი, ანველობს ვგავდი, ყველა შემნატროდა... რა ლამაზი ხარო.

ვაჭრის ქალიშვილი მოვატყუე, ერთ ბიჭს შევუყვარდი და პაემანზე მინდა შევხვდე-მეთქი, კეთილი გოგო იყო და არაფერი დაიშურა, როცა მის სამოსელში გამოწყობილი დამინახა, სიხარულით წამოიძახა:

— ნაზიბროლა, კალმიოთ ნახატი ხარ, როგორ მოგიხდა ძვირფასი კაბა და მორთულობა.

— მართლა? — ნიშნისმოვებით ვთქვი.

— ნამდვილი ღირია ხარ. წამოგყვები. შენ მარტო არ გაიშვები, თვალებით შეგვამენ ბიჭები.

— არა, შენ ხელს შემიშლი.

— კარგი აბა, ომერთმა ხელი მოგიმართოს, თუ საჭიროა ამ ჩაცმულობას საერთოდ გაჩუქება.

— გმადლობ ჩემო ლია, ერთს დავენახები და...

— გაგიუდება შენი შეყვარებული.

— ვნახოთ.

ქალაქში რომ გამოვედი, ყველამ თვალები დამადევნა. ღმერთო ჩემო, ნამდვილი ფერიაა, ნეტავ საიდან მოფრინდა, აქაური არ უნდა იყოს. — მესმოდა.

მე ვიწრო ქუჩა გადავჭრი და ზღვის სანაპიროს მივადექი, აქვე ოჩსართულიან შენობას წითელი აბრა ეკეთა: „რაიონის მილიციის განყოფილება“, ქართულ-რუსულად ეწერა.

ბამბუკის ლამაზ სკამზე მოვკალათდი, დიდხანს ვიჯექი, არავინ გამოჩენილა, რიგითი მილიციელები შედიოდნენ და გამოდიოდნენ ნაცრისფერ შენობაში, დავიწყე სიარული, პარტიის რაკომის შენობას მივუახლოვდი და აი, აგერ ჩემი ნაცრობი „პობედა“, ალბათ თათბირზეა, გავიფიქრე, ტირიფის ხესთან გავჩერდი, ცოტა ლოდინის შემდეგ გამოჩნდა თომაძე, დამინახა, შეჩერდა, სწორედ ამ ღროს მე თვითონ მივუალოვდი.

— თქვენ ნოდარ თომაძე ბრძანდებით? — ვკითხე და თვალები გავუსწორე, იგი წამით დაიბნა, ალბათ ჩემმა სილამაზემ მოაჯაღოვა, მერე ლიმილი მესროლა და თქვა: — მე ვარ.

— აი, წერილი გამომატანეს თქვენთან თბილისიდან. — თვალები კიდევ უფრო გაუბრწყინდა; წერილი ჩამომართვა, შემხედა, დამაკვირდა, წერილი კოსტიუმის ჯიბეში ჩაიდო და ზრდილობიანად მკითხა: — დასასკენებელ სახლს ისურვებთ თუ სანატორიუმს, მზად ვარ ვემსახუროთ.

— ჩემთვის სულერთია, სადაც მომაწყობთ, მთავარია დავისვენონ, გამოცდები ჩავაბარე სამედიცინო ინსტიტუტში, დავიღალე, ახლა ჩემთვის ზღვა აა ჩაიგი საჭირო, რომ მოვმჯობინდე.

— თქვენ ძალზე კარგად გამოიყურებით, მაგრამ დასვენება მაინც კარგია.

იგი ოდნავ ჩაფიქრდა, ცოტა დუმილის მერე თქვა: — კარგი, „კოლხეთში“ მოგაწყობთ, დიდებული სანატორიუმია, შესანიშნავად დაისვენებთ, მთავარი ექიმი ჩემი მეგობარია და ფრიად კარგ პირობებს შეგიქნით.

— გმაღლობთ.

— მაგი მერე. დაბრძანდით, ახლავე წავიდეთ. — მეც დავხექი „პობედში“, თომაძემ მანქანა აღგილიდან დაძრა, მაგრამ უცებ შეანელა სკლა: — როდას ჩამობრძანდით?

— დღეს, თილით.

— და ამდენ ხანს მელოდებოდით?

— რას იზამ. მითხრეს თათბირზეათ.

— აბა, აბა, ირთი წლით დრო არ მჩნება, ათასი საქმეა, ძნელია ყველალერს თავი მოჰა.

— და მე გაწუხებთ კიდევ. — ვთქვი.
 — არა, მაგი არ, თქვა. ეს რა შეწუხებაა, თქვენთვის თავს არ დავზობავ, კოლეგას უარს როგორ ვეტყვი.

— გმაღლობთ.

თომაძეს სახე გაებაღრა, ლაპარკის ხასიათზე მოვიდა, რაღაცა ჩაიფიქრა.

— ხომ არ ვივახშმოთ, მგონი აჭობებს. მოელი დღე ჩემს ლოდინს შეალიეთ, რას იტყვით?

— როგორც გენებოთ, მერიდება, ყველა გაწუხებთ, ახლა მეც გამოგეცხადეთ, ისედაც დაკავებული ხართ.

თომაძეს სახე გაებაღრა, ლაპარაკის ხასიათზე მოვიდა, რაღაცა ჩაივხედავ, მოვეწონე, გუნებაზე დადგა და პალმებს შორის გასრიალდა მისი ლურჯი მერანი.

უკან დარჩა რაიონული ცენტრი, ქალაქი, სადღაც მთისკენ ვადა-სხვია და „პობედა“ პატარა სახლთან ერთობენ. რესტორანი „იმედი“ წავიკითხე. თომაძე მანქანიდან გადმოვიდა, მაგრამ სულ მალე დაბრუნდა.

— რა ეშველება ამდენ უსაქმეულს? — უკმაყოფილოდ ჩაიბურტყუნა და ვითომ გულდაწყვეტით შემჩივლა. — მთლად დაკავებულია ადგილები, ერთი კუპეც არაა თავისუფალი.

— კუპე რად გვინდა, ვივახშმოთ და წავიდეთ.

— არა, ასე სტუმარს ჩვენში არ ხვდებიან. იცით, ერთი სალი აზრი მომივიდა თავში, აქ მთელი მილეთი ირევა, ყველა მიცნობს, წავიდეთ და მდინარის პირას ვივახშმოთ, პატარა ფარდულში.

ამას ველოდი მეც. სხვათა შორის, ეს აზრი მე უნდა შემეთავაზებინა.,

— იცით რა ბუნებაა, სუფთა ჰაერი, მდინარე, წყაროები, ერთი სიტყვით, ღმერთების სამოსახლოა, მაგიდაც არის და პატარა ფაცხაც ვინდა?

— თქვენ ვენდობით, ალბათ აჭობებს. აქ მართლა ცხელა, თბილისიდან სწორედ რომ დახუთულ ჰაერს გამოვაქეცი. შორსაა?

— არა. აქვეა. ერთი პატარა მოსახვევა და.

— წავიდეთ.

— თქვენ მართლაც ვაუკაცი ქალი ყოფილხართ.

— ქალიშვილი. — ღიმილით ვთქვი.

— ეს უფრო კარგი. — გაეცინა.

— ო, მე თქვენზე იმდენი კარგი რამ მითხრეს, ყველაფერში გენდობით; თქვენი ჯენტლმენობის ამბავი პირზე აკერია ყველას.

თომაძეს გაუხარდა. მალე მანქანა ვაივსო ხორავით, მიმტანია თუ ღირებულებრივად უკან სავარეცხვზე დაწყო ყუთებით ღვანო, შებრაწული



დედლები, ყველი, ხაჭაპური, ტკბილებული, ხილი... ერთი სიტყვით ჩიტოს რძიდან დაწყებული. ერთი დიდი შეკვრა თაიგულიც არ დავიწყებოდათ.

როგორც კი საგამგებოდ შერჩეული ადგილი მონახა თომაძემ, მანქანა გააჩერა და მასპინძლობას შეუდგა ყველაფერს ჩვეული მონდომებით აკეთებდა, აქ არც შეპირებული ფაცხა იყო და არც დროის ტარებისათვის გაეცემდებული მაგიდა, პატარა წყარო მოწანწყარობდა. ხოლო ქვემოთ მთის მდინარე ხმაურით და კისრისტეხით აწყდებოდა ვეებერთელა ლოდებს.

როცა თომაძე საქმეს მორჩა, მიმიწვია. საპურმარილოდ „სუფრა“ გაეწყო, ჩემთვის მანქანიდან უკანა სავარებელი ამოუღო და ზედ დამსვა, ჩემს ახლოს თვითონაც მოკალათდა. შემპანურის აფეთქებამ გააღვიძა ოლის პირი, იქვე მდეღლზე ბიბინებდნენ იები და თავთეთრა გვირილები, კაცმა რომ თქვას, თომაძეს მართლაც ლამაზი ადგილი მოენახა დროის გასატარებლად. იგი ბევრს ლაპარაკობდა, ოხუნჯობდა და ტრაბახობდა.

ჯერ კიდევ მზე ანათებდა სადღაც მთების გადაღმა, მაინც იგრძნობდა სიგრილე, ახლოვდებოდა ზაფხულის თბილი საღამო, ჩვენს ზემოთ ტყეში შაშვების სტვენა გაისმა, ლურჯ, მოლივლივე ცაზე მერცხლები ტრიალებდნენ, ბუნება ღამის მოახლოებას გრძნობდა, ჩიტების სიმფონია იღვრებოდა ირგვლივ, მაგრამ ჩემი მასპინძელი ერთ სურვილს შეეპყრო, როგორმე მსხვერპლი მსუნავ მგელივით დაეტკვირა, ამას ვხვდებოდი, მაგრამ მეც ხომ რაღაც შავი აზრები მამოძრავებდა, ახლა მე კი არა, ეს ჯმუხი კაცი უნდა გამხდარიყო პატარა კრავის მსხვერპლი.

ერთი საღლეგრძელო რომ დალია, დაიწყო ლამაზი ქალების ქება. განსაყუთოებით თურმე მოსწონდა ჩემსავით გაბედული, ეშხიანი, ვნებიანი და დამყოლი ქალიშვილები.

მე ვიცინოდი, ვხუმრიობდი, ვეთანხმებოდი, ხან ვეწინააღმდეგებოდი, ერთი ჭიქა მეც დავცალე, ამით შიშის ბარიერი გადავლახე, ჩემი დონუანი მივსებდა ჭიქას, მაძალებდა, დალივ, გახალისდებით. მე ისედაც ეარგ ხასიათზე ვიყავი, ღვინო კი არა ამ არაკაცის სისხლის დალევა უფრო მინდოდა, ამ შეხვედრას აგერ რამდენი ხანი ველთდი, მისთვის ვემზადებოდი, იარაღის საიდუმლოებას ვსწავლობდი, რევოლვერიც შევიძინე, განახელიდან გაუშვებდი ამ შემთხვევას?

ამასობაში მთაში სიბნელე ჩამოწვა. მთვარეც ამოვიდა, მართლაც ლამაზი საღამო დადგა, მაგრამ მე სულაც არ ვიყავი ლხინისა და სიყვარულის მადაზე, მე სისხლი მწყუროდა.

— თქვენ იცით, ვინა ვარ მე? — დაიწყო, როცა შეზარხოშდა. — მე დიდი კაცი ვარ.

— ვიცი. თბილისში მითხრეს, რომ მიღიცის უფროსი ბრძანდებით.

— კიდევ?

— ისიც მითხრეს, კარგი კაციაო.

— დონეუანიაო არ უთქვამთ?

— არა, მავი არა, ასეთი რამ არ გამიგია თქვენზე, მაგრამ ცუდი რაა იმაში, როცა მამაკაცს ქალები უყვარს.

— ოჟო, თქვენ მართლაც ჩვენი ღროს ქალი ყოფილხართ.

— ქალიშვილი, ჩემო ბატონო. მე ჯერ სამელიციონ ინსტიტუტის სტუდენტი ვარ და გაუთხოვარი.

თომაძემ ულვაშებზე ხელი გადაისვა, ვხედავ წონასწორობას ჰკარვას, სისხლი მოაწვა, თვალებით შექმა მომინდომა. ხელი ხელზე მომიჭირა, უფრო ახლოს მოიწია, მზად იყო მანქანის სავარძელზე გავეკარი, მისი ხელობა ჩემთვის ნაცნობია, მაგრამ შევაჩერე.

— მაცალე, განა ასე შეიძლება?

— აბა, მარტო ლვინო ვსვა. — ხელით მუშაობა არ შეუწყვეტია, კაბის საყინძეს მიწვდა და კინალმ ღილები დამაწყვიტა.

— მოითმინეთ. აქ არა, აქ არა. — გავითამაშე უნიჭო მსახიობის როლი.

თომაძემ ლვინო დაისხა, დალია, სახე უფრო წამოუწითლდა და ისევ შეტევაზე გაღმოვიდა. არაფერი შეცვლილა ამ მხეცო, იგი ისე-თვე დარჩენილა, როგორც მაშინ... როცა გზიდან მოტყუფე თ გამიტალა და ძალად ნამუსი ამხადა, თვალწინ დამიღდგა გავიუებული თომაძე, მაგრამ საჭირო იყო ყველაფრის ზუსტად გამოთვლა, ერთი დაუფიქრებელი სიტყვა იქნება საბედისწერო გამოღვევა.

თომაძე ჭიქს ჭიქაზე ცლიდა, ახლა მისი შეკავება ამ შუაგულ ტყეში არავის შეეძლო, მაგრამ არც მე ვიყავი ის უმანკო კრავი, შემეძლო თავის დაცვაც, პასუხის გაცემაც და სისხლის აღებაც. ამისთვის წამოვყევი, ამისთვის დავალამე რამდენიმე თვე, ამ წუთს ვუცდიდო, სასტიკად უნდა გაესწორებოდი ჩემი გაუბედურებისათვის, უკან დასახევი გზა აღარ მქონდა, ან უფსკრულში გადაჩეხვა, ან წართმეული ნამუსის სისხლითვე განწმენდა.

უცებ თომაძე წამოდგა, წელში გაიმართა, ქვა, რომელზედაც იჯდა, ლელეში ისროლა, იქაურობა მოათვალიერა, ჭიქა ლვინო გამოწრუპა, წელზე ხელი მაგრად მომიჭირა და ხარის თვალები მომანათა.

— რა გინდა? — ვთქვი.

— გაიხადე კაბა!

— რა?

— გაიხადე მეთქი!

— როგორ აქ, ამ ღელეში?

— ჰო, ასე აჯობებს, მეტის მოთმენა აღარ შემიძლია.

— არა, არა, არ შემიძლია, მე ხომ...

— კმარა! — ისე დამიყვირა, კინალამ ჩიტის გული გამისკდა, ბონი და საშინელი ხმა ჰქონდა.

თომაძემ მანქანიდან რაღაც ზეწარის მსგავსი გამოათრია, მოლზე დააფინა.

— მოდი!

— არ შემიძლია — თავი მოვიყატუნე.

— როგორ? არ იცოდი რისთვის მოდიოდი?

— არა, განა ამისთვის? ამას ვინ იფიქრებდა. წავიდეთ რა, გეხვე-წები.

— არსაღ არ წავალ, კაბა გაიხადე!

თომაძე შეტევაზე გადმოვიდა, კაბას დიდრონი ხელებით ეცა, შემე-შინდა, ეს ნათხოვარი კაბა არ დამიხიოს-მეთქი და უცებ დავეთანხმე: — კარგი, თქვენი ნებაა.

— ჰო, ასე, მე წინააღმდევებობა არ მიყვარს, ყველაფერი გაიხადე, გრილა, ნუ გეშინია, არ გაცივდები. — გადავიდა შენობით ლაპარაკზე და მოსალოდნელი სიმტკბილობით ტუჩები აუთრთოლდა, თვალები გაუ-ფართოვდა.

კაბის გახდას შევუდექი. იგი რეტდასხმული, გაოგნებული, ნახევრად გაგუებული მიყურებდა, თვალები ცოფიან ძალის უგავდა.

— საცვლებიც!

— ნუ მიყურებთ, იქით შებრუნდით.

— კარგი, მიყვარს მორცხვი ქალიშვილები.

„კანონის“ კაცი ღელისკენ მიბრუნდა, მე ამ დროს ჩანთა გავხსენი, იქიდან რევოლუცია ამოვაძვრე, თომაძე შემობრუნდა, სწორედ ამ დროს პირდაპირ გულში ტყვია დავახალე, იგი ადგილზე შეხტა, მოცელილი-ვით ძირს დავარდა, პირიდან თბილი სისხლი წასკდა, ტორებით მიწა მოფხოჭა, რაღაცა წაიბუტბურა და თვალები მოგარეს შეატეხა, სულაც არ შემშინებია, იმ კაცის სისხლი მწყუროდა და მძიმე ტვირთი ჩამ-ვისხენი მხრებიდან.

მერე ჯიბიდან რევოლუცირი ამოვაძვრე, ჰერქში ორჯერ გავისროლე და იქვე ზეწარზე დავაგდე, ეს ისე სწრაფად და მოულოდნერი მოხ-და, მეც კოშმარული სიხმარი მეგონა. ნუთუ-ეს მე ვარ, რა შემძლებია თურმე... ვთქვი და იქაურობა მივატოვე, ხელთათმანს შევხედე, სისხლი წასცებოდა.

ყველგან ცვეი ღუმილი იდგა, მარტო მდინარე ხმაურობდა, სწრა-ფად მეორე ნაპირზე გავედი, რევოლუცირი თეთრ ხელთათმანში გაფარვიე და ჭაობში ჩავაგდე, ზედ დიდი ქვაც დავადევი, რომ წყალს არ გამოერი-ყა სადმე, სოფლის გზით შარაგზაგზე გავედი, ავტობუსების გაჩერებას-

თან შევჩერდი, მალე სამგზავრო ავტობუსით ქალაქში ჩამოვარდ, ასეთი ბეღნიერი არასოდეს კონფილვარ.

ლიასთვის არაფერი გამიმხელია, ეს ამბავი პირველად შენ გითხარი, ჩვენ ორმა ვიცით და კიდევ ცაში ღმერთმა. თუ დამიჭერენ, შენი გაცემული ვიქნები, თუმცა არც ციხის მეშინია აწი და არც სიკვდილის, ჩემი გასაკეთებელი საქმე გავაკეთე და ამით ათობით ქალიშვილის ნამუსი გადავარჩინე, ესეც დიდი საქმეა.

მეორე დღეს საკუთარ „პობედასთან“ მოკლული თომაშე იპოვეს, შეიქმნა აბერატიული ჯგუფი ამ მკვლელობის გამოსაძიებლად, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ, ისინი ალბათ ახლაც ეძებენ თომაძის მკვლელს, მაგრამ ვინ იფიქრებს მგელს კრავი წაკლავდა თავის უნამუსობასთან. არაფერი რომ არ გამოუვიდათ, გამოძიების ოქმში ჩაწერეს, პურმარილის შემდეგ ვიღაცას მოუკლავსო. ვის? ეს საიდუმლო დღემდე გაუხსნელი დარჩა.

გაზრდში თომაძის ნეკროლოგი რომ წავიკითხე, სიცილი ამიტყდა. ქალალდს ამდენი ცოდვის დაფარვა შეუძლია. წერდნენ: ჩვენს რიგებს გამოაკლდა შესანიშნავი კომუნისტი, მოქალაქე, მამულიშვილი, ჩეკისტი, პატიოსანი ადამიანი, რომელმაც მთელი შეგნებული სიცოცხლე შშობდელი ხალხისა და სამშობლოს სიყვარულს მოახმარა. აქვე ნუსხა იყო „დამსახურებისათვის“ მიღებული ჯილდოებისა და ბოლოს მისი ნათელი ხსოვნა დიდხანს დარჩება მეგობრების გულშით.

ჰედავ ჩემო ჯუმბერ, საიდან მოდის ჩვენი ქვეყანა? ვინ პატრონობს ხალხს და ვისი იმედით „ვაშენებთ“ მომავალს? ახლა კიდევ მეტყვი უნამუსო ქალი ხარო?

— მე ეს არ მითქვამს.

ჩემზე ასე ამბობენ, ახლა დავშორდეთ, ჩემს შესახებ ყველაფერი იცი, არაფერი დამიმალავს, ღმერთის წინაშე მართალი ვარ.

გაოგნებული დაგრჩი, ნაზიბროლა მქერდზე მომეკრა და ატირდა.

— შენ მართლა საცოდავი ყოფილხარ, გოგო, მაგრამ ვაჟკაცი, ამას ყველა ვერ მოიმოქმედებდა. ბარაქალა შენს ქალობას, რა უშიშარი და გაბედული ყოფილხარ. აი, თურმე ასე სუსტ არსებას რა შეუძლია. — ვთქვი და ნაზიბროლას ჯერ ხელებზე ვაკოცე, მერე ტუჩებზე. როგორ გაბედე — ვიმეორებდი.

— შურისძიება არწივის ფრთებს გამოგაბამს. განსოვდებ სიტყვა არ წამოვდეს, მეყოფა ამდენი ტანკვა, ხომ იცი რა დროში ვცხოვ-რობთ, ჯანდაბას ჩემი თავი, მთელ ნათესაობას აიკლებენ, ამ ამბავს ათასგვარ კუდს გამოაბამენ და ყველას ციმბირში უკრავენ თავს. ვიმეორებ, შენ პირველი ხარ, ვისაც ჩემი მწარე ცხოვრების ფურცლები გადავუშალე.



- რატომ ქენი მერე, არ ჯობდა გულში დაგემარხა?
- არა. შენ მიყვარხარ. ამიტომაც გაგანდე. ახლა წადი შემდე შენ ის ბიჭი ხარ, დღემდე რომ მიყვარს.
- სახლამდე მიგაცილებ.
- არ მინდა. წადი, უკვე დააგვიანე. — თქვა და ვარდისფერი ტუჩებით ლოყაზე მაკოცა.

ორი კვირა გავიდა ამ შეხვედრის შემდეგ, სულ ნაზიბროლა მახსოვდა. საწყალი გოგო, ჯერ კარგად არ დაქალებულა და რამდენი უბედურება გადაუტანია, პირდაპირ დაუკერებელია, რაც მიამბო შველივით ქალიშვილმა, როგორ გაძედა ურჩხულთან შებმა და ამ მკაცრი საქციელით რამდენი ქალიშვილი იხსნა, ვეფხვის გული ჰქონია ამ პატარა გულწიოელას, როგორ გაძედა, არ მასვენებდა ნაზიბროლას თავგანწირვის ამბავი...

„წითელ“ ოთახში ჭალრაკს ვთამაშობდი, მორიგე შემოჭიდა, ჩემი გვარი იქითხა.

— მე ვარ.

— მშვენიერი ქალიშვილი გეძახის, რკინის კარებს იქით დგას, შენ გელოდება.

ქვე სამორიგეოსთან ნაზიბროლა იდგა, გედივით თეთრი ყელი მოელერებინა, მხარზე თეთრი ჩანთა ეკიდა, რომ დამინახა, გამილიმა, ზელი დამიქნია, ოდნავ დელავდა, მორიგემ საშვის გარეშე გარეთ არ გამიშვა, ქალიშვილი რკინის მესეჩს თვითონ მოადგა. — გამარჯობა ჯუმბერ.

მეც მივესალმე, მორიგეს შევეხვეწე, კაცი არა ხარ, გამიშვი, არსად არ წავალ. სირცევილია-მეთქი.

თავი მოიკლა და არ ქნა. შეწუხდა ნაზიბროლა, მერე ახალგაზრდა კარისკაცს გაულიმე და ჰკითხს:

— შეყვარებული გყავთ?

— კი. — ღიმილით უპასუხა ჭარისკაცმა.

— მერე არ გრცხვენია? შენი სატრფო რომ გეწვიოს და მასთან ახლოს არ მიგიშვან, გაგიხარდება?

— არა.

— ვო და გამოუშვი მაი ბიჭი ერთი წუთით, ამისთვის არავინ დაგიჭერს. პატიმარი ხომ არაა, გამოუშვი, გამოუშვი! მოვეფერები და წავალ.

მორიგე უცებ გამოიცვალა, რკინის კარი გამილო და მოკლედ მითხრა: — წადი!

მეც ნაწილს გარეთ გავედი, ნაზიბროლა პალმასთან იდგა, მივუახ-

ლოვდი, როგორ უხდებოდა ვარდისფერი კაბა, ზღვისფერი დიდობნი
თვალები, ოდნავ მოწყენილი ჩანდა, ბამბუკის სკამზე წამლესკუპლიტ,

ქალიშვილი თვალებს არ მაშორებდა, რაღაცა აწუხებდა.

— ნუ გეშინაა, არავის გაუმხელ იმ საიდუმლოებას.

— რა საიდუმლოებას? — გაუკვირდა.

— შენ რომ გამანდე.

— ო, მაგი სულ არ მაწუხებს.

— ხასიათზე ვერა ხარ. ვინემ გაწყენინა?

— არა. სამ ღლეში აქედან მიღიხართ, შენ ალბათ არ იცი.

— სად? — გამიკვირდა.

— რუსეთში.

— შენ რა იცი?

— ვიცი. მე ყველაფერი ვიცი.

— როგორ, ჩვენ არაფერი ვიცით და..

— არც გატყვიან. მე კი გავიგე.

ნაზიბროლამ ჩანთაში ხელი ჩააცურა, ხუთასი მანეთი ამოილო:

წაიღე, დაგჭირდება.

მე თვაი გავიქნიე; არ მინდა. — ცივად ვთქვი.

— წაიღე. მე უკვე ვმუშაობ, სხვაგვარად არ იფიქრო, ამ ქალალდს
ოფლის სუნი ასდის.

— სად დაიწყე?

— სამკერვალო ფაბრიკაში, კაბებს ვკერავ.

— ეს კარგი საქმეა. — შევაქე.

— ახლა საერთო საცხოვრებელში ვარ, ბინას მპირდებიან.

გძმიხარდა. ფული არ გამოვართვი, არც მინდოდა, თუ მართლა რუ-
სეთში გვიკრავდნენ თავს, ორი საათით ჩავირბენდი სახლში.

— შენ კეთილი ხარ ნაზიბროლა, კეთილი და მშვენიერი, სამწუხაროა,
რომ არ გაგიმართლა, მაგრამ ყველაფერი არაა დაღუპული, დრო ყვე-
ლაფრის მკურნალია, გათხოვდები, შვილები გეყოლება, შენგან კარგი
ქალი და დედა დადგება.

— არასოდეს! — თქვა და ცივად შემხედა. მერე გამიღიმა და
ჩილაპარაკა. — ალბათ მეტს ვეღარ შევხვდებით.

— რატომ?

— ხომ გითხარი, სამი დღე და აქედან წახვალ.

— ეს ჭორია.

— მე ჩემი გითხარი, აი ნახავ თუ ჭორია. — ნაზიბროლამ ისევ
გამომიწოდა ფული, მაგრამ არც ახლა გამოვართვი.

— ნუ მაწყენებ. — შემეხვეწა. — წაიღე, დაგჭირდება.

— არა უშავს, ფული არ მინდა, შენს კეთილ ღიმილს კი წავიღებ.

ნაზიბროლას გაუხარდა, თლილი თითებით ჩანთაში ისევ ჩაიდრო ჭული და წავიდა. ეჭყინა. მიმავალმა უკან მოიხედა, ხელი დამიქნია, უგამრილიმა და თვალს მოეფარა.

— რა გოგოა. — თქვა მორიგემ. — ალბათ ძლიერ უყვარხარ.

— არც ისე.

— მე დავინახე, როგორ გიღიმოდა. ბედნიერი ხარ, ამ ანგელოზის პატრონი აქ გალიაში უნდა იყოს გამომწყვდეული?

მართლაც მესამე დღეს წამოგშალეს, ეშელონში შეგვრეკეს ისე, რომ სახლშიც ვეღარ მოგასწარი ჩასვლა, ყველაფერი ისე მოხდა, როგორც ნაზიბროლა ლაპარაკობდა, ყველაფერი სცოდნია, მე კი არ დავიჯვრე, საიდან გაიგო, ნეტავი, სად მიგვრეკავენ, ალბათ შეუ რუსეთში.

ეშელონის გასვლას ცოტა აკლდა, როცა ჩემთან ქუთაისელი ბუდუ ვარდოსანიძე მოვარდა და კონვერტი გადმომცა, შივ პატარა წერილი და ხუთასი მანეთი ჩაედო ნაზიბროლას. „მშვიდობით ჯუმბერ, ჩემო პირველო და უკანასკნელო სიყვარულო. არ დამიჯვრე, კეთილ მგზავრობას და შინ კეთილ დაბრუნებას გისურვებ“ ნაზიბროლა.

— სადაა ახლა ეს გოგო? — ვკითხე ბუდუს.

— მოვიდა, შენ გიყითხა, კონვერტი გადმომცა და წავიდა. მეტი არაფერი ვიცი. მოწყენილი და ძალზე ოლელვებული ჩანდა.

ნახევრად ღია ფანჯარას მივაწყდი, ეშელონი დაიძრა, უცებ ნაზიბროლას ლამაზი სახე დავინახე, ყინწვისის ხატს ჰგავდა, ვერ მხედავდა, პაწაწინა ხელებს მაინც იქნევდა, თეთრი ხელთათმანი უხდებოდა.

— ნაზიბროლა! — დავიყვირე, მაგრამ ქალიშვილის ნაღვლიანი სახე არ შეტოკებულა, ვერ გაიგონა, ისევ ხელებს იქნევდა, ხმა ვერ მივაწვდინე, ცარიელ ბაქანზე დარჩა, ალბათ ტიროდა, რა ვიცი; ყოველ შემთხვევაში, ასე მომეჩვენა. მატარებელმა სვლას უმატა, ნაზიბროლა ისევ იქნევდა ხელებს, ბოლოს გაუჩინარდა.

დადი დრო გავიდა ამ შეხვედრის შემდეგ. სამხედრო ბეგარა რუსეთში მოვიხადე, სოფელში რომ დაგბრუნდი, ნაზიბროლა მოვიყითხე; ზოგი ამბობდა რუსეთში წავიდა, გათხოვდაო, ზოგი მოკვდაო, ნათესავები საერთოდ აღარ კითხულობდნენ, ახარებდათ კიდეც ნაზიბროლას ასე გადაკარგვა, ხოლო უფრო ახლობლები ლანძღავლნენ, თავი მოგვრია, გაბოზდა, ქუჩის კაბა გახდა, ბიძამისმა მოკვლა დაუპირა თურმე და გაიცდა.

სამკერვალო ფაბრიკაშიც მივედი, ნაზიბროლა მოვიყითხე, კადრებში მითხრეს, ჩინებულად მუშაობდა, მაგრამ ერთ დღეს გაქრა და სადღაც დაიკარგა, მეტი არაფერი ვიცითო.

ნაზიბროლა არც მკვდარი და არც ცოცხალი აღარ უნახავთ თვალით,
თუმცა მისი ასავალ-დასავალიც არავის უკითხავს და უძებნია, მისი სახე-

ლის გახსენებაც არავის უნდოდა.

ნამდვილი ამბავი მე ვიცოდი. ეს შემთხვევით გაუბედურებული ქა-
ლიშვილი არყაცის. ავადმყოფურ ძალადობას შეეწირა, რომელსაც საკად-
რისი პასუხი გასცა, განა კაბა ასე მოიქცეოდა? თავს სამსხვერპლოზე
დადებდა? არა!

ნაზიბროლას მოთხრობილი ამბავი მოსვენებას არ მაძლევდა, თვალ-
წინ მედგა ქალიშვილის ნაღვლიანი, მაგრამ ამაყი სახე, ყურებს ტყვიასა-
ვით ხვდებოდა მისი სიტყვები: — შენ მიყვარდი, ის შემთხვევა რომ არა,
ვინ იცის ჩემგან კარგი დედა დადგებოდა, კარგ შვილებსაც გავუზრდიდი
საქართველოს, მაგრამ ახლა რაღა დროს ამაზე ფიქრებია, ხომ დაიჭრე,
საიდან მოვდივარ, არც დავცემულვარ ქვეყნის თვალში, ბედის მსხვერპლი
ვარ და არა ხორციელი აქსულობის.

— მჯერა, ახლა ყველაფერი ვიცი. — ვეუბნებოდი.

— ხომ უნდა ამელო სისხლი?

— კი, ნამდვილად, მეც ასე მოვიქცეოდი, თუ შენი დიდი გული და
ბისყოფა მექნებოდა.

— სხვებიც გადავარჩინე, არა?

— კი, კი. ვინ იცის რას მოიმოქმედებდა კიდევ ის ოხერი, ვინ შეუ-
ლიდა ხელს.

— ჯუმბერ, ისეთი ადამიანები უბედურებრა თუ ავაღმყოფები?

— ერთიც და მეორეც. უფრო ავაღმყოფობაა აგი.

— რა ბედნიერი ვარ.

— შენ? რატომ?

— რომ შეეხვდი. ჩემი თვალები გეძებლნენ.

— მართლა?

— ასეა. ახლა წავედი. და წავიდა.

ამ წასკლიდან ორმოცი წელი ვატარე გულში ჩუმაღ ნაზიბროლას
შონათხრობი. ფიცი მივეცი, არც გავტეხე, თუმცა ამ წლების მანძილზე
მძიმე ტვირთად მაწვა იგი. მინდოდა, მოთხრობა დამეწერა. ყველაფერი
ცოცხლად წარმომედგინა: ის შეხვედრა, შავი ზღვის პირი. ნაზიბრო-
ლას ღიმილი, ტკივილი, სიყვარული, ცრემლები; ყველაფერი, ყველაფე-
რი, მაგრამ ვერ გაებედე ღალატი, იქნებ ცოცხალა, იქნებ შორიდან
შითვალთვალებს, რომ გამოჩნდეს და მითხრას: — შენც გამწირე? —
შაშინ?

ბოლოს მაინც გავტეხე სიტყვა. მაპატიე ნაზიბროლა. ეს მოთხრობა
იმ შენი ჭრილობების გახსენებაა, ჩემი სულის მაღამოც. მეტი ვეღარ

კზიღე მძიმე ტვირთი, მინდოდა შენი მწარე ცხოვრების გადარჩენა, შენი
ჩამქრალი თვალების შუქის გამონათება, რომ შვება მეგრძნო, ნადველი
გამეფანტა და სადღაც წმინდა სალოცავში შენთვის ერთი სანთელი ამენ-
თო, მადლობა მეოქვა იმ ბავშვური სიყვარულისათვის, რომელიც შენ
გამახსენე და კოკორივით გადამიშალე. ეს შენგან გავიგე, რაოდენ მყარი
და უკვდავი ყოფილა ბავშვობაში განცდილი სიყვარულის ძალა და რა
მტკიცნეული მისი დაკარგვა.

ახლაც მესმის შენი ნათქვამი: — ხომ გაიგე საიდან მოვდივარო. განა
მარტო შენ? ჩვენი თაობა იმ ჯოჯოხეთილან მოვდივარო, როცა
მე ვარ და ჩემი ნაბადი მეფობდა, როცა ომი იყო და რეპრესიები, როცა
სიძულვილმა, შურმა და განუკითხაობამ ქვეყანა მოიცვა, ჩვენ ყველა
იქიდან მოვდივარო, შენც, მეც, ყველა... ჩვენ არ გვქონია ერთი ბედნიერი
დღე, შიშის ქვეშ ვიზრდებოდით, ჩვენ ის გვიყვარდა, რაც გვეზიზლებოდა
და ის გვძულდა, რაც გვიყვარდა. ჩვენს ჭკუას, გონებას, ბავშვობას, სი-
ჭაბუქეს სხვები განაგებდნენ. განა იმას რაც შენ მოიმოქმედე, ყველა
რეასძლებს? შენ ბავშვობა ძალად წაგაროვეს და არ აპარიე. დღემდე
ვფიქრობ და ვერ გამიგია,—პატარა მკერდში რამხელა გული გქონია, ჩიტი
მეგონე და თურმე ვეფხვი ყოფილხარ, პაწაწინა ხელები შავი ურჩხულის
წინააღმდეგ შემართე, მკვდარი თვალით არ გენახა და მკვლელობა
ჩაიდინე, —ძვირად დაუჭინე არაკაცს ნამუსის უღმერთოდ გათელვა, და
ეს მაშინ, ჯერ კიდევ უმწეომ, უნაზესმა...

ეს კითხვები დღემდე მაწვალებენ, მაგრამ პასუხი ერთია — შურის-
ძეება.

ღმერთო, მაღალო, რა არ ხდება ამ ცოდვილ წუთისოფელში, რა
მკაცრი და დაუნდობელია ხანდახან იგი, მაგრამ ნუგეშად ის გვეყოფა,
რომ შენ, დიდო უფალო, ყველაფერს ხედავ, ეს რომ არა, ქვეყანა დაიქ-
ცეოდა და ადამიანებიც გადაგვარდებოდნენ!

1990 წ.



* * *

შენი ბორკილი გასაკვირველ
 დამედო ხათრის ცეცხლივით წმინდა.
 ამ წამებაში თუ ვარ პირველი,
 მაშინ ყოველი პირველი მინდა.
 პირველი მინდა!

ყოვლად ყოველი
 გავითავისე დიდი ხანია.
 პირველი არის სვეტიცხოველი,
 ჩემი ვარძია და ბეთანია.
 პირველი არის დედათა ენა,
 პრომეთეოსის ციური ცეცხლი.
 პირველი მინდა, ვით წამოფრუნა
 საგაზაფხულო პირველი მერცხლის.
 პირველი არის, როგორაც ღმერთი
 სამშობლო, მამის კერა და ჭერი.
 ჩვენი სიცოცხლე ერთმანეთს ერთვის
 და უკვდავებაც ესაა ერის.
 ეს უკვდავება გასაკვირველი
 არის ამურთა ამური წმინდა.
 მისთვის თუ მერგო ტანჯვა პირველი,
 მაშინ სიკვდილიც პირველი მინდა.

თქვენი მავსტრო

მოვედი თქვენთან ახლა, ასეთ დროს—
 აჭრილი დაფნის სულ ერთი კონა.
 თქვენი მოყვასი, თქვენი მაესტრო,
 თქვენი მორჩილი და თქვენი მონა.
 მოვედი თქვენთან ღვთიური ნებით
 და სიყვარულის ათავთავებით,
 როგორც ირემი ქორბუდა რქებით
 თქვენი წალკოტის ტევრში გავები.

თქვენი თვალების ცეცხლში ფეთდება
 ჩემი დაღლილი სულის ხატება.
 გზები, რომლებიც თქვენთან ერთდება,
 ყველა სიმაღლეს აღემატება.

მინდოდა თქვენსკენ ქარზეც გამესწრო
 როს გესწრაფოდით გულგანახური.
 და, ჰა, თქვენთან ვარ თქვენი მაესტრო,
 თქვენი მონა და თქვენი მსახური.

1990

სვიმს მიჰურად

გალაკტიონს

წვიმს მეფურად.
 ასე წვიმდა,
 როს ბათუმში დაღიოდა გალა.
 როცა სვამდა ყველაწმინდას
 და ცად ლოცვებს აღავლენდა ვალად.
 როცა ბროლზე სუფთა ცვარი
 ცინკილებდა ოჯალების ფერი,
 როცა ვნების ილებოდა თეთრი კარი
 და ამურებს შემოჰყავდათ მერი.
 ასე წვიმდა,
 ასე წვიმდა და აწვიმდა
 ქარვის სანთლებს, ღამით დანაღვენთებს.
 გალა სვამდა პოეზიის ყველაწმინდას
 და ალავერდს აწოდებდა ღმერთებს...
 ღოქის ტარზე ეშმა იჯდა
 წვიმისა და ალერსიან თრობის.
 გალა სვამდა ყველაწმინდას
 სიმაღლისას არწივის და ორბის.
 ასე წვიმდა.

ჩუმჩუმებდნენ ჩამურები,
 წვიმის ედღ ჩახახა მზე ვალად.
 მოღილნენ დიონისეს ამურები
 და გულდაგულ მასპინძლობდნენ გალა!

1990

ლამაზი ქალი

„ლამაზი ქალი მაინც სხვისია“

ჭ. ქათამაძე

ლამაზი ქალი მაინც ჩემია
 ყველა დროის და ყველა ასაკის.
 ლამაზი ქალი თავს მირჩევნია
 რაც თავისთავი მახსოვს, მას აქით.
 ლამაზი ქალი მაინც ჩემია
 უკვდავი წიგნი მშვენიერების,
 ლამაზი ქალი თავს მირჩევნია,
 ვით შემოქმედი ბეღნიერების.
 ლამაზი ქალი ღმერთის გენია,
 გენის ნათელი, არსობის არსი.
 ლამაზი ქალი მაინც ჩემია,
 ისაა, ვინაც ამიგსო თასი,
 ვინაც შემასვა მზე მითიური
 და მიწილადა რაიც მეწადა,
 ვინც მომანიჭა ძალა ღვთიური
 ყველა ბორკილის დასალეწადა.
 ლამაზი ქალი მაინც ჩემია,
 ყველა დროის და ყველა ასაკის,
 ლამაზი ქალი თავს მირჩევნია,
 რაც თავისთავი მახსოვს, მას აქით.

1990

ରାଜ୍ୟ ଅନୁଷ୍ଠାନ...

დღო მოდის, როგორც ლამაზი ქალი
ულ სხვა გულით და სულ სხვა
გენებით,
სხვა როსინანტით და ბუცეფალით,
სხვა მერანით და ლურჯა ცხენებით.
რაოჭვს სიახლე, მოაქვს სიძველე
და ნაკალული სადღაც მდორდება
და წინაპართა ჩუმი საძვალე
დაუნდობელად ვვიახლოვდება,
აფხაზუბა!..

ნამარხულევის გიმზერ ოვალებით
გსვამენ და ოვალნი ვერა ძლებიან.
სევ და ისევ ახალ ვალებით,
ახალ შეხვედრით იმოძღვრებიან.
სევ უძლების გიმზერ ოვალებით,
როგორც ღვთავებას — ბრძენი ალონი.
არ ვნებიანი შავი ქალების,
ძავი წუხილი და ეტალონი.

1991

፩፭፭፯

კოცნა არის ხელოვნება ნდომის,
კოცნა არის ხელოვნება სურვილის,
კოცნა არის განაზება ლომის,
სხივი მზისა, სულში ჩამოწყურვილის.
კოცნა არის მიუწვდომის წვდომა,
სწრაფვა სულის, გონების და სხეულის.
კოცნა არის ღვთაებრივი ნდომა.
ნატვრის ნატვრა სულში ამორხეულის.
კოცნა იგი სულო ჩემო არის

თავისთავში ამაღლება ღმერთამდე.
 კოცნა არის განაზება მთვარის,
 სხივის თრთოლვა ჩრდილის გადაკვეთამდე.
 კოცნა იგი ხელოვნება არის, —
 გულისგულში ამონთება ხვამლისა.
 კოცნა არის სურნელების კვამლი,
 შაგრამ ზოგჯერ... თვალში ცემა კვამლისა.
 და ის მაინც უმეტესად არის
 ბგერწერა და ფერწერა და იმედი, —
 განაზება ლომისა და მთვარის,
 დიდი ძაბვა დაწყებული მცირეთი.
 დიდი ტალა, დაწყებული ზვირთით,
 საუკუნე, ერთი შუთით ჩავლილი.
 კოცნა არის ურუანტელი კვირტის
 და მერე კი — აფეთქება აპრილის.

1990

ს ა ს ი ზ ვ ა რ უ ლ ი

ქურდობის ნიშნად მომჭერით ნეკი,
 დამსაჯეთ, როგორც ყივჩაღს შეფერის,
 მიწოდეთ ძერა, დამცემი ლეკი,
 აუ გინდათ კიდევ — მგელი ბებერი.
 ავიტან ყველა სიმძიმის ძელქვას
 თუნდ გაწყრეს ღმერთი არსთა მხლებელი,
 ოღონდაც ვიყო, ოღონდაც მერქვას
 ამ ქალიშვილის გამტაცებელი!

1991

„ს ა შ პ ჟ ნ ე“

ჩუმად და ოხვრით ვირჩევდი ნიღბებს...
ბრძოს ღრიანცელი,
„ჩვენ გავიმარჯვებთ!“ — ვეღარ მამშვიდებს.
ვიღაც ჭიბეში რაღაცას იღებს,
ვიღაც ხმას იღებს:
ვიღაც დგას უხმოდ და მიმზერს უნდოდ...

მომწყინდა მუშტის გულზე ბრაგუნი.
მეღალოსანთა ქება და წყება...
შემოძარცული დაფნის გვირგვინი
ექლად იქცევა!

ხორხოცი ძმის, ვნებათა კვნესა,
საწუთრო კარებს ტრიალით მიღებს...
ტვინგამომშრალი კვლავ ვლგევარ უხმოდ
და ვირჩევ ნიღბებს....

1989

„ს ო ს ტ ა ლ გ ი პ“

დილების საძებრად წავხეტიალდი,
ზურგს უკან მესმის ურცხვი გინება
გუჟების ღრიანცელს ვეღარ გავუძალდი,
ვერც გიუურ დინებას...

ისმის სიგიჟის უვერტიურა,
შხამის ფიალა მე ვეღარ მოვსვი,
სულში მიძვრება როგორც სატანა,
თეთრი ტარკოვსკი...
ნისლებით,
ტაძრებით,

მავთულხლართებით,
სანთლებით, სანთლებით, სანთლებით,
მძინარე ღმერთებით,
მთვლემარე ხატებით და მკვდარი ლექსებით...

დიდების საძებრად წავხეტიალდი,
რომ დავმალოდი ფურთხს და გინებას...
ვერ შევწვდი თაროზე დადებულ ღიდებას,
— დრომ ასე ინება..
საწუთრომ ჩურჩულის ცოდვით შემმოსა,
რომ ვეღარ მელოცა...

1989 წ.

„მ აც ა ლ ე თ!..“

სიზმარს ოცნებით გამოვედევნე,
ეჭვები ხვნეშით დავცალე,
ცხოვრებას ხასიათს გამოვუძებნი,
ოლონდაც ცოტა მაცალეთ!..
გამწარებული — დამშვიდებული, დავცხრი,
რად ამიხირდა ეჭვი საქალე;
მოვინათლები უბიწო ბავშვი,
ოლონდაც ცოტა მაცალეთ!..
დარღი და ტკივილი დაჭამენ ერთმანეთს.
ოლონდ თქვენ სიბნელე გადამაცალეთ,
ერთხელაც მე ჩემს გზას ვიპოვი,
ღმერთმანი,
ოლონდაც ცოტა მაცალეთ!..
სიწმინდეს ვნატრულობ.
სიმართლეს დავეძებ,
ბრმასავით ვსავსავებ, ვბარბაცებ:
ბეღნიერ ღიმილს გავიფენ ბაგეზე,
ოლონდაც ცოტა მაცალეთ!..
დახავსებული ნილაბი მილპება,
ერთხელ ხომ ვთხოვე ვასალებს...
— მოვკვდები!
— მერე?
— სიმშვიდე იქნება!
ოლონდ სულ ცოტა მაცალეთ!..

1987

ქარიბდასაკენ მიმაქანებს ჩემი მერანი!
 ჩემი მერანი, როსინანტი თუ, ბეცეფალი?!
 დამიგვიანდა, ვერ მიშველის უკვე ვერავინ,
 და ვერც უფალი...

ძველი ჭრილობა ისევ მწარედ მეწვის,
 ზურგს უკან სატანა ისევ მიყიუინებს.
 მითხარი, გიუივით ვის ებრძვი.
 ვის ებრძვი, ქარის წისქვილებს?..

გზად მიმაცილებს ძველი მელოდია,
 ყურში ჩამესმის ძველი მონოლოგი...
 ვისთვის ცხოვრება კვლავაც პროლოგია,
 ვისთვის ეპილოგი...

ჩემი კივილი ბრძოში შთაინთქა,
 ეს ხმა არ იყო მჭახე და მკაცრი...
 ქნება ვინმემ გულში ჩაითქვა,
 ჩემი გაკიცხვა სამყაროს თვალწინ?

ვასტრევისტულიაო, მითხრვე...

დამლალა ტანჯვემ, შურმა და ჭორმა,
 სისხლის ოქრიალმა სიძვის ბეზლებით
 და უნებლიერ წამომცდა ცოდვა,
 — აღამის მოდგმავ, მე მეზიზლები!..

მორჩილების და სიყალბის გამო,
 მრუშობისათვის ცივი გონებით!
 ოქვენ კი არ კაცობთ,
 ოქვენ კაცა-კუცობთ!
 ლირსნი ხართ ყველას გერჩვაო მონები!

ჭაობში მძალე სუნია მძორის!
აქ კვლავ ჭირითობს მოწითლო რაში...
იცხოვრეთ მშვიდად კაცუნებს შორის
მქუხარე. ტაშით,
მქუხარე ტაშით!

რას გახდებაო უქმე ჩივილით,
— მიქირქილებენ ზურგში ქალები
და მიცრემლდება ჩუმი ტკივილი
ოიდიბოსის ბნელი თვალებით.

1990 წ.



ჩვენ ცხოვებები გვინდა!

ანუ

დაკარგები ცხოვების ძრონიკა

(ორი თავი რომელია).

3.

ჩვენი სკოლა სოფლის ცენტრში იდგა ორი საფეხურის სიმაღლეზე. ქვეშ გოვებისა და ქამების მეტი ვერაფერი ძვრებოდა. იატაქს იშვიათად რეცხვნენ და მზიან ამინდში საყლასო ოთახში წითელი ტალახის მტვერი ტრიალებდა. შენობა კრამიტით იყო დახურული, ზოგან ხავსიც კი მოღებოდა, ზოგან ქარს, თუ თოვლს კრამიტი დაეცურებინა და წყალი ჩა- მოდიოდა. ჩამონაურნი წყლისაგან კედლები ჩამოშავებული იყო. ფანჯრები და კარები ძნელად იკეტებოდა და ზამთარში ცივი, ხოლო ზაფხულში ცხელი ქარი ქირქილებდა. კედლებზე ლენინისა და სტალინის სურათები ეკიდა—კარგ ჩარჩოში ჩასმული, რომელი კუთხიდან არ უნდა შეგეხედა, მათი მზერა თვალებში გვხვდებოდა და გეგონებოდა, გვითვალვალებენ.

სწავლება ორ ცვლად მიმდინარეობდა, უმცროს ლასელები ღილის, ხოლო უფროს სკოლასელები საღამოს ცვლაში მეცადინეობდნენ. სკოლის დირექტორი საჭაოლ მოხუცებული იყო, კოხტად გაკრეჭილ წვერსა და უილეტს ატარებდა. უილეტის ჯიბეში საათი ედო და ძეწკვის ერთი თვე ღილზე ჰქონდა გამობმული. ამბობდნენ, პეტერბურგის უნივერსიტეტი ქვეს დამთავრებულიო. მოგვიანებით ისიც გავიგე, თბილისიდან ყოფილა გამოქცეული და თავს სოჭელს აფარებდა. პროფესიით ბიოლოგი იყო, მაგრამ სკოლაში სამ საგანს ასწავლიდა — ქართულს, რუსულ ენასა და ლიტერატურას და ბიოლოგიას. ზოგჯერ ისტორიის გაკვეთილ-საც ატარებდა. საუბარში, მით უფრო კამათში ჩაბმა არ უყვარდა, არც საკუთარი აზრის გამოთქმა, გვერდს უვლიდა სახელმწიფო ბრივ საკითხებზე პასუხის გაცემას.

— პირველკლასელები მარჯვნივ დაეწყვეთ! — თქვა მან.

დედამ ჩემს ტოლ ბიჭებში ჩამაყენა, ჩვენი სოფლის ბავშვები

იყვნენ, კარგად ვიცნობდით ერთმანეთს. მაგრამ გავეთილები მას და უკანას გადასულები ვიდექით, ყველა ველოდით, რა მოხდებოდა. დირექტორს ვევრდით ახალგაზრდა ქალი ედგა უურნალით ხელში. ალბათ, ის ქანება ჩვენი მასწავლებელი-მეთქი, გავიფიქრე, ასეც დარჩა. ახალგაზრდა ქალმა წინ მდგომ ბავშვს ხელი მოჰკიდა და მოგვიძრუნდა:

— აბა, ბავშვებო, შევიდეთ საკლასო ოთახში!

კარგი, სასიამოვნო ხმა პქონდა. თმა კარგად ჰქონდა დავარცხნილი და უკან ბათოთ წაკრული. მუჭი ფერის კაბა ეცვა, თითქმის კოჭებამდე. თეთრსაყელოშემოვლებული. ჯერ ბავშვები შეგვიშვა საკლასო ოთახში, შემდეგ თვითონ შემოვიდა და კარი მიხურა.

— დასხედით! — გვითხრა მან.

ვის სად მოგვიხდა დაჭდომა, იქ დავჭექით. მასწავლებელმა საკლასო უურნალი მაგიდაზე დაღო და გამომოვგება. მე სიმაღლით არც ისე გამოვირჩეოდი და მეორე მერხზე დამსვა, ასე გადააჭვუფა სხვებიც და გვითხრა, თითოეულმა თქვენ-თქვენი ადგილი უნდა იცოდეთო. მერე სია ამოიკითხა და ოთახში გაიარ-გამოიარა, საუბრის დაწყება უნდოდა და რატომლაც ენერებოდა. ბოლოს ჩვენსკენ შემოტრიალდა და თქვა:

— ბავშვებო, ეს არის თქვენი საკლასო ოთახი. მე ქეთევანი მქვია და დამიძახებთ ქეთევან მასწავლებელს! — ბელადების სურათების წვეშ გაჩერდა და ისევ მოგვიბრუნდა, — აბა, ვინ იტყვის, ვისი სურათები ჰქიდია ჩვენს საკლასო ოთახში?

ყველანი შევიშმურნეთ.

— არ იცით, გასაგებია, — ისევ გაიარ-გამოიარა შერხებს შორის, — ბავშვებო, დაიხსომეთ, ეს არის პროლეტარიატის დიდი ბელადი ვლადიმერ ილიას ძე ლენინი, მან დაამხო მეფის რუსეთის მთავრობა და დაამყარა მუშარ-გლეხური სახელმწიფო. დედამიწის ერთ მექენებულზე ხალხს მოურანა თავისუფლება. იგი ჩვენი მამა და მასწავლებელია. ამხანაგმა ლენინმა გვიანდერდა „სწავლა, სწავლა და კიდევ სწავლა!“ ლენინს უყვარდა ბავშვები! შემოიღო საყოველთაო სწავლება. გახსნა ბავშვთა ბაგები, საბავშვო დაწესებულებები, სკოლები, უმაღლესი სასწავლებლები, რომლის კარები ყველა თქვენგანისათვის ღიაა. ძალ ლენინი გარდაიცვალა 1924 წლის 21 იანვარს, მისი ცხედარი ასვენია მოსკოვში, მაგზოლეუმში. მას საბჭოთა ხალხი სათუთად უვლის, მისი სახელი ძირიფასია თითოეული ჩვენგანისათვის. ბავშვებო, ადექით და ერთწუთიანი ღუმრლით პატივი ვცეთ მის ხსოვნას.

ავდექით, ხელები დაუშვით და პატივი ვეცით მის ხსოვნას.

— დასხედით! — გვითხრა ქეთევან მასწავლებელმა და განაგრძო, — ლენინის ღიად საქმეებს ღლეს წარმართავს მისი თანამებრძოლი, ღიდი

ბელადი იოსებ ბესარიონის ძე სტალინი. — და იგი სტალინის სურათს მიაჩერდა, — იგი ქართველია, ჭუდაშვილი. სტალინი მას ლენინგრადის რეზიდენციაში სიმტკიცის გამო მას ლენინგრადის სტალინი უწოდა. დღეს ამხანგი სტალინი უდგას დიდ საბჭოთა ქვეყანას სათავეში. მისი ზრუნვა და ყურადღება ყველგან იგრძნობა, — სურათს მოშორდა და მაგიდასთან გაჩერდა, — ბავშვებო, კარგად დაიხსომეთ მათი სახელები. მათგან სწავლეთ, როგორ უნდა იშრომოთ და იბრძოლოთ უკეთესი მომავლისათვის, ერთგულება ქვეყნისა და ხალხისადმი. მათი სურათები თითოეულის ოჯახში უნდა ეკიდოს. თქვენ, ბავშვებო, შეიძინეთ მათი სურათები და თქვენს საწოლთან დაკიდეთ, ან იქ, სადაც სამეცადინო მაგიდა გაქნებათ! შეგამოწმებო და თუ რომელიმეს ოთახში მათი სურათი არ აღმოჩნდება, ნიშანს არ ვაღირსებ! სად შეიძლება ბელადის სურათების შეძენა?... წიგნის მაღაზიაში. თუ რაიონში ვერ ნახოთ, ნაცნობს დაბარეთ და ქალაქიდან ჩამოგიტანთ. გასაგებია?

— კი! — ერთხმად წამოიძახა კლასმა.

საუბარი დიდ ბელადზე ამით არ დამთავრებულა, ყოველდღე და ყოველ გავეტილზე მასწავლებელი დიდი სიყვარულით წარმოთქმადა მათ სახელებს. მათ სახელებს უკავშირებდა ენის სწავლებას, არითმეტიკულ ანგარიშს, ბუნების გარდაქმნას, თითოეული ოჯახის ხვალინდელ დღეს. ზოგჯერ ფეხზე აგვაყენებდა და რამდენიმეჯერ ხმამაღლა გაგვამეორებინებდა მათ სახელებს. მერე ლექსიც გვასწავლა. სტალინზე. და დაგვარიგა, ძილშიაც რომ შეგვეკითხონ, უნდა თქვათო. ვინც კარგად ისწავლიდა, იქნებოდა წესიერი, მას მიიღებდნენ, ოქტომბრელთა რიგებში, შემდეგ პიონერთა რიგებში, ლენინურ კომკავშირში. ეს გზა ყოველმა ახალგაზრდამ უნდა გაიაროს, რომ გახდეს ჩვენი ქვეყნის ღირსეული შვილი, კომუნისტური პარტიის წევრი!.. ჩვენი ხალხი აშენებს კომუნისტურ, ყველაზე სამართლიან საზოგადოებას დედამიწის ზურგზე, ჩვენ ბელნიერ თაობას ვეკუთვნითო, დასძენდა ბოლოს და გვკითხავდა, გვქონდა თუ არა ბელადის სურათები შინ.

კლასში ჯერხანად მხოლოდ ორ მოსწავლეს ეყიდა ძია სტალინის სურათი და ყველას გვამბო, თუ სად ჰქიდია, როგორ გალამაზებული აქებს ის კუთხე და არ არის დილა, თვალი გაახილოს და დიდი სიყვარულით არ შეხედოს. ბავშვები ამას თრთოლებით ჰყვებოდნენ და სახეზე წამოწითლებული იყვნენ. მასწავლებელს მოსწონდა მათი სამაგალითო გარჯა და ჩვენც მიგვანიშნებდა, მიგვებაძა მათოვის, მე იმ დღეებში ნახევრად მკვდარი დავდიოდი სკოლაში, ვერკად ბელადის სურათები ვერ ვიშოვე და მიჭირდა მასწავლებლისთვის თვალებში შეხედვა, თანაც

მეშინოდა, სახლებში რომ ჩამოივლის და სურათები არ მუქიყის, რომ იტყვის-მეოქე, დედამ რაიონში ვის არ დააბარა, მაგრამ არ ვიცი, ვიძის ლად არ იყო თუ განგებ არ მოპქონდათ.

— მე სკოლაში არ წავალ! — განვუცხადე დედას.

— რატომ?

— სანამ ბელადის სურათს არ მიშოვი, არ წავალ!

— სად ვიშოვო, შვილო?

— არ ვიცი, სადაც გინდა იშოვე!

ისე გაჭრით ვუთხარი, დედას სახეზე ფერი ეცვალა, თითქოს ჩემი ჯეშინდა, ისე ვიყავი შუბლშექრული.

— წავიდეთ, ჩვენ წავიდეთ რაიონში!

— კარგი, წავიდეთ!

დედას ორიოდ გროში ჰქონდა გადანახული, ჩემთვის შარვლისა და წალების ყიდვას აპირებდა. სკოლაში, ძველი მოქლე შარვლითა და გამოხუნებული ჩითის პერანგით დავდიოდი, გული სტკილდა, ბიჭს ვერაფერი ვუყიდეო, თანაც ზამთარი საცაა კარს მოგვადგებოდა და თბილი არაფერი არ მქონდა. რაიონში ჩავედით. მაშინ ვიგრძენი, დედას ჩამოჩანული კაბა და მე ცხვირავარდნილი, გატალახებული წალები გვეცვა. რაიონის ცენტრში პირველად ვიყავი, ყველაფერი უცნაურად მეჩვენებოდა, აქ ადამიანებიც ჩვეულებრივი, მე რომ წარმომედგინა, — არ იყვნენ — ჩაცმულობითაც განსხვავდებოდნენ და გარეგნობითაც. პატარა ფარდულები გზის გასწვრივ იყო ჩარიგებული და გამყიდველები დახლის წინ იდგნენ მუშტრის მოლოდინში, სივრცე და სიშორე ვიგრძენი ჩემსა და გარე სამყაროს შორის. დედა რა მე, ალბათ, ყველაზე ღაჩაგრული გამოვიყურებოდით. კაცთან დალაპარაკებაც კი გვიჭირდა. არ დამეკარგოსო, ფული მომჯილული ეჭირა ხელში. ჩავივლიდით ფარდულის წინ, თვალს მჭრიდა ფერადი წალები, პერანგები და შარვლები, მაგრამ ვერც მე და ვერც დედა ვბედავდით გამყიდველს შევვაჭრებოდით. ბოლოს დედა ერთ მოხუც ქალთან მივიდა, რომელიც გზის პირას ქვაზე ჩამომჯდარიყო, თეთრი თმა თავსაფარაში დაცურებოდა და უკბილო ყბებს ღეჭვდა.

— ქალბატონო, აქ წიგნის მაღაზია სად არის? — ჰქითხა დედამ.

— რომელი წიგნის? — ყბა მოიქცია მან.

დედის ლაპარაკი ბაფთიან გოგოს გაეგონა, მოგვიბრუნდა და ვითხრა, ფარდულის ბოლოშია. წავედით, დაგეტილი დაგვეხვდა და დაველოდეთ, ვიდრე ვაიღებოდა. გამყიდველი ახალგაზრდა. კაცი აღმოჩნდა. ოთხივე კედლებზე ბელადის სურათები ეკიდა. გამიხარდა, ძია ლენინი და ძია სტალინი რომ დავინახე და დედას ხელზე ჩავკიდე ხელი. ის სურათი, ძია სტალინი. ფეხზე რომ დგას, ის მიყიდე მეოქი. გამყიდველ

მა გაიგონა ჩემი თხოვნა და ძია სტალინის სურათი დახლზე დაგვეჭოს. შე სურათი ავიღე, მკერდზე მივიხუტე და ისე გამოვედი მაღაზიანი თითქოს მოპარული განძი გამომქონდა. დედასაც კი არ წანდე სურათი. ერთხელ კიდევ ჩავუარეთ დახლებს. დედამ გაბედა და ბებერ გამყიდველს ჰკითხა, წალები რა ლირს. ბერიკაცმა ერთის ნაცვლად სამი სხვა-დასხვა წალი დაწყო დახლზე და მოჰყვა მის ქებას. თავი ისე მეჭირა, თითქოს მნიშვნელობა არ ჰქონდა, მიყიდდა თუ არა დედა წალებს. ხელში ბეღლადის სურათი მეჭირა და ის იყო ყველაზე დიდი სიმღილრე ჩემთვის, ხვალვე მასწავლებელს და ბავშვებს ვახარებდი, რომ მე ძია სტალინის სურათი ვიყიდე.

დედამ შავი წალები და ლილისფერი პერანგი მიყიდა. შუა დღე იქნებოდა, როცა შინისკენ გზის დავადექით. რაიონულ ცენტრს რომ გავშორდით, წყაროსთან შევისვენეთ და დედამ შინიდან წამოლებული მჭადი და ყველი ამოილო, დავნაყრდით. ცალ ხელში მჭადი და ყველი რომ მეჭირა, ცალი სურათზე მქონდა ჩავლებული. ვერ წარმოიდგენ, როგორ ამაღლებული და გულსავსე ვიყავი. ხვალ მასწავლებელს მივახარებ, რომ ვიყიდე ბეღლადის სურათი, კადელზე დავკიდე და დილით ოვალი რომ ვავახილე, პირველად ბეღლადის სურათს შევხედე. თანაც ვფიქრობდი, მსგავსი სურათი არც ერთ ჩემს ამხანაგს არ ჰქონდა და თავი კიდევ მეტად წარმომედგინა. დედას შევეცოდე და მთხოვა, სურათს მე წამოვიდებო. მელავი ჩამოვარდნაზე მქონდა, მაგრამ მაინც არ მიმიცია. ჩვენს სოფელში რომ შევეღით, მინდოდა, ვიღაცა შეგვხვედროდა, ვიღაცას დაენახა, რომ ბეღლადის სურათი მეჭირა ხელში, ვიღაცას ეთქვა, რა კარგი ბიჭიაო. შეხვედრით კი შეგვხვდა — მათე ბიძია, მერე გალაქტიონ ბიძია, მაგრამ სურათს რომ შევლეს თვალი, ორივეს სახეზე უსიამოვნება გამოხატა. კი, აშკარად შევატყვე, წვერი გესლით მოიქექს და ოვალებში ცეცხლი აენთოთ. გამიკვირდა, რატომ არ მითხრეს, რა კარგი ბიჭი ყოფილხარო. იმწამს დედასაც მოერიდა ჩემი, მგონი შერცხვა იმათი, რომ მის ბიჭს ბეღლადის სურათი ეჭირა ხელში.

— ახალი ხომ არაფერი გაგიგიათ? — ჰკითხა გალაქტიონ ბიძიამ დეღას.

— ახალი არაფერი! ბიჭს ვახლდი, არ მომასვენა, სურათი მიყიდე, თორემ სკოლაში არ მიმიშვებენო!

— ჰო, კარგია, დაკიდეთ სურათები და უყურეთ!

— სოფელში რა ამბავია, გალაქტიონ?

— კარგი არაფერი, მალე, ალბათ, კოლუქტივში დაგვიძახებენ, ავიკრათ გუდა-ნაბადი და შევიდეთ!

დედას კრინტი არ დაუძრავს, შევატყვე, თვალით მანიშნა, შენც უჭირო.

— ცაცხლს წავუკიდებ, დავწევავ და მათ არაფერს არ გავატან! — ისეთი ხმით თქვა, მეგონა, ვიღაცას ყელში ჰქონდა ხელი წაჭერილი. ჩვენი დუმილი არ ესიამოვნა, ეჭვით შევათვალერა ორივე და გაზვეცალა. გალაქტიონ ბიძია სოფელში ყველაზე შეძლებული გლეხი იყო. კარგი ხის სახლი, სასიმინდე, ბეღველი და ბოსელი ედგა. ათამდე ძროხა და ხარი ჰყავდა. ეზო-კარიც კარგად მოშენებული ჰქონდა. უფროხი ბიჭი რუსეთში სწავლობდა. ახალი ხელისუფლების წარმომადგენლები. ხშირად აკითხავდნენ შინ.

— დედა, ვინ გააბრაზა გალაქტიონ ბიძია?

— მიწებისა და პირუტყვის ჩამორთმევას უპირებენ!

— ვინ?

— ახალი ხელისუფლების წარმომადგენლები!

— რატომ?

— ყველა კოლექტივში უნდა შევიდეს. ერთად ვიმუშავებთ და ყველა თანატოლად გავიყოფთ მოსავალს! ამბობენ, სახლიც ერთი იქნება და ყველა შიგ ვიცხოვრებთო!

— ერთ სახლში?!

— დადგება ასეთი დრო!

— ჩვენ რას ვიზამთ?

— თუ გვითხრეს, ერთ ძროხას კოლექტივში შევიყვანთ, აბა, ისე ვინ გაგვაჩერებს!

— მერე?

— ერთი ძროხის ნაწველი უნდა ვიყოფინოთ!

— და ჩვენ, მთელი სოფელი, ერთ სახლში ვიცხოვრებთ? ერთი ძროხის მეტი არ გვეყოლება?.. ვინ თქვენ ესა დედა?..

— ე, ხელში რომ სურათი გიჭირავს, მან.

დედას არ უნდოდა ეთქვა, მაგრამ იმდენად ანერვიულდა, სიტყვა ენის წვერზე ვერ დაიჭირა. მერე მომიტრუნდა და მითხა, კრინტი არსად დაძრაო, ყურები დაიხშე, თითქოს არაფერი გესმისო, თვალები დაიბრმავე, თითქოს გერაფერს ხედავო, დედა ამ სიტყვებს ხშირად მახსენებდა ხოლმე, საღმე მახეში არ გაებაო. მე არ ვიცი, სად იყო ეს მახე დაგებული. სურათს ისეთი თვალით გადმოხედა, ეტყობოდა, საღმე რომ მიმეგდო, ერთ სიცოცხლეს ანაცვალებდა. მე ეჭვით ვუყურებდი ყოველივე ამას, მესმოდა მასწავლებლის სიტყვები, ვხედავდი მის დაჭერებულ სახეს და ვერ წარმომედგინა, რატომ იყო ასე დიდი აზრთა სხვაობა, გაორებული შეხედულებები. დედისთვისაც ვერაფერი გამეგო, თითქოს ყველაფერს

შეუბნება, მაგრამ ბოლომდე მაინც არაფერს ამბობს. უნდა მიმახვედროს, რა ხდება ჩვენს გარშემო და თანაც მაღავს და მარიგებს, კრინტო, არსად დაძროა.

ნაშუადღევი იყო, როცა შინ მივედით, მაშინვე ძალა სტალინის სურათი წევს საჭოლოან ქედელზე დავკიდე. ქედელზე ლურსმანი დედამ მიმიჭედა. არ სიმოგებდა ჩემი კმაყოფილი სახე. გაკვეთილი თუ იცაო, მკითხა ცივი ხმით, ვისწავლი მეთქი, და „დედა ენა“ ავიდე, ჩამოვჭექი საწოლზე, სადაც ზემოლან ძალა სტალინი დამყურებდა. შიშსაც ვგრძნობდი და მაღალ პასუხისმგებლობასაც, გაკვეთილი უნდა მესწავლა, თორები ძალა სტალინთან შევრცხვებოდი. გაკვეთილად სურათის აღწერა გვქონდა. სურათზე სკოლა, ეზო და ბავშვები იყო გამოხატული. სკოლის ეზოში ძალა სტალინის მონუმენტური ძეგლი იდგა და ირგვლივ ყვავილები იყო გაშე-შებული. ხმამაღლა ვსწავლობდი სურათის აღწერილობას და, როცა წარ-მოვთქვამდი, ეზოში დგას ჩვენი ბელადისა და მასწავლებლის ძალი-ნის მონუმენტური ძეგლი-მეთქი, ხმა მითროოდა. მინდოდა, ეს სიტყვები განსაკუთრებულად წარმომეთქვა, დედა კი უკმაყოფილობის გრძნობით თავს, ან მხრებს შეაქინებდა.

გაჭვეთილა ვისწავლე, წიგნი დავხურე და ძალა სტალინს შევხედე, მო-მეჩვენა, მას თვალებში ღიმილი ედგა და მითხრა, კარგი ბიჭი ხარო. სიხარულისაგან ეზოში გავვარდი. ახლა შემეძლო თავისუფლად მეთამა-შა. გოგი შინ არ დამხვდა. ეკა დეიდამ მკითხა, დედაშენი შინ თუაო, და როცა ვუპასუხე, შინაა მეთქი, მაშინვე ჩვენსას გადმოვიდა. აღლვებუ-ლი იყო, დომენტი ბიძიას ამბავი კაციშვილმა არ იცოდა, წაიყვანეს და—დამთავრდა.

— მართა, ქალო, ახალი ამბავი გაიგე? — ჰკითხა დედას.

— არა, არაფერი გამიგია!

— ძალიან ცუდი ხები დადის! — მე შემომხედა, მაგრამ აღარ მომრიდებია, თითქოს უნდოდა, რომ მცოდნოდა, რაც ხდებოდა სოფ-ლად! — ქალაქიდან ჭოფილან.

— ვინ?

— მთავრობის ხალხი და ახალი ხელისუფლების წარმომადგენლები ხალხის მტრებად გამოუცხადებიათ!

— ვინ თქვა ეგ? — შეცბა დედა.

— აი, ახლა მითხრეს, ყველა უნდა დაიჭირონ თურმე! — ჰაი, დე-დასა, ჩემი ღომენტი ტყუილად წამართვეს!

დედა ულონოდ ჭორკოზე ჩამოჯდა, სახეზე ფერი წაერთვა.

— ქვეყნად მარტო დავრჩი, შვილი დამიობლეს!

— ღმერთია ქვეყნად, არავის არაფერ არ შერჩენია და არც შეარ-

ჩენს! ცოდვა-მიღლი არაა, ვინა თქვა! ამდენი ხალხის აწიოკება არავის
არ ეპატიება!

თავდაპირველად კედელზე დაყიდებული ბელადის სურათი არ შეუ-
ხიშნავს, მერე ძია სტალინის სურათიან მივიდა და ჩურჩულით თქვა, შე
ცოდვიანო, რას გვერჩიო, და იმავე წამის სახე ისე გაუნათდა, ვირ შეიც-
ნობდი, იგი ეკა დეიდა იყო თუ სხვა ვინმე. კმაყოფილი ლიმილით მომიბ-
რუნდა და მკითხა, სად იშოვეთო. თურმე ბიჭისათვის ისიც დაეძებდა ბე-
ლადის სურათს.

— რა კარგი დრო დგება! — თქვა მან.

შე თავი მოვიწონე.

— მასწავლებელმა გვითხა, მას გაუკეთებელი არაფერი დაურჩებაო,
ყველაზე თავისუფალ ქვეყანას აშენებს დედამიწის ზურგზეო. განსაკუთ-
რებით ბავშვებზე ზრუნვასო.

— კი, შვილო, კი! — მითხრა დედამ.

— როგორ არა! — ცინიკურად თქვა ეკა დეიდამ, — მამა წაგაროვა,
ახლა ძროხასა და მიწას წაგართმევენ, დაგტოვებს პირდალებული, მერე
ერთ ლუქმა მჭადის ნატეხს წამოგიგდებს და გათქმევინებს, ჩვენზე ბედ-
ნიერი არავინ არაა.

— ეკა, ქალო! — შესძახა დედამ.

— არა, — გაიცინა ეკა დეიდამ, — ხალხის მტრებზე ამბობენ ამას,
ხომ ხედავთ, ახალი ხელისუფლების წარმომადგენლები დაიჭირეს!

— კიდევ ბევრ ვინმეს დაიჭირენ! — ჩაილაპარაკა დედამ.

ეკა დეიდა წავიდა, დედამ ივი ეზოში გააცილა. დავრჩი მარტოდ.
შევხედე ძია სტალინის სურათს, იგი თითქოს თბილი, ლიმილიან თვალით
მიყურებდა, თითქოს ხელში მარწუხები ეჭირა და თავისკენ მეზიდებოდა,
თითქოს აი ეს არის ხელში უნდა ამრყანოს, თითქოს სადღაც უფსკრუ-
ლში უნდა გადამიშვას. მე კი შევცერი მას სახეს თვალებით და, როცა
მზერა მოვწყვიტე, შემეშინდა. არა! ჩვენი მფარველი ძია სტალინია, მას
ბავშვები უყვარს, აბა, რატომ არ ამბობენ ახალი ხელისუფლების წარ-
მომადგენლებზე ბავშვები უყვართო. და მეორედ რომ შევხედე ძია
სტალინის სურათს, ვიგრძენი თანაგრძნობას შიში უსწრებდა წინ.

მეორე დღეს მასწავლებელს ყველაფერი დაწვრილებით ვუამბე, მე
და დედა არაინში რომ ვიყავით, როგორ ვიყიდეთ ბელადის სურათი და
წამოვიდეთ, ახლა იგი ჩემს სახლში კედელზე ჰქიდია და მიხარია ამ
სურათზე შეხედვა. მასწავლებელი ნასიამოვნები დარჩა და თავზე ხელი
გადამისვა, კარგი ბიჭი ხარო. მერე კლასს მიუბრუნდა, აი, ბავშვებო,
თუ ვინმეს ბელადის სურათი არ გაქვთ, თქვენც რაიონში შეიძინეთ. მას-
წავლებელს საქებარი სიტყვა რა დაუკლია, მაგრამ რატომლაც მეჩვენა

რომ სადღაც იგი მალავდა თავის აზრს და გულით არ მოვწონდი ჩემი
აოქმედების გამო.

— ბავშვებო, — გაიძეორა მან, — ცუდი დროა, ხალხის მტრები აო
ისვენებენ, ოქვენ ფრთხილად იყავით, ვინმეს ლაყბობას არ აჰყვეთ, ვინ-
მემ თავისი ბოროტი ზრახვების განსახორციელებლად არ გამოგიყენოთ!
თუ რამე საეჭვოს გაიგებთ, ან შენიშნავთ, მოახსენეთ მშობლებს ან
ჩენ, თქვენს აღმზრდელებს!

— მას, — წამოიძახა ერთმა — გალაქტიონი სულ გაბრაზებული
დაღის!

მეც გამახსენდა გალაქტიონ ბიძიას სიტყვები.

— რაო, რა მინდაო?

— არაფერი არ მოსწონს, არავის არაფერს არ მივცემო.

— შენი ყურით გაიგონე?

— კი, ჩემი ყურით?

— იქ იყო ვინმე?

— არა!

მასწავლებელს სახეზე ნაკვთი შეუთამაშდა.

— აბა, ვერ დაამტკიცებ, რომ არაფერი არ მოსწონს! — ნიშნის მო-
გებით უთხრა მასწავლებელმა.

მე სული შემეკრა, დედა ჩამახოდა ცივი ხმით, კრინტი არსად არ და-
ძრაო, შევცემეროდი ჩემს ამხანაგს, რომელსაც თვალები კმაყოფილებით
გაფართოებოდა და ელოდა, მასწავლებელი როდის ეტყოდა, შენ კარგი
ბიჭი ხარო. უცებ ცდუნებამ ამიტანა, რატომდაც მომინდა, დამედასტურე-
ბინა ამხანაგის ნათქვამი და ორივე კარგი ბიჭი ვყოფილიყვათ, მაგრამ
ისევ დედის ხმამ შემაჩერა, კრინტი არსად არ დაძრაო. ნერვიულობისა-
გან მერხს ჩავეჭიდე. მასწავლებელმა ოთხში გაიარ-გამოიარა, სევდაშე-
პარულ სახეზე ფარული ფიქრი დასთამაშებდა, მერე თავი ასწია და გვით-
ხრა, კარგი, დაწყარდით, ყველაფერი გაირკვევაო.

დაგვეჭი მერხზე, გულს ბაგა-ბუგი გაჭქონდა, სინანული გულს მიწვ-
რილებდა, რატომ არ ვთქვამეთქი. თვალწინ დამიდგა გალაქტიონ ბიძიას
გესლიანი სახე, რომელიც დაეინებით გაიძახოდა, ცეცხლს წავუკიდებ,
დაეწვავ და მათ არაფერს არ მივცემო. მერხზე ისე დავპატარავდი, ლამის
ჩავმალულიყავი. ცოტა ხნის შემდეგ შვება ვიგრძენი, თავი შევაგულია-
ნე, რომ მე არაფერი არ ვთქვი. მასწავლებელმა ის მოსწავლე გაპვეთი-
ლების შემდეგ დაიტოვა.

შინ დედას ვუამბე, რაც მოხდა სკოლაში, მომიწონა, კარგი ბიჭი
ყოფილხარ, შემაქო და თავზე ხელი გადამისვა.

— იმ ბიჭს მაღლობას ეტყვიან?

— კი, ეტყვიან, მაგრამ...
 — რა, მაგრამ, დედა მითხარი!
 — ის რომ გალაქტიონს დაიჭერენ!
 — რა?
 — დაიჭერენ!.. შენ ხომ არაფერს არ იტყვი?
 — არა, დედა!.. — მე ვიგრძენი, რა დიდი საქმე გამიყეთებია, —
 რატომ დაიჭერენ?
 — ასეთი ღრო მოვიდა!
 — შენ ხომ ამბობ, კარგი დროაო?
 — კი, კარგი ღროა!
 — ხალხს რატომ იჭერენ?
 — ახალი ცხოვრების მოწინააღმდეგებს იჭერენ! შენ ფრთხილად
 იყავი, რაც არ უნდა გაიგონო, ხმა არ დაძრა, თოთქოს არაფერი გაგიგო-
 ნია.
 — გალაქტიონ ბიძიას დაიჭერენ! — ვთქვი ჩემთვის მე.
 — ჰო, ვინ იცის?

ახალშედამებული იყო, როცა ყვირილი და თოთის სროლა გავიგო-
 ნეთ, ორივე შევტბით და ეზოში გავედით. ხმა გალაქტიონ ბიძიას სახ-
 ლის მხრიდან მოდიოდა. დედა გუმანით მიხვდა, რაღაც მოხდა, მაგრამ
 თავი შეიყავა, ჩემთვის რომ რამე ეთქვა, მე ვთხოვე, გადავსულიყავით
 გალაქტიონ ბიძიასთან. ერთხანს შეაყოვნა, მერე გულმა არ მოუთმინა,
 ხელი ჩამკიდა და წავედით.

გალაქტიონ ბიძიას ეზოში მიწაზე გავორებული მკვდარი ძროხა
 ეგდო, საცოდავად თავი გვერდზე გადაეგდო და ბირიდან სისხლი სდიო-
 და. ეზოში აურჩაური იყო. გალაქტიონ ბიძიას ორი კაცი ძლიერ ამაგრე-
 ბდა, მთელი ხმით გაიძახოდა, გამიშვით ერთი წუთით, გამიშვით და მერე
 ჩემი ფეხით წამოვალო, მაგრამ ვინ გაუშვებდა. ჩვენ ეზოში არ ჩავსულ-
 ვართ, ლობეზე მძვდექით. გალაქტიონ ბიძია კაცებს ხელიდან გაუსხლტა
 და ბოსლისკენ გაიქცა, მაგრამ კარებთან ისევ დაიჭირეს, ახლა ოთხი
 კაცი ძლიერ ამაგრებდა. მოვკლავ, ყველას დაგხოცავ, სახლს ცეცხლს
 წავუკიდებ და ისე წავალო, ღრიალებდა განწირელი კაცის ხმით. ზურგს
 უკან ხელები გადაუგრიხეს, წელზე ხანგალი შეხსნეს და ჭიშკრისკენ
 გაიგდეს. გალაქტიონ ბიძიას მეუღლე გულწასული ეგდონ სახლის აივანზე.
 ბავშვები ცივი ხმით ტიროლენ. დედა ფარულმა კანკალმა აიტანა, მითხ-
 რა, შენ აქ დარჩიო, და სახლის აივნისკენ წავიდა; მეზობლის ქალებიც
 გამოჩნდნენ სახლის უკანა მხრიდან. გალაქტიონ ბიძიამ ჭიშკართან თავი
 ასწია, უკან მოიხედა და დაიძახა, მშვიდობით ჩემო ცოლ-შვილო, თავს
 მიხედეთ, ჩემზე არ იდარღოთო: ლამის ქვებზე ხელი დამევლო და იმ

კაცებისთვის დამეშინა. როცა გზაზე გამოვიდნენ, ერთმა შემომზრდებოდა მე მგონი შემატყო განზრახვა და გამაფრთხილა, არაფერი გატერონ. მე მართალი ვიყავი გალაქტიონ ბიძიას წინაშე, მე კრინტი არ დამიძრავ. ხვალ, სკოლაში არაფერს არ დავმალავ, ყველაფერს ვიტყვი, ვიტყვი რაც მოხდა, ვინც დამნაშავეა, ჩემს ცხოვრებაში მასთან არ ვიამხანავებ, ჩემს სახლში არ შემოვუშვებ. არა, არ შემოვუშვებ, იგი გამყიდველია, დაღუპა გალაქტიონ ბიძია და დაღუპა მთელი ოჯახი.

დედა და მე შინ ცოცხლმკვდარი დავბრუნდით. დედამ ჭრაქი რომ აანთო, ბაცი სხივი ბელადის სურათს დაეცა და მქრქალ სინათლეზე მომეჩვენა, სურათი, გაცოცხლდა და ჩემს დასაჭერად წამოვიდა. დედას კაბის კალთაზე მივევარი, თვალები დავხუჭე, რომ სურათზე არ შემეხედა. მერე გავექანე სტალინის სურათისაკენ, მაგრამ ხელები ვერ დავიმორჩილე, გავჩერდი მის წინ და მივაშტერდი.

— შენ რა გჭირს, რა მოგდის?! — მითხრა დედამ.

— არაფერი!

ცოცხლზე კეცი გადადგა.

— ხვალისთვის გაჭვეთილი იცი?

— კი!

— რა გაქვს?

— სურათის აღწერა!

— აბა, მოყევი!

დედას ჩემთვის გაჭვეთილი არასოდეს გამოუკითხავს, მაგრამ ახლა შევატყვე, ჩემი თავშექცევა უნდოდა, ალბათ, მიხვდა, კარგს არაფერს ვაპირებდი. წიგნი მუხლებზე გავშალე და სურათის აღწერა დავიწყე, ბოლოს, როცა ვთქვი, სკოლის ეზოში დგას ძია სტალინის მონუმენტური იეგლი, შემომხედა და მითხრა, კარგად გაიმეორეო. გავიმეორე.

— შეილო, — შემნიშნა მან, — მასე ნუ იტყვი, უფრო თბილად და ყურადღებით წარმოოქვი სიტყვები. გახსოვდეს, გავეთილს რომ მოყვები, დასასრულს ყოველთვის თქვი, ძია სტალინმა მოვვიტანა ბელნიერი ბავშვობა.

დედის სიტყვები არ გამიმეორებია, მაგრამ მივხვდი, რასაც ნიშნავდა მისი ნათქვამი!

4.

ადრეული გაზაფხული იდგა, კარგი დარები დაიწყო და შინ გული გის გაუჩერდებოდა. დილიდან მოყიდებული ვინ გუთნით მიწას ხნავდა, ვინ კიდევ ბარავდა. ჩვენი საყანე მიწა, რომელიც ჭონჭყოს ბოლოში იწყებოდა, მე და დედამ სანახევროდ ვადავბარეთ. მიჭირდა, მაგრამ მინც

զաեթարեծողությունը դեղաս. օգո Սագոլս զարան լամուտ ամիացեծք, հռմ մցուրա
գուշ առ մուլցենոլոյս. շմբելցեծուց մովիս ծարվա, համցենոմցից աշխատացած
կոնածոմ շեշլոնքնա, մերկ շվեա, մերի հաճ զանճնա, հայ մովածից մո-
նթելու մոնացալու մանց զայսուցա. դեղա մեռլու տազու զարանչից պայ-
հուծուց, Շմի՛լուտ առ ջաշեռուլոյսազու. ըլու ըլութե մեռրե մհուս
եծու մոնցեծուց դա մալց հճյ դա պայլուց զայնեծուց.

յրտ դեղս դեղամ մամու սյրատու զայլութե դայուծա. առ զուրո, հռուս
զագություննա սյրատու դա սաճ. Ֆյոնճու Շենաելու. մամու սակելս հիմտան
սայրտուց առ աեսենցեծք. արւ ու զուրո, մամու սագուաչից դալուուց տպ
ահա, ալծատ, մամու տորենճնա, հռուս մե Շին առ զոյսազո, ան սուրու լամուտ,
հռմ լոնմես առ ջայնածա. Սոյուլշու յացու ալար դարիս, պայլա ըշշմուտ-
նուու դակուրեց դա ցածասաելու. դեղաս մամազու զայեթաց կո ամոնեծքնա,
տոյնճնաց յըտես, եռմ արայերու ումուսու. յրտ սալամու օցո սասագուաուուն
Շեշիւեծուց դածունճնա, զորացու մամու սագուազո ցալաշուուլազու, տա-
տան ցասունուու ես չարու մոյտերու դա ցալաշունճնա. դեղա համցենոմյ
դու առ ասուլու մամու սագուաչից դա այ, ոմ ըլուս մամու սյրատու զայլու-
թե դայուծա, հիմու սամուլուս տազտան. զամուսարճնա. ոմ մեսարյս մու սբուլոնիս
սյրատու յըտես դա մեամայեծուց, հռմ մատու սյրատեծի հիմ սամուլուտան
յըտես.

յարյտ ունազ շինյուլլազու. մե դա դեղա Շուա ցուցելուս ձորաս ցասաց-
լուծուու. դեղամ սագուու Շինյուլու Շեշիւա դա նոյցիս Շըշենիո համույու.
մե օցո հռուրու նամցուու մամայաց ու մոյսուրեծուց դա այօյիշեծուց, մո-
նարճու հռմ մալուս ցութաս վէսամճու. յարչ նայերս այցուուեծուու մե դամու-
դուծուց եռլումյ, յրտու լույսմաց հռմ մոմեթուզեծուն, Շեշիւեծուուն, լույս
մու մուրուզես առ Շեյօւլեծու, հիմու տազու տպ ցոյցարս, Շեքամյու. մե
դեղաս շարս ցըր վեյնեծուուց դա մոնցուու տպ ահա, մանց Շեքամճու ոմ
յրտ լույսմասաց.

ჭի՛շիրուս եմանց որուզյմ յարյտ ցայեթեցտ. սամու աեալցաթիրճնա համուզու-
լու ցիշու. ցալուու Շարվալու ցուատ, արւ ու աեալու, յացս մոցինյուեծու-
ու. ձամիս յշրուույեծու, ցայեսնատ դա Մոց ցայերճնա ալուուլու Շազո
ծլոյնիշեծու մոյտիանճնա. յշրու առ յեշրատ. յրտու սբուրու տմա լուկան Ֆյոնճ-
ցալաշարուցենուու, որս — ցայերճուտ, մարցենա մեսարյս. սակելուսկը մուգու-
ռունեն տամամու նածոյեծու, ույու ցամոմեթյուցելուուտ — յացս Նեցու առ
Շեյօւլացեն. սագուունա մոյաթուցետ դա ցիշու ցայելուու. ուսոնու հայենտան
առ մոնուլան, Շուա ցիշու ցահերճնեն — շածունճուլու, ձորմոյշուուրուլո
ուցնեն դա ցիշու-յարս աշալուուրեծունեն.

— դեղա, զոն արօնա?

— մցոնո, յոմյաշուրելուեծի!

— რა უნდათ?

— გაიგებ!

დედა კრძალვით მიუახლოვდა მათ. ცალი ხელი გულზე ედო და კაბის ვულისპირს აწვალებდა. შესცემოდა მათ და ვერ ბედავდა, ეკითხა, რატომ მოვიდნენ ისინი.

— თქვენ ცხოვრობთ აქ? — ჰერთხა ერთმა დამცინავი თვალებით.

— დიახ!

— ჩვენ კომკავშირელები ვართ! — თქვა მეორემ.

— გისმენი ბატონი!

— გაგებული გექნებათ, — განაგრძო პირველმა, — კოლექტივიზაცია მიმდინარეობს. ყველა, ვისაც კი უნდა ჩვენი ხელისუფლება, ბეღნიერი ცხოვრება და თავისუფლება, კოლექტივში უნდა შევიდეს. კოლექტივი რომ ძლიერი გახდეს, ვისაც რა ჰყავს — ძროხა, ხარი, ან საერთოდ პირუტყვი, აგრეთვე ურემი, კავი, საერთოდ ყველაფერი, რაც კოლექტივს სჭირდება, უნდა შეიტანოს, საერთო სახალხო კუთვნილება უნდა გახდეს. ჭინაალმდეგ შემთხვევაში სოფლიდან ავლაგმავთ!

დედას სახეზე ფერმა აუარ-დაუარა.

— მე რა გამაჩნია, ოორემ...

— ყველაფერი გაქვთ, ჩვენ თავის კატუნი არ გვიყვარს... გლეხებაც კოლექტივის მეტი ვერაფერი გამართავს წელში. რატომ აქამდე არ შემოიტანეთ განცხადება?

— მე... მე... არ ვიცოდი!

— განცხადება უნდა შემოიტანოთ!

— მესმის!

— ჩვენ ვიცით, რომ მიწა საკმაოდ ბევრი გაქვთ, ნორმის ზემოთ კოლექტივს უნდა გადასცეთ. კერძომესაკუთრეობით ცხოვრება არ შეიძლება. ჩემი და შენი აღარ არსებობს, ყველაფერი ჩვენია, საერთოა!

— წამობრძანდით, ნახეთ, რა მიწებიც მე გამაჩნია!

დედამ ისინი საყანე ფართობში გადაიყვანა. მათ თვალი მოავლეს და თესილ ფართობს და თქვენს:

— თქვენთვის ერთი ჰექტარი საკმარისია!

— ჰო, ჰო, ერთი ჰექტარი, მეტი არა! — დაემოწმა სწორთმიანი.

— ეს მიწები ჩვენ ნაყიდი გვაქვს!

— ჰმ! ნაყიდი! ეგ არ ვიცით ჩვენ!... აირჩიეთ, რომელი კუთხეც თქვენ გინდათ და იმას დაგიტოვებთ. ჩვენ ბობოლები და კულაქები არ გვჭირდება. საკმარისია ოჯახში ერთი ჰექტარი!...

პირუტყვი რამდენი გყავს?

— ორი ძროხა.

— ერთს კოლექტივში შეიყვანთ! ჩვენ არავის არ ვაძალებთ, მაგრამ საშემე კარგად არ იქნება!

— მე რა ძალა გამაჩნია, შვილები! — უთხრა დედამ ჩავარდნილი ხმით, — რასაც მთავრობა იტყვის, მას წინ ვერ აღვუდგები. ასე ყოფილა საჭირო და მეც ხალხთან ერთად ვიქნები!

— ჰო, ჰო, ასე! — თითო დააქნია სწორობიანმა.

ჩვენდა დაუკითხავად. ისინი ეზოში დაბრუნდნენ, სახლის უკან გავი-დნენ, რაღაც ითათბირეს, მერე გამობრუნდნენ, სახლის ღია კარებში შეიხედეს და კედლები შეათვალიერეს. კედელზე სტალინის სურათი რომ დაინახეს, წარბი გახსნეს, ერთმანეთს კმაყოფილი გადახედეს. ერთი იმა-თვანი, რომელიც უფრო დაბალი იყო, მამის სურათთან მივიდა, წარშექ-რული შეათვალიერა, შემობრუნდა და მუქარით შეხედა დედას.

— ვისია ეს სურათი?

— ჩემი მეუღლის.

— ახლავე ჩამოხსენით!

— რატომ?

— არ იცით, რატომ?.. პოლიტიკური დანაშაულია. განა დასაშვებია, ჩვენი ბელადის, სტალინის სურათის გვერდით ოქვენი მეუღლის სუ-რათი ეკიდოს?! ახლავე ჩამოხსენით! ჩვენთვის კარგადაა ცნობილი, ვინ იყო ოქვენი მეუღლე.

დედამ ენის შებრუნება ვერ შებედა. მივიდა მამის სურათთან და აკანკალებული ხელით ჩამოხსნა. მე ხელებმომჯილული ვიდექი, აღბათ სახეზე გაჭარბებული ვიყავი — შუბლი ოფლით დამეცვარა. სწორ-ობიანი ჩემთან მოვიდა, თმაზე ხელი გადამისვა.

— სკოლაში დადიხარ? — მკითხა მან.

— კი!

— ყოჩალ! აი, რა მოვიტანა ახალმა დრომ. არც ერთი წერა-კითხვის უცოდინარი არ გვეყოლება. კომუნისტურ საზოგადოებაში ყველა თანას-წორუფლებიანობით ვიცხოვრებთ. და ეს ბედნიერება ჩვენმა დიღმა ბელადებმა ლენინმა და სტალინმა მოვიტანეს!

მე კრინტი არ დამიძრავს, ჩემში, შინაგანად რაღაც მოხდა და ვიღა-ცამ ჩემს ნაცვლად წამოიძახა:

— ძია სტალინს მაღლობა ბედნიერი ბავშვობისათვის!

— ყოჩალ!.. ისწავლე!.. კომუნისტურ საზოგადოებაში მხოლოდ ნას-წარისანი, მართალი, მშრომელი ადამიანი იცხოვრებს! უსამა-რობობა მოისპობა, ერთი ყველასათვის იზრუნებს, ყველა ერთისათვის! შენ პიონერი ხარ?

— კი, ახლახან მიმიღეს!

— პიონერული ფიცის ერთგული იყავი, თუნდაც შეეწირო! კრშენ ჩემი
პიონერი ხარ, მზად უნდა იყო ყველასათვის!

— მზად ვარ! — ვუპატიკე მე.

— ყოჩალ!

დედამ ღვინო გამოიტანა და ჭიქებში ჩამოასხა, სუფრაზე მათთვის
სუფთა ოეფშებიც დაწყო. შეთავაზებას არ დალოდებიან, შედარებით
დაბალმა ჭიქა ასწია, ერთი ყლუპი მოსვა და მოწონებით თავი გააქინა,
კარგი ღვინო გეონიათო, მერე ჭიქა შემართა და აღგზნებული ხმით ბე-
ლადები აღლეგრძელა, მათი დაულალავი ზრუნვა ხალხისათვის, ხვალინ-
დელი დღის კეთილდღეობა. ისე ლაპარაკობდა, მეც მინდოდა ჭიქა ამე-
წია და მედლეგრძელებინა ბელადები. დამთავრა თუ არა მან სადღეგრძე-
ლო, ჭიქა მეორემ შემართა და შეეცადა სადღეგრძელო უკეთ ეთქვა,
მერე მას მესამე მოჰყვა. ბოლოს ჭიქები ერთმანეთს მიუჭახუნეს და დას-
ცალეს. მათ შემყურე დედას სახეზე ბედნიერება ეხატა. ვერ დამალი
აღფრთვანება, რა კარგი, განათლებული ახალგაზრდები ხართო, უთხრა
მათ და ჭიქები მეორედ შეუვსო. მეორე სადღეგრძელო სტალინის იდე-
ების გამარჯვებისა შეისვა, მესამე — ახალი ხელმძღვანელობის, რომლე-
ბიც ხალხის ზრუნვასა და ფიქრში აღამებ-ათენებენ.

— დაბრძანდით, მიირთვით რამე! — შეეპატიუა დედა.

— არა, არა, ერთ ჭიქას კიდევ დავლევო და წავალო!

ერთის ნაცვლად სამი შესვეს. ლოყები წამოეცაკლათ, თვალები აუ-
წყლიანდათ, ქვეყნის საქმე გვაქვსო, თქვეს ბოლოს და გარეთ გავიდნენ.

— ნულარ დააყოვჩებთ, განცხადება დღესვე შეიტანეთ საბჭოში, —
უთხრა სწორობიანმა დელას, — რაიმე არ დამალოთ... მიწას გოჭობით
ავზომავთ.

— კოლექტივში ერთად გაფალთ სამუშაოდ? — იკითხა დედამ.

— მოელი სოფელი! უქნარებს ერთ დღესაც არ შევინახავთ! — მუ-
ქარით ამბობდა შედარებით დაბალი, — რასაც მოიწევთ, იმისდამიხდევით
განაწილდება!.. ავაშენებთ ახალ სახლებს!.. მალე ტრაქტორიც გვეყოლე-
ბა.

ტრაქტორი ჩვენ არ ვიცოდით, და არც გვიკითხავს, რას გააკეთებდა
და რა სარგებლობა ექნებოდა ჩვენთვის. მათ კიდევ დაათვალიერეს
ეზო-კარი და შარაზე გავიდნენ. ჩვენ ჭიშკრამდე მივაცილეთ. მე არ ვფი-
ქრობდი წართმეულ მიწებზე, არც ძროხაზე, რომელსაც ხვალ წაიყვანდ-
ნენ, მე დამატყვევა მათმა სითამამემ და გამომეტყველებამ, საქ-
შიანმა ლაპარაკმა. დედას მიგსდიე ფეხდაფეხ, სახლში რომ შევედით,
მამის სურას ეცა, რომელიც წედან ბალიშის ჭვეშ შემოდო. სურათი
მკერდზე მიიხუტა და აცრემლდა.

— დედა, რატომ ტირი?

— შენ ჯერ ვერ გაიგებ, შვილო!

— მიწებს გვაროთმევენ?

— ჰო!

— ჩვენც ისე ვიცხოვრებთ, როგორც სხვები?

დედამ ეჭიგით შემომხედა, შევატყვე, არ მოვეწონე.

— აბა, სხვა რა გზა გვაქვს! — დედამ მამის სურათი თავსაფარი შეახვია და ზანდუქში ჩაღო, საღაც მამის ტანსაცმელიც ჰქონდა შენახული.

— დედა, იმ ჩვენს საყანე მიწასაც მისცემ?

— წაიღონ, ეს ჭონჭყოც წაიღონ, ფართობში მოვათვლიან, ჩვენ ამ მხარეს დავთესოთ სიმინდი, როგორმე გვეყოფა!

იმ საღამოს მე და დედამ განცხადება დავწერეთ. დედამ წერა არ იცოდა, და მე დამავალა, დამეწერა, ახლად არჩეული კოლმეურნეობის თავმჯდომარე ჩვენი მეზობელი იყო, ორი კლასის განათლება ჰქონდა, შეძლებულად ცხოვრობდა. ბაბუა ვაჭარი ჰყავდა და ამბობდნენ, დიღძალი ოქრო-ვერცხლი დარჩაო. როგორც ჩანს, პირველსაც დღიდან ახალ ცხოვრებას აღლო აულო და პირველმა განაცხადა კოლექტივში შესვლა. ათი სული ძროხა, ორი უღელი ხარი, ურემი, გუთანი, ყველაფერი კოლექტივში გააერთიანა და მერე სათავეშიც ჩაუდგა. იმასაც ამბობდნენ, ოქრო-ვერცხლი გადამალული აქვსო. თავი ღარიბ კაცად მოჰქონდა, მისთვის რომ მოვესმინათ, გამოსაცვლელი შარვალი არ გააჩნდა. ერთხელ იგი ჩვენთან მოვიდა და დედას მამა-შვილურად ურჩია, წინააღმდეგობა არ გაეწია, უარი არ ეთქვა კოლექტივში შესვლაზე, მაინც ვერაფერს განდები და ოჯახი დაიღუპებათ. შევატყვე, მას ჩვენ გულით ვეცოდებოდით, თორემ ისეთი გულისა იყო, კაცს არ შეიწყნარებდა. ახალი ხელისუფლების წარმომადგენლებს დაკყვებოდა სოფელ-სოფელ და აღვილი წარმოსადგენია, რა ცოდვებშიც ერია ხელი.

განცხადება ორჯერ დავწერე, რადგან თავდაპირველად ვწერდი, რომ კოლექტივში შესატანი არაფერი გაგვაჩნდა. წავიკითხეთ და არ მოვცეწონა, ჩვენი მიწები გოგ-გოგა ჰქონდათ აზომილი და ვინ დაგვიჯერებდა. მეორე განცხადებაში ვწერდით, წაეღოთ მიწები და სახლის გარშემო მოეზომათ სანაცვლო. ბოლოს ყურადღება ძროხაზე შევაჩრეთ, ზოგს ძროხა რომ არ ჰყავდა, თხა შეკყავდა კოლექტივში და ჩვენ ორ ძროხას ვინ გაგვიჩერებდა. გავიმეტეთ ერთი ძროხა და დედამ განცხადება კოლმეურნეობაში წაიღო, ძროხაც წინ გაიგდო. კანტორის ეზოში ხალხი ირეოდა, ვის ძროხა მოეყვანა, ვის თხა კოლექტივში შესაყვანად. პატარა მაგიდასთან კაცი იჯდა და იწერდა, ვინ რა შეიყვანა კოლექტივში. თავმჯდომა-

რეს გაუხარდა ჩვენი განცხადება, კარგი ჰქენითო, ჩაილაპარაკა და შედეგის
რაღაც დაწერა.

მშიერი ძროხები კანტორის ეზოში ბლაოდნენ. ვინ შიგა და შიგ იგი-
ნებოდა, ერთი ვნახოთ, რა გამოგივათო, მეორემ, ომელიც ეზოში
ღობეზე იყო მომდგარი და ბაჭრის ერთი თავი ხელზე ჰქონდა შემოხვეუ-
ლი, ყველასგან მოულოდნელად, წელზე შეკიდულ ქარქაშიდან დანა იძრო
და ძროხას ყელი გამოჭრა. მერე ნერვილუობისაგან მიწაზე გაგორდა და
ფრიალი მორთო. კაციშვილი ვერ ეკარებოდა. თვალით გვერდით მდგომ შავბლუზიან
ბიჭებს რაღაც ანიშნა, ისინი მყისვე მიწაზე გაგორებულ კაცთან მიგარდ-
ნენ, დაავლეს ხელი და კანტორის უკან გაათრიეს.

დედამ გამაფრთხილა:

— შენ არაფერი არ დაგინახავს!

— სამალავი რაა, ყველამ დაინახა!

— შენ ნუ იტყვი, თითქოს არაფერიც არ მომხდარა!

მაკვირვებდა დედის ასეთი სიფრთხილე, ვინ. შთააგონა რომ, კრინ-
ტის დაძვრა არ შეიძლება. კი, მესმის, არავინ სანდო არ არის, ერთ
სიტყვას შეიძლება კაცი ემსხვერპლოს, მაგრამ ის, რასაც ყველა ვხედავთ
და ვიცით, რა დასამალია?

— დამთავრდა! — იქვა დედამ, როცა შინ დაგბრუნდით.

— რა, დედა?

— დამთავრდა, ახლა დაველოდოთ, რა მოხდება!

— შენ კოლექტივში უნდა წახვიდე?

— ჰო, უნდა წავიდე, ვიმუშავებ და შრომას ამინაზღაურებენ. დაგ-
ვრჩა ყანა დაუთესავი!

— რატომ, დედა, დავბაროთ ახალი საყანე მიწა!

— ვინარა შეძლებს ამას, შვილო!

— ჩვენ!

— ღმერთმა ქნეს!

მეორე დილით დედას ბრძგადირმა გამოუარა და გააფრთხილა, ზე-
განზე გასულიყო სამუშაოდ, ჩაის პლანტაციაა გასაშენებელიო. დედა
უსიტყვოდ დაეთანხმა, თოხი მხარზე გაიდო და კოლექტივში წავიდა. ზე-
განი ჩვენს სახლიდან ორ კილომეტრზე იყო. ჩაის პლანტაცია შენდებოდა,
და თუ სადმე ხე და ბუჩქი იყო ძირიანად ძირკვადნენ. საკუთარი წალ-
დით, ნაჯახით, თოხითა და ბარით იყვნენ სამუშაოდ გასული. ერთიან
შრომას გაუმარჯოს, ბიჭებო, წამოიძახებდა ბრიგადირი და სიმღერას წა-
მოიწყებდა. მუშაობდნენ და მღეროდნენ. მერე ბრიგადირი იტყოდა:
შებაშო, და დაისვენებდნენ ხის ჩრდილში.

ადრე დილით სამუშაოდ გასული დედა, შინ გვიან ღამით ბრუნდებოდა. მეორე დღისათვის საღილის გაფეთებას ძლივს ახერხებდა. კეც ცეცხლზე რომ გადადგამდა, იქვე ჭორეოზე ჩამომჯდარს ჩაეძინებოდა. მეცოდებოდა იგი, მაგრამ რა მექნა. მე გადატოლების შემდეგ საყანე მიწას ვბარავდი. ვინ იცის, წლის ბოლოს რა მოგვიწევდა კოლმეურნეობიდან. ქათმები და ორი ჩემი მოსავლელი დარჩა. ვინდა სწავლობდა გავვეთილს, მასწავლებლის ახსნილ გავვეთილს თუ დავიმახსოვრებდი, თორემწიგნის წამკითხავი არ ვიყავო.

კანტორის წინ ეზოში საპატიო დაფა დადგეს და შიგ დედას სურათი გამოაკრეს, სიხარულის კანკალმა ამიტანა, დედის სურათი რომ დავინახეს სოფლის მოწინავეთა შორის. თავი მომწონდა, მედიდურად გამოვიყურებოდი, ჩემზე ბედნიერი არავინ მეგულებოდა ქვეყნად. გავიზრდები და მეც დედასავით ერთგულად ვიმუშავებ, ჩემს სურათს საპატიო დაფაზე გამოაკრავენ-მეთქი, ვფიქრობდი. კაცი ვერ დამიღებოდა წინ, შეუძლებელს შევდლებდი. მამა მშრომელი კაცი იყო, ის რომ ცოცხალი ყოფილიყო, მის სურათსაც გამოაკრავდნენ საპატიო დაფაზე. მამა ვერ მოესწრო ამ დროს. ისიც დაიჯერებდა, რომ გლეხების შრომა დაფასდა. გამკითხავი ვინ იყო?! კარგი დრო დადგა, დაფასდა მშრომელი კაცი.

— შვილო, — მითხრა დედამ, — ხვალ ჩვენთან მოვლენ!

— ვინ?

— კაცი გამოყვეს, საყანე მიწას დაგვინავენ!

— მე რომ სანახევროდ გადავბარე?

— რაც დარჩა, დანავენ! — პირველ რიგში უკაცო ოჯახს ეხმარებიან, ასეთი წესია კოლექტივში.

— მიწას დაგვიხნავენ?

— კო! დაგვიხნავენ!.. ვინც კარგად იმუშავებს, წლის ბოლოს სახლის მასალას გამოვუყოფთო.

— ჩვენც ავშენებთ სახლს?

— ვნახოთ, შვილო!

მე დედას შევხედე, დედას დადლილის სახე ჰქონდა, რატომლაც დაბერებული გამოიყურებოდა. რამდენი დღეა არ დაუსვენია.

— სხვებსაც აუშენებენ სახლს?

— კი, ყველას!

— კოლექტივი კარგი ყოფილა, დედა?!

— მტერი ჰყავს ბევრი!

— მტერი?!

— ჰო, შვილო, მუშაობა არ უნდათ, ზოგი იმასაც აშბობს, ამდენი რომ გვემუშავა, როგორც თავადი, ისე ვიცხოვრებლითო.

- მერე რატომ არ მუშაობდნენ?
- უსწავლელი ხალხია, მეტი არ იციან, შვილო!
- მაში, მიწას დაგვიხნავენ, დედა?
- კი, შვილო!
- სახლსაც აგვიშენებენ?
- აგვიშენებენ, შვილო, აგვიშენებენ!

მეორე დღეს ადრე დილით, მართლაც მოგვადგა მათე ბიძია ხარებით ჭიშკარზე, კავი გამართა და ნაპირს ჩაუდგა. დედა ხარებს მიუძღვდა ჭინ. კოლექტივში სამუშაოდ არ გასულა, უთხრეს, შინ იქნებიო. შუალედმდე გადახნა საყანე მიწა მათე ბიძიამ. მერე ჩრდილში ჩამოისცენა და თუთუნი გაბოლა. დედამ ნიგოზში შეკაზმული დედალი, ყველი, მჭადი და ღვინო გამოიტანა. სუფრა იქვე, ხის ჩრდილში გაუშალა. ეტყობოდა, მათე ბიძია მოშეიბული იყო, ხელი წაიბანა და არ დალოდებია დედის შეპატიუებას, მჭადი გატეხა.

— კარგი ღრო მოვიდა, ჩემო ბიძია, ხალხმა თუ მოიხმარა, — მითხრა მათე ბიძიამ, — მე მიმავალი ვარ, თქვენი იქნება ეს ქვეყანა!

მათე ბიძია სამოც წილს გადაცილებული იქნებოდა. თეთრი თმა და წვერი მოშვებული ჰქონდა. ხაჯის ბლუზზე შავი ნაჭრები ეკერა და თეთრი ძაფით იყო ამოკემსილი. მხრებზე ოფლის თეთრი ზოლები დასდევდა. შარვალიც მუხლებზე დაკერებული ეცვა და შარვლის ტოტები გაზავებული შალის წინდებში ჰქონდა ჩატანებული. მათე ბიძია მარტოდ ცხოვრობდა, ერთი ბიჭი ჰყავდა და ამ ორითე წლის წინ ქალაქში გაიქცა, არ გაჩერდა. კოლექტივში მე ვერ ვიმუშავებო. ღვინის სარდაფი გაუხსნია და ვაჭრობს თურმე. სინანულით იცოდა ხოლმე თქმა, ქალი აღრე გარდამეცვალა, თორემ ასე არ გამიჭირდებოდაო.

- მათე ბიძია, შვილი არ გაითხავს ხოლმე? — ვკითხე მე.
- ჩამოვა, ღვინო თუ მაქვს, წაიღებს და წავა!
- ქალაქში კარგად ცხოვრობს?
- ალბათ, კარგად, თორემ დაბრუნდებოდა! — გულისტკივილით თქვა მან.

- ბინა აქვს?
- არ ვიცი, შვილო, არ ვეკითხები, რაც უნდა ისა ქნას!
- ცოლ-შვილი ხომ ეყოლება?
- არც ეს ვიცი, შვილო, არ ვკითხულობ მის ამბავს! მე ქე გამიმ-წარდა ეს სიბერე და...
- რატომ, მათე ბიძია, ყველაფერი კარგად იქნება!
- იქნება, შვილო, ბიჭი გვერდით რომ მყაფდეს!.. ისწავლე, შვილო, ისწავლე, კაცი გამოხვალ!

მათე ბიძია დანაყრდა, სამად სამი ჭიქა ღვინო დალია, კავი მხარზე გაიდო და ხარები წინ გაირეკა. ეზო მაქვს გამოსახნავი და ბარეზ დუშა გამოვხნავო. მე და დედამ გადახნული საყანე ფართობი შემოვიარეთ. სიხარულს ვერ ვმალავდით, მართლაც, რა დრო დადგა. იფიქტური ძალა— სმე, ვინერ მოვიდოდა და საყანე ფართობს დაგიხნავდა?! სახლსაც აგიშენებთო, ეს რა თქვეს?! დედამ სათესლე სიმინდი გამოიტანა— და ხელში მიმოყარა. ნაპირს ორივე მხარდამხარ ჩავუდევჲით. დაღამებამდე სამი ნაპირი გავიტანეთ, თითქმის დახნული მიწის მესამედი. ძალიანაც დავილალეთ, მაგრამ საყვედური არ წამოგვცდენია. კაციშვილი ჩვენი პატრონი არ იყო და აი, ახლა მთავრობა ზრუნავდა ჩვენზე. ყველაფერი საერთოა, ყველაფერი ჩვენია, ისე როგორ გაგვიჭირდება, თავი ვერ გავიტანოთ. ოც ფუთ სიმინდს ეზოში მოვაწევთ, კოლექტივიდანც შეგვხდება ცოტა, აბბობენ, ფულსაც მოგვცემენო. დედას მთელი დღე ლუქმა არ ჩაუდვია პირში, ჯერ იყო და, ხარებს ედგა წინ, მერე მათე ბიძიას სადილი გაუკეთა და ნაშუადღევს სიმინდს ვთესდით. დედა ისე მომეჩვენა მობერებული, ხელებს ვეღარ იმორჩილებდა. ასე თუ იმუშავა, სული გაძრება, კი, ნამდვილად სული გაძრება!.. შემეცოდა და ვუთხარი, შენ დაისვენე, პირუტყვს მე მივხედავ-მეთქი. უარი არ უთქვამს. საქათმისა და სალოროს კარი დავკეტე, ძროხა სასიმინდის ქვეშ დავაბი და სახლში შევედი. დედა საწოლზე ტანგაუხდელი მიწოლილიყო და ჩასძინებოდა. მივეტი და თავისი თავშალი გადავახურე. მე ნახევრად ჩამქრალ შუა ცეცხლის პირას დავჭექი, სადილზე მორჩენილი ქათმის ხორცითა და მჭადით დავნაყრდი. კარებთან ფეხის ხმა მომესმა და მაშინვე ის ვიაზრე, გილაც გვითვალებს-მეთქი. ხელი ჩაფერტლილი მუგუზლისკენ გაგაპარე. დედას გადავხედე, ეძიხა. ფეხის ხმა ისევ განმეორდა და კარმა გეიჭრიალა. ძლივს შევიტანი ეკა დეიდას ბიჭი.

— მოლი აქ, ხომ მშვიდობაა?

იგი შეშინებული შემოვიდა კარებში.

— აბა რა' გითხრა, შინ მარტოდ დავრჩი და გადმოვედი!

— ეკა დეიდა სადა?

— წარიყვანეს!

— საღ?

— დაკითხვაზე, უკვე რამდენიმეჯერ მიჰყავთ, ხან საღამოს, ხან დილით. სახლი ორჯერ გაგვიჩრიკეს!

— ვითომდა, რაო? — სკამი შევთავაზე მას.

— მამას სასამართლო იქნება ამ დღეებში და მასალებს აგროვებენ!

— დომენტი ბიძია ამდენსანს არ გაუსამართლებიათ?

— მეოთხე სასამართლოა, ჯერ მისჯით ვერ მიუსაჯენ!

— უნდა მიუსაჭონ და ციხეში ჩასვან?

— ჰო, ციხეში!.. დედას არ აძლევენ მასთან შეხვედრის წიგნს.
ვილაც კაცი იცავს თურმე, ძალიან ნასწავლი ყოფილა და იოლად ვერ
უსჭიან, თორემ აქამდე, დახვრეტდნენ კიდეც. ჩვენ მისი არსებობის არა-
ფერი ვიცოდით, ამბავი რომ გვეყითხა, იმისაც კი გვეშინოდა. დედა ტი-
რისლით ამბობს ხოლმე, დახვრეტეს, თორემ აქამდე რალაც ამბავს გავი-
გებდითო. არ დაგვიჯერეს, რომ ჩვენ არაფერი არ ვიცოდით. სახლი ორ-
ჯერ გაჩხრიეს და ხელშესახები რომ ვერაფერი ნახეს, წაიყვანეს. ატი-
რდა დედა, ბიჭს მარტოდ ვერ დავტოვებ, შეშინდებაო. მალე გამოგიშვე-
ბთო, შეპირდნენ. დედა მართლაც მალე დაბრუნდა და ამბავი მოიტანა,
მაშა ცოცხალი ყოფილა.

დედას ღრმად ეძინა, ჩვენი ლაპარაკი არ გაუგია.

— შენ რას აპირებ, გოგი? — ვკითხე მე.

— ერთხანს ვიქნები და წავალ!

შექადი და ყველი გამოვიტანე, ღვინო ღოქით ჩამოვდგი და გოგის
შევეხვეწე, ლუქმა გაეტეხა. უარი არ უთქვამს, ეტყობოდა, შიოდა. ჭიშე-
ბი ღვინით შევასე და დედას გადავხედე, სუვ ეძინა. ღვინო ერთი ჭი-
შის მეტი არ დამილებია, მაშინაც დიდი დაძალებით, ახლა მე თავად
მოვკიდე ჭიქას ხელი და ღვინო დავასხი. სხეული მთხოვდა, რომ ღვინო
დამელია, ალბათ, გოგი რომც არ მოსულიყო, ღვინოს ჩამოვასხამდი და
დავლევდო. გაგვიმარჯოს-მეთქი ვუთხარი. გოგის და ჭიქა მივუჭახუნე.
მას არც ღვინოზე უთქვამს უარი, ჭიქა უსიტყვიდ დასცალა. ეტყობა
ისიც ჩემს გუნებაზე იყო. სადღევრძელოს ორიოდ სიტყვით ვიტყოდით
და ჭიქას დავცლიდით. მეორე ჭიქაზე ენა გამექსნა, გოგის ცალი ხელი
მხარზე გადავდე და შუბლი შუბლზე მივადევით ერთმანეთს.

— ა, გოგი, რატომ მოხდა ეს ყველაფერი, რატომ?

— მამას დახვრეტენ! — თვალზე ცრემლი მოადგა.

— ნუ გეშინია ბიჭო, არ დახვრეტენ! რაკი აქამდე თავი გაიტანა,
არ დახვრეტენ. ოღონდ ცოცხალი იყოს და საღაც უნდა იქ იყოს! მამა
ჩე თვალშინ დამიხვრიტეს, ჰო, თვალშინ, ორი ტყვია დაახალეს შუბლში.

— მეც თვალზე ცრემლი მომადგა, — რა ვქნა, ბიჭო, მინდა დავიგიშვი
და ვერ ვივიშვებ, რაც ტრო გადის, შიში და უნდობლობა თანადათან
მყლავს. ვის ვუთხარა, მეშინია, ხმის ამოლება.

— მე არაფრის არ მეშინია, არა! — თავი ასწირა გოგიმ.

— არა?

— ჰო, — უცებ მოვთხილდი, — რისი უნდა გვეშინოდეს?! ახალი
დრო მოვიდა, ჩვენს უფლებებს კანონი იცავს! დღეს აგერ საყანე მიწა
დაგვიხნეს, წინათ საღ იყო ეს?!

გოგიმ შემომხედა და ჭიქა ასწა.

— მამაშენის, დავთ ბიძიას მოგონების სადღეგრძელო და გავლინოს, კარგი ვაჟაცი ყოფილა, დღესაც იგონებენ მის სახელს. მე ვიცი, იგი მართალი კაცი იყო!

მე გოგის უსიტყვოდ მივაჩერდი, არ მჯეროდა მისი ნათქვამისა და რატომლაც ეჭვმა ამიტანა, ხომ არ ეშაკობს-მეთქი. ტქნებ უნდა გაიგოს, მე ას ვთიქერობ მამაზე.

— მე მამა არ მახსოვეს და არც არაფერი არ ვიცი.

— შენ ნუ გეშინა, მე ყოველთვის დავლევ კარგი ხალხის სადღეგრძელოს!

დედას გახედე და გოგის ვანიშნე, ხმადაბლა ელაპარაკა. გოგიმ ხმას დაუწია და თითო დამემუქდა, რატომ მამაზე არაფერს არ ამბობო. რა მეთქეა?! ჭიქა უსიტყვოდ დავცალე და სუფრაზე დავდგი, არ მსიამოვნებდა, რომ მამაზე ამდენს ლაპარაკობდა. ვთხოვე, ჭიქა დაცალა. უემომხედა და მითხრა, შენ არ ყოფილხარ კარგი ბიჭიო. თავი ჩაგქინდრე, მქონდა კი, სიტყვის თქმის უფლება?! რამდენი წელია მამის საფლავზე არ აესულვარ, ყვავილი არ მიმიტანია!.. ღვინო მომეძალა, ავდეჭი და ბორბიკით გარეთ გავედი. გოგი გარეთ არ გამოსულა და, როცა შევბრუნდი, ჭიქას ღვინით აესებდა. მთვრალი იყო ისიც, გვერდით დაცუჭაქი და ჩემი ჭიქა შევავსე.

— გოგი, ე, შეხედე, — და თითო სტალინის სურათისკენ გავიშვირე, იგი დღეს ჩვენი ბელადია, დიდი კაცია, ქართველია, ბიჭო, გაუმარჯოს დიდ ბელადი!

გოგიმ ორივე ხელი მომჯილა და მკაცრად შემომხედა.

— მაგან ბიჭო, მამაშენი დახვრიტა, მამა დამრიცირა!

— გოგი!

— ჩვენ როდის დაგვიჭერს, ვინ იცის!... მე ჭიქას ხელს არ მოვკიდებ!

— ადგა, თავი მძიმედ გააქნია, არა, არ დავლევ, მე შინ მივდივარ, კარგად იყალები! — ზურგი შემატებია და გარეთ გავიდა. გავყევი, ჭერ ჩემთან მსგავსი რამ არავის უთქვამს. ძარღვებში სისხლი გამეყინა, მინდოდა მეყვირჩ, შენ რა თქვი — ეს-მეთქი, მინდოდა მოეხეეოდი და ორივეს ერთი ცრემლით გვეტირა, მაგრამ ვერც ერთი და ვერც მეორე ვერ შევძელი, ვიდექი კარების წინ და ამღვრეული თვალებით გავყურებდი სიბნელეში მიმავალ გოგის...



უსანეცით სონეტები

1.

წარსულის ხსოვნა მივაძარე კეთილ შეზობელს,
 მომავლის გზები დავაზმანე ტაძარს ზარებად,
 სიკვდლის შიშით ზიარება არ მეზარება,
 მე ჩემს ეზოში ყოველ დილით ვხვდები ეზოპეს.

აქ აღიმართა უპირველეს ჯვარი ნინოსი,
 აქ აღავლინა რუსთაველმა ღვთიური ლოცვა,
 აქ მოინათლა, მზით აიგსო და მერე, როცა
 თვალშინ დაუდგა ინდოეთი, განგი, ნილოსი,

ყოველი ღმე მესხურ ოდის კართან ათია,
 სახელი მისი პოეზიის ათინათია
 და უკვდავია უკუნითი უკუნისამდე.

ახლა აქა ვარ, აქ, გაჭრილი სამარის პირას,
 აქ ჭოროხისპირ ამოზრდილი ტირიფი ტირის...
 მე შორი გზა მაქვს გასავლელი მასთან მისვლამდე.

1990

2.

ვინ იცის, იქნებ დამიღამდეს მასთან მისვლამდე,
 ეს გზა შორია, როგორც ცა და მიწა ერთიან,
 ღლეს ჩემი შემწე ყოვლისშემძლე მხოლოდ ღმერთია,
 სამყაროს ჩემსას უმისოდ ვერ გადანისლავენ.

გულზე მაჩნია განაჩენი დროის და სივრცის,
 წლები, რომლებიც იმ უუამო უაშში გავლიე,
 ავსილი ჯამით საწამლავი ბევრი დავლიე,
 უუმური უამი რას მიქადის, არავინ იცის?!

და მაინც ვდგავარ ფეხშიშველი და თმაშლილი,
ჩემი ჰობია ჩემს მღელვარე დროსთან კავშირი,
დროსთან, რომელიც ყოველივეს გადააფასებს.

მოდიდან გავა ყალბი ტაში, ყალბი ტიტული,
ხელში შეგვრჩება ზოგიერთის მხოლოდ ფიტული
და გაეხსნება ასპარეზი მრავალ ათასებს.

1990

3.

მწამს გაეხსნება ცხოვრების გზა მრავალ ათასებს,
მანამდე ყველა მედროვე და კონსერვატორი,
მანამდე ყველა მექრთამე და მისი პატრონი,
ჯერ კიდევ თავის უსირცხვო გვამს ძვირად აფასებს.

ჯერ კიდევ კახბა ტრადიციის უარმყოფელი,
სავსე თეძოებს ვნებააშლილ ვირებს თავაზობს,
ემორჩილება ცარიელ გვამს — „ჩემო ლამაზო,
ჩემო კეთილო, შენით მიყვარს წუთისოფელი“.

ასე ნებდება, ეფერება, ელაქუცება.
დღე, დღე თენდება და ბამდება ისევ უცვლელად,
შებინდებისას ცას გააპობს სტვენით ტოროლა.

ლამე დაცვარავს სამყურას და დილის ნიავით
ხეების ჩრდილში შეირჩევა ტოტი ქლიავის,
და ოდის კარი გაიღება თითო-ოროლა.

1990

4.

შარაზე მგზავრი გამოჩნდება თითო-ოროლა,
ბებერი მწყემსი გაუდგება მინდორში ნახირს,
გამოვა გარეთ და წაბაძავს გუგულის ძახილს
ბიჭი — მერცხალა, ახტაჭანა გოგო — ოლოლი.

მხარზე შეისვამს სოფლის დილა ვეება კოცონს,
 მწვანე ბორცვებზე ცხრათვალა მზე გაფენს ხალიჩებს,
 ხეებს და ფოთლებს მხნეობას და სითბოს ანიჭებს
 და ბოსტნის ბოლოს ლოყაწითელ ყვავილებს კოცნის.

მზით იმოსება დედულეთის ყოველი ადლი,
 მოედინება წყაროსავით ბუნების მადლი,
 თავს იწონებენ ნაბდიანი მთები გარშემო.

განაბულია და ზეომობს ირგვლივ ყოველი,
 სხვა სასწაული მე არც მინდა და არც მოველი,
 ჩემს მამულში ვარ, ჩემს მიწაზე და ჩემს ხალხში ვარ.

1990

5.

დარეკეს ზარი და აივსო ეზო ბავშვებით,
 ბავშვი ბავშვია და ღარბიან ეზოს გარშემო,
 ჩენი ბავშვებით საქართველოს მუდმივ ვალში ვართ,
 ვალს გადავიხდით უმოწყალოდ თუ არ დავშრებით.

შამფურა ბიჭი სამფეროვანს მოარხევს დროშას,
 ჩვენი იმედი, ჩვენი ჩწმენა, ჯავარი ჩვენი,
 გოგონებს მკერდზე საქართველოს დროშები შვენით,
 დროშა, რომელიც თავისუფალს გვაუწყებს დრო-ჟამს.

კეთილი იყოს ეს ავსება და განათება,
 თავისუფლების მტერს სიკვდილი და ანათემა,
 ჩვენი სამშობლოს ბედ-ილბალი ჩვენთა ხელთ არი.

გამოჩნდა სივრცე და ვარსკვლავმა გამოანათა,
 ბედის ვარსკვლავმა, ჩემო დაო, ჩემო სანათა,
 გხედავ ვინ არის საქართველოს კარგი მხედარი.

1990

ახლა ჭირდება საქართველოს კარგი მხედარი,
ხატი და რჯული, ჩვენ რომ ჩვენი საქმე ვაკეთოთ,
მეტი ექნება მამულს ჩვენსას მზე და სიკეთე
და ეყოლება პატრიონი და წინ გამხედავი.

კითხვა, რომელიც ჩვენ დაგვისვა თვალ ცხოვრებამ,
პასუხს მოელის დროის სამი განზომილებით,
ჩემი ხედრია სიმართლესთან დაძმობილება,
მე მშობლიური არაფერი მეუცხოვება.

ვარ მოდებული ღობე-ყორეს ვაზის ლერწივით,
სულ მალე ბუდეს მიატოვებს ჩემი არწივი,
მიატოვებს და გადმოხედავს ციდან სამყაროს.

მე კი, მე, ჩემო საქართველო, ჩემო ტაძარო,
შენ, ჩემო დედავ, ხოლო სხვისთვის დედინაცვალო,
მოვდივარ შენსკენ, ვარსკვლავების მომყავს მაყარი.

1990

7.

შენს ღელე-ღურდანს, შენს მთა-გორებს ვერვინ
გამყაროს,
ჩემო მტანჯველო და ათასჯერ ჩემთვის ტანჯულო,
მტერი, რომელიც ვერ იქნა და ვერ მოვარჯულე,
იქნება საღმე ვიწრო გზაზე გადამეყაროს.

ეს ახირება ნუ იქნება დარღის მიზეზი,
ხაღარდელს ჩემსას ვინ დაუდოს ზღვარი ბოლომდე,
ბოლომდე მენდე თუკი ერთხელ გულით მომენდე
და ნახე ჩემი სიყვარული უფაქიზესი.

ღმერთმა ქნას, წალმა დატრიალდეს ჩემი ბორბალი,
მე წარსულს ჩემსას სისხლიანი მქერდი მოვბანე,
და შევუხვიე ვაზის ლერწით გულის იარა.

ახლა კი დროა თავი მივცე მაღალ მწვერვალებს,
 გაზაფხულისკენ მოვაბრუნო ეს თებერვალი,
 რომ ჩემს ეზოშიც სიხარულმა ჩამოიაროს.

1990

8.

დღეს მე ვიწამე მხოლოდ ერთადერთი სამება,
 ყველაფერს თავის ადგილი აქვს ხალხში და დროში,
 ცხოვრებისათვის კმარა ერთი უბრალო გროში,
 სიცოცხლისათვის — მხოლოდ წვა და მხოლოდ წამება.

ბუნებას უყვარს იდუმალი პარადოქსები,
 ჩემი სახლ-კარი მოვარიდე ზვაგსაშიშ ზონას,
 სასწორით ხელში დგას თემიდა, ყველაფერს სწონის,
 ეს არის ჩვენი ბედისწერის დღე და მოსწრება.

თანდათანობით ფართოვდება ფიქრის საგანი;
 — ვინ გაუზომა დედამიწას სიგრძე-სიგანე
 და ვინ უწოდა ადამიანს ადამიანი?!

შებოჭილია არტახებით ჩემი ცხოვრება,
 ამჟვეუნიური არაფერი მეუცხვება,
 რადგანაც, ვიცი, მეტისმეტად დავიგვიანე.

1990

9.

დღეს მეცხრე დღეა, რაც დაწერე შენზე სანეტი,
 მეცხრე სონეტიც აღიმართა, როგორც ცხრა მუხა,
 მდევარ ბედს ვერსად გაექცევი, ვერსად წაუხვალ,
 სულ სხვა საქმეა რა დრო არის და რა მომენტი.

გრიგოლი ჩადგა, ზღვა დაწყნარდა, ცა მოიწმნდა,
 თეთრ მანდილოსანს მიაქროლებს თეთრი კარეტა,
 მე დღე და ღამე ატუზული ვარ შენს კარებთან,
 სხვა არაფერი — მხოლოდ შენი სიცოცხლე მინდა.

ლმერთმა შეგინდოს, რასაც მტანჯავ, რასაც მაწვალებები
ერთ მშვენიერ დღეს ყულფად ვაქცევ მე შენს ნაწნავებს
და კომედია ტრაგედიით გათამაშდება.

მანამდე ჩემი აღსარება ვის ჩავაბარო,
ვის ჩავაბარო აღსარება, ჩემო მთა-ბარო,
ვიღრემდის ჩემი ბობოქარი სული დაშთება?!

1990

10.

მეათე სონეტს მივაფრქვიე ჩემი საოჭმელი,
ჩემი საოჭმელი მივაზვავე მზეს და განგებას,
ვინ მეკითხება განგებ სოფლის მე რა გამგე ვარ,
შენ სად დაგტოვე, მე სად დაგხვდი და შენ სად მელი?!

შე საქართველოს ნაწილი ვარ სისხლით სისხლთაგან,
ხორცით ხორცთაგან საქართველოს მე ვარ ნაწილი,
ტანზე მაცვია შავი ჩოხა, შავი ყაწიმით.
ვარ ვარუჭული საქართველოს ცხელი მზისაგან.

შენს სიხარულში ბევრი ჩემი ცრემლი ერია,
მე ვიცი, შენს მრევლს ჩემი მტერი ვერ მოერია,
სასოწარკვეთის საფუძველი რა მაქვს თვარა კი?!

ლმერთო, მომასწარ იმ ჩემს ნანატრ თავისუფლებას,
მე შემიძლია ჩემს თავს მივცე მის უფლება,
შენთან მოვიდე და ქართულად გელაპარაკო!

1990

11.

სიტყვა, რომელიც ჯერ არ მითქვამს შენ შთამაგონე,
მისი იმედით დავალ ასე თავაწეული,
მისით სავსეა ყველა ნერვი ჩემი სხეულის,
შენ მე ჭარბმტაცე საიდუმლო და დამალონე,

შაშინ როდესაც „საქართველოს გოლგოთას“ ვწერდი,
და წიწამურის ტრაგედია გულზე მეხატა,
სხვა გზა არ იყო, ვალი უნდა გადამეხადა,
სულ ერთი იყო სად დავსვამდი მძიმეს და წერტილს.

შაგრამ გამოჩნდა უნებლიერ კითხვის ნიშანი,
კითხვის ნიშანი შემპარავი და გამოთიშავი
და ყველაფერი აირია, როგორც ბაზარი.

მეც აქ ვარ ახლა თქვენი მონა, თქვენი მორჩილი,
ჩემს გემბანს ტალღა მოასკდება თეორი ყოჩივით,
რომ ყველა ნეკნი დამიღეწის, დამცეს თავზარი!

1990

12.

შავიდა ის დრო, შენ რომ შენი გეგონა მარტო,
შენი გეგონა ეს ქვეყანა, ის დრო წავიდა,
ჩემი დრო დადგა და ცხოვრებას ვიწყებ თავიდან,
და ერთიერთზე ვიწრო გზაში შეხვედრას ვნატრობ.

შენი წარსული გახატია კახპა გავაჩე,
შენმა პატრონმა ყულფში თავი გაყო თავისით.
თავისუფლება პატიოსან თვალად დავისვით,
რა აზრისა ხართ, ქალბატონო, ახლა ამაზე?

შენს ქმარს საცოდავს კიდევ კარგი ღმერთმა უშველა,
და შენი კუროც მიიბარა მიწამ უშვერად,
შენ კი აქ დარჩი, რომ საკუთარ ცოდვებს უყურო.

დღეს ყველაფერი მორჩილდება დროს და განგებას,
უფლის განგებას, ქალბატონო, მე რა გამევ ვარ,
ღმერთმა მტერიც კი არ მანახოს ულუკმაპუროდ.

1990

ავი ძალივით ჭაჭვს აიწყვეტს მთებში არაგვი,
თავქვე ეშვება, ყეფით უტევს „ატეხილ ჭალებს“,
ამ პირველქმნილი სილამაზით რად გავიმსჭვალე?!
ამ გაზაფხულით მოსაკლავი არ ვარ თვარა კი.

მე ბევრი ამაქ შევიძულე... და შევიყვარე
ის, რაც მთავარი და მთავარზე უმთავრესია,
ჩემი მამული, ჩემი მხარე, ჩემი მესია.
ჩემი მესია — ჩემი მიწა და ჩემი მხარე.

ჩემი ცხოვრება გაცილებით უფრო რთულია,
ვიდრე ჩანს, რაღან ხშირად შუქი გამორთულია,
შუქი, რომელიც გადათელავს ღამეს კუნაპეტს.

თეთრი არაგვი სიბნელეშიც არაგვიანობს,
მოპეტუს, მოღელავს და არასდროს არ აგვიანებს,
შავ არაგვს თავის ძლევამოსილ ტალღებს უმატებს.

1990

14.

„ტანო-ტატანო, გულწამტანო, უცხოდ მარებო“,
რომელი ერთი ჩამოვთვალო, რომელი ერთი,
მე მირჩევნია თვალებს შენსას დეკოლტე მკერდი,
ოღონდ ამეღამ, ოღნავ ღიად სახლის კარები...

ვწერდი და ვწვავდი უმოწყალოდ, ვწერდი და ვწვავდი,
სიბილწეს შენსას ვერ დაიტევს ჩემი სონეტი,
მე არასოდეს არ ვყოფილვარ შენი პოეტი,
სულერთი იყო ჩემთვის მაშინ შენ როგორ გწამდი.

შენ წითელ მანდატს ასდიოდა ლოგინის სუნი,
ჰალსტუხიანი ჭაყოების ვნებას და სურვილს
აყოლილი და მეღიღურად შეფარებული.

მე ყაბულსა ვარ, თუნდ ამაგონ მკერდით დანაზე,
რომ არასოდეს არ ვიქნები შენისთანაზე
გაყაღრებული, რომ აღარ ვთქვა შეყვარებული.

1990

ვნებათა ღელვა აბობოქრდა, როგორც ორლანი,
 არჩევანს თავის კანონი აქვს, წესი და რიგი,
 კანონის იქით იმზირება, ვინ არის იგი,
 ან ამ წვრილმანზე ფიქრი ჩემი რატომ მოვლალე?!

რატომ აივსო მოლოდინით ცეცხლგამძლე ყუთი,
 პატარა გული — ბობოქარი შავი ზღვის ტალღა,
 ვინ ეზიდება ფიქრებს ჩემსას მაღლა და მაღლა,
 ჩემი სიცოცხლე ასაფრენი წამია ნუთუ?!

განკითხვის ნაცვლად ბობოქარი ტაში და ტაში,
 მეც იქ ვიყავი, ურუანტელი მივლიდა ტანში,
 არა მონური მორჩილების, არამედ — რასხვის.

მე ის ცხოვრება შიშველ ტვინში მიყრიდა ნემსებს
 ზა გწერდი ჩემთვის უამისუამად უწმაწურ ლექსებს,
 რომ გაყინოდათ მსუნავ ბოსებს ძარღვებში სისხლი.

1990

ვერ მოვარჯულე უკუღმართი ბედი მდევარი,
 მივყვები ბილიკს, ზოგჯერ სული მიჭირავს კბილით,
 შხაპუნა წვიმა გაღარეცხავს ბილიკებს დილით,
 მწვანე ფოთლებში გამოახელს თვალებს მტევანი.

მოულოდნელად აღიმართა წინ რუბიკონი,
 რა გამამართლებს თუ გადატყდა ხმალი ვადაში,
 მზის ნაერებრებს ცხელ ქვიშაზე წვიმა გადაშლის,
 სივრცეს გახაზავს წეროს გუნდი, როგორც სტრიქონი.

დღიურებს ბევრი უდღეურის სახელი შერჩა,
 ისე ვით ომის ისტორიას წყეული ქერჩი,
 უსახელოდ რომ შეიწირა ჩვენი ბიჭები.

თოვქოს ვიღაცამ გულზე ბასრი დანა დამისვა,
 წამით შეირწა დეღამიწა და ჩამონისლა.
 ცოტა კიდევ და ჩემს საფლავსაც დაბიჭებენ.

1990

ჩემს თვალშინ ბევრი ბობოქარი წელი დასრულდა,
წლები დასრულდა ძიების და „ელდორადოსი“,
სხვა დრო მოვიდა, სულ სხვა ჟინი და სხვა პათოსი
სხვა გზა არა მაქს და პაემანს ვნიშნავ წარსულთან.

, „სიცხლიან სონეტს“ დავადევნე ჭაღარა რითმი,
რათა სიმაღლე მივუმატო მამულის დროშას,
წლები, რომლებიც ჩამეხსრვა იმ თახსირ დროში,
ჩამოეწერა ჩემს ცხოვრებას მთლიანად თითქმის.

ახლა, როდესაც ჩენი ყოფნა-არყოფნა წყდება,
ბევრი ნიღაბით შეიმოსა და გული მწყდება.
თავად განგებაც ვერ გაარჩევს მტყუანს და მართალს.

დარჩეთან ჭიდილი ალამაზებს ისევ ცხოვრებას,
ჩვენ კი ზოგი რამ ტყუილ-უბრალოდ გვეუცხოვება,
რადგან ქვეყანას უკანონო კანონი მართავს.

1990

18.

დაუდევრობას ჩვენსას ჩვენი ღმერთი შევწირეთ,
ღმერთი ღმერთა, იმიტომ, რომ იგი ერთია,
მე მაინც მჯერა ჩემი შემწე ისევ ღმერთია,
რადგანაც ჩემი წინათგრძნობა ახდა მეტწილად.

წნელის ღობეზე შეფრენილი ყიფის მამალი,
მიიზლაზნება კამეჩივით შუადღის ჩრდილი,
ქალმა, რომელსაც დაეკარგა ქალაქში შვილი,
ვერსად იძოვა დაქანცული სულის წამალი.

აგვისტოს მწუხრი ვარსკვლავების ციცინათელებს
მიერეკება და საამურ დილას ათენებს,
რომ ადამიანს გაუღვივოს ჟინი ცხოვრების.

გამოზოგილი სათნობა გამოგველია
და ძველებურად პაემანზე აღარ გველიან,
კარგს არ გვიქადის ერთმანეთის გაუცხოება.

1990

კვლავ მითვალთვალებს სიმარტოვე — სუკის აგენტი,
კვლავ აფიქსირებს ჩემს ნაბიჯებს მარჯვნივ და მარცხნივ,
იოტისოდენა გულგრილობა, იქვეა მარცხი,
შექმნის ტრაგედიის ერთი ფრაგმენტი.

მე გამოვდივარ ტრაგედიის პატარა როლში,
თოფი გავარდა და უცრად დაეშვა ფარდა,
ვინ განიცადა ეს სიკვდილი პოეტის გარდა,
პოეტის გარდა ვინ დააკლდა ხალხსა და ცოლ-შვილს.

რამდენჯერ მწარე სიმართლე ვთქვი, იმდენჯერ მომკლეს,
არ დაინდობენ მომავალში ალგეთის ბოკვერს...
რაღას გვიშველის ცარიელი ვაი და ვიში.

მწარეა ხვედრი მარტოსულის და მარტოკაცის,
როცა რეგვენი თავზე გაზის და სიქის გაცლის,
შენ კი სამშობლო გელანდება და გწეწავს შიში.

1990

20.

მეოცე სონეტს საუკუნეს ვუძლვნი მეოცეს,
რომელიც თითქმის ეს-ეს არის ხელში ჩაგვადნა,
სუფთა სინდისი, სუფთა ფიქრი, სუფთა უანგბადი,
მე ჩემმა დიღმა წინაპრებმა გადმომილოცეს.

„რეოლუციურს, ჭერ არ ნახულს, ჭერ არ გაგონილს“
ხალხი უსმენდა, ხალხი უსმენს გულმოდგინებით,
ის დაიღალა და იჯერა გული გინებით,
და პერონზე დგას მოლოდინში ბოლო ვაგონის.

მე იმ ვაგონით დამანახეს ცივი ციმბირი,
გადავდე თავი, მოვაშურე შენსკენ სირბილით,
იმ გზით, რომელიც, სამშობლოში მიგვიყვანს მხოლოდ.

ვინც მიცნობს, ყველამ კარგად იცის ჩემი წარსული,
მე ახლა განგებ არ ვახსენ ხმალი სპარსული,
ეს ყველაფერი ისტორიის ქურუმებს ვთხოვთ.

1990

გვიახლოვდება საუკუნე ოცდამეერთე,
აქ ჩერნობილის ტრაგედია უსისხლოდ ბოლოს,
ჭეშმარიტება დადგინდება ბოლოს და ბოლოს,
ბოლოს და ბოლოს გაუგებენ მიწაზე ღმერთებს.

ბირთვული საფრთხე კურცხალივით ცაზე ჰკიდია,
ჩვენ არ გავქრებით ჩელენჯერის ვკიბაძივით,
მე ვარ მძევალი სააკაძის ერთი ვაჟივით,
წუთიდა დამრჩა რისკ-ფაქტორი ისე დიდია.

მადლობა უფალს, მეც ამ დღეებს რომ მოვესწარი,
მეც ამ სიხარულს ვეფერები ხსოვნის დღესავით
და ვიმეორებ უამის უამად — ჩვენთან არს ღმერთი.

ვიცი, სიმართლე ხმალზე უფრო ბასრი ხმალია,
მაგრამ ეს ხმალი ძნელზე ძნელად მოსახმარია...
მინდა სიმართლე ჩვენს გულებში ცეცხლივით ენთოს.

1990

22.

გალაკტიონი, ლეონიძეც იყო, გრანელიც...
აგერ ახლახან დავიტირე გოგი ცაბაძე,
მე აქ ვარ ახლა, მათ სიკვდილში ვეღარ წავბაძე,
რომ არ მეხილა ცხრა აპრილის ცხელი გვამები.

რომ გაუმთელოს აპეური უღელს მონბის,
რომ დააჩოქოს ჩვენი ურჩი გოგო-ბიჭები,
(რა ამბავია სოლონლულთან რატომ იჭექა?)
საქართველოსკენ ჯარს მოუძღვის როდიონვე.

ლოცვა-კურთხევა ალავლინა უნეტარესმა,
ვიდრე დემონმა ჩვენს მკერდებზე დაწა ალესა,
გამოთვლილი აქვს ყველა წუთი მწითურ იუდას.

და ქართულ მიწას მივაბარეთ ოცი ცხედარი,
მერაბ კოსტავა კვლავ აქ არი, კვლავაც მხედ არი,
მაგრამ სულ მალე იმათ სულებს ამბავს მიუტანს.

1990

შემ შურდულივით სხივი სტყორცნა ზღვას მწვანე
კონცთან

თეთრი მანდილი გამორიყა ტალღამ ნაპირთან,
გუშინ ცხოვრებამ აქ ისეთი რამე დამპირდა,
რომ აგვისტოს ცას იდუმალი ვარსკვლავი მოწყდა.

მე ჩემს მომავალს მივახედე წარსულისაკენ,
ბოლოს და ბოლოს საზღვარი აქვს უსაზღვროებას,
რით არის სხვაზე უარესი ჩემი დროება,
ან უკეთესი — ყოველივეს ვეძებ და ვარკვევ.

მთავრობის სახლთან მოშიმშილე ხალხის კარავი,
ნუთუ არ ფიქრობს ხალხის ბეღზე ახლა არავინ?!
ან რას ითხოვენ შავოსანი მანდილოსნები?!

რეალისტური სპექტაკლები თვით ხალხმა დადგა,
თვით ხალხი გახდა გამგებელი ყველაფრის რაღან,
მე შემიძლია ვიოცნებო ნამდვილ ოცნებით.

1990

24.

ღრმომ მოიტანა ყველაფერი ჩვენში რაც ხდება,
ძირს ლოზუნები, მიტინგების გვიდგას დრო-ჟამი,
პიროვნებების დიქტატურა უნდა მოვშალოთ,
ყალბი დიღება ნელა, მაგრამ მაინც მარცხდება.

დემოკრატია ზოგს ჰგონია ნარდის თამაში,
რევოლუციის ტოლფასია, მეტი თუ არა.
წამოდგა ხალხი და ქუჩილით გადაუარა
ძველს და დრომოჭმულს, რაც სუფევდა ჩვენს ქვეყანაში.

მადლობა უფალს ამ ყველაფრის ვარ თვითმხილველი,
გადაოვლილია წყალში თევზი, ცაში*ფრინველი,
ვისი ბრალია რჭმ არ მოგვცა ფუტკარმა თაფლი!*

ზოგი ცალტვინა, ზოგი ბეცი, ზოგი პინგვინი,
 შემოსილია სხვისი წილი მზით და გვირგვინით,
 გვირგვინით, არა ხელოვნურით, არამედ დაფნის.

1990

25.

გადავიყითხე რობაქიძის „გველის პერანგი“,
 მზიანი ღლეა და ფოთლებზე ნამი იცინის,
 ოუსეთს ეწვია ემიგრანტი სოლუენიცინი,
 ძველი აზრებით და ახალი არქიპელაგით.

რუსი მწერალი რუსეთს ძველი მოდელით აწყობს,
 იმპერიული აზრი მართავს იმის გონებას,
 აწ უკრაინა აღარავის დაემონება,
 ჩვენი სირცხვილი ჩამოვრეცხოთ ჩვენსავე აწმყოს.

სოლუენიცინი ემიგრანტი ბოლო რუსია...
 და, რა თქმა უნდა, სულ სხვას ფიქრობს ბელორუსია...
 კაცმა არ იცის საით წავა შუა აზია...

კაცი, რომელიც ტყემალს კრეფს და ბალი ჰგონია,—
 თვით ხალხმა შეთხა და ხალხშივე გამიგონია,
 ყველა სიბრძნეზე ბრძნული სიბრძნე ხალხის აზრია!

1990

26.

ჩემი ოცნების საზღვარია უსაზღვროება,
 უსაზღვროება ესაზღვრება გრძნობების საზღვარს.
 გავმარგლავ ყანას, გაზაფხულის წვიმებით მაძღარს,
 მამა-პაპურად გარჯას ითხოვს ჩვენი ღროება.

საკუთარ შვილებს გამოკვებავს ჩვენი მთა-ჭალა,
 ჩვენი წყალ-ჭალა, კერე-კუჩხე, სახნავ-სათიბი,
 გაზაფხულს ჩვენსას ვინ გახადა მწვანე ქათიბი,
 ვინ ჩაულეშა საქართველოს ლია ფანჯარა?!

კაცმა არ იცის, მერამდენედ, რატომ და რისთვის,
 თავზე დაგვატყდა მწუხარება, ცრემლი და რისხვა,
 სანამდე უნდა დაიღვაროს ქართული სისხლი?!

ლირსებას ჩვენსას ვერ გათელავს მტერი ვერაგი
 თუნდაც მოგვადგეს ურიცხვ ჭართა არქიპელაგი,
 ჩემი ჭერია, ფეხზე ვდგები და იარაღს ვისხამ.

1990

27.

ნახევარი ცხოვრების გზა გავლიე!

ხალხური.

ვინ დამიბედა ბეჭვის ხიდი ყოველ ცისმარე,
 მე ნახევარი ცხოვრების გზა ასე გავლიე,
 ამ გზაზე ბევრი შხამიანი ღვინო დავლიე,
 გვიან ამიხდა სიყმაწვილის თეთრი სიზმარი.

გვიან მოვიდა სიყვარული ყოვლის მომცველი,
 დიდი ღმერთივით უხილავი და შორსმჭვრეტელი,
 მოციქულებით მიმოხატა ტაძრის კედლები,
 რომლის წინაშე ერთაერთი ვრდგავარ მლოცველი.

მე ჩემი წილი სამშობლო არ დამეყვედრება,
 მაღალო ღმერთო, შეისმინე ყველს ვაღრება
 და მიუჩინე საკუთარი სვე და სავანე.

სათნოების და სიყვარულის მიეცი ნიჭი,
 წურდულით ჩიტებს რომ აფეთქებს პატარა ბიჭი
 და ჩემს სავანეს ცხრათვალა მზე მისალმე.

1990

იმ სოფლელ გოგოს, ქალაქი რომ ნახა პირველად,
ტმ ქალაქელ ბიჭს, პირველად რომ ნახა სოფელი,
რატომ არ ვიცი, თვალი ჰქონდა თურმე სოველი
და მეგზურობდა შიში, როგორც უცხო ფრინველი.

გოგო, როდესაც დაუბრუნდა სოფლის ორღობეს,
ქალაქის ხმაურს დაუბრუნდა ბიჭი როდესაც,
გოგონას ძილში სიყვარულის ჰანგი მოესმა
და იმ ბიჭს თვალწინ აუფრინდა თეთრი ხოხობი.

• ეს ბიჭი მე ვარ, ქალაქი რომ ნახა პირველად,
გზაჩე დავკარგე შიში, როგორც უცხო ფრინველი,
და შევეჭიდე ცხრათავიან დევებს პირისპირ.

გოგო, რომელმაც სულ პირველად წყალი დალია
სოფლის წყაროზე, ახლა უკვე დიღი ქალია...
ახლაც მაწვალებს ფერგამკრთალი სახე იმისი.

1990

29.

დრო ასამართლებს ყველა დროის იმპერატორებს
და ყველა დროის იმპერიებს დრო ასამარებს.
იმპერიებმა ბოროტება ვეღარ დამალეს,
ხელში აკვდებათ უნიათო თავის პატრინებს.

მსოფლიოს რუკა შუქჩრდილებით არის მოსილი,
იღვრება სისხლი უმოწყალოდ და უგანგებოდ,
უმისამართოდ არაფერი არ იგარება,
ზოგი ჩრდილში დას უცოდველი ანგელოსივით.

კაცმა არ იცის ვინ ვის მოძღვრავს, ვინ ვის ახელებს,
ხალხის სახელით ქუჩებს უუცლით თავის სახელებს,
ბოლოს და ბოლოს დადგინდება ჭეშმარიტება.

დრო კი თავის გზით მიხრიგინებს ქველი დროგივით
და იმუქრება იმპერია: „მე თქვენ მოგივლით!“
და ზოგი ვინმე თავის კანში ვეღარ ეტევა.

1990

ლგას უსანქციო სონეტების ჯერი და რიგი,
 სიტყვა სიტყვაში ჯდება, როგორც ტყვია ტყვიაში,
 იქნება მალე შემიტანონ მეც შავ სიაში,
 მე უკვე ვხედავ ამისათვის მზად არის იგი.

შავი ყორანი რად აფეთხებს სამოთხის ჩიტებს,
 ვინ აუკრძალოს ნიავს ქროლა, ბულბულს გალობა?!
 გვაქვს საქართველოს ღვთისმშობელის ღიდი წყალობა,
 მოწყალე გული უსასრულო სამყაროს იტევს.

მე თუ აღმანთებს, ისევ ჩემი წილი აღმართი,
 აზრი არა აქვს (თუ არაფერს ადარ აღმერთებ)
 სიცოცხლეს შენსას, ყველაფერი ჩალის ფასია.

კაცი, რომელიც თავს მოიკლავს სიკვდილის შიშით,
 ვეღარ იქნება ჩვენი მოდგმა და ჩვენი ჯიში.
 სიკვდილის შიში ვერ ეწყობა ქართულ ხასიათს.

1990



ვისოცი — ვისოცი

პოეზის პრიზე

ვისოცი — ბევრზე წინ იდგა უთუოდ და ამის ახსნა არ არის ძნელი. მას არც დუმილი ემარჯვებოდა, არც ოვლობაშვილი. ვისოცის შეიძლება ჰქონდეს სტროფი ძლიერი და სტროფი სუსტი, მაგრამ მასთან ვერ ნახავთ სტროფს — გაყალბებულს. უცხან მისთვის რასტროვნება, ცრუ იდეები, მიეიბ-მოკიბეა, დედაბუნებას მოგვაგონებს მისი ნაღვაწი, ბუნებასაცით მარტივია, უბრალო და მადლიერი.

ბევრია მის ცხოვრებაში გასაგებარიც... თუმცალ სწორედ ამით დასტურდება ცნობილი კეშმარიტება — ყოველი დიდი შემოქმედი თავისებურად, ჩეკნოვის ძნელად გასაგებად აღიქვამს სამყაროს და აღამიანებს, თანმედროვეობას და მომავალს, სიცოცხლესა და სიკვდილს...

აბლა რამდენიმე სიტყვა მოთხრობაზე, რომლის ნაწყვეტსაც გთავაზობთ. მისი თაყვანის მცემლებისათვის, მისი შემოქმედების მკვლეარებისათვის იგი უთუოდ მოულოდნელობა იქნება. უშველია ისიც, რომ ეს დაუმთავრებელი ნაწყვეტი დიდი პროზისა, ასევე დიდ ხმაურს და კამათს გამოიწვევს მეოთხველებში.

ფრთხო უდიტორია მიერვია ვისოცისეულ სიმღირებს, მისეულ ხმას. იმდენად პოპულარულია ვისოცი — მომღერალი, რომ ამავე უყდიტორიას უჭირს სიმღერების ტექსტის აღქმა, როცა იგი ღექსადაა დაბეჭდილი. აქ კი, ამ ნაწყვეტში არც გიტარის კენესაა, არც საყვარელი ხმა, მხოლოდ პროზაა, თავიდან ბოლომდე ცხრილებისეული პროზაა....

ნაწარმოები იწყება ფრაზით, რომელიც სულ ცოტა ნის წინათ მეტასმეტად გამომწყვევად । შეიძლებოდა მოგჩვენებოდათ — „გოგონებს უცხოელები მოსწონდათ“... მაინც რამელ გოგონებს მოსწონდათ უცხოელები? რატომ მიანც და მაინც უცხოელები და არა ჩენი, საბჭოოთა ჭაბუკები? რა, გაუჭირდათ პოვნა? ან რატომ ირჩია ვეტორმა ასეთი, გაცემითოლი ეპითეტი რომ მოვიშველოთ, „ნევატიური“ მოვლენა და თუ აირჩია, რატომ არ უტევს, რატომ არ აკრიტიკებს ამ ნევატიურზმს.

სულაც არ ვიზიარებ აზრს, რომ ამ ყაიდის შეკითხვებმა თავისი დრო მოჭამა, მაგრამ ამჟამად მე ვისოცის პროზის განხილვას არ ვაძირებ, ერთს კი ვიტვი — დაას, იგი არც თავს ესხმის, არც აკრიტიკებს. იგი — იკვლევს, ეს კი მეტად მნიშვნელოვანია.

არა გასაკირი, რომ ვერავინ შესძლო მისი გადარწმუნება — ბოლომდე სკერძოდა, ასეთი გოგონების ფსიქოლოგის შესწავლის აუცილებლობა, თავისი საქმე სხვაზე უკეთ იცოდა და გზა-ბილიკის ბოლოში გასუ-

ლმა კიდევაც თქვა საოქმელი, თქვა ძალზე გასაგებად და მტკიცეთ... ამრიგად, ვისოცკი-მწერალმა მიზანს მიღწია — დაგვისატა წევრი ყოფის ის მხარე, რომელიც მას, როგორც იტყვიან ხოლმე — „შემოქმედების აღრეულ ეტაპზე“ აინტერესებდა.

აქ სხვაც გარევა, თემებს, რასაც თავისი აღრეული სიმღერების სიუკერებად თვლიდა, რასაც ოფიციალობისაგან დევნილს ფრინველივით სულში შალავდა, ყოველთვის მეტად სერიოზულად ეკიდებოდა და სწორედ ამ სერიოზულობის შედეგია მისი დიდი ტკივილი. მის მოთხრობაშიც ისე ციცქალია ფერები, ისე მსუბუქია მისი ყალამი, რომ გაგიჭირდება გარჩევა — მოელი სიცოცხლე პროზას მიუძღვნა ვისოციმ თუ სიმღერებს.

ქედს ვიხრი იმა წინაშე, ვისაც შეუძლია ასე ბოლომდე, ასე ხმამალი თქვას საოქმელი, — სწორედ ვისოცის და მსგავსთა მისთა უჭირავთ მხრებით რწმენის კადალი, რომელიც მიუწელვად ყველაფრისა, კვლავაც დგას.

ნათალია პრიმოვა.

რომანი გოგონებზე

...ძლივს აალწია მესამე სართულზე ტამარკამ.

„ნეტავი კი მამა სახლში არ დამხვდებოდეს“ — გაიციქა და კარი შეალო.

მოულოდნელად — ნიკოლა...

— გამარჯობა, — ამბობს იგი.

— გავიმარჯოს, — უასეუბა ტამარკამ და სიჩუმე ჩამოწვა უსაშველო, დავარდნილი გიტარის ედარუნი არღვევდა დუმილს, მშობელი, უკვე გვარიანად ჩაბუბუშებული, ცნობისმოყვარედ იუურებოდა — რა მოხდებაო, მაგრამ ოთახში მყოფი მესამე კაცი ზღაპრით წამოდგა.

— წავიდეთ, მექსიმ გრიგორიჩ, სასმელი დავამატოთ. ამას უკვე ფსკერი მოუჩინს, — და მაქსიმ გრიგორიჩმაც იყადრა წამოდგომა, ტოლიკას გაძყვა. გვარი არ ჰქონდა ტოლიკას, კოლიკას მეგობარს. სამაგიეროდ პროფესია ჰქონდა უცნაური და იშვიათი — ვოგზაური.

— ტამარ-კა, ტოო-მა-ჩია — წამლერა ნიკოლაიმ, — ოქრო გოგონა, — ამოთქვა მძიმელ, მძიმელვე მოითქვა სული. მერე ერთბაზად ამოისხოლა — ვზივარ აქ. გელოდები... დამაწყდა ნერვები... ჭობია სასმელმა დამაზრინს, ვიღრე ბოლმა-მეთქი, — გაიხუმრა და კელავ შეჩერდა, უელი დაეხშო. შეცვლილხარ, გოგო, ლონდ ჩემთვის არა, ჩემთვის თითქოს არც ყოფილა ეს სამი წელი. ისეთივე დამჩინი, როგორიც დაგტოვნუ მელი-მეთქი, გოთხარი მაშინ.

— არც კაბირებდი, — უმიზეზოდ ჩაურთო სიტყვა.

— ჭერ მე შაცალე, გოგო ტამარკა, შენ შენი მერე თქვი, სამი წლის ნაგროვები ამომათქმევინე. შენს ნატვრაში ეს სამი წელი სამასად მეჩევნა, ცხადში რომ თვალწინ ყოველი, სიმარტიც შენ გეხვეოდი, წერილებიც, სიმღერებიც შენი იყო მნილოდ. სადაც

ვიყავი, უკელგან თან მახლდი. თვალს დავხუჭავდი, მიცინოდი. ჩემს ჩურჩულს უსმენდი წერილს ბევრს გწერდი, გწერდი და ვეკედი. არა საჭირო გახსენება, დაე, იურინოს-გეთქი უჩემოდ. ვცადე, ვერ შევძელი სხვონის ამოშლა. მაგრად დამდგენ, რეინის შარ-თებით. უკელგან გვერდით მჟავდი და გეხვეოდი, კიდევ და კიდევ... ასჭერ, ათასჭერ... ასლოს მოიწი, რაღას უდგახარ, გოვონი.

— ვეუფლა — კოლია. — ტამარეა შეაცბუნა ბაჭის სიტუვებმა, დაულაგებულმა და მართალმა. ცოტა არ იყოს, არტისტულმა სიტუვებმა. — შენთვის ეს სამი წელი ვო-თომც არ ყოფილია. ჩემთვის კი იყო და მერე რა იყო. შენი თავი არა მაქვებ, დავიღა-ლო, წადი რა, კოლია!

არა, ნიკოლაი სეიატენიოს მოშორება ადვილია არ იყო. თუ რამე არ გამოსდიოდა, მოკვდებოდა და თავისის მაინც გაიტანდა, ხასიათი დაჭიფვა ასეთი.

— ეს, ტომქა, ტომქა, რაო, გავიზარდენითო, დავხერისულდითო? — უკვე ნაც-ნობ პანგზე ამდერდა ბიძი. — სიტუვაში გამოსვლა არ მოგვეწონაო, ხასლიდან მიბრძან-დითო. ვაჲ, მართლა ფიქრობ, კარს ვავისურავ? ეგ რამ გაფიქრებინა, ღმერთმა დამო-ფრიოს. სამი წელია, გოგო, სამი წელია ამ წუთებს ველი და ახლა ავდგე და წავდე? აბა, ახლოს მოიწი, მომიახლოვდი, აი, სახ... მომეხვივი, ჩამეგარი, ვითომ მელოდი, ვითომ გული გელოდა, ამოიტრე როგორც წესია. „დღე და ღამე შენზე ფიქრში არ მეძინა, ბიჭი, ნიკოლაი, შენ კი წერილიც არ მაღირსე. მხეცო, უგულოვ. შენზე დარღმა ჩამო-მახმი და დამანელა“.

— კოლია, მორჩი, არც მიდარდია, არც ჩამოვმხარვარ, კიდევაც მიცხოვრია და თითქმის არც გამხენებითარ.

— „თითქმისო?“ — ყოჩალ, გოგონი. ეს უკვე რაღაცას ნიშნავს. გამოდის, იშვია-თად, ათასში ერთხელ მაინც გახსენდებოდი. მე ესეც მეტოფა. — კოლია ამ ერთმა სიტუვამ ისე გახარა, თითქოს გოგო სიყვარულში გამოტყდიომოდეს.

— დაშვიდლი, კოლია, დაჭექი, ილაპარაკე, თუნდაც იმღერე, რამე ისეთი, მხია-რული...

„შედგა კოლია, შეისვენა და გიტარა აიღო. გული ცოფიანივით უხტოდა. სიმღერაშ წყურვილივით მოუარა, მისმა კი არა, სხვისმა სიმღერამ, თავისად რომ თვლიდა, ისეთ-მა:

მორიგ მსჯავრამდე ვზი და ვოცნებობ,
გაქცევა... დევნა... და ისევ — მაქე,
თქვენს ცხოვრებაზე მომწერეთ, ძმებო,
რა ამბეჭია, რა ხდება მაქეთ.

გიტარა ლალატობდა, დაცემისაგან სიმშერეული მისი გიტარა. ააწყო, გააგრძე-ლა... გოგოს თვალებში ჩაბუდებული გაოცება შეუმჩნეველი დარჩა:

აქ ზამთარ-ზაფხულ თოვს და გვათროთოლებს,
(არც გადაიღებს, ისე გაერთო...)
სუყველაფერი მომწერეთ, თორემ
აქ არაფერი ხდება საერთოდ.

დაბალი, ჩამოწყდარი ხმით მღეროდა ნიკოლაი, თითქოს არც მღეროდა, რეჩიტატი-ვით გამჭონდა მარტივი მელოდია:

ლექსები თარგმნა ვახტანგ ლლონტმა.

ଏହା ତେର୍ଗଢ଼ି ଓ ଏହା କ୍ଷେତ୍ରକୁ ଦିଲ୍ଲି
ହିନ୍ଦୁ ଦେଖିବା ପାଇଁ ଆମେ ଯାଏନ୍ତିରେ କିମ୍ବା
କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା

წესით ნადიუშაგე უნდა ემღერა, განგებ შეცვალა სახელი:

იძელის ჰაფუ გადარჩენილი,
გამიადვილებს ყოფას საძნელო...
ეგებ არც მომცენ თქვენი წერილი,
მაგრამ თქვენ მაინც მომწერეთ, ძმებო.

დასარულა და გიტარას ყელშე თოთხმი წაუჭირა, ბეგრამ გრძლდა ამოიკვენა. ნალექუნი სიმღერა კიდევ უფრო დანალლიანდა. თავადაც თვალდახურული იქნა, ხასოჭავებას, ვერდებას, თხოვნას ერთად მოეკარა თავი ბიჭის სახეზე.

— ეს სიმღერა უდინაო საიდან? — უცეკითხა ტაშარკა, როცა ნიკოლაიმ, ბოლოს და ბოლოს, თვალი გაასილა და მას უცედა.

— ბიტებმა უემოიტანეს ბანაკში. ვიღლაც ყოფილა კულერშივი ალექსანდრე, უბად-რაგონი ფულს ოხრად ჰყირიდნენ მის სიმღერებში. ძველი ფიჩები იყო, ათასეურ გადაშელით და გადაწერილი, კიდევ ათასეურ ფუსმენდით, სიტყვებს ვარჩევდით, მერე ვიწერდით, ჩუმად ვინახავდით. ჯველა გრძელებოდა, უცელა კუუას კარგვდა. ჩერებისას უფროსობა ფურცლებს გვაწერდა. უხ, ჩვენ, ბოდიში, გვართმევდათ მინდოდა შეთქვა. ამბობენ ზის თურმე სადღაც, შეონი მოკლეს კიდევაც ეკ ბრჭი. თუმცა ზუსტად არ ვიცი. ბანაკში ჩას არ გაიგებ. ათასგვარ ისტორიებს აცხობენ, ათას ჩამეს ლაყბობენ, იგონებენ, ალბათ. მოგვწონა?

— მომეწონა, კი, — ჩაილაპარაკა სმაღაბლა, მერე შეეხვეწა.

— კიდევ იმლერე რა, კოლენგა!

— მერე იყოს, — მიუჩინდა, გიარა განცე გადალი, მუდარაგარეული შეკითხვა დაუხსეა: — იქნებ გვეკუცა ზაინც, გოგო, ტამარქა?!

პასტი არ იყო. მაშინ კოლეკა იხე მოიქცა, როგორც წესი და რიგი მოითხვდა — კარი გამოაღო და აივანს გადაუვლო, მერე კი, პატრიში გამოკიდებულმა, მოაგირს ჩაბ-ლაუჭებულმა, კატეგორიულად მოითხოვა.

წამიც და კოლგა უკანვე გაღმოაფრინდა მთაჭირს. გოგოს უკვე თავად ჰყოცნდა და იხუტებდა. მოშიებული მგლის სიხარბე, ყელგამშრალი კაცის მწყურვალება იგრძნობოდა ბიჭის ალექსაზი.

— კარები გადაკეტო, ლოცანან, მასე მოპრუნდებან! — გოგო ხელში აიკვანა, ძირასი რთვირთით მიიღდა კარებთან და გადაჩახა. საჭიროდ მიუახლოვდა დივანს.

— ၁၅၃၄၊ ဟိုခါး ၉၈၁ၬ။

გალიაში გამოსწუვდებული ლომიით ბორგავდა ბიჭის გული, მხრევას სუნთქვას უშანთავდა და აღლვებდა ტამარება. მალე გოგოსაც ეწვია სურვილი. ისც მოხდია, მანაც მიიზიდა. ცნობისძაკარგებას პგავდა ბიჭის ქვეშა: ტამარება, ტო...მე... ტუჩები

ბით სხეულს დაეკონა, მისი სურნელით გაიულინთა, მასში გაითქვიფა. ოგზატოცხლი
შეკრივ სიბრძელეში იძირებოდა ნელ-ნელა, ნება-ნება... ბოლოს უსკერს უწირად და უწირად
ნიღდ გაეხვია ვნებაცხრომის სელ სურნელოვან ნადულ-ნარევში. აღარ ახსოვდა აღა-
რაფერი. ფიქრისა და განსჯისათვის აღარ დარჩა მასში აღვილი. გოგოს სიტყვებმა გა-
მოაუზარდეს:

— ახლა კი, კოლია, მართლა წალი და ნულარ მობრუნდები. გეშმის კოლია? თუ
გოუვარგარ, ახე უნდა მოიქცე. ახლავე წადი, ამ წუთში, მარტოობა მჟირდება. ცუდად
ნუ გამიგებ, შენგან არაფერი მწყევნაა, შენ არაფერ შუაში ხარ.

— ვერ მოგშორდები, ახლა რომც წავიდე, ხვალ მაინც მოვალ. სხვას შენს თავს
ვერ დავუთმობ. ხომ იცი, კოლე კოლევას მარწუხებს ვერ გაექცევი, არც ეცალო.

— გაგებელები, კოლია, გაგებელები. ახლა შე ძლიერი ვარ. გაჭირება ღონეს მატებს
აღამიანს.

— ვინ შეაწუხა, ყელს გამოვლადრავ!

— მედა გაულია. ყელს გამოვლადრავ! შენგან სხვას რას უნდა ელოდოს კაცი. ნეტი
კი იცოდე, ვისაა, ყელს გამოვრას რომ უპირებ.

— მაინც ვისაო?

— მე კოლია, უკვე სამი შელია საშეასთან ვარ, სწორედ მაგ შენს კულეშიცთან.
ვის სიმღერებსაც მიმღეროდი, ვისაც მისტიროდი. არც მგდარა, არც მოუკლავთ; თქვენი
მომღერალი — ორატრში მუშაობს. ბოდა, ამ ბოლო ხანს ვერ აეწყო ჩერენი საქმე.
გაიგე?

ყველაცემშე მიძებნიდა პასუხს კოლია, ყველაცემს შემოუვლიდა — ამის გარდა,
განაუში შეიცვარა ეს ბიჭი. არ ენახა და ეგონა, რომ შეკვედროდა, ათას კაცში გამოარ-
ჩევდა, პირველ დღეზე დამძაცვდებოდნენ, მაშინვე გაუგებდნენ ერთმანეთს. იმიტომ
რომ სიმღერები მოსწონდა უსაშლეროდ. უგონა, თავადაც თავის სიმღერებს ჰევდა
ტუპისცალივით. ან კი სხვანაირად როგორ იქნებოდა. მარტო კოლეა ხომ არ გიყდებო-
და. მთელი ბანაცი იმას ნატრობდა, ნეტა ჩერენთ გადმოიყენდნენ, ნეტა თვალი მოგ-
ვაკმრევინაო, დალაპარაკებასა და ხელის შეხებაზე იცნებობდნენ. მაშ, რა გამოდის?

ყველაცემს გაუძლებდა, ყველაცემს მოინდებდა, ამის გარდა გაშეშლა ბიჭი.
აღარ იცოდა, რა ეთქვა, რა ექნა, თავისი ძმაკაცი მაქსიმ გრიგორევიჩი არც განსენებია,
აღგა და უსიტყვოდ გამოიხურა კარი.

თარგმა მარინე გოლევეპევე.





ასტერდამში გერმანულ ენაზე გამოცემული ლიონ
ფოსტმანგერის (1884-1958) წიგნი „მოსკოვი, 1937“, რო-
მელშიც ავტორი სსრ კავშირში მოგზაურობის დროს პირადი
შთაბეჭდილებებისა და დაქვირვების საფუძველზე. იძლევა
სასრ იმდროინდელი მდგრმარეობის, მისი პოლიტიკური, სა-
შეურნეო და კულტურული ცხოვრების შეფასებას, უდავოდ
საინტერესოა. წიგნი შეიცავს რიგ შეცდომებსა და არასწორ
შეფასებებს, რომლებშიც ადვილად გვერჩვევა მკითხველი..

თ ა გ ი VI

ს ტ ა ლ ი ნ ი დ ა თ რ ო ც პ ი

ე ვ ა რ ძ ი ლ ი დ ა მ უ შ ა კ ი

საბჭოთა კავშირში არიან ადამიანები, რომლებმაც თავი გამოიჩინეს არა მარტო როგორც მებრძოლებმა, არამედ — როგორც მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზატორებმაც. სწორედ ასეთ ადამიანად მესახება იოსებ სტალინი. მას საბრძოლო, რევოლუციური წარსული აქვს; მან ძლევამოსილად ჩაატარა ქალაქ ცარიცინის დაცვა, რომელიც ახლა მის სახელს ატარებს; 1918 წლის შემოღვიმაზე ლენინისადმი მისი მოხსენების საფუძველზე (მოხსენება 70 სტრიქონია) საერთო სამხედრო გეგმაში ძირეული ცვლილებები იქნა შეტანილი. მაგრამ მაინც სტალინის შემოქმედებითი უნარი, როგორც სოციალისტური მეურნეობის ორგანიზატორისა, ბევრად აღემატება მის საბრძოლო დამსახურებებს.

თ რ ო ც პ ი ს ა ვ ა რ ი ბ ე ტ ი

ბრწყინვალედ დაწერილ ავტობიოგრაფიაში საკუთარი პორტრეტის დახატვისას ლევ ტროცკი ცდილობს დამტკიცოს, რომ ისიც, ტროცკიც, ასევე ნიჭიერი კაცია, დიდი მებრძოლი და ახალი ცხოვრების შენების დიდი ბელადია. მე კი მეჩვენება, რომ სწორედ ეს მცდელობა, რომელიც წამოწყებულია ტროცკის საუკეთესო ვექილის — თვით ტროცკის მიერ, მხროლდ იმას ამტკიცებს, რომ მისი დამსახურებანი, უკეთეს შემოჩვევაში, იმის მსვლელობისას მისი მოლვაწეობით შემოიფარგლება.

დ ი დ ი კ ო ლ ი ტ ი კ ა ნ ი

ტროცკის ავტობიოგრაფია, უდავოდ, ჩინებული მწერლის ნაწარ-მოებს წარმოადგენს და, შესაძლებელია, — ტრაგიკული ბედის ადამიანის ავტობიოგრაფიასაც; მაგრამ სახელმწიფო მოღვაწის სახეს ის არ ასა-

თავები წიგნიდან „მოსკოვი, 1937“.

ხაგს. ამისათვის, როგორც მე მეჩვენება, ორიგინალს არ ყოფნის უპირატესობა, ზომიერებისა და სინამდვილის მართებული დანახვის უნარი. უმაგალითო ქედმაღლობა იძულებს მას, მუდმივად უგულებელყოს დასაშვები საზღვრები და ეს მოუწოდებულობა კი, რომელიც დადებითია მწერლისათვის, უწვეულოდ ვნებს სახელმწიფო მოღვაწის კონცეფციას. მე მეჩვენება, რომ ტროცის ლოგიკა ჰაერში ლივლივებს; იგი არ ეფუძნება ადამიანის არსისა და მის შესაძლებლობათა ცოდნას, რომელიც აგრერიგად უზრუნველყოფს მტკიცე პოლიტიკურ წარმატებას. ტროცის წიგნი საესეა სიძულვილით, სუბიექტურია პირველიდან უკანასკნელ სტრიქონამდე; უსაშველოდ უკამართლოა; მასში განურჩევლად არის აღოული მართალი და გამონაგონი. ეს წიგნს მომხიბელელობას კი მატებს, მაგრამ ასეთმა გუნება-განწყობილებამ, კეჭვობ, რომ სწორი გადაწყვეტილება უკარნახოს პოლიტიკოსს.

დამასახიათებელი დებალი

მე მგონია, ერთი დეტალიც კი საკმარისია, რათა მკვეთრად გააშუქოს სტალინის უპირატესობა. მან გასცა მითითება, რომ „სამოქალაქო ომის ისტორიის“ ვრცელ ოფიციალურ გამოცემაში, რომელსაც გორკი რედაქტორობდა, მოეთავსებინათ ტროცის პორტრეტი.

სარწმუნო სიტყვები

რა თქმა უნდა, დამარცხებული კაცისთვის ძნელია ობიექტურობა. ამას თვით ტროციც ხედება, რაც მშვენივრად გამოხატა: „მე არა ვარ მიჩვეული. — დასძენს იგი წიგნის წინასიტყვაობაში, — ისტორიული პერსპექტივები პირადი ბედის ხედვის კუთხით განვიხილო. მოვლენათა კანონზომიერების შეცნობა და ამ კანონზომიერებაში საკუთარი ადგილის პოვნა — ა, რევოლუციონერის უპირველესი მოვალეობა. სწორედ ეს ანიჭებს უშაოლექ პირად სიამოვნებას ადამიანს, რომელიც თავის ამოკანებს დღევანდელ დღესთან არ აკავშირებს“.

ხედავდა უკათვესს, გაგრამ უარესი აირჩია

არავის შეეძლო უფრო ნათლად განესაზღვრა ის საშიშროება, რომლის წინაშეც აღმოჩნდა ტროცი დამარცხების შემდეგ და რომელსაც განიცდის ყოველი დამარცხებული; ეს საშიშროება გახლავთ „ისტორიული პერსპექტივების ხილვა პირადი ხედვის კუთხით“. ტროცის შეგნებული ჰქონდა ეს საშიშროება. ის ხედებოდა, როგორი შეცდომის ჩადე-

წის წინაშეც იღგა; ხედავდა ამ შეცდომას, რომელსაც უნდა მოტკიცებოდა; ხედავდა, გადაწვეტილი პქონდა, არ ჩაედინა, მაგრამ მაინც ჩაიდინა; იცოდა, თუ რა იყო უკეთესი, მაგრამ უარესი აირჩი.

პათოსი და ისტორია

ტროცი წარმომიდგენია მხოლოდ და მხოლოდ ტიპიურ რევოლუციონერად, პათეტიკური ბრძოლისას ძალზე სასარგებლოდ, მაგრამ ყოველად გამოუსადეგრად იქ, სადაც პათეტიკური აფეთქებების ნაცვლად საჭიროა მშვიდი, შეუპოვარი, გეგმაზომიერი მუშაობა. რევოლუციის გმირული ეპოქის დამთავრების შემდეგ სასყარო და ხალხი ტროცის დამახინჯებული სახით წარმოუდგა. მან დაიწყო საგნების არასწორად აღქმა. მაშინ, როცა ლენინმა თავისი შეხედულებები გინამდვილეს მიუსადაა, ჯიუტი ტროცი განაგრძობდა მტკიცედ ჩაბლუჭებოდა თავის შრინციპებს, რომლებმაც გაამართლეს გმირულ-პათეტიკურ ეპოქაში, მაგრამ გამოუსადეგარნი აღმოჩნდნენ თანამედროვეობის მიერ წამოყენებულ ამოცანათა გადასაწყვეტალ. ტროცის შეეძლო (ეს მისი წიგნიდანაც ჩანს), დიდი დაძაბულობის უამს გაეყოლებინა მასები. მას ნამდვილად შესწევდა უნარი, პათეტიკურ წუთებში აღეგზნო ხალხი ენთუზიაზმის სულისკვეთებით, მაგრამ მას არ ხელეწიფებოდა, ეს სულისკვეთება მოეჭირა კალაპოტში, მიემართა სახელმწიფოს შენების სასარგებლოდ. ეს უნარი შესწევს სტალინს.

პეშავარითი მფრინალი

ტროცი ჰეშმარიტი მწერალია. ის სიყვარულით მოგვითხრობს თავისი ლიტერატურული მოღვაწეობის შესახებ და მე მჯერა მისი სიტყვების, როდესაც იგი ამბობს, რომ „კარგად დაწერილი წიგნი, რომელშიც ხვდები ახალ აზრებს“, და კარგი კალამი, რომლის დახმარებითაც შეძლება საკუთარი აზრები გაუზიარო სხვას, ჩემთვის ყოველთვის უყო და ახლაც წარმოადგენო კულტურის ყველაზე უფრო ღირებულსა და ახლობელ სიკეთეს“. ტროცის ტრაგედია იმაში მდგომარეობს, რომ მას არ აქმაყოფილებდა დიდი მწერლის პერსპექტივა. ზედმეტმა მომთხოვნელობამ მისგან შექმნა ჭირვეული დოქტრინიორი, რომელიც ესწრაფოდა, მოეტანა უბედურება და მოიტანა კიდევ; ამან აიძულა ხალხი, დაევიწყებინა მისი დამსახურება.

მფრინალი, მაგრამ არა პოლიტიკოსი

მე კარგად ვიცნობ მწერალთა და რევოლუციონერთა მსგავს ტიპს,

თუმცა, რამდენადმე შემცირებულ მასშტაბში. გერმანიის რევოლუციის შემთხვევაში ხელმძღვანელს, როგორიცაა კურტ აისნერი და გუსტავ ლანდუერი, მართალია, წვრილმანებში, მაგრამ მაინც არცთუ ცოტა საერთო პქნობათ ტროცკისთან. დოგმისადმი შეუპოვარმა ერთგულებამ, ცვალებად პირობებთან შეუების უზნარობამ, ერთი სიტყვით, პრაქტიკულ-პოლიტიკური ფსიქოლოგიის უქონლობამ განაპირობა, რომ ეს თეორეტიკოსები და ლიტერინიორები პოლიტიკური მოქმედებებისათვის მხოლოდ ძალიან მოკლე დროის განმავლობაში იყვნენ გამოსადეგნი. ისინი კარგი მწერლები იყვნენ და არა — პოლიტიკოსები; მათ ვერ შეძლეს როგორებათ ხალხისაკენ მიმავალი გზები; ისინი მეტისმეტად სუსტად ერკეოდნენ ხალხის ფსიქოლოგიაში; თვითონ კი ეხებოდნენ მასებს, მაგრამ ჩასები არ მიღიოდნენ მათთან.

ხასებათისა და აზრობისა საკადასახვაობა

ეჭვგარეშეა, რომ ტროცკისა და სტალინს შორის დიდი კონფლიქტის შიზეზია აზრთა სხვადასხვაობა გადამწყვეტ საკითხებზე; ეს შეუთანხმებლობანი გამომდინარეობენ ლრმა წინააღმდეგობრიობიდან. ამ ადამიანთა წანიათების განსხვავება იყო იმის მიზეზი, რომ ისინი საწინააღმდეგო დასკვნებამდე მიღიოდნენ რუსული რევოლუციის მნიშვნელოვან საკითხებში — ეროვნულ საკითხში, გლეხთა როლისა და ერთ, ცალკე აღებულ, ქვეყანაში სოციალიზმის აშენების შესაძლებლობის საკითხებში. სტალინი ამტკიცებდა, რომ სოციალიზმის სრული განხორციელება შესაძლებელია მსოფლიო რევოლუციის გარეშეც და რომ ცალკეულ საბჭოთა ხალხთა ეროვნული ინტერესების დაცვით, სოციალიზმი შეიძლება აშენებულ იქნეს ერთ, ცალკე აღებულ, ქვეყანაში; ის თვლიდა, რომ რეს გლეხს შესწევს სოციალიზმის აშენების უნარი, ტროცკი ედავებოდა; იგი ამტკიცებდა, რომ მსოფლიო რევოლუცია წარმოადგენს აუცილებელ წინამძღვარს, სოციალიზმის ასაშენებლად. ტროცკი ჯიუტად ეჭიდებოდა მარქსისტულ მოძღვრებას აბსოლუტური ინტერნაციონალიზმის თაობაშე, იცავდა პერმანენტული რევოლუციის ტექნიკას და, მოჰყავდა რა მრავალი ლოგიკური მოსაზრება, დაუინებით იცავდა მარქსისტული დებულების სისწორეს ერთ ქვეყანაში სოციალიზმის აშენების შეუძლებლობის შესახებ.

სრალინი მართალი აღმოჩნდა

არა უგვიანეს 1935 წლისა მოელმა მსოფლიომ აღიარა, რომ სოციალიზმი ერთ ქვეყანაში აშენებულია და უფრო მეტიც, ეს ქვეყანა შეიარაღებულია და მზადა ნებისმიერი თავდასხმისაგან თავდასაცავად.

,რა უნდა ექმა ტროცის? მას შეეძლო გაჩუმებულიყო; მას შეეძლო თავი დამარცხებულად ეცნო და ელიარებინა თავისი შეცდომა; მას შეეძლო, შერიგებოდა სტალინს, მაგრამ მან ეს არ გააკეთა; მან ეს ვერ გაბედა. ადამიანმა, რომელიც ადრე ხედავდა იმას, რასაც სხვები ვერ ხედავდნენ. ახლა ვეღარ დაინახა ის, რაც ყოველი ბავშვისათვის ნათელი იყო. კვების საქმე მოწესრიგებული იყო, მანქანები მუშაობდნენ, ნედლეულის მოპოვება არნახული მოცულობით მიმღინარეობდა, ქვეყანა ელექტროფიცირებული და მექანიზებული იყო. ტროცის არ სურდა, ეცნო ეს ყოველივე. მან განაცხადა, რომ სწორებ სწრაფი აღმავლობა და შენების დაძაბული ტემპები განაპირობებენ ამ მშენებლობის არამყარობას, საბჭოთა კავშირმა — „სტალინის სახელმწიფომ“, როგორც ტროცი უწოდებდა — მას, — ადრე თუ გვიან კრახი უნდა განიცადოს გარედან ჩარევის გარეშეც, ხოლო ფაშისტური სახელმწიფოების თავდასხმის შემთხვევაში კი უკველად დაიმსხრევა. ტროცი უსაზღვრო სიძულვილით ესხმოდა თავს აღამიანს, ვისი დროშის ქვეშაც ხორციელდებოდა ახალი ქვეყნის შენება.

ახლა ვცადოთ, გავიცნობიეროთ სტალინის პიროვნება.

სტალინის პირველი ნაბიჯები

შერ კიდევ აღრეულ წლებში სტალინი დაკავებული იყო პრობლემებით, რომლებიც ომის დამთავრების შემდეგ დაუყოვნებლივ გადაწყვეტას მოითხოვდნენ. 1913 წელს ლენინი წერდა გორკის: „აქ, ჩვენთან, არის ერთი შესანიშნავი ქართველი, რომელიც მუშაობს ვრცელ სტატიაზე. ეროვნული საკითხების შესახებ და საჭიროა, სერიოზულად მოვკიდოთ მას“!¹

აღგავლის სიმელეები

სტალინმა სერიოზულად მოჰკიდა ხელი ამ საკითხს. მას პქონდა იდეები და თავი გამოამუდავნა, როგორც ორგანიზატორმა; მაგრამ სტალინი ბრმა არ იყო და ყველაფერს ხედავდა, მუდამ გაცისქროვნებული და ფუსტუსა ტროცის გვერდით იგი ჩრდილში ჩერებოდა. ხედავდა, რომ ტროცი კარგი ორატორია და, ალბათ, ყველაზე საუკეთესოც; ის ყველას

1. ციტატა არაზუსტია. ლენინი წერდა: „ნაციონალიზმის შესახებ სავსებოთ გეთანხმებით, რომ ამას უფრო სერიოზულად უნდა მოვკიდოთ ხელი. ჩვენთან აქ ერთი შესანიშნავი ქართველი ჩაუჭდა და „პროსვერტენისათვის“ წერს. დიდ სტატიას, რისთვისაც შეირიბა მთელი ისტრიული და სხვა მასალები, ჩვენ ბეჭითად ვიმუშავებთ ამაზე“. (ვ. ი. ლენინი, ტ. 35, გვ. 76, IV გამოცემა).

ხიბლავს; სტალინი, როგორც უკვე მივუთითებდი, თუმცა, არა იუმრის გარეშე, მაგრამ მაინც გულახდილად და წინდახედულად ლაპარაკობს ჰქის უესახებ. მან შეუპოვარი შრომით მოიპოვა პოპულარობა, რომელიც სხვისთვის აღვილი ხელმისაწვდომი იყო. წარმატებაში ის მხოლოდ საკუთარ თავს უნდა უმაღლოდეს.

ის ზინ გამოდის

ტროცკის ბრწყინვალება, რომელიც ყოველთვის უტყუარი როდია, მრავალი წლის განმავლობაში ხელს უშლიდა სტალინის ნამდვილი დამსახურების წარმოჩენას. მაგრამ დადგა დრო, როცა ცალულელად მებრძოლი ტროცკის იდეები თანდათან მცდარი და ხრწნადი გახდა. პირველმა სტალინმა შეატჩინა ეს და აღნიშნა კიდეც. კერ კიდევ 1924 წლის დეკემბერში სტალინისათვის საბოლოოდ ნათელი გახდა, რომ, წინანდელი თეორიის საჭინააღმდეგოდ, ერთ, ცალკე აღებულ ქვეყანაში, სრული სოციალისტური საზოგადოების აშენება შესაძლებელია. უკვე მაშინ მან თანმიმდევრულად, უფრო მკაფიოდ და უფრო მწვავე ფორმულირებებით, ვიდრე ლენინმა, მიუთითა გზა ამ მშენებლობისაკენ, რაც ქვეყნის გაძლიერებულ ინდუსტრიალიზაციასა და არტელებში გლეხთა გაერთიანებაში მდგომარეობდა. მან სრულიად ნათელი სიტყვებით საგარიონ განაცხადა ის, რაც აქამდე საკამათო იყო; კერძოდ კი: პარტიის სწორი პოლიტიკის მეოხებით რუსული გლეხობის გაღამწყვეტი ნაწილი შეიძლება ჩაერთოს სოციალისტურ საზოგადოებაში; მან ეს მოსაზრება დაასაბუთა მარტივი, დამაჯერებელი და უცილობელი არგუმენტებით.

უცილობელი არაუმვენებელი

ტროცკიმ, თავისი ბრწყინვალე რიტორიკის წყალობით, ასევე უცილობლად უარყო სტალინის უცილობელი არგუმენტები. სტალინმა იცოდა, რომ მის მიერ წამოწეული არგუმენტები ნამდვილად უდავო იყო, მაგრამ ხედავდა, რომ ბევრს სჯეროდა ტროცკის ფორმით ბრწყინვალე და შინაარსით ყალბი აზრებისა.

უცილობელი საკვევა

სტალინი არ იფარგლებოდა მარტოოდენ სწორი გამონათქვამებით. ის შრომობდა, ის სწორი გზით მიღიოდა. მან გლეხები არტელებში გააერთიანა, ანვითარებდა მრეწველობას, ამზადებდა ნიადაგს სოციალიზმისათვის საბჭოთა კავშირში და აშენებდა სოციალიზმს. მის მიერ შექმნილი სინამდვილე უარყოფდა ტროცკის უცილობელ თეორიებს.



„ღმერთები გამარჯვებულთა მხარეზე არიან, კატონი — ჭავაშვილები ბულთა მხარეზე“ ტროცის არ სურდა დამარცხებულად ეცნო თავი. ის გამოდიოდა მგზნებარე სიტყვუბით, წერდა ბრწყინვალე სტატიებს, წიგნებს; მათში სტალინურ სინამდვილეს იღუზიებად ნათლავდა, რადგანაც მის თეორიებში სინამდვილე ვერ თავსდებოდა. ტროცი ახალი ცხოვრების ხელისშემშლელი იყო. პარტიის ყრილობამ გაილაშქრა მის წინაღმდეგ — ის ჯერ გადასახლეს, შემდეგ კი ქვეყნიდანაც გააძევეს.

თავისების გავია

სტალინის საქმე ყვაოდა; იზრდებოდა ქვანახშირის, რკინისა და სხვა წიაღისეულთა მოპოვება; იგებოდა ელექტროსადგურები; მძიმე მრეწველობა სხვა ქვეყნების მრეწველობას ეწეოდა; შენდებოდა ქალაქები; რეალური ხელფასი მატულობდა; დაძლეულ იქნა გლეხთა წვრილბურჟუაზიული განწყობილებანი, მათი არტელები შემოსავალს იძლეოდნენ; გლეხობა მასობრივად მიისწრაფოდა კოლმეურნეობებისაკენ, თუკი ლენინი საბჭოთა კავშირის ცეზარი იყო, სტალინი მისი ავგუსტუსი, მისი ყოველმხრივ „გამანოვიერებელი“ გახდა. სტალინური მშენებლობა იზრდებოდა და ძლიერდებოდა, მაგრამ სტალინს უნდა შეემჩნია, რომ ჯერ კიდევ არსებობდა ხალხი, რომელთაც არ სურდათ ერწმუნათ ეს რეალობა, ეს ხელშესახები საქმე; მათ უფრო ტროცის თეზისებისა სჯეროდათ, ვიდრე თვალნათლივ შესამჩნევი ფაქტებისა.

სახითათო შემოგრევი

დიან, სწორედ იმ ადამიანთა შორის, რომლებთანაც სტალინი მეგობრობდა და რომლებსაც მან საპასუხისმგებლო პოსტები მიანდო, აღმოჩნდნენ ზოგიერთები, რომლებმაც ტროცის სიტყვებისა უფრო ირწმუნეს, ვიდრე სტალინის საქმისა. ისინი ხელს უშლიდნენ ამ საქმეს, ქმნიდნენ დაბრკოლებებს, საბორტას უწყობდნენ მას. დანაშაული დაგენილ იქნა და ისინი პასუხისმგებაში იქნენ მიცემულნი. შემდგომში სტალინმა მათ შეუნდო და ხელახლა დანიშნა მაღალ თანამდებობებზე.

უსაზღვროდ ერთგული

რა უნდა მოეფიქრებინა და განეცადა სტალინს, როცა გაიგო, რომ ეს მისი ამხანგები და მეგობრები, მიუხედავად მისი წამოწყებების აშკარა წარმატებისა, მაინც მისი მტრისკენ — ტროცისკენ მიიწევდნენ, მასთან საიდუმლო მიმოწერას აწარმოებდნენ, ისწრაფოდნენ, თავიანთი ძვე-

ლი ბელადი სსრ კავშირში დაებრუნებინათ; ცდილობლნენ, ევნოთ ხუთ
ლინისათვის — საქმისათვის.

ეროვნული
საზოგადოებრივი

ორ პროცესს შორის

სტალინს რომ შევხვდი, ტროცკისტთა პირველი ჯგუფის წარმომად-
გენლების — ზინოვიევისა და კარენინის — წინააღმდეგ განაჩენი უკვი-
გამოტანილი იყო; ბრალდებულები მსჯავრდადებულნი და დახვრეტილნი
იყვნენ; ტროცკისტთა მეორე ჯგუფის — პიატაკოვის, რადეკის, ბუ-
ხარინისა და რიკოვის წინააღმდეგ კი საქმე აღძრული იყო, მაგრამ
ჯერ არავისთვის არ იყო ზუსტად ცნობილი, თუ რა ბრალდება პქონდათ.
წარყენებული მათ და როდის და რომელი მათგანის წინააღმდეგ დაიწყე-
ბოდა პროცესი. აი, დროის ამ მონაკვეთში, ორ პროცესს შორის, ვნახე
სტალინი.

სტალინი

პორტრეტებიდან სტალინი მალალი, მხარბეჭიანი, წარმოსადეგი ადა-
მიანის შთაბეჭიდილობას ახდენს. ცხოვრებაში კი ის უფრო მომცრო ტა-
ნისა და გამხდარია; კრემლის ფართო ოთახში, სადაც მას შევხვდი,
როგორლაც შეუმჩნეველიც კი იყო.

ლაპარაკის მანერა

სტალინი ლაპარაკობს ნელი, ჩუმი, ოდნავ ყრუ ხმით. მას არ უყვარს
დიალოგები მოკლე, შემფოთებული კითხვა-პასუხებითა და გადახვევე-
ბით. იგი ამჯობინებს ნელ, მოფიქრებულ ფრაზებს; ლაპარაკობს ძალზე
მკაფიოდ, ხანდახან ისე, თითქოს კარნახობსო. საუბრისას ოთახში წინ და
უკან ბოლოს სცემს; შემდეგ მოულოდნელად მიუახლოვდება მოსაუბ-
რეს და მისკენ თავისი ლამაზი ხელის საჩვენებელი თითის. გაწევით,
უხსნის და განუმარტავს; თავისი მოფიქრებული ფრაზების ჩამოყალიბე-
ბისას ზოგჯერ ქალალდის ფურცლებზე ფერადი ფანქრით ხატავს სხვადა-
სხვა ნახტებს.

ცარულად და გულაპილად

სტალინთან ჩემი საუბრის თემა წინასწარ შეთანხმებული არ იყო.
არავითარი თემა მე არ მომიმზადებია; ველოდი, რომ შეხვედრისას, შთა-
ბეჭიდილებათაგან გამომდინარე, ის თავისთავად წარმოიშვებოდა. გუ-
ლში კი ვშიშობდი, რომ ჩვენი საუბარი მეტ-ნაკლებად ოფიციალური და
განალური იქნებოდა, როგორიც სტალინს ორ-სამჯერ უკვე პქონდა დახა-

ვლეთის მწერლებთან. თავდაპირველად საუბარი ნამდვილად მწერლების ტრადიცია იყო. ჩვენ ვლაპარაკობდით სოციალისტურ საზოგადოებრივ მწერლის ფუნქციის შესახებ, რევოლუციური ზემოქმედების შესახებ, რომელსაც ზოგჯერ რეაქციული მწერლებიც კი ახდენენ, როგორც, მაგალითად, გოგოლი; კალასობრივი ძალათვის მიზნიდებისა თუ ინტელიგენციის არაკლასობრიობის შესახებ და სიტყვისა და ლიტერატურის თავისუფლების შესახებ საბჭოთა კავშირში. თავდაპირველად სტალინი ფრთხილად, ზოგადი ფრაზებით საუბრობდა, მაგრამ თანდათანობით შეიცვალა დამოკიდებულება და მალე ვიგრძენი, რომ ამ ადამიანთან შემეძლო, გულახილად მეღაჭრული იყო. მე გულწრფელად ვსაუბრობდი და ისიც გულწრფელი იყო მპასუხობრა.

მიზანების სტილი

სტალინი საუბრობს შეულამაზებლად და შეუძლია, რომელი აზრებიც კი მარტივად გამოხატოს. ზოგჯერ ის ლაპარაკობს მეტისმეტად მარტივად, როგორც ადამიანი, რომელიც მიჩვეულია ისე დააფორმულიოს თვეისი აზრები, რომ ისინი გასაგები გახდეს მოსკოვიდან ვლადიგორსტიკმდე. შესაძლებელია, იგი არ ფლობს მახვილგონიერებას, მაგრამ მის-თვის, უდავოდ, დამახასიათებელია იუმორი; მისი იუმორი ხანდახან სანიფათო ხდება. დროდადრო ის მზაკვრულად ჩაიქირქილებს ხოლმე. სტალინი ერთობ თავისუფლად გრძნობს თავს მრავალ სფეროში და დიდებული მახსოვრობის წყალობით, ყოველგვარი მომზადების გარეშე, სახელების, თარიღებისა და ფაქტების მუდამ ზუსტ ციტირებას ახდენს.

თავისებურება

სტალინთან ესაუბრობდი ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლების, დემოკრატიისა და, როგორც ზემოთ ვწერდი, მისი პიროვნების გამოერთების შესახებ. საუბრის დასაწყისში ის ლაპარაკობდა ზოგადი ფრაზებით და მიმართველა პარტიული ლექსიკონის ცნობილ შაბლონთა ბრუნვას. მოგვიანებით კი მასში პარტიულ ხელმძღვანელს უკვე ვეღარ ვგრძნობდი. ჩემს წინაშე იგი წარმოდგა როგორც ინდივიდუალობის განსახიერება. ყველაფერში არ მეთანხმებოდა და მუდამ აჩებოდა ღრმა, გონიერ, დაკვირვებულ პიროვნებად.

სტალინი და „იუდა“

სტალინი აღელდა, როცა ლაპარაკი წამოვიწყეთ ტროცკისტთა პროცესზე. დაწვრილებით მომითხოო ბრალდებათა შესახებ, რომლებიც

წაყენებული ჰქონდათ პიატაკოვსა და რადეკს; მასალა იმ დროს ჯერ არ
 იყო ცნობილი. იგი ლაპარაკობდა პანიკაზე, რომელსაც ნერგავდა ფაშის-
 ტური საშიშროება აღამიანებში, რომელთაც არ შეეძლოთ წინ ცერო. მე
 კიდევ ერთხელ მოვისხენიე ის უსიამოვნო შთაბეჭდილება, რომელიც ზი-
 ნოვივევის სასამართლო პროცესში გამოყენებულმა უმარტივესმა ფანდე-
 ბმა მოახდინეს საზღვარგარეთ სსრ კავშირის მიმართ კეთილად განწყო-
 ბილ ადამიანებზეც კი. სტალინმა ცოტა დასცინა მათ, ვინც, ვიდრე შეთ-
 ქმულებას დაიკერებდნენ, საჭიროებენ დიდი რაოდენობის წერილობითი
 საბუთების წარდგენას; გამოცდილ შეთქმულებს, — შენიშნა მან, — იშ-
 ვითად სჩვევიათ თავიანთი საბუთების ღია ადგილს შენახვა. შემდეგ
 ის ალპარაკდა მწერალ რადეკის — მეორე ტროცკისტული შეთქმულე-
 ბის უფრო მეტად პოპულარული პიროვნების — შესახებ, სიმწრითა და აღე-
 ლვებით საუბრობდა. მომითხრო თავის მეგობრულ დამოკიდებულებაზე
 ამ ადამიანთან. „თქვენ, ებრაელებმა, — მომმართა მან, — შექმე-
 ნით უკვდავი ლეგენდა, ლეგენდა იუდას შესახებ“. რაოდენ უცნაური
 იყო ჩემთვის, ჩვეულებრივად ასეთი მშეგიდი, ლოგიკურად მოაზროვნე
 ადამიანისაგან გამეგონა ეს მარტივი პათეტიკური სიტყვები. მან მიამბო
 რმ გრძელი წერილის შესახებ, რომელიც მას რადეკმა მოსწერა და რომე-
 ლშიც ის ირწმუნებოდა თავის უდანაშაულობას, მოპყავდა მრავალი ცრუ
 მოსაზრება; მაგრამ მეორე დღეს, მოწმეთა ჩვენებებისა და სამხილთა
 შეგვლენით, რადეკი გამოტყდა.

ტინააღმდეგობანი სტალინისა და ტროცკის ჩაიდათვაზი

სძულს თუ არა იოსებ სტალინს ლევ ტროცკი, როგორც ადამიანი?
 ალბათ, მას უნდა სძულდეს იგი. მე უკვე მივუთითებდი იმაზე, რომ მათი
 ხასიათების წინააღმდეგობრიობა იმავე ზომით თიშავს მათ, როგორც —
 შეხედულებათა დაპირისპირებულობა. ძნელია, წარმოიდგინო უფრო მძა-
 ფრი წინააღმდეგობრიობა, ვიდრე, ერთის მხრივ, მჭევრმეტყველი ტრო-
 ცკი სწრაფი, მოულოდნელი იდეებითა და, მეორეს მხრივ, უბრალო, ყო-
 ველოვის იღუმალი სერიოზულობით მოცული, თავის იდეებზე ნელა და
 შეუპოვრად მომუშავე სტალინი. „მოულოდნელი იდეა აზრი არ არის. —
 ნათქვამია ავსტრიელი მწერლის გრილპარცერის მიერ. — აზრმა იცის თა-
 ვისი საზღვრები, მოულოდნელი იდეები უგულებელყოფილია მათ მიერ
 და განხორციელებისას ადგილიდან არ იძვრიან“. მწერალ ლევ ტროცკის
 ელვისებური, მოულოდნელი, ხშირად მცდარი იდეები ქვეს; იოსებ სტა-
 ლინს — ნელი, საგულდაგულოდ გააზრებული, ძირისძირობამდე უტყუ-
 რი, ნალდი აზრები; ტროცკი თვალისმომჭრელი ერთეული მოვლენაა,
 სტალინი—გენიოსობამდე ამაღლებული რუსი, გლეხისა და მუშის ტიპია,

რომელსაც გამარჯვება უზრუნველყოფილი აქვს, რაღანაც მაშინ შეტყიცება
მულია ორთავე კლასის ძალა; ტროცი სწრაფად ქრობადი რევიტა, სტრა-
ლინი — ხანგრძლივად მოგიზგიზე და გამათბობელი ცეცხლია.

კალაპ წინაღობრივი განვითარების შესახებ

დრამატურგს, რომელიც ისურვებდა თავის ნაწარმოებში გამოეხატა
ორი ესოდენ წინააღმდეგობრივი პიროვნება, დააღანაშაულებდნენ ხე-
ლოვნურობასა და ეფექტზე გამოდევნებაში. ტროცი მარჯვეა მეტყველე-
ბასა და უესტებში; ის ძალდაუტანებლად გამოთქვამს აზრს მრავალ
ენაზე, ქედმაღალი, წარმოსადევი და გონებამახვილია; სტალინი უფრო
მონუმენტალურია; სასულიერო სემინარიაში შეუპოვარი მეცადინეობით
მან კარგი განათლება მიიღო. ის არ არის მარჯვე, მაგრამ კარგად იცის თა-
ვისი გლეხებისა და მუშების გაჭირვება; ის მათი წრიდანაა და ტროცი-
ვით არასდროს იყო იძულებული, ექებნა მათკენ მიმავალი გზა. განა
ტროცის ეს ხატოვნება, სიმარდე, ორგულობა, მედიდურობა და სი-
მარჯვე სტალინისათვის ისევე საზიზარი არ უნდა იყოს, როგორც
ტროცისათვის — სტალინის სიმყარე და მოუქნელობა?

სიმულაცია

სტალინის წინაშე დგას გრანდიოზული ამოცანა, რომელიც განსაკუ-
თრებით ძლიერი ადამიანისგანაც კი ძალისხმევას საჭიროებს. ის კი იძუ-
ლებულია, თავისი ძალის მნიშვნელოვანი ნაწილი მოახმაროს ტროცის
სახიფათო ახირებათა მაგნე შედეგების ლიკვიდაციის. „ტროცის არაბო-
ლშევიური წარსული შემთხვევითი არ არის“, — ნათქვამია ლენინის
ანდერძში. უაჭვილა, სტალინს მუღმივად ახსოვს ეს, ტროციში ხედავს
ადამიანს, რომელსაც, თავისი დიდი მოქნილობის წყალობით, შეუძლია
ნებისმიერ მომენტში უკანვე მიუბრუნდეს თავის არაბოლშევიურ წარ-
სულს. დაიხ, სტალინს უნდა სძულდეს. ტროცი, ჯერ ერთი იმიტომ,
რომ მთელი თავისი არსებით ის არ ესადაგება სტალინს, მეორეც იმიტომ,
რომ ტროცი მთელი თავისი გამოსვლებით, ნაწერებით, მოქმედებებით,
თავისი არსებითაც კი, საფრთხეში აგდებს სტალინს — საქმეს.

სიძულვილ-სიძვარული

მაგრამ სტალინისა და ტროცის ურთიერთდამოკიდებულება არ
აიოიწურება მათი მეტოქეობის, სიძულვილის, ხასიათებისა და შეხედუ-
ლებათა საკითხებით. დიდი ორგანიზატორი სტალინი, მიხვდა რა, რომ
რუსი გლეხის მიყვანაც კი შეიძლება სოციალიზმთან, ეს დიდი მათემა-

ტიქოსი და ფსიქოლოგი, ცდილობს, თავისი მიზნებისათვის გამოიყენოს მოწინააღმდეგებიც, რომელთა უნარის შეუფასებლობას ის არვერის გულისათვის არ იზამს. მან აშკარად შემოიკრიბა ტროცისთან სულიერ რად ახლოს მყოფი მრავალი ადამიანი. მას ულმობლად თვლიან, ის კი მრავალი წლის განმავლობაში იძრევის იმისათვის, რათა თავს მხარეზე გადმოიბირიოს უნარიანი ტროცისტები, იმის ნაცვლად, რომ გაანადგუროს; ამ შეუპოვარ მონდომებაში, რომლითაც სტალინი ცდილობს გამოიყენოს ისინი თავისი საქმის ინტერესებისათვის, არის რაღაც ამაღლელებელი.

თ ა ვ ი VII

აუგარა და ფარული ტროცისტთა პროცესები

პროცესები ტროცისტთა წინააღმდებარება

მეორე მხრივ, იმავე სტალინმა გადაწყვიტა, ბოლოს და ბოლოს, ხელმეორედ მიეცა სამართლში თავისი მოწინააღმდეგე ტროცისტები, დაადანაშაულა რა ისინი სახელმწიფო ლალატში, ჯაშუშობაში, მავნებლობასა და სხვა ძირგამომთხრელ საქმიანობაში, ასევე, ტერორისტული აქტების მომზადებაში. პროცესებში, რომლებმაც თავისი „სიმყაცრითა და თვითნებობით“ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ აამხედრეს მსოფლიო, სტალინის მოწინააღმდეგე ტროცისტები საბოლოოდ განადგურდნენ. მათ მსჯავრი დაადეს და დახვრიტეს.

ეს სტალინის პირადი მომიზვია?

ზინოვიევისა და რადეკის პროცესების ასენა ბატონობისა და შურის-ძიებისადმი სტალინის სტრაფვით სრულიად უაზრო იქნებოდა. ისევე სტალინი, რომელმაც, მიუხედავად მთელი მსოფლიოს წინააღმდეგობისა, განახორციელა ისეთი გრანდიოზული ამოცანა, როგორიც საბჭოთა კავშირის ეკონომიკური მშენებლობაა, მარქსისტი სტალინი არ დაიწყებს პირადი მოტივებით ხელმძღვანელობას, როგორც გიმნაზიელთა საკლასო თხზულების რომელიმე გმირი და ამით არ ავნებს ქვეყნის საგარეო პოლიტიკას და მით უფრო — თავისი მუშაობის სერიოზულ უბანს.

შინოვიერისა და კამენევის პროცესებს მე პრესითა და ოვრობილებულთა მონათხრობით გავეცანი. პიატაკოვისა და რადექის პროცესს უკირადად ვესწრებოლი. პირველი პროცესის დროს მე დასავლეთ ევროპის ატმოსფეროში ვიმყოფებოდი, მეორის დროს — მოსკოვის ატმოსფეროში და ამან მომდა საშუალება, განსაკუთრებით მკვეთრად შემეგრძნო ის გრანდიოზული სხვაობა, რომელიც საბჭოთა კავშირსა და დასავლეთს შორის აჩვებობს.

პროცესთა შთაგეპდილებები საჭღვარებარეთ

ზოგიერთი ჩემი მეგობრები, საზოგადოდ საქმაოდ გონიერი აღამია-
ხები, ამ პროცესებს არქევეკ თავიდან ბოლომდე ტრაგი-კომიკურს, ბარ-
ბაროსულს, როგორც შინაარსით, ასევე ფორმით შემზარავს, რომლებიც
ნორბას არ იმსახურებენ. აღამიანთა მთელი წევბა, რომელიც აღრე საბ-
ჭოთა კავშირის მეგობართა რიცხვს ეკუთვნოდა, ამ პროცესების შემ-
დეგ მისი მოწინააღმდეგე გახდა. მრავალი, ვინაც კავშირის საზოგადოებ-
რივ წყობაში სოციალისტური ჰუმანიზმის იდეალს ხედავდა, ამ პროცე-
სმა ჩიხში მოაქცა; მათ ეჩვენებოდათ, რომ ტყვიებმა, რომლებმაც გან-
გმირეს ზინოვიევი და კამენევი, მათთან ერთად ახალი სამყაროც მოქლეს.

ଏକ୍ସାପଲେଟ ଏକ୍ସର୍କ୍ସାମ୍ ଅନୁଷ୍ଠାନିକ ପାଠ୍ୟ

ვიდრე ევროპაში ვიმყოფებოდი, მეც მეჩვენებოდა, რომ ზინოვიევი-
საღმი პროცესზე წაყენებული ბრალდებები ნდობას არ იმსახურებდნენ. მეჩვენებოდა, რომ ბრალდებულთა ისტორიული აღიარებანი მიღწეულია
რაღაც იღუმალი გზებით. მთელი პროცესი მე რომელიმაც ოვატრალურ
ინსცენირებად წარმომედგინა, რომელიც უჩვეულოდ შემზარვი, უკი-
დურესი ხელოვნებით იყო დაღმული.

მოსკოვში — მეორე

მაგრამ, როცა მოსკოვში უშუალოდ დავესწარი მეორე პროცესს, როცა მოვუსმინე პიატაკოვს, რაღეც და მათ მეგობრებს, მე ვიგრძენი, რომ იმ უშუალო შთაბეჭდილებათა გავლენით, რასაც სამართალში მიცემულნი ამბობდნენ და როგორც ამბობდნენ, ჩემი ეჭვი ისე გაქრა, როგორც მარილი — წყალში.. ოუკი ეს გამოგონილი ან მოწყობილი იყო, მაშინ მე არ ვიცი, რალას ნიშნავს სიმართლე.



მე უვიდე პროცესის ოქმი, გავიხსენე ყველაფერი, რაც საკუთარი თვალებით ვიხილე და საკუთარი ყურებით გავიგონე და კიდევ ერთხელ ავწონ-დავწონე ყველა გარემოებანი, რომლებიც ბრალდებათა უტყუა-რობის სასარგებლოდ და საწინააღმდეგოდ მეტყველებდნენ.

ტროცის საჯინააღმდეგო გრალდებათა ნაკლებად დამაჯერებლობა

პროცესები ძირითადად მიმართული იყო, უპირველესად ყოვლისა, ბრალდებულ ტროცის წინააღმდეგ — ყველაზე მსხვილი ფიგურის წინააღმდეგ, რომელიც თვითონ არ ესწრებოდა. პროცესის წინააღმდეგ მთავარ სადაცოს წარმოადგენდა ტროცისაღმი წაყენებულ ბრალდებათა მოჩვენებითი არაუტყუარობა. „ტროცი, — აღმფოთებით ამბობდნენ მოწინააღმდეგენი, — საბჭოთა სახელმწიფოს ერთ-ერთი დამაარსებელი, ლენინის მეგობარი, თვით იძლეოდა დირექტივებს სახელმწიფოს შენების შესაცერებლად, რომლის ერთ-ერთი დამფუძნებელთაგანი თავად იყო, ისწრაფოდა გაეჩაოებინა ომი კავშირის წინააღმდეგ და უზრუნველეყყო ამ ოშში მისი დამარცხება? ნუთუ ეს შესაძლებელია? ნუთუ ეს წარმოსაღებია?“

ტროცის საჯინააღმდეგო გრალდებათა დამაჯერებლობა

საგულდაგულო შემოწმების შემდეგ აღმოჩნდა, რომ ქმედება, რომელსაც ტროცის ბრალდებად უთვლილენენ, არა თუ დაუჭერებელია, არამედ წარმოადგენს მისთვის შესაძლებელ ერთადერთ ქმედებასაც კი, რომელიც მის შინაგან მდგომარეობას შეესაბამება.

80 გ 4 ჯ 8 0

ჭავირია კარგად წარმოიდგინო ეს ადამიანი, რომელსაც უმოქმედობა მიუსაჯეს და იძულებულია, ამაռად ადევნოს თვალი, ეს გრანდიოზული ექსპერიმენტი, რომელიც მან ლენინთან ერთად წამოიწყო, როგორ გადაიქცა რალაცნაირ გიგანტურ წვრილბურჟუაზიულ შრებერის¹ ბალად. მას, როგორც თვითონ ამბობდა და წერდა, სურდა, სოციალიზმით გადაიქცა რალაცნაირ გიგანტურ წვრილბურჟუაზიულ შრებერის ბალად. მას, როგორც თვითონ ამბობდა და წერდა, სურდა, „სტალინის სახელმწიფო“ უხამს გარეულინთა მთელი დედამიწის ზურგი და „სტალინის სახელმწიფო“ უხამს კარიჭატურად ეჩვენებოდა იმასთან შედარებით, რაც თავდაპირველად

¹ შრებერი (1803-1861) — ექიმი, „შრებერის საზოგადოების“ დამფუძნებელი, რომელსაც მიზნად პრონდა ახალგაზრდობის აღზრდა.

წარმოედგინა. ამას უერთდებოდა პირადი ღრმა მტრობა სტალინისამში რომელიც ყოველთვის წინ ელობებოდა მის გეგმებს, მუდამ ხელს უშლიდა და და, ბილოს და ბოლოს, გააქვთ კიდეც. ტროცკი უამრავჯერ აძლევდა თავისუფლებას სტალინისადმი უსაზღვრო სიძულვილსა და მტრობას. მაგრამ რატომ არ შეეძლო, ზეპირ გამოსვლებსა და პრესაში გამოხატული ეს სიძულვილი მოქმედებაშიც გამოეხატა? განა ნამდვილად ასე „დაუკერებელია“, რომ ადამიანმა, რომელსაც საკუთარი თავი რევოლუციის ჭეშმარიტ ბელადად მიაჩნდა, ვერ გამონახა ყველა საშუალება, რაც საკმარისი იქნებოდა „ცრუ მესის“ დასახლებად, რომელმაც მზაკვრობით მისი ადგილი დაიკავა? მე ეს სავსებით სარწმუნოდ მიმაჩინა.

ალპიზიადე საარსელვაზთან

მე მცონია, უფრო კი დარწმუნებული ვარ, რომ თუ სიძულვილით დაბრმავებული ადამიანი უარს ამბობდა, დაენახა ყველას მიერ ალიარებული კავშირის სამეურნეო მშენებლობა და მისი არმიის ძლიერება, მაშინ მან ვერც მისოვის გამოუსადეგარი საშუალებები შეამჩნია და აშკარად არასწორი გზა ირჩია. ტროცკი გაბედული და წინდაუხედავია. იგი დიდი მოთამაშეა. მთელი მისი ცხოვრება ავანტიურათა ჯაჭვია; მას ძალზე ხშრად გამოუდიოდა რისკიანი წამოწყებანი. მთელი ცხოვრების მანძილზე იგი ოპტიმისტი იყო, საკუთარი თავი საკმაოდ ძლიერად მიაჩნდა და არასოდეს ყოფილი ისეთ მდგომარეობაში, რომ თავისი გეგმების განსახორციელებლად რაიმე სისულელე გამოეყენებინა, შემდეგ კი, ხელსაყრელ მომენტში, უკუეგდო ეს სისულელე და უვნებელეყო. იგი; და, თუკი ალკიბიადე მივიდა სპარსელებთან, რატომ ტროცკის არ შეეძლო მისულიყო ფაშისტებთან?

გარევაზულის სიძულვილი გამდვივალისადმი

ტროცკი არასოდეს ყოფილა რუსი პატრიოტი. „სტალინის სახელმწიფო“ მისოვის ღრმად ანტიპათიური იყო. მას მსოფლიო რევოლუცია სურდა. გაძევებული ტროცკის ყველა გამოხმაურება სტალინისა და მისი სახელმწიფოსადმი ერთად რომ შეაგროვო, მიიღებ დიდტანიან ტომს, გაერებულს სიძულვილით, მძვინვარებით, ირონიითა და ზიზღით, რა ხდებოდა ამ წლების განმავლობაში და რა წარმოადგენს მეუად ტროცკის მთავარ მიზანს? დაბრუნება ქვეყანაში, რადაც არ უნდა დაუჯდეს, ძალაუფლების დაბრუნება.

შესპირი ტრადიცია შესახვა

შექსპირის კორიოლანუსი, რომის მტრებთან — ვოლსკებთან რომ შეიგიდა, ყვება მოღალატე მეგობრებზე, რომლებმაც მას ფუქხთლეს: „და მშიშარა პატრიციების თვალწინ, — ეუბნება იგი რომის დაუძინებელ მტერს, — მონათა უაზრო შეძახილებით მე გამაძევეს რომიდან. აა, რა-ტომ ვარ მე ახლა აქ — შენი კერის წინაშე. მე აქ შურისძიებისათვის ვი-მყოფები. ჩემს მტერს სამაგიერო უნდა მივუზღო ჩემი გაძევებისათვის“. ასე პასუხობს შექსპირი კითხვაზე: — შესაძლებელია თუ არა ტროცისა და ფაშისტების გარიგება.

ლეიინი ტრადიცია შესახვა

ტროცის არაბოლშევიური წარსული შემთხვევითი არ არის. ასე პასუხობს ლენინი თავის ანდერძში კითხვაზე, შესაძლებელია თუ არა ტროცისა და ფაშისტების მორიგება.

ტრადიცია ტრადიცია შესახვა

ემილ ლუდვიგი გვაცნობს თავის საუბარს ტროცისთან, რომელიც მისი გაძევების შემდეგ სტამბოლთან ახლოს, უფლისწულთა კუნძულზე კაიმართა. ეს საუბარი ემილ ლუდვიგმა 1931 წელს გამოაქვეყნა თავის წიგნში „ცხოვრების ნობათები“. ის, რაც ჯერ კიდევ მაშინ, 1931 წელს, იყო გამოთქმული ტროცის მიერ, უნდა აიძულებდეს ყველას, ვინც მის მიმართ წაეყნებულ ბრალდებებს უაზროდ და აბსურდულად მიიჩნევს, ჩაუფიქრდეს. „მისი საკუთარი პარტია, — გვაცნობს ლუდვიგი (მე სიტყვასიტყვით ვახლენ ციტირებას — ლ. ფ). — ტროცის სიტყვებით, გაფანტულია ყველგან და ამიტომ ძნელია მისი აღრიცხვა. „როდისღა შეძლებს შექრება?“ — როდესაც ამისი აუცილებლობა შეიქმნება, მაგალთად, ომის ან ევროპის ახალი ჩარევის შემთხვევაში, რომელსაც შეეძლება, ამოხაბოს სიმამაცე მთავრობის სისუსტიდან, „მაგრამ სწორედ თქვენ არ გამოგიშვებენ მაშინაც კი, იმათაც არა მოინდომონ. თქვენი შეშვება“. პაუზა — მასში იგრძნობა ზიზლი. — ჰო, მაშინ, ალბათ, მოიძებნება გზები. — ახლა ქალბატონი ტროციც კი იღიმის“. ასე პასუხობს ტროცი კითხვაზე, შესაძლებელია თუ არა ტროცისა და ფაშისტების გარიგება.

დაგაჯვრებელია თუ არა რაღავისა და ჭიბუროვისადმი

დაყენებული გრალდება?

რაც შეეხება პიატკოვს, სოკოლნიკოვს, რადეკს, რომლებიც წარს-დგნენ სასამართლოს წინაშე მეორე პროცესზე, მათთან სადაც შემდეგია:

დაუჯერებელია, რომ მათი რანგისა და გავლენის აღამიანებს უწინამდები
ნათ მუშაობა სახელმწიფოს წინააღმდეგ, რომლის წინაშეც გადასცემის
თავიანთი მდგომარეობითა და პოსტებით, რომ ისინი ჩაბმული იყვნენ
იმ ავანტიურულ წამოწყებაში, რომელიც მათ ადანაშაულებთ.

პრალდეპულთა იდეოლოგიური მომიზვი

უმართებულოდ მიმაჩნია ამ აღამიანებზე მსჯელობა მარტოლდენ მა-
თი თანამდებობრივი მდგომარეობისა და გავლენის თვალთახედებიდან.
პიატკოვი და სოკოლინიკოვი იყვნენ არა მარტო მსხვილი ჩინოვნიკები,
რადევკი იყო არა მხოლოდ „იზვესტიის“ მთავარი რედაქტორი და სტალი-
ნის ერთ-ერთი ახლო მტკეველი; ამ პრალდებულთა უმრავლესობა, პი-
რველ რიგში, იყვნენ კონსპირატორები, რევოლუციონერები; მთელი თა-
ვიანთი ცხოვრება ისინი იყვნენ მგზებარე მეამბოხენი და გადატრიალე-
ბის მომხერენი — ამაში იყო მათი მოწოდება. ყველაფერს, რასაც მათ მი-
ღეწიეს, „გონიერი“ წინასწარმეტყველების მიუხედავად, მიაღწიეს თა-
ვიანთი მამაცობის, ოპტიმიზმის, სარისკო წამოწყებებისადმი სიყვარუ-
ლის წყალობით. ამასთანავე, მათ სწამდათ ტროცისა, რომელსაც შთაგო-
ნების უზარმაზარი ძალა გააჩნდა, თავიანთ მასწავლებელთან ერთად.
„სტალინის სახემწიფოში“ ისინი ხედავდნენ იმის დამახინჯებულ სახეს,
საიდეალურო ისწრაფობის და თავიანთ უმაღლეს მიზნად მიიჩნევდნენ,
კორექტივები შეეტანათ ამ დამახინჯებაში.

პარადიალური საკითხი

ასევე არ უნდა დავივიწყოთ ბრალდებულთა პირადი დაინტერესება-
ნი გადატრიალებაში. არც პატივმოყავარეობა, არც ხელისუფლებისადმი
წყურვილი ამ აღამიანებს დაკმაყოფილებული არ ჰქონდათ. მათ მაღალი
თანამდებობები ეკავათ, მაგრამ არც ერთ მათგანს არ ეჭირა ის მაღალი
პოსტთაგანი, რომლებსაც, მათი აზრით, ისინი იმსახურებდნენ. მაგალი-
თად, არც ერთი მათგანი არ შედიოდა „პოლიტიკური ბიუროს“ შემადგენ-
ლობაში; მათ ტროცისტებად თვლიდნენ და პირველ რიგებში დაწინაურე-
ბის აღარავითარი შანსი აღარ გააჩნდათ, ისინი რაღაცის გამო ჩამოაქ-
ვეითეს. „არავინ უეიძლება იყოს იმ ოფიცერზე უფრო სახიფასო, რომე-
ლსაც სამხრეები ჩამოგლიჭეს“, — ამბობს რადევკი, ვისთვისაც ეს კარგად
ცნობილი უნდა ყოფილიყო.

პროცესის გართვის წარიცხა გაკიცხა

ბრალდებებს გარდა, არანაკლებ მძაფრად გაისმის თვით პროცესის
მართვის წესის გაკიცხვა. თუკი არსებობდა საბუთები და მოწევები, კით-

ულობენ დაეჭვებულნი, რატომ ინახავდნენ ამ საბუთებს ჩაკეტილში, მოწმეებს კი — კულისებს მიღმა და ქმაყოფილდებოდნენ იმ არასაჭირო ნო აღიარებებით, რომლებიც ნდობას არ იმსახურებდნენ?

საგვოთა აოდალაჯვების პასუხი

ეს მართალია, — აღიარებენ საბჭოთა ადამიანები, — პროცესზე გარკვეულშილად მხოლოდ კვინტენსენცია, პრეპარირებული შედეგი ჯაჩვენეთ. მახილებელი მასალა ჩვენს მიერ ადრე იქნა შემოწმებული და ბრალდებულთათვის წარდგენილი. პროცესზე ჩვენთვის საკმარისი იყო მათი აღიარებების დამტკიცება. ვისაც ეს აცბუნებს, უნდა გაიხსენოს, რომ ამ საქმეს არჩევდა სამხედრო სასამართლო და, უპირველს ყოვლისა, ეს იყო პოლიტიკური პროცესი. ჩვენ გვაინტერესებდა შინაპოლიტიკური ძროშისფეროს წმენდა: გვსურდა, რომ მთელ ხალხს, მინსკიდან ვლადი-ვოსტკიმდე, გაეგო ის, რაც ხდებოდა. ამიტომ მოვინდომეთ, ეს პროცე-სი მაქსიმალური სიმარტივითა და სიაშეარავით მოგვეწყო. დოკუმენტე-ბისა თუ მოწმეთა ჩვენებების დაწვრილებითი შინაარსი და გამრჩების სხვადასხვა სახის მასალები შეიძლება აინტერესუნებდეთ იურისტებს, კრი-მინალისტებს, ისტორიკოსებს; საბჭოთა მოქალაქეებს კი მხოლოდ დავაძ-ნევთ დეტალების ასეთი გადაჭარბებული დახორავებით. უცილობები აღიარება უფრო მეტს ეუბნება, ვიდრე მრავალი მახვილგონივრული მტკი-ცება. ამ პროცესს ჩვენ ვატარებდით არა უცხოელი კრიმინალისტებისათ-ვის, არამედ — ჩვენი ხალხისათვის.

ავანიურული ელფერის პიპოთება

რადგანაც არ შეიძლება უარყოფა ისეთი ერთობ შთამბეჭდავი ფაქ-ტისა, როგორიც არის აღიარება, მისი სიზუსტე და განსაზღვრულობა, დაეჭვებულებმა წამოაყენეს ყველაზე ავანტიურისტული წინადადება ამ აღიარებათა მიღების მეთოდების შესახებ.

საჭარლაზი და პიპოზი

უპირველესად, ცხადია, წამოყენებული იქნა უფრო პრიმიტიული წინადადება, რომ ბრალდებულები წამებისა და მოსალოდნელი ახალი, უფრო სასტიკი წამების მუქარის გამო, იძულებული იყვნენ, ეღიარები-ნათ დანაშაული. მაგრამ ეს გამონაგონი უარყოფილ იქნა ბრალდებულთა უდავოდ საღი შესახედამითა და მათი ფიზიკური და გონებრივი მდგო-მარებით. ამრიგად, სკეპტიკოსები იძულებულნი იყვნენ, აღიარების წა-რმოუდგენელი ახსნის სხვა წყაროებისა ვის მიემართ. ბრალდებუ-

ლებს, განაცხადეს მათ, ათასნაირ საწამლავს აძლევდნენ, ქსნიდაპირზე
ზეს და ნარკოტიკული საშუალებებით ახდენდნენ მათზე ზემოქმედე-
ბას. მაგრამ ქვეყნად ჯერ არავის მოუხერხებია, სხვა არსება ასეთი
ძლიერი და ხანგრძლივი ზემოქმედების ქვეშ ჰყოლოდა და საეჭვოა, რო
ის მეცნიერი, რომელიც ამას შეძლებდა, პოლიციის ორგანოების საიდუმ-
ლო ხელქვეთის მდგომარეობით დაქმაყოფილებულიყო; ასეთი მეცნიე-
რუთარი ავტორიტეტის გაზრდის მიზნით, მის მიერ მიკვლეულ მე-
ობის უეჭველად საჭაროს გახდიდა. მიუხედავად ამისა, პროცესის მოწი-
ნააღმდეგენი ამჯობინებენ, ჩაებლაუჭონ ბულვარული ხასიათის ყველაზე
აბსურდულ ჰიპოთეზებს, იმის ნაცვლად, რომ დაეჯრებინათ ერთობ
მარტივი სინამდვილე, რომ ბრალდებულები მხილებულ იქნენ და მათი
აღიარება ჰეშმარიტებას შეესაბამება.

საბჭოთა ადამიანები იცინან

საბჭოთა ადამიანები მხოლოდ მხრებს იჩეჩავენ და იცინიან, როცა
მათ ამ ჰიპოთეზების შესახებ მოუხხრობენ. თუ ჩვენ ფაქტების დამსხინე-
ბა გვსურდა, ამბობენ ისინი, რისთვის გვჭირდებოდა, მიგვემართა ისეთი
რთული და სახიფათო მეთოდისათვის, როგორიცაა ყალბ აღიარებათა
გამოძალვა? ნუთუ უფრო ადვილი არ იქნებოდა, საბუთების გაცილება?
ხომ არ ფიქრობთ, რომ ჩვენთვის გაცილებით ითლი იქნებოდა, ტროცის
მხილებისათვის პიატაკოვი და რადეკი გვეიძულებინა, წარმოეთქვათ მო-
რალატური სიტყვები, ვიზრე ის, რომ მსოფლიოსათვის წარმოგვედგინა
მისი მოლალატური წერილები და საბუთები, რომლებიც გაცილებით
უშუალოდ ამტკიცებენ მის კავშირს ფაშისტებთან? თქვენ ნახეთ და
მოუსმინეთ ბრალდებულო: განა შეგექმნათ შთაბეჭდილება, რომ მათი
აღიარებანი იძულებითია?

პროცესის გითარება

ასეთი შთაბეჭდილება მე ნამდვილად არ შემქმნია. სასამართლოს
წინაშე მდგარი ხალხისათვის არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება გეწო-
დებინათ გაწამებულნი, სსოწარკვეთილი ასებანი, რომლებიც თავიანთი
ზალათის წინაშე წარსოვნინ: საერთოდ. არ უნდა ვითიქროთ, რომ ეს
სასამართლო პროცესი რაიმე ხელოვნურ ან, თუნდაც, სახეიმო პათე-
რიკურ ხასიათს ატარებდა.

ბრალდებულთა პორტრეტი

შენობა, სადაც პროცესი მიმდინარეობდა, დიდი არა, დაახლოებით
სამას ორმოცდათ კაცს იტევს. მისამართლები, პროცესორი, ბრალდე-
ბულები, დამცველები, ექსპერტები ოდნავ შემაღლებულ ესტრადაზე ისხ-

დნენ, მათ არაფერი ჰყოფდათ სასამართლოს დარბაზში მსხვილმოტავად: რომელიც იყო, აგრეთვე, ბრალდებულთა სკამის მაგვარი რამ. ბარიერი, რომელიც ბრალდებულებს ანცალკევებდა, უფრო ლოუის მოაჯირს მოგაგონებდა. თვით ბრალდებულები წარმოგიდგებოდნენ ნაპატივებ, კარგად ჩაცმულ მამაკაცებად, რომლებსაც ნელი, ბუნებრივი მანერები ჰქონდათ. ისინი სვამინენ ჩაის, ჯიბებიდან გაზეთების კიდეები მოუჩანდათ და ხშირად პუბლიკას აცქერდებოდნენ. საერთო ხელით, ეს უფრო დისკუსიას ჰგავდა, ვიღრე სისხლის სამართლის პროცესს, დისკუსიას, რომელიც განათლებულ ადამიანებს დიალოგის ტონში მიჰყავთ, ცდილობენ გაარკვიონ სიმართლე და დაადგინონ, სახელდობრ რა მოხდა და რატომ მოხდა. ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს ბრალდებულები, პროცერორი და მოსამართლენი გამსჭვალულნი იყვნენ ერთნაირი, (კინალამ დამცდა, სპორტული) ინტერესით, მაქსიმალური სიზუსტით გაერკვიათ ყოველივე მომხდარი. ამ სასამართლოს ინცენირება რეჟისორისათვის რომ დაევალებინათ, მაშინ მას, ალბათ, მრავალი წელი და მრავალი რეპეტიცია დასჭირდებოდა, რათა ბრალდებულთა ასეთი ბუნებრიობისათვის მიეღწია; სწავანირად ისინი ისე კეთილსინდისიერად და მოწადინებულად არ გაუშვებდნენ ხელიდან ერთმანეთის უმცირეს უზუსტობებს და არც აღელვებას გამოხატავდნენ ისეთი თავშეკავებულობით. მოკლედ რომ ვთქვათ, ჰიპნოზიორები, მომწამვლელები და სასამართლოს ჩინონები, რომლებმაც ბრალდებულები მოამზადეს, ყველა თავიანთ განმაცვიფრებელი თვისებების გარდა, იმავდროულად გამოჩენილი რეჟისორები და ფსიქოლოგებიც უნდა ყოფილიყვნენ.

ს ა გ მ ი ა ნ თ ა

წარმოუდგენლად შემზარავი გენერებოდა ის სიშიშვლე, რომლითაც ეს ადამიანები თითქმის უშუალოდ სიკვდილის წინ ყვებოდნენ თავიანთი შეეღიბების შესახებ და განმარტავდნენ საკუთარ დანაშაულს. ძალზე დასანაია, რომ საბჭოთა კავშირში სასამართლო დარბაზებში აკრძალულია ფორმგრაფირება და გრამოფონის ფირფიტებზე ჩაწერა. მსოფლიო საზოგადოებრივი აზრისათვის რომ წარედგინათ არა მარტო ის, რასაც ბრალდებოლები ყველონენ, არამედ ისიც, თუ როგორი ინტონაციებით ყვებოდნენ, გაგეცნოთ მათი სახეები, მაშინ, ვფიქრობ, ურწმუნოთა რაოდენობა გაცილებით მცირე იქნებოდა.

ს ა გ ც ი ა ლ ი

ისინი ყოელაფერს აღიარებდნენ, მაგრამ ყოველი მათგანი — მისი საკუთარი მანერით: ერთი — ცინიკური ინტონაციით, მეორე — ჯარისკაცული

სიყოჩალით, მესამე — შინაგანი წინააღმდეგობითა და თავის არითების
ხრიკებით, მეოთხე — მოწაფური მონანიებით, მეხუთე — ჰქუის დარი-
გებით; მაგრამ ტონი, სახის გამომეტყველება, უესტი ყველას ალალ-მარ-
თალი ჰქონდა.

პიათაკოვი

არასოდეს დამავიწყდება საშუალო სიმაღლის, შუახნის ვაჟბატონი,
ოდნავ გამელოტებული, წითური, ძველმოდურად ჩაცმული გიორგი პია-
ტაკოვი, თავისი მოქანავე მახვილი წვერით, როგორ იდგა მიკროფონის
წინ და როგორ ლაპარაკობდა — თითქოს ლექციას კითხულობსო. ივი
მშვიდად და მონდომებით ყვებოდა იმის შესახებ, თუ როგორ მავნებლო-
ბდა მისდამი დაქვემდებარებულ მრეწველობას. ის განმარტავდა, მიუთი-
ობდა გაწვდილი თითოთ, მოგავრცებდა უმაღლესი სკოლის მასწავლე-
ბელს, ისტორიკოსს, რომელიც გამოდიოდა მოხსენებით კარგა ხნის წინათ
გარდაცვლილი ადამიანის, სახელად პიატაკოვის, ცხოვრებისა და მოღვა-
წეობის შესახებ და ისწრაფოდა, დაწვრილებით განემარტა ყველა
კარემოებანი; იგი გამსჭვალული იყო ერთი სურვილით, რათა მსმენე-
ლებსა და სტუდენტებს ყველაფერი სწორად გაეგოთ და აეთვისებინათ.

რაღავი

არა მგონია, ოდესმე დამავიწყდეს მწერალი კარლ რადეკიც. არასო-
დეს დამავიწყდება, თუ როგორ იჯდა იგი იქ თავის ყავისფერ პიკაში,
არც მისი უშნონ სახე, რომელიც ძველმოდური წაბლისფერი წვერით იყო
შემოვლებული, არც ის, თუ როგორ უცქერდა ის პუბლიკას, რომლის
დიდი ნაწილი მისთვის ნაცნობი იყო ან სხვა ბრალდებულთ, რომლებიც
ხშირად ირონიულად ქირქილებნენ; არც ის დამავიწყდება, შემოსვლისას
როგორი მსუბუქი, სათუთა უესტით დაადებდა ხოლმე მხარზე ხელს ერთს
ან მეორე ბრალდებულთაგანს; არც ის, გამოსვლისას როგორ ოსტატურად
ახდენდა პიზირებას, ქედმალურად უყურებდა დანარჩენ ბრალდებუ-
ლებს და გახაზვდა თავის უპირატესობას, მეღილური, სკეპტიკური, მარჯ-
ვი, ლიტერატურულად განათლებული ადამიანის როლში წარმოგვიდგე-
ბოდა. მოულოდნელად მან პიატაკოვი მიკროფონს მოსწყვიტა და თვი-
თონ დადგა მის აღილას. ხან გაზეთს უტყლამუნებდა ბარიერს, ხან ჩაის
ჭიქას აიღებდა, მასში ლიმონის რგოლს ჩააგდებდა, კოვზით მოურევდა,
ყვებოდა შემზარვი საქმეების შესახებ და პატარა ყლუპებით სვამდა
ჩაის. მაგრამ მან სრულიად გულწრფელად წარმოსთვეა თავისი დასკვნითი
სიტყვა, რომელშიც განმარტა, თუ რატომ გამოტყდა, და ეს განცხადე-
ბა, მიუხედავად მისი ძალადუტანლობისა და სანიმუშოდ დახვეწილა

ფორმულირებისა, გულის ამაყუჩებლად გაისმა, როგორც აღსარება აღა-
შიანისა, რომელიც ლიდ უბედურებას განიცდის. ყველაზე საზარელი და
ძნელად ასახსნელი იყო უესტი, რომლითაც რადეგმა უკანასკნელი უხდო-
ბის დასრულების შემდეგ დატოვა სასამართლო დარბაზი. ეს იყო შეაღ-
მის ოთხ საათზე, როცა ყველანი — მოსამართლები, ბრალდებულები და
შსმენელები — ძლიერ დაიქანცნენ. ჩვიდმეტი ბრალდებულიდან ცამეტს
— მათ შორის რაღეც ახლო მეგობრებს — სიკვდილი მიუსაჯეს; რა-
ღეც და სხვა სამს — მხოლოდ პატიმრობა. მოსამართლემ განახენი
წაიკითხა, ყველამ — ბრალდებულებმაც და დამსწრეებმაც — ფეხზე
მდგარმა მოვისმინეთ ის. ვიდექით გაუნძრევლად, ღრმა დუმილში გაყუ-
ჩებულნი. განახენის წყითხების შემდეგ მოსამართლები მყისვე გავიდნენ.
გამოჩნდნენ ჯარისკაცები; ისინი თავდაპირველად იმ ოთხეულთან მივიდ-
ნენ, რომელთაც სიკვდილი არ ჰქონდათ მისჯილი. ერთ-ერთმა ჯარისკაცმა
მხარზე ხელი დაადო რაღეც, ეტყობა, შესთავაზა გაყოლოდა მას. რაღე-
კიც გაჰყვა. იგი შემობრუნდა, მისალმებისგვარად ასწია ხელი, თითქმის
შეუმჩნევლად აიჩეჩა მხრები, თავი დაუქნია სიკვდილმისჯილ მეგობრებს
და გაულიმა. დიახ, მან გაიღიმა.

დ ა ნ ა რ ჩ ა ნ ა ბ ი

ასევე, ძნელია დაივიწყო ინუინერ სტროილოვის დაწვრილებითი, გა-
მტანჯველი მონაყოლი იმის თაობაზე, თუ როგორ მოხვდა იგი ტროცის-
ტულ ორგანიზაციაში, როგორ ცდილობდა, თავი დაელწია იქიდან, რო-
გორ სარგებლობდნენ ტროცისტები მისი ძველი დანაშაულით და არ
უშეგვებდნენ, მაგრად ხლართავდნენ თავიანთ ქსელებში. დაუვიწყარია,
ავრეოთვე, წვეროსანი ებრაელი მეწალე დრობნისი, რომელმაც განსაკუთ-
რებით გამოიჩინა თავი სამოქალაქო ომში. მეფის ციხეში ექვსი წლის
პატიმრობის შემდეგ თეთრგვარდიელების მიერ სამჯერ სიკვდილმისჯი-
ლი, იგი როგორდაც სასწაულებრივად გადაურჩა სამჯერ დახვრეტას და
ახლა აქ, სასამართლოს წინაშე მდგარი, იბნეოდა და სიტყვა უწყდებო-
და, ცდილობდა, როგორმე თავი დაეძვრინა; იგი იძულებული იყო ეღია-
რებინა, რომ მის მიერ ორგანიზებულმა აფეთქებებმა გამოიწვიეს არა
მხოლოდ მატერიალური ზარალი, არამედ — როგორც ჩაფიქრებული
იყო — მუშათა დაღუპვაც. შემაძრწუნებელი შთაბეჭედილება მოახდინა,
ასევე, ინუინერმა ნორკინმა, რომელმაც თავის საბოლოო სიტყვაში დას-
წყვევლა ტროცი, გადმოანთხია მის მიმართ დაგუბებული ზიზღი და სი-
ოულვილი. მღელვარებისაგან ფერმისძილმა, მან დატოვა დარბაზი, რაღ-
განაც ცუდად გახდა. სხვათა შორის, პროცესის მთელ მანძილზე ეს იყო

პირველი და ერთადერთი შემთხვევა, როცა ვინმემ დაიყვირჩეულა — მოსამართლები, პროკურორი, ბრალდებულები — ლაპარატურაზე მშვიდად, პათოსის გარეშე, ხმის აუწევლად.

რათომ არ იცავენ ისინი თავს?

ისინი, ვინც ორქოფობენ და არ სურთ, დაიჯერონ ბრალდების სინაზდვილე, ზემოთ მოყვანილი შეკამათების გარდა, ამას იმით ასაბუთებენ, რომ ბრალდებულთა ქცევა სასამართლოს წინაშე ფსიქოლოგიურად გაუგებარი იყო. იმის ნაცვლად, რომ უარზე მდგარიყვნენ, — კითხულობენ სკეპტიკოსები, — ბრალდებულები პირიქით რატომ ქცეოდნენ და ცდილობდნენ, ერთმანეთისთვის ეჭობნათ აღიარებებში? და, თანაც, როგორ აღიარებებში! ისინი თვითონ ხატავენ თავიანთ თავს ბინძურ, ფლიდ ბოროტოქმედებად. რატომ არ იცავენ ისინი თავს, როგორც ამას ჩვეულებრივ აკეთებს ყველა ბრალდებული სასამართლოს წინაშე? თუნდაც შეიღებულნი იყვნენ, რატომ არ ცდილობენ, მოიყვანონ თავის გასამართლებლად შემამსუბუქებელი გარემოებანი და პირიქით, რატომ უფრო შეტად ამძიმებენ თავიანთ მდგომარეობას? თუკი მათ სწამთ ტროცკის თეორიისა, ეს რევოლუციონერები და იდეოლოგები რატომ აშკარად არ გამოიდიან თავიანთი ბელადისა და მისი თეორიის მხარეზე? გამოიდიან რა ძალების წინაშე უკანასკნელად, რატომ ახლა მაინც არ განადიდებენ თავიანთ საქმეებს, რომლებსაც ისინი სანაქებოდ უნდა მიიჩნევდნენ? და ბოლოს, შეიძლება წარმოიდგინო, რომ ამ ჩვიდმეტიდან ერთი, ორი ან ოთხიც შეიძლებოდა დაემორჩილებინათ, მაგრამ ყველას დამორჩილება საეჭვოა.

აი, რათომ აგაოგენ საგაოთა ადამიანები

ის, რომ ბრალდებულები აღიარებენ დანაშაულს, — შეგედავებიან საბჭოთა მოქალაქეები, — ერთობ მატტივად აიხსნება. წინასწარი გამოძიებისას ისინი იმდენად იყვნენ მხილებულნი მოწმეთა ჩვენებებითა და საბუთებით, რომ უარყოფა მათი მხრიდან უაზრო იქნებოდა. ის, რომ ყველა აღიარებს, იმით აიხსნება, რომ სასამართლოს წინაშე წარდგენილი არ არის შეთქმულების მონაწილე ყველა ტროცკისტი, არამედ მხოლოდ ისინი, რომლებიც ბოლომდე იქნენ მხილებულნი. აღიარებათა პათეტიკური წასიათი მირითადად თარგმანს უნდა მივაწეროთ. რუსული ინტონაცია ძნელად ეგუება თარგმანს და რამდენადმე უცნაურად, გადაჭარბებულად უდერს, თითქოს მის ძირითად ტონს უფროობითი ხარისხი წარმოაღენდეს (ბოლო შენიშვნა სწორია. ერთხელ მე გავიგონე, მოძრაობის მარებულირებელმა მილიციელმა როგორ უთხრა ჩემს მძღოლს: „ამხანავო,

გეთაყვათ, პატივი ეცით წესებს“. გამოთქმის ასეთი მანერა უცნაურად გეჩვენება. როცა მას თარგმნიან, ის უფრო მეტად უცნაურად გეჩვენება აზრობრივად, ვიდრე სიტყვასიტყვითი ტექსტი: „გაიგონეთ, ნუ არღვევთ, გეთაყვათ, მოძრაობის წესებს“. ოქმების თარგმანი ბეჭდვით სიტყვაში უფრო მეტად ჰგავს ამ ტონში ნათქვამს: „იყავით თავაზიანი, პატივი ეცით წესებს“, ვიდრე: „ნუ არღვევთ, გეთაყვათ, მოძრაობის წესებს“.)

ავთორის მოსაზრება

უნდა ვალიარო, რომ, ოუმცა, პროცესმა ბრალდებულთა დანაშაულში დამარტიმუნა, მაინც, საბჭოთა ხალხის არგუმენტების მიუხედავად, ბრალდებულთა ქცევა სასამართლოს წინაშე ჩემთვის მთლად ნათელი არ დარჩენილა. პროცესის შემდეგ საბჭოთა პრესაში დაუყოვნებლივ გამოვაჟვეყნე საკუთარი შთაბეჭდილებები: „ძირითადი მიზეზები იმისა, რაც ჩაიდინეს ბრალდებულებმა, და სასამართლოს წინაშე მათი ქმედების მთავარი მოტივები დასავლეთისათვის მთლიანად ნათელი მაინც არ იქნება. დაე, უმრავლესობას მათი საქციელით დამსახურებული ჰქონდეს სიკვლილით დასხა, მაგრამ სალანძღვი სიტყვებითა თუ გულისწყრომის გადმონთხევით არ შეიძლება ავხსნათ ამ ადამიანთა ფსიქოლოგია. ტროცესტთა ბრალისა და მონანიების ბოლომდე გაცნობას დასავლეთისათვის შეძლებს მხოლოდ დიდი საბჭოთა მწერალი. „მაგრამ ჩემი სიტყვები არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავს იმას, რომ მე მსურს სახელი გავუტეხო პროცესის მსვლელობას ან მის შედეგებს. მე რომ მკითხონ, როგორია ჩემი მოსაზრების კვინტესენცია, მაშინ მე შემიძლია, პუბლიცისტ ერნსტ ბლოხის მაგალითისამებრ, ვუპასუხო სოკრატეს სიტყვებით, რომელიც ჰერაკლიტს ზოგიერთი ბუნდოვანი აზრის შესახებ ასე უღრძის: „ის, რაც გავიგე, შესანიშნავია, აქედან მე ვასკვნი, რომ დანარჩენიც, რაც ვერ გავიგე, ასევე მშვენიერია“.

განვართების მცდელობა

საბჭოთა ძალამიანებს ვერ წარმოუდგენიათ ასეთი გაუგებრობა, პროცესის დამთავრების შემდეგ ერთ კრებაზე ერთი მოსკოველი აგზებულად გამოვდია ჩემი საგაზეოო ცნობის გამო. მან თქვა: „ფოიხტვანგერი ვერ ხდება, თუ რა მოტივებით ხელმძღვანელობდნენ ბრალდებულები ალიარებისას. წითელ მოედანზე დემონსტრაციაში მონაწილე მეოთხედი მილიონი მუშა კი ამას ხდება“. მე მაინც მეჩვენება, რომ პროცესის გასაგებად უფრო მეტი ღონე ვიხმარე, ვიდრე უმრავლესმა დასავლეთის კრიტიკოსმა და იმის გამო, რომ საბჭოთა მწერალი, რომელიც შეძლებდა

უკეთ გაეშუქრებინა ალიარების მოტივები, ჯერ კიდევ არ გამოჩენილა, მსურს, თვითონ ვცალო მოვითხროთ, თუ როგორ. წარმომძლევენა აღწერების გენეზისი.

პარტიული სასამართლოს არსე

სასამართლო, რომლის წინაშეც გაიშალა პროცესი, უეჭველად, შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც გარდებული. პარტიული სასამართლო, ბრალდებულები ჰაბუკობიდანვე ეკუთვნოდნენ პარტიას, ზოგიერთი მათგანი კი მის ხელმძღვანელად ითვლებოდა. შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ პარტიულ სასამართლოში მიცემულ ადამიანს შეუძლია ისევე მოიქცეს, როგორც დასავლეთში ჩვეულებრივ სამართალში მიცემულს. თუმცა, რადეკის მარტივ მიმართვას სასამართლოსადმი „ამხანავო მოსამართლევ“, შინაგანი აზრი პქონდა. ბრალდებული თავს ჯერ კიდევ პარტიასთან კავშირში კრძნობს; ამიტომ არ არის შემთხვევითი, რომ პროცესს თავიდანვე საზღვარგარეთელისათვის უცხო დრისკუსის ხასიათი ჰქონდა. მოსამართლები, პროცერორი და ბრალდებულები ერთმანეთთან საყრთო ჯაჭვის კვანძებით, იყვნენ დაკავშირებულნი და ეს მოჩევენებით როდი იყო, ისინი გვანან ინჯინერებს, რომლებიც სრულიად ახალ როტულ მანქანის ცდიან. ზოგიერთმა მათგანმა ამ მანქანაში რაღაც დააზიანა, მაგრამ დააზიანა არა ბოლმით, არამედ უბრალოდ იმიტომ, რომ უინიანად სურდა, ამ მანქანის გასაუმჯობესებლად გამოეცადა საკუთარი თეორიები. მათი მეთოდები უმართებულო აღმოჩნდა, მაგრამ ეს მანქანა სხვაზე არანაკლებად აღმოჩნდა მათ გულთან ახლოს და ამიტომაც ისინი, სხვებთან ერთად, გულახვდილად მსჯელობენ საკუთარ შეცდომებზე. მათ კველას ამ მანქანისადმი ინტერესი, მისდამი სიყვარული აერთიანებს და ეს გრძნობა მოსამართლეებსა და ბრალდებულებს სურვილს აღუძრავს, ასე მეგობრულად ითანამშრომლონ ერთმანეთთან; ამდაგვარი გრძნობა, რომელიც ინგლისში მთავრობას იმდენად მტკიცედ კავშირებს ოპოზიციასთან, რომ ოპოზიციის ბელადი სახელმწიფოსაგან ჯამაგირის სახით ორი ათას ფუნტს ღებულობს.

წარმართო წინასწარებელები

ბრალდებულები ტროცკის მიმდევრები იყვნენ; მათ დაცემის შემდეგაც კი სჯეროდათ მისი, ისინი საბჭოთა კავშირში ცხოვრობდნენ და ის, რაც გაძევებულ ტროცკის შორეული, ბუნდოვანი ციფრებისა და სტატისტიკის სახით წარმოედგანა, მათვის ცოცხალი სინამდვილე იყო. ამ რეალური სინამდვილის წინაშე ტროცკის თეზისს ერთ, ცალკე აღებულ ქვეყანაში სოციალიზმის აშენების შეუძლებლობის შესახებ არ

შეეძლო ხანგრძლივი არსებობის იმედი ჰქონოდა. 1935 წელს, საბჭოთა კავშირს მზარდი გაფურჩქვნის ხანაში, ბრალდებულებს უნდა ელიარებინათ ტროციზმის გაკოტრება. რადეკის სიტყვებით, მათ დაკარგეს ოწენა ტროცის კონცეფციისადმი. ამ გარემოებათა გამო და ოვით მოვლენათა ბუნებრიობის გამო, ბრალდებულთა აღიარება გაისმა, როგორც სტალინის რეჟიმისადმი იძულებითი ჰიმნი. ბრალდებულები დაემსგავსნენ იმ ბიბლიურ წარმართ წინასწარმეტყველს, რომელიც დასაწყეველად გამოვიდა და, თავისი ნების საწინააღმდეგოდ, ლოცვა-ეურთხევა აღმოხდა.

ტროცისადმი დალაპი

ბრალდებული მურალოვი 8 თვის განმავლობაში უარყოფდა თავის დანაშაულს, ვიდრე, საბოლოოდ, 5 დეკემბერს არ აღიარა. „თუმცა, მე,— განაცხადა მან პროცესზე, — ტროცის დირექტივას ტერორისა და მავნებლობის შესახებ მართებულად არ ვთვლიდი, მაინც მორალურად დაუშვებლად მიმაჩნდა მისთვის ღალატი. მაგრამ, საბოლოოდ, როცა მას განუღვნენ სხვები — ერთნი პატიოსნად, მეორენი უნამუსოდ, — ჩემს თაქ ცუთხარი: მე აქტიურად ვიბრძოდი საბჭოთა კავშირისათვის სამ რევოლუციაში და ჩემი სიცოცხლე მრავალჯერ ბეჭვზე გვიდა. ხომ არ უნდა დავემორჩილო მის ინტერესებს? თუ ტროცისთან უნდა დავრჩე და განვაგრძო და გავაღრმავო მისი უმართებულო საქმეები? მაგრამ მაშინ ჩემი სახელი დროშად მოემსახურება მათ, ვინც ჯერ კიდევ კონტრრევოლუციონერთა რიგებშია. სხვები, მიუხედავად იმისა, პატიოსნად განუდგნენ ტროცის თუ უსინდისოდ, ყოველი შემთხვევისათვის, არ დგანან კონტრრევოლუციის დროშის ქვეშ. დავრჩე თუ არა ასეთ წმინდანად? ჩემთვის ეს გადამწყვეტი იყო და მეც ვთქვი: კეთილი, მივდივარ და მთელ სიმართლეს ვაჩვენებ?”

რადეკის ჩვენებები ამ პუნქტით უფრო დახვეწილი ფორმისაა და ძირითადად იმავე აზრს იმეორებს. პროცესს რომ თავი გავანებოთ, ორ-თვე ადამიანის სიტყვები ფსიქოლოგიური მიმართებით საინტერესოდ მეჩვენება. ისინი თვალსაჩინოდ გვიჩვენებენ, თუ რომელ ზღვარამდე შეიძლება მიპყვეს ხალხი ადამიანს, რომლის უპირატესობის, უნარიანი ხელმძღვანელობისა და გენიალური კონცეფციისაც მათ სჯერათ, და სად იწყება მოსახვევი, რომელზედაც ისინი მას ტოვებენ. ავანტიურისტულ და შეუპოვარ საშუალებებს, რომლებსაც ტროციმ მიმართა მას შემდეგ, რაც გაირკვა მისი ძირითადი კონცეფციის მდარობა, უნდა შეეშინებინა მისი მცირე მომხრეები. მათ დაიწყეს მისი მეთოდების უზროვან გამოცხადება. ისინი ადრევე ვერ განუდგნენ მას მხოლოდ იმიტომ, რომ არ

იცოდნენ, როგორ მოეხერხებინათ ეს ტექნიკურად. „ჩვენ თვითონ წაგიდავთ მილიციაში, — განაცხადა რადექმა, — მას რომ არ დაესწრო ჩვენი ნიან მოსვლა“, და ეს სავსებით სარწმუნოა. ზოგიერთი თანამონაწილე ხომ ნამდვილად აღრევე მივიღა მილიციაში და ასეთნაირად გამოაშეარავდა შეთქმულება.

ადაგიანები, როგორთაც სჯერათ თავიანთი საჯისა

დაეჭვებულთა კამათი არსებითად მართებულია. ადამიანებმა, რომ-ლებთაც სწამო /თავიანთი საქმისა, იციან, რომ სასიკვდილოდ არიან გან-წირულნი, მაგრამ ბოლო წუთებშიც არ ლალატობენ მას. ისინი ებლაუშე-ბიან საზოგადოებისადმი მიმართვეს უკანასკნელ საშუალებებს და თა-ვიანთ გამოსვლას იყენებენ საჯუთარი საქმეების პროპაგანდის მიზნით. ასობით რევოლუციონერი ჰიტლერის სხასამართლოს წინაშე აცხადებს: „დიახ, მე ჩავიდინე ის, რაშიც თქვენ ბრალს მდებთ. თქვენ უეგიძლიათ მე გამანადგუროთ, მაგრამ ვამაყობ იმით, რაც გავაქეთე“. ასეთნაირად დაეჭვებულნი მართალნი არიან, როცა კითხულობენ: რატომ არც ერთმა ტროცკისტთაგანმა არ თქვა: „დიახ, თქვენი „სტალინის სახელმწიფო“ უმართებულოდაა აგებული, ტროცკი მართალია. ყველაფერი, რაც მე გა-ვაკეთე, კარგია. მომქალით, მაგრამ მე ვიცავ ჩემს საქმეს“.

ადაგიანები, როგორთაც არ სჯერათ თავიანთი საჯისა

მაგრამ ეს შედავება სარწმუნო პასუხს წვდება. ტროცკისტები ასე იმიტომ არ აცხადებდნენ, რომ მათ მეტი აღარ სჯეროდათ ტროცკისა, იმი-ტომ, რომ შინაგანად მათ უკვე ალარ შეეძლოთ დაეცვათ ის, რაც შთა ჩაიდინეს, რადგან მათი ტროცკისტული მრწამისი ფაქტებით იმდენად იყო უგულებელყოფილი, რომ თვალხილულ ადამიანებს აღარ შეეძლოთ ეწამათ იგი. მას შემდეგ, რაც ისინი უმართებულო მხარეს დადგნენ, სხვა რაღა გზა ჰქონდათ? მათ მეტი აღარაფერი დარჩენოდათ (თუკი მტკიცე სოციალისტები იყვნენ), გარდა იმისა, რომ უკანასკნელ გამოსვლაში სიკვდილის წინ ელიარებინათ: სოციალიზმი არ შეიძლება განხორციელდეს იმ გზით, რომლითაც ჩვენ მივიღიოდით. — ტროცკის მიერ შე-მოთავაზებული გზით, იგი უნდა განხორციელდეს მხოლოდ სხვა — სტა-ლინის მიერ შემოთავაზებული გზით.

ოთხოცდახაზოთი ან ასი პროცენტი

მაგრამ, თუკი იდეოლოგიურ წამეჭიებლურ მიზეზებსაც კი უკუვაგ-დებთ და მხედველობაში მივიღებთ მხოლოდ გარეშე გარემოებებს, მა-

შინ ბრალდებულები იძულებული იყვნენ ელიარებინათ, როგორ უნდა მოქცეულიყვნენ ისინი მას შემდეგ, რაც იხილეს ერთობ დამაჯერებული ძიების მასალა, რომელიც მათ ნამოქმედარს ამხელდა? ისინი განწირული იყვნენ, იმისდა მოუხედავად, აღიარებდნენ, თუ არ აღიარებდნენ. თუ ისინი აღიარებდნენ, მაშინ შეიძლება ეს აღიარება, ყველაფრის მიუხედავად, შეწყალების იმედის ნაპერწყალს გაუღვივებდა; უხეშად რომ ვთქვათ, თუ ისინი არ აღიარებდნენ, მაშინ ყველანი ასი პროცენტით სასიკვდილოდ იყვნენ განწირული, თუკი აღიარებდნენ, — ოთხმოცდაცხრამეტი პროცენტით და, რაკი მათი შინაგანი რწმენა არ ეწინააღმდეგება აღიარებას, მაშინ რატომ არ უნდა აღიარონ? მათი დასკვნითი სიტყვიდან ჩანს, რომ ასეთი სახის მოსაზრებებს ნამდვილად ჰქონდა აღგილი, ჩვილმეტი ბრალდებულიდან თორმეტმა სასამართლოს სოხოვა, სასჯელის გამოტანისას, ბრალდების შემსუბუქების მიზნით, მხედველობაში მიეღოთ მათი აღიარებანი.

ტრაგიკომიკური მომავალი

ნებით თუ უნებლიერ, თავიანთი თხოვნა მათ უნდა გამოეხატათ დაახლოებით ერთნაირი სიტყვებით და ამან, საბოლოოდ, თითქმის შემაძრწუნებელი, ტრაგიკომიკური შთაბეჭდილება შექმნა. ეს განსაკუთრებით აშეარად გამოჩნდა ბრალდებულთა დასკვნით სიტყვაში. ყველა დაძაბულად ელოდა ამ თხოვნის წარმოოქმას და როცა ის ნამდვილად წარმოთქვეს (ამასთან, ყოველთვის გარდაუვლად ერთფეროვანი ფორმით), მსმენელებს უმძიმდათ სიცილის შეკავება.

რისთვისაა საპირო ხმის გაძლიერება?

მაგრამ პასუხი კითხვაზე, რა მიზეზებმა განაპირობეს ის, რომ ეს პროცესი სინათლეზე გამოეტანათ, მოეწვიათ მსოფლიო პრესა და მსოფლიო საზოგადოებრიობა, უფრო რთულია, ვიდრე პასუხი კითხვაზე, რა მოტივებით ხელმძღვანელობდნენ ბრალდებულები. რას ელოდნენ ამ პროცესისაგან? ხომ არ უნდა მოეტანა ამ მანიფესტაციას უფრო არასასურველი, ვიდრე სასურველი შედეგები? ზინოვიევის პროცესს საზღვარგარეთ მავნე მოქმედება მოახდინა: მან მოწინააღმდეგებს ხელში ჩაუგდო დიდი ხნის ნანატრი მასალა პროპაგანდისათვის და კავშირის მრავალი მეგობარი აიძულა, ეყოყმანი. მან გამოიწვია ეჭვი რეჟიმის მდგრადობისა, რომლისაც აქამდე მტრებსაც კი სჯეროდათ. რისთვისლა იყო. საჭირო მეორე მსგავსი პროცესით საკუთარი პრესტიჟის ასე ქარაფშუტულად შერყევა?



მიზეზი, ამტკიცებენ მოწინააღმდეგენი, საჭიროა ვეძებოთ სტალინის გამანადგურებელ დესპოტიზმში, იმ სიხარულში, რომელსაც ის განიცდის ტერორით. აშკარაა, რომ სტალინს, არასრულყოფილების, ძალაუფლებისა და შურისძიბის უსაზღვრო უინით შეპყრობილს, სურს, შური იძიოს ყველაზე, ვინც ოდესმე შეურაცხვყო იგი და ჩამოიშოროს ისინი, ვინც რაიმე მიმართებით შეიძლება სახიფათო გახდეს.

საგრალო ფეიქოლოგები

მსგავსი ლაყბობა მოწმობს ადამიანის სულის შეუცნობადობისა და მართებულად განსხის უუნარობას. საქმარისია წაიკითხო სტალინის ნებისმიერი წიგნი, ნებისმიერი სიტყვა, ნახო მისი ნებისმიერი პორტრეტი, გაიხსენო სოციალიზმის მშენებლობის განხორციელების მიზნით მის მიერ ჩატარებული ნებისმიერი ღონისძიება და უმაღვე ნათელი გახდება, რომ ამ გონიერ, წინდახედულ კაცს არასოდეს შეეძლო ჩაედინა ასეთი შემზარავი სისულელე, როგორიცაა ურიცხვ თანამონაწილეთა და ხმარებით ასეთი უხეში კომედიის დადგმა ერთადერთი მიზნით — ბენგალის განათების ქვეშ იზეიმო მოწინააღმდეგებზე გამარჯვება.

გ ა დ ა წ ჟ ვ ე თ ი ლ ე ბ ა

მე ვფიქრობ, რომ საკითხის გადაწყვეტა მარტივია და, ამასთან, როულიც. უნდა გავიხსენოთ საბჭოთა კავშირის მტკიცე გადაწყვეტილება, განაგრძოს მოძრაობა დემოკრატიის გზით და, უპირველეს ყოვლისა, უნდა გავიხსენოთ იქ არსებული დამოკიდებულება ომის საკითხთან, რაზედაც უკვე რამდენჯერმე მივუთითებდი.

დემოკრატიზაცია და ომის საშიშროება

მზარდ დემოკრატიზაციას, კერძოდ კი ახალი კონსტიტუციის პროექტის წინადადებას, ტროცკისტთა შორის უნდა გამოეწვია აქტივობის ახალი აღმავლობა და მათში მოქმედების დიდი თავისუფლებისა და აგიტაციის მედი აღეგზნო, მთავრობამ დროულად წარმოაჩინა თავისი მტკიცე გადაწყვეტილება, ჩანასახშივე გაენადგურებინა ტროცკისტული მოძრაობის ყოველგვარი გამოვლენა. მაგრამ მთავარ მიზეზს, რომელმაც აიძულა საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელები, ჩაეტარებინათ ეს პროცესი ურიცხვ მოლაყბეთა წინაშე, წარმოადგენს, ალბათ, ომის უშუალო საფრთხე, აღრე ტროცკისტები ნაკლებად სახიფათონი იყვნენ, მათთვის

შეიძლებოდა პატიება, უარეს შემთხვევაში — გადასახლება, თუ კი მუზეუმი და მუზეუმი გადასახლებიდან. ერთობ ქმედით საშუალებას არ წარმოადგენს; ეს იცის სტალინმა, ექვს-ჯერ გადასახლებულმა და ექვსჯერვე გამოქცეულმა ამ გადასახლებიდან. ახლა, უშუალოდ ომის წინა დღეს, ასეთი გულჩვილობის დაშვება აღარ შეიძლებოდა. განხეთქილება, ფრაქციულობა, რომელთაც მშვიდობიან გვითარებაში სერიოზული მნიშვნელობა არ ენიჭებათ, ომის პირობებში შეიძლება ვეება საფრთხედ გადაიქცეს. კიროვის მკვლელობის შემდეგ ტროცკისტთა საქმეებს საბჭოთა კავშირში სამხედრო სასამართლოები იხილავენ. ეს ხალხი წარსდგა სამხედრო სასამართლოს წინაშე, რომელმაც ისინი გაასამართლა.

საგვოთა კაგზირის ორი სახე

საბჭოთა კავშირს ორი სახე აქვს. ბრძოლაში მისი სახე წარმოადგენს მკაცრ ულმობლობას, რომელიც თავისი გზიდან ყოველგვარ ოპოზიციას აღვეს. შენობაში მისი სახეა დემოკრატია, რომელიც კონსტიტუციაში მან თავის საბოლოო მიზნად გამოაცხადა. საგანგებო ყრილობის მიერ ახალი კონსტიტუციის დამტკიცების ფაქტიც სწორედ ზინოვიევისა და რადკის პროცესებს შორის, თითქოს, ამის სიმბოლოდ მოჩანს.

თარგმნეს თინა უიოშვილმა და ალექსო ჩხარტიშვილმა



საქახორმო გეორგიელი აზროვნების ეპიზოდი ქადაგი

(ფიცრი ი. ბოგებაშვილის „დედა ენაზე“)

1968 წ. ნოდარ დუმბაძე ქართველი მწერლებთან ერთად გაემ-
გზავნა თურქეთში. ქ. ბურსაში მას ერთი შვილთალწარბა ბიჭი
მიუახლოვდა. — გურგი ვარო, — უთხრა მწერალს თარჯიშის დან-
მარტბოთ. — ქართული რატომ არ იცი? — უსაყველურა ბატონშა
ნოდარჩა. — ნენე მომიკვდა! — იმართლა თავი ყმაწვილბა...

მართლაც, არ მომკედარა დიდი საუნჯის — „დედა ენის“ შექმნელი, ამ ჯადო
წიგნის ავტორი. იგი მხოლოდ გარდაცვალა, სხვად იქცა. ეს სიტყვაც („გარდაცვალა“)
ქართველი კაცისათვის მრავლისმეტყველია. იგი არ არის არც რუსული „სკანჩალსია“,
არც გერმანული „შტერბენ“. იაკობმა, როგორც დიდმა მწერალმა და ადამიანის სულის
მესალოდმლემ, დაკირეცხულმა ფსიქოლოგმა და ჰუმანისტმა ამქვეყნად არსებული
ცოდნა-მაღლი იადგა. აწინა სამართლიანობის სასწორზე და პატარა მალხაზებს „დედა
ენის“ სასით მიაწოდა. „„დედა ენა“ დადასტურებაა შექსპირის ისეული შეკონებისა, „ბორ-
ოტი საქმე დღის სინათლეს ვერსად წაუვა, თუნდ დასამაღალ დედამიწა გადაეფაროს“.
ერთი რუსი მწერალი ამბობდა: „Хоть не вечен человек, но что вечно, человечино“
(თუმცა არ არის ადამიანი მარადიული, მაგრამ ის, რაც მარადიულია, ადამიანურია).
მარადიულია ეს დედაწიგნი!

„დედა ენა“ სახელმძღვანელოების პრეზიდენტია, ქართული იავნანაა,
მეხამბაზია, შაველერა, გენაცალეა, განდაგანა და ფერხულია; „იავ ნანა, ვარდო ნანა
იავ ნანინაო“, ყველას გაგიგონიათ (ეს ლექსიც შეტანილია „დედა ენის“ 1912 წ. გამო-
ცემაში) და, როგორც ნ. კეცხოველი შენიშვანის, ამ სიმღერაში 6 სიტყვა და ორი ულა-
მაზესი ყვავილია. ვარდი ხომ ყვავილების მეფეა და დედაც თავის პირმოს სწორედ
ამ სიტყვას ადარებს; ია კი, მუსიკის ენით რომ ვთქვათ, ი. გოგებაშვილის „დედა ენის“
უვერტურაა, უნაზესი და უმორცხვესია ყვავილთა შორის. მას მოაქვს გაზაფხულის
სურნელება, გაღვიძებული ბუნების პირველი სიხარული და დედის სიმღერაშიც ეს
სიხარულია გარდატეხილი.

„დედა ენის“ შედგენის დროს ერთად მოქმედებდნენ ჩემი ქართული გონება და
ქართული სულიონი, — წერდა ი. გოგებაშვილი; ლიტერატურას უყვარს პარალელი,
შეღარებები და პერიფრაზები. ამიტომ თავს უფლებას მივცემ მოვიყვანო მხატვრული
სიტყვის ერთი გმირებინილი ისტატის შთამბეჭდავი გამონათქვამი ოღნავი მეტამორ-
ფოზით: ნიუტონი რომ პრ გაჩენილიყო, აღრე თუ გვიან სხვა აღმოაჩენდა მსოფლიო
ისიღმულობის კანონს... მენვაძემერთ რომ არ გაჩენილიყო, აღრე თუ გვიან სხვა ამო-
ხსნიდა ატომგულის სიღმულოებას... გოგებაშვილი რომ არ გაჩენილიყო არ დაწერ-
დოდა „დედა ენა“ არახოდეს. ეს იმიტომ, რომ სწორედ ასეთ მამულიშვილს, ქართული

ენის, ქართული ხასიათის, ქართველი კაცის ფსიქოლოგიის, საქართველოს ფლორის, ფუნქციის უბადღო მცოდნებს, უსპერაჟესსა და უსათნოეს ადამიანს შეექმნა ტურქი ეროვნებისა, სიკეთის, სისპერაჟის, კაცურ კაცობრის უშრეტი მაღალი — „დედა ენა“, რომელიც დასაწყისში პატარა თავანერა წყაროს ჰგავს, რომლის შემდეგ თანდათან ნაკალელებად იქცევა და ბოლოს მდინარეების გავლით სიბრძნის ოკანედ წარმოვვა- დვება.

საუკუნეშე მეტი გავიდა ამ წიგნთადედის გამოქვეყნებიდან, მაგრამ მას ერთი ჭა- ლარაც არ გამორჩევა. მარად ჭაბუკია, ცერიალია, ცელქია, მალხაზია, ყაყაჩობით დამ- შვენებული ყანაა, ჩიტი ნიბლია, შვილების მებნელი გვრიტია, ქალაქ- ში სასწავლებლად წასული პატარა სოფლელი ვანოა, ბარად ჩამოსული მთასა მყვირა- ლი და ტრიალ მინდონებუ ისარივით მაღი ირემია, ღამის შეხრის იმედი და ნუგეშია, წმინდა ხისაგან გათლილი გუთანია, რომელიც აღამიანებს კვებავს, მტრებისაკენ მო- ლერებული ხმალია, ჩიტი ჩიორაა, ცხვარმრავალი მეცხვარეა, მშვიდობისა და ხალხთა მეგობრობის სიმბოლო — საწყალი ახალგაზრდა მტრედია, ოქროს ბიბილოვანი მამა- ლია, რომელიც ადამიანებს გათენებას ახარებს, ცის ლაქვარდში მონავარდე არწივაა, ოთხი თავისოდენა სიმძიმის ამწევი ჭიანჭველაა, რომელიც დღენიადაგ შრომობს, მაგრამ ქება არვისგან ესმის, მოხერხებულ მწყერჩიტა, თავ- აულებელნი თავთვენია, რომელიც სავსეა მარცვლებით, იპტიმისტი ბერივა- ცია, რომელსაც ორი პარასკევი დარჩენია, მაგრამ მაინც ბალში ვაშლებს ამყნობს და რომელიც სიყვალის უბრძანებს: „შეშის აწევის შველა მინდაო“. „დედა ენა“ მცხაცაა, ვაშლის ხეც, ფიჭვიც, ლალისფერი ბარწვიც, რომელიც ყველაზე აღრე მოდის, საჭმე- ლადაც ტკბილია და სამზერადაც სასიამოვნო; პატარძლის დაგრეფილი ქორფა კიტრე- ბია, თურაშაულია, ძვირფასი მარგალიტის თვალია, მზინდან ზემოთ ამოტანილი ოქრო, ნიკოსთვის ასრულებული ოთხი სურვილია, გალიიდნ გაშვებული ჩიტია, რომელ- იც „მლოცვადა მეცა დღისით, ბინდისას, დილით, ღამეცა“, მინდგრის, ველების გამ- ლვიძებელი და კაცის გულის გამახალისებელი მეტცხალია, საყვარელი პატარა მარა, რომელმაც ავადმყოფ დედას უთხრა: „ეგ წამალი მე მამე, შენ მაგიერათ მე დავლევო“, ა- კეთილი მაა — სანდრო, რომელსაც გლეხმა მსხალი აჩუქა, მაგრამ არ შეჭამა და თავ- ის ავადმყოფ დას — კეცეს მისცა, თვითონ კი „სიამოვნებით უცქეროდა, როცა კეცე გულიანად სკამდან მსხალას“.

50 წელი ამშვენებდა „დედა ენას“ ცნობილი ზღაპარი „რწყილი და ჭიანჭველა“. არსებობს უშუალო მითითება იმის შესახებ, რომ I მსოფლიო ომის წინ ქალაქ ვენაში გამართულ ხალხურ საბავშვო ნაწარმოებთა კონკურსზე „რწყილმა და ჭიანჭველაში“ თურქმე პირები ადგილი დაიჭირა. კონკურსის უიურიმ დაადგინა მისი ეგრძობულ ენე- ბზე თარგმნა, მაგრამ ომმა ხელი შეუშალა ამ მიზნის განხორციელებას. ეს ზღაპარი იაკობს ჩუწერია გარიანში მოხუცი გლეხის გორგი კოკაურისაგან. კოქიქობთ, ბევრის მთქმელია ეს ფატი.

აკად. პ. შანიძე შენიშვნას, რომ „რწყილი და ჭიანჭველას“ სვანური ვარიანტი ჩა- წერილი მაქს 1923 წ. ამ სთაურით „ტიშიილ ი ზისყიილ“ (ტილი და რწყილაა). იაკობმ შეძენარის საწელის ნაცვლად „ჭიანჭველა“ ჩასვა, რაც პედაგოგიური მოსაზრე- ბით მართლაც გამართლებულია. ამ რამდენიმე წლის წინათ დასავლეთ გერმანიაში დაბეჭდა ქართული ზღაპარები გერმანულად. ა. შანიძე გულისტყივლით შენიშვნას, რომ მთარგმნელებს არა ქვეთ აღნიშნული, რომ იაკობმა ეს ზღაპარები გადაკეთა.

დღეს კიდევ უფრო სინაურით ვიგონებთ ი. გოგებაშვილის ერთ კერძო ბარათში აღნიშნულ სიტყვებს: „დედა ენის“ შეემნა-გაუმჯობესებაზე იმდენი შრომა არ დამინა- რგავს, რამდენიც მის წინააღმდეგ უსამართლო გამოლაშქრებისაგან დაცვას მოვაწოდ- მეო“. იაკობს დევნილნენ, ავიწროებდნენ, მან მრკვარში გადავარდნაც კი სცადა..

ამიტომ, ვფიქრობთ, ზედგამოჭრილია ამ „მომავლის მამისა“ და „მყოფადის გადაწყვეტილი მიმართ ლეონიძისეული სიტყვები: „შენ დაგმარხეს ბორკილებით, ჩვენ დროშიმებით ამოგილეთ“.

„დედა ენა“ მეფის უმცროსი შვილია, რომელიც დასმულ კითხვაზე: რა უფრო კე-
კლუცია, რა უფრო მსუბუქია და რა უფრო მაღია? უპასუხა: „გაზაფხულზე
უკალუცები, შემოდგომაზედ უშსუბუქესი და თვალებზედ უმაღესი არა იქნება რა
დედამიწის ზურგზედან“; სანდიროს გასული ამირანია, რომელმაც „მდევი დასცა,
ადგილი შეხვდა ქვანი, დასცა და მხარი მოსტეხა, დაწყებინა ღრიალი“.

„დედა ენა“ სიტყვის შემოქმედი ღმერთია (ცორედ ამ უკანასკნელი სიტყვით
მთავრდება ეს წიგნთა წიგნი), რომელიც არასოდეს „არ გაშირავს კაცას, შენგან გა-
ნაწილსა“, ქალმერთია, ოქროსთმიანი ქალწულია, დედა ლვთისაა, რომელსაც უკვდავი
სტრიქონები უძლვნა უკვდავება გალაკტიონმა:

„დედაო ლვთისაც. მზეო მარიამ!
როგორც ნაწილმარ სილაში ვარდი,
ჩემი ცხოვრების გზა სიზმარია
და შორეული ცის სილაცვარდე“.

ღიას, „დედა ენაშიც“ ხომ არის სტრიქონები: „ძუძუებში ჩაგივლია პაწაწა ხელიო; შენს ვაჟუაცობას მომასწრებს მე ლვთის მშობელიო“; ვიმეორებ, „დედა ენა“ ღმერთია,
რომელთანაც კელაპტრებივთ ანთია: გულში ჩამწვდომი მოთხოვნები და ლირიკოლი
სითბოთი გამთბარი ლექსები. წარმტაცი შინაარსის ზლაპრები და სიბრძნე-სიცრუის
იგა-არაები..

ღარბის ის თემაზიანი ათანთილის ლოგია. ნისარის წერილია თა ჰარიონის
ხმლის ელგარებაა; ავთანდილის სიმღერაა, საუკუნოვან წყვდიადში იოვისები იამონა-
კრთობი, გმირულ სივდილზე აშენებული სახელოვანი სიკვდილი, ძირს დამზობილი
ჩაჭოთა. ნისარინან ყალიბობარაშიდობილი რარიონია. ეკონის ტაიით იოგარე
შოთას გაშლილი წიგნი: მართლაც, დღის სიშაბრავ რარიგ უხდება, იალბუზივით ჭაო-
ლარა მოხუცს! 100 წელზე მეტი ხნის „დედა ენას“ ნათლად ეხედვთ, როგორ სცილ-
დება წელთა სიმიმე და ჭაბუკური იერით როგორ იმოსება; მან ხომ თავისი საუნჯე
ჩვენს ეპოქამდე მოტანა, რამაც გულს სითბო, სიხარული და სხილები შექმარა.

ზლაპრელი რაშივით დგას შემართული ეს ჯარ წიგნი, რომლის სტრიქონებშიც
სხივებად სხედან ჩევნი ხალის აწყოო, წარსული და მომავალი. საკვარველია. ამ პა-
ტარა წიგნს ვინ თააბერტყა ამდენი მაღლი, ცის წყალობა თუ ყახაჩოსაგით ამოწიგრიო
სილამაზე; საუნჯის წყვდიადიდნ ლავარტში მთვარის მოქცევასაგით ანათებს იაკობის
სახე.

„დედა ენა“ გაისავლის ანთებულ სიტყვათა თესვას, ქართლ სიდარბაისლეს,
გვინერგავს ამირანის მხნებას; პირნათელი იაკობი ბავშვის სულის გამოცდილი ლოტ-
ბარია, რომლის ვაჟუაცურ შუბლს ნათელს აფრქვევს დაფინით შემქული ანკარა და
სხივმოსილი ჭალარა. „დედა ენის“ თბილ სტრიქონებს ახლაც ხეთავს მზე თიმილით და
მისი სხივები ცისარტყელის მსგავსად ინთებიან. ამიტომ შეიძლება გავეირვებით კიდ-
ეც იყოთხო: „ეს წიგნია თუ ზარცულის ბალია?“, რადგან ყოველ სტრიქონში ვარდის
ფეხსრი მარჩია. მათ თან ახლავთ სასეს მთვარის კაშვიში. სიტყვის ყოველ მოქნევაში
იაკობის გული ფეხქავს, მაგა სცემს, ყვავილების სურნელება იგრძნობა. მისეულ
ტაბილ ფრთისან სიტყვას, უთბილესსა და უტებილეს სტრიქონებს ამკობს ჭმინდა
ქართული ხმა და კილო, მოელვარე როგორც ხმალი და მშეხარე ვით საყვირი.

„დედა ენა“ ხომ სასწაულია სასწაულთა შორის, ვეჯხის ტავად დაფენილი მთა-

ველია, ორბის ფრთხის ჩრდილით გადახაზული ქვეყანაა, გაზაფხულის, ოქტომბერი წვებია; შოთას ქარის მოგუგუნ სიმებია და აკაკის ხმაშერიალა ჩონგურიც განასხულ; განთიაღის ცეცხლის შემოყიდვაცა და წიგნაართა ლირსეული სახელიც. დაახ, ამაზეც ვრცელება ლეონიძისეული უბერებელი სტრიქონები: „ხელში აგილებ... გაკოცებ, ძალვ ჩაგოცნი, ჩაგცერა; წიგნი კა არა, — ურულა ხარ ჩამოქაფული ჩანჩქერის.. . წიგნი კი არა, დილა ხარ, ქართველი ხალხის ხათელი“; ესეც სწორია: „სიმდიდრე ბევრი წაგვართვეს, შენ დაგვრჩი წაურთმეველი!“

ეს სახელმძღვანელო „არსენას ლექსიცა“ და „აბესალომ და ეთერიც“, „ამირანიცა“ და „ოცი მამაც“... „სიბრძნე სიცრუეცა“ და „დავითიანიც“, „სადღეგრძელოცა“ და „მერანიც“, „სურამის ციხეცა“ და „ოთარაანთ ქვრივიც“, „სულიკოცა“ და „პირველი ნაბიჯიც“, „ელგუგაცა“ და „ბახტრიონიც“, „ქამიშაძის გაჭირვებაცა“ და „თავსაფრანი ღლდაცაციც“, „არსენა მარაბდელიცა“ და „კოლხეთის ციხეპიც“, „ნიკორწმინდაცა“ და „გვადი ბიგვაც“, „დიონისტატის მარჯვენაცა“ და „ზარზის ზმანებაც“... ერთი სიტყვით, „დედა ენა“ 1500 წლის ისტორიის მქონე ქართული ლიტერატურა მინიატურაში.

„დედა ენა“ ჩვენი სულიერი კულტურის მღალებელი ცოცხალი მოწმეა, პიზის, ხანძთის, შატბერდის, პარების, ტბეთის, აწყურის, ზარზმის სულიერი მემკვიდრეა, ვარძის, თმოვების, სვეტიცხოვლის, გელათისა და ნიკორწმინდის უფლებამოსილი პირია.

„დედა ენა“ ერთიანი საქართველოს მომღერალია დ. მეგრელის ბავებით:

. ართო- იხითი, იქერეთი, გურია და სამეგრელო,
ყველა ჩემი სამშობლოა, საყვარელი საქართველო.

შემის მარჯვენის მლოცველია ამ სტრიქონებით:

„იზარდე, მწვანე ჭვილო, დაპურდი, გახდი ყანაო,
იკურთხოს მისი მარჯვენა, ვინც გთესა, მოგიყვანაო“;

სოსელოს დებიუტია პოეზიაში: „ვარდს გაეფურჩენა კოკორი, გადაპხვეოდა იასა“.. . სიკეთის მთესკელია („წუთისოფლის სტუმრები ვართ, ჩვენ წავალთ და სხვა დაჩრება; თუ ერთმანეთს არ ვახარებთ, ამის მეტი რა შეგვრჩება“); საქართველოს სიმბოლოა ღაშრილი არწივის სახით („არწივი ვნახე დატრილი, ყვავ-ყორნებს ეომებოდა.. .“); ბაგშვის ესთეტიკური აღზრდის მძლავრი საშუალებაა (გაზაფხულდა, ბუქების ძირის თავს იწონებს ნაზი ია, ჩვენ სალხენად კოკობ ვარდასაც ეშით გული გაუღია). ხავერდივით მწვანე ბალას აბიბინებს სიო ნაზად, თითქოს უნდა დაეფინოს იმ ყვავილებს ფიანძიზად); პატარა ქართველის გულის მახარობელია („ჭრელი ჰეპელა ჭათრო და გაბრუა დამა, მას მიეპარა ყმაშვილი, დაჭირა და იამა“).

ნათელი აზრებით ნაქსოვი გოგებაშვილისეული წიგნი — „დედა ენა“ სანამ შრიალებს, ქართველი ხალხიც ცოცხალია. იგი თავისებური ფანჯარაა, საიდანაც მოჩანს მთელი სამყარო, ამ წიგნის თითოეული სიტყვა უკიდევანოა, წარსულის დიდი გამოცდილებაა, ჩვენი მეგობარია, რომელიც არასოდეს არ გვიღოლატებს, არ გვატუებს. „დედა ენა“ — ეს ისეთი ორეგისტრია, რომლის ყველა ინსტრუმენტი ჰარმონიულად უდერს, არც ერთი არ არის ყალბი. ცნობილია, რომ წიგნს ავტორი ქმნის, მის ბედს კი განსაზღვრავს მეთხველი. 100 წელზე მეტია, დედანისეულ სიტყვებს დაღლა არ ემწენება, სურათებს კი ჰენბიძის სიყვითლე არ შეპარვია. ჩვენ იქ შემთხვევეთ არ ჩამოვგვიდათ სიტყვა მუსიკაზე: „დედა ენის“ 1912 წ. გამოცემას ბოლოს ახლად ქართული ხალხური სიმღერები, გადაღებული კატგარეთელის, ჩხიფაგიძისა და არაყიშვილის მიერ („თამარ მეფე“, „ორმოში ცეტვი ჩავყარე“, „იაგნანა“, „სერჩე მიდის სამი მგელი“, „

„მუშაობისათვის“, „კურდღელი ჩამოცანაცალდა“, „ლექებმა რომ დამიჭვიტა“ ჩამა“, „ბუბა ქაქუჩელა“, „მიყვარს ფაცხა“), ქვეა სიმღერის ნოტებიც. თვითონ ეს ფაქტი უაღრესად საგულისხმოა და ანგარიშგასაწევი თანამედროვე სახელმძღვანელოს შეღვენისათვის.

ერთ საკუნძულზე, მეტი გავიდა „დედა ენის“ დაბალებიდან და 80 წელი — მისი ეტორის გარდაცვალებიდან. დღეს მრავალტანჯულ ქართველ ხალხს შეუძლია მოწიფებით მუსლი მოიყაროს ამ მოძღვართმოძღვრის, გულმეცნიერის ი. გოგებაშვილის სამარის წინაშე და ჩუმიად ჩასძახოს. სრულდება თქვენი ორნება ქართველი ერის ბელნიერებასთან დაკავშირებით, იგი დამთუკიდებელი სახელმწიფოა, თავი დააღწია რუსეთის იმპერიას...

იაკობს რომ შეეძლოს იმ მიწიდან, რომლისთვისაც შექსპირისა არ იყოს, სულ ერთა, ალექსანდრე მაკედონელი თუ მთხოვარა გლახა, მხრების წამოწევა ტერფზე დაკრებული, ტყავებით და გაცვეთილი სერთუკით, ნათლად დაინახავდა თავისი ერის ბედნიერების მაუწყებელ მოძრაობას.

დიდება „დედა ენას“ — ჩვენი ბავშვების ოქროს დღეების გამხსენებელს, ჩვენი შეიღების და შვილიშვილების საიმედო მეგზურს, კეთილ თანამგზავრს, ჩვენი ენის ამ-დღმელს, იმ ქადასნურ ხეს, რომლის ნაყოფს 116 წელია ვდრეფთ და მანც ულევა, ლეთებრივ მყლოდის, რომლის წარმტაცი პანგები ბერთოვენის, ბახის, ფალიაძევილის მუსიკას ილვრება ნორჩების სკეტაჟ გულებში: „დედა ენა“ ხომ საკაცობრივ მე-თოდიკური აზროვნების შშენება და საამაყეა; ეს წიგნი, რომელიც საუკუნეა ატყევ-ვებს და ამშვენებს ჩვენს გულს და გონებას, ცოდნისა და სიყვარულის ნიშანსვერით არის აღმართული ქართული პედაგოგიური ლიტერატურის დიდ ტაძარში; ყური დაუგ-დეთ „ბოშა ქალის“ ავტორს:

„ფუნთუშა ლოყებს დაუგზნიათ ჭიაკონა,
გარდო გაშლილო დედის ლხენაში!

„დედა ენაში“

რამ მოგზიბლა, ჩემო გოვონავა

კურდღლის ბაჭიამ, თუ ჩიტების სტვენამ ვენახში“.

რ. შაველა შვილი,

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.



მიწასმოვლობელობის ოსმალური ჭავების გაცრცელება ტაო-კლარჯეთსა და აჭარაში და მისი გაცლენა მხარის გამუსლიმანებაზე

გარეშე მტრების გამუდმებული შემოსევების, შიდაფეოდალური ქიშპობისა და ომების შედეგად საქართველო მე-15 საუკუნეში სამეფო-სამთავროებად დაიზალა და სათავიდოებადაც კი დაქუცაცდა. ქვეყანა უკიდურესად დასუსტდა.

თემურ-ლენის იმპერიის დაშლის შედეგ დაუძლურებულ საქართველოს ახალი მოსისხლე მტრები მოვალინა: ოსმალური თურქეთი და ყაზილბაშური იჩანი. მათ გააჩადეს სისხლისმდგრელი ომები მეზობელი ქვეყნებისა და ხალხების წინააღმდეგ.

მე-16 საუკუნის დამდეგს იჩანსა და ოსმალეთს შორის ხანგრძლივი ომები დაიწყო. საომარი მოქმედების მთავარ ასარეზად საქართველო გადაიცა. მათი პირველი ომის (1500-1555 წწ.) შედეგად სამხრეთ-დასავლეთი საქართველო, კერძოდ, სამცხე, ტაო-კლარჯეთი, აჭარა, შავშეთი, განეთი ოსმალეთის ბატონობაში მოექცა. 1578-1590 წლების იჩან-ოსმალეთის მეორე ომის შედეგად თურქეთი მთელ აშირებასის და პატრიათ.

ოსმალეთის მთავრობის პოლიტიკა გამიზნული იყო დაპყრობილი ხალხების გათურებისა და გაოსმლებისაც. ამ ამოცას ემსახურებოდა იმპერიის აღმინისტრაციული მმართველობის სისტემაც. იგი თავისი შინაარსით ბარბაროსული, ხოლო ფორმით სამხედრო-ფეოდალური იყო. თვალსაჩინო ისტორიუმი და საზოგადო მოღვაწე დიმიტრი ბაქრაძე სამართლიანად შენიშვადა, რომ „ამ ბარბაროსთა მმართველობის სისტემას კველებან მათ მიერ დაპყრობილ ქვეყნებში ერთი და იგრვე მიზანი ჰქონდათ: „ისლამის გავრცელება და ეროვნული სულის ჩატანა“.

ოსმალეთის სახელმწიფოში აღმინისტრაციული სისტემის ძირითად რგოლს ვილაიეთი ჰყდებოდა, რომელსაც სამხედრო და სამოქალაქო უფლებით აღჭურვილი პირი, ე. წ. ბეგლარ-ბეგი მეთაურობდა. ვილაიეთი სანგაუებად იყოფოდა. იგი ქართულ სადროში უტოლებობდა. მას დიდგვაროვანი ფეოდალი, ე. წ. სანგაუ-ბეგი ხელმძღვანელობდა. სანგაუები ყაზებად (შაზრებად), ხოლო ეს უკანასკნელი ნაპიედ (უბნად) იყოფოდა, ყაზაც უარისაც, ნაპიებ კი მუდირი განვიხედდა.

ოსმალური აღმინისტრაციული მმართველობის სისტემა დაპყრობილ მხარეებში მე-16 საუკუნის ბირველ ნახევარში შემოუღათ. კერძოდ, 1549 წელს ტაო-კლარჯეთში ოთხი სანგაუ დაარსებულა (ოლთისის, ართვინის, კისეიმის, ნარმანის),² ეს იმის მანიშნებელი იყო, რომ იწყებოდა ქართული მიწების ინკორპორაციის, საკუთრივ ქართველების გაოსმალებასა და გამუსლიმანების ხანგრძლივი პროცესი. მომდევნო წლებში ოსმალური მმართველობის სისტემა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს დანარჩენ მხარეშიც შემოიდეს. 1579 წელს ჩილდირის (ახალციხის), ხოლო 1578 წელს ტრაპიზინის ვილაიეთები (საფაშობი) დარსებილა. პირველი 14, მეორე კი 7 სანგაუდ იყოფილი.

ნილდირის ვილაიეთი სამცხე-ჭავაბეთს, ტაო-კლარჯეთსა და საკუთრივ აჭარას მოი-

თურქეთის სახელმწიფო-ცეკვდალური აღმინისტრაციული სისტემის მატერიალურ საფუძველს მიწისმცილობელობის ოსმალური წესები შეადგენდა. იგი ეყრდნობოდა ყურანის პრინციპებს. მისი არხი იმაში მდგრამარტიდა, რომ მიწის ერთადერთი შესაკუთრებულერო (ასაპი), ხოლო დედმიწისზე მისი მოციქული იმამი, გ. ი. სულთანი. ყურანის პრინციპებზე დაყრდნობით ოსმალეთის იმპერიაში ჯერ კიდევ მე-15 საუკუნეში მიწისმცილობელობის კანონების პირველი წიგნი შეიმუშავეს. რომელიც სულთან სულეიმან დინის დროს (1520-1566 წწ.) არსებოთად გადამუშავეს.

სიფაპები იყვნენ საშუალო და წერილი ფერდალები. ნათ სამხედრო ლენს სულთანის მთავრობა აძლევდა ხახლმწიფო მიწის ფონდიდან. სიფაპი სამხედრო ლენის მფლობელობაზე სპეციალურ ბარათს სულთანის მთავრობისაგან იღებდა. ამისათვის საჭირო იყო ფაშის (ზეგლარ-ზეგის) შუამდგომლობა. სიფაპის წოდების მობოვება შეიძლებოდა მეტყოდრეობით, პირადი დირსებით (ომში ოავის გამოჩენით და სხვა), სპეციალური ბარათის ყიდვის მეშვეობით.⁴ სიფაპის წოდების მინიჭებისათვის მთავარ პირობადი ისლამისა და სულთანის მთავრობისაგან ირთვულება ითვლებოდა. ეს გასაგებიცაა. რადგან სიფაპები ოსმალეთის იმპერიის სამხედრო ლაშქრის მთავარ ბირთვს შეადგენდნენ. ურჩობისათვის, კერძოდ, ლაშქრის გამოყვანაზე უარის შემთხვევაში, სიფაპი სამხედრო ლენს კარგადა.

ამრიგად, თქმალეთის საშეცდო სისტემის საფუძვლთა ხაფუძველს მიწა, ე. ი. მამული შეადგენდა. თურქეთში მიწები კატეგორიებად იყოფოდა. სულ მიწის 22 კატეგორია არსებობდა, რომელთაგან ძირითადი იყო ერაზი — მირი, ვაჟუფი და მულექი. 5 მათ შორის უკლაზე უფრო მნიშვნელოვნებს და ონაც წამეგანს ერაზი-მირებს კატეგორიის მიწები შეადგენდნენ. ეს იყო სახაზინო მიწები და სიფაგებს სამხედრო ლენები სწორედ მიწის ამ უნინდიდან ეძლეოდათ. ვაჟუფი — მუსლიმანური ეკლესიისა და რელიგიური დაწესებულების მიწები — ძირითადად შეწირული სოფლებისა და ნაკვეთებისაგან შედგებოდა, რომელიც სელშეუალად ითვლებოდა.

მულქი კერძო საკუთრებაში მყოფ მიწებს მოიცავდა. ამ კატეგორიის მიწები უნივერსალურ იყო და მათზე საბუთები განსაკუთრებულ პირობებში გაიცემოდა. კანონ-მდებლობის თანახმად, მულქის კატეგორიის მიწებზე ბარათები გაიცემოდა იურიდიკისა და ოჯახულიერის, ე. ი. სამიმკიდლოო უღობით.

ოსმალური შმართველობის სისტემის მთავარი ადმინისტრაციული ოგონი — ხან-ჯაყი ადგილმამულების მიხედვით სხვადასხვა სიღილის სახელო ლენებად — თომარებად, ზემოთებად და ხანებად იყოფოდა.

თიმარი იყო საშუალო სიღილის სამხედრო ლენი, ქამეთი შევარებით მხეკილი, ხოლო სახასო — უმხევილესი. მცირე თიმარი ცნობილი იყო აზაბისა და ისარის ხახლულებით.

တေသာရင် မွှေ့လျှော့ဂြေး တေသာရင်တို့၊ ဗောက် ဒ္ဓရမြတ်သား — ဒ္ဓရမြတ်သား၊ ပါ:

რისა და ზემოთის სამხედრო ლენგბზე ბარათებს როგორც ვილაიეთის ფაშები, ისე სულთანის მთავრობა იძლეოდა, ბარათს საშუალო სიღილის სამხედრო ლენგზე ვილაიეთის ფაშა (ბეგლარ-შეგი) იძლეოდა. მსხვილ და უმსხვილეს სამხედრო ლენგის ბარათს სულთანი გაცემდა. თომარიოტი ვალდებული იყო მოლაშერები გამოეყვანა. სამხედრო ლენის მექვიდრებით გადაცემის ან გაყიდვისათვის აუცილებელი იყო სულთნის მთავრობის, შესაბამისად ფაშის წებართვა.

სახასო მიწები ეძლეოდათ ვეზირებს, სულთანის კარის მოხელეებს, ფაშებს, სანკაუ-ბეგებს. სახასოდან მიღებული შემოსავალი მათი ოჯახების შენახვას ხმარდებოდა, ნაწილი კი სულთანის მთავრობის ხაზინაში გადაირიცხებოდა. ვილაიეთის ფაშის ხასის წლიური შემოსავალი, როგორც წესი, ოთხასი ათას ახჩან აღმატებოდა. სანკაუ-ბეგის ხასის წლიური შემოსავალი კი ორასი ათასიდან ოთხას ათას ახჩამდე იყო განსაზღვრული.

შევუნის მარჩენალი ცელეგან გლეხია. ასე იყო ოსმალეთის იმპერიაშიც. გლეხი ისტადციუ ცნობილია რაიას სახელით. იგი მიმარტებული იყო მიწაზე, მიწის მოცდენას სულთანის მთავრობის კანონშედებლობა კრძალავდა. მიწის შულობელობა-სარგებლობისათვის საფუძვებსა და რაიებს შორის სპეციალური საბუთი ფორმდებოდა, რომელსაც თავურ ერქვა. გლეხი (რაია) ვალდებული იყო დაემუშავებინა მიწის ნაკვეთი, მიელო მოსავალი და ფეოდალისათვის (ხიფაპი) გადასახადები დროულად გადახეადა.

სახელრეთ-დასაცელეთ საქართველოში, კერძოდ, ტაო-კლარჯეთისა და აჭარაში მიწის-მფლობელობის ოსმალური წესები მე-16 საუკუნის პირველ ნახევარში, ე. ი. ამ მხარეების დაბყრობისთანავე ვრცელდება. სულთანის მთავრობის პოლიტიკის მთავარი მიზანი — დაბყრობილი ქვეუნის გაოსმალება და გამუსლიმანება — ამ წესების გარეცელებასა და დამკიდრებაზე იყო დამოკიდებული.

შევუნის მფლობელობის ოსმალური წესების გავრცელება და დამკიდრება ერთაშად არ მომხდარა. იგი წანგრძლივი პროცესი იყო. ქართველ მოსახლეობას კარგად ჰქონდა შეგნებული, რომ ამ წესების დამკიდრება „ოსმალობას“ როგორც სოციალურ-პოლიტიკური სისტემის დამკიდრებასაც მოასწავებდა. პრაქტიკულად ეს ერთი გადაშენება აქცენტია, ამიტომ ქართველი მოსახლეობა ოსმალებს შეუპოვარ წინააღმდეგობას უწევდა, მთავრობაც ურთისილად მოქმედებდა და თავის მიზანს შენიშვნულად, მაგრამ შეცემობრად აპორციელდებდა.

დაბყრობილი ქართული ქვეუნის ინკორპორაციის, მოსახლეობის გაოსმალებისა და გამუსლიმანების მიზანით ოსმალეთის სახელმწიფოს მოხელეებმა არაერთხელ აღწერეს სახელრეთ-დასაცელეთ საქართველო. ასეთი აღწერება ჩატარდა მე-16 საუკუნის 50-იან წლებში, 1578, 1587 და 1595 წლებში. ახლოინის ვილაიეთის 1595 წლის აღწერის მასალები ქართულად თარგმნილი და გამოქვეყნებულია სახელწოდებით „გურჯისაბანის ვილაიეთის დიდი დავთარი“, მაგრამ ამ აღწერაში აჭარა, შავშეთი და ზოგიერთი სხვა ქართული მხარე არ შესულა. მიუხედავად ამისა, დავთარში მოცემული მასალებით პარალელურის გავლება და ანალოგების მოქმედნა შესაძლებელია.

ოსმალეთის მთავრობაში, თანდათანობით მოარყია ქართული სოციალურ-პოლიტიკური სისტემა, ცელეგან ადგილობრივი ქართული ხელისუფლება თემალურით შეცვალა. ვილაიეთის, სანკაუის, ყაზის, ნაპიეს და სხვა აღმინისტრაციული დანაყოფების სათვეში გამაპირდისენებული ქართველი ცეოდალები და აზნაურები დაუყენეს. ჩილდირის (ახალციხის) ვილაიეთის შექმნიდან 49 წლის შემდეგ (1628 წ.) საბოლოოდ მოსახლე ქართული ადგილობრივი ხელისუფლების ერთ-ერთი ფორმა — ათაბაგობის ინსტიტუტი, ამიერიდან იგი სულთანის მთავრობის მოხელემ — ფაშაშ შეცვალა. ქართულ ცეოდალებს წაართვეს საქართველოს მეფეთა მიერ გაცემული დოკუმენტები, მაშულები ოსმალეთის სახელმწიფოს კუთვნილებად გამოაცხადეს და სამხედრო ლენგბად გადაჭიდეს. მათ შეცლობელი-სარგებლობაზე კი სპეციალური ბარათები გასცეს.

მე-16 საუკუნის პირველ ნახევარში ტაო-ქლარჯეთისა და აჭარის ტერიტორიაზე რეალურ სანჯაყის სახასოს, ათეულობით ზეამეთისა და თიმარის ფირმანიშვილი დასრულდა მათგანის წლიური შემოსავალი განსხვავებულია. მაგალითად, ოლთისის სანჯაყის სახასოს წლიური შემოსავალი 200017 ახას შეადგინდა, არტანუჯისა — 280.000, შავშეთის — 658.000, — 600.000, მაჭაბლის — 203.000, აჭარის სანჯაყის წლიური შემოსავალი 200.000 ახას აღწევდა. სანჯაყის სახასო სამხედრო ლენტბად იყოფილა, მაგალითად, ოლთისის სანჯაყში 126 სამხედრო ლენი ითვლებოდა. მათ შორის იყო ზეამეთი — 3, თიმარი — 123, არტანუჯის სანჯაყში 4 ზეამეთი და 9 თიმარი, ბათუმის სანჯაყში 18 ზეამეთი და 78 თიმარი ითვლებოდა.⁷

ოსმალური სამხედრო-ლენტური სისტემის საბუთები აჭარაში, მაგალითად, მე-19 საუკუნის 80-იან წლებამდე შემორჩა. ისინი ხელთ ჰქონდა დიმიტრი ბაქრაძეს, რომელიც საადგილმამულო ქომისას თავმჯდომარეობდა. ამ საბუთებით შესაძლებელია ზოგიერთი საინტერესო ფაქტის დადგენა. მაგალითად, სულთან აბდულ მემიდ III-ის მიერ 1789 წელს გაცემული ფირმანიდან ვგებულობთ, რომ ვინმე ესეთ-შეგი აჭარაში ფლობდა სამხედრო ლენს, რომელიც ოთხი სოფლისაგან შედგებოდა (კვაშტა, ტბეთი, აგარა, ქველი). მისი წლიური შემოსავალი 26950 ახას ითვლილა... ესეთ ბეგის გარდაცვალების შემდეგ აღნიშნული თიმარი სულთანის ახალი ფირმანით ისმაილს გადაუცა სამხედრო სამსახურის გაწევის პირობით

სამხედრო ლენების შესახებ ფირმანები ჰქონდათ აჭარელ ბეგებს აბაშიძეებს, ხიმ-შიაზილებს, თავდაგირიძეებს, ათაბეგების ჭაულთა შთამომაგლობას, რომელთა ერთი ნაწილი ოლთისში, ლიგანასა და შავშეთ-იმერენეგში ცხოვრობდა. მაგალითად, აბაშიძეებს საგარეულო საქლის ფირმანები სანჯაყ-ბეგობაზე და ადგილ-ბატულზე, როგორც სამხედრო ლენზე, XVI საუკუნის პირველ ნახევარში, სულთან სულეიმან დიდის დროს, ებოდათ. ამ საგარეულოს პირველი სანჯაყ-ბეგის მემედის გარდაცვალების შემდეგ მის შვილზე, ხოსროზე, 1540 და 1548 წლებში ახალი ფირმანებია გაცემული.

ამ საბუთებით აბაშიძეები ფლობდნენ ადგილმამულებს, რომელიც გონიოში იწყებოდა და ჩოლოქში მთავრდებოდა. 1713, 1715 და 1717 წლებში სულთან მამულის მიერ ახმედ და მუსტაფა აბაშიძეზე გაცემული ფირმანებით აღნიშნულ გვარს ეცუთ-ნოდა სამხედრო ლენი, რომელიც ბათუმის, ქობულეთისა და ქვეშ აჭარის ოცამდე სოფელს აერთიანებდა.

მოგვიანებით აბაშიძეებმა ადგილმამულების ნაწილი მზითვად აჩუქეს თავიანთ ორ ასულს — აიშესა და როსხეთს. პირველი მათგანი ქოსოფლელ ნაკაშიძეზე, ხოლო მეორე მახუნცეცელ თავდაგირიძეზე (ქვემო აჭარა) იყო გათხოვილი, აიშეს მზითვად მისცეს ხერთვისა, აჭარისწყალი, კახაბრის ნაწილი, როსხეთს — სოფელი კაპანდიები, ხელვაჩაურისა და კახაბრის ადგილმამულები. ჩაქვის ხეობის მამულები კი ბეჭანიძეებზე გაუსხვისებიათ.⁹

სამხედრო ლენების შესახებ ბარათები მე-19 საუკუნის 50-იან წლებშიც გაუციათ, მაგალითად, 1850 წელს სულთან აბდულ მეგიდის მიერ გაცემული ფირმანიდან ირკვევა, რომ თავდაგირიძეები ფლობდნენ სამხედრო ლენს, რომელიც სოფელების ქობულეთისა და სინოსაგან შედგებოდა, შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილის სამხედრო ლენზე ბარათი გაცემულია 1857 წელს იმავე სულთან აბდულ მეგიდის მიერ. აღნიშნული სამხედრო ლენი ზემო აჭარის ტ სოფლისაგან შედგებოდა.¹⁰

სამხედრო ლენის მფლობელები უნდა ყოფილიყვნენ ქვემო აჭარის ბეგები — შერვაშიძეები. მათთალია, დამადასტურებელი სულთანის ფირმანი ჩვენ ხელთ არა გვაქვს, მაგრამ ამაზე მიგვანიშნებს დ. ბაქრაძის მიერ გურიასა და აჭარაში მოგზაურობის დროს შეგრიფილი მასალები. მისი გადმოცემით სახას-ბეგ შერვაშიძეს ქვემო აჭარიდან ათასი

მეომარი გამოუყვანის სულთანის მთავრობის ჭარში და 8 წლის განმავლობაში ოსმალები თან არა მარტინ ერთად ბოსნიაში იძროდა¹¹.

სასტრეტ-დასაცლელი, კერძოდ ტაო-კლარჯეთსა და აჭარაში მიწის რო-ლენი სისტემის გაბატონების მიუხედავად ქართული მიწათლილების შესები თღიანად აღმოცველი არ უფიცილა. ამის დასტურია სამეცნიერო, ხაგარეულო მფლობელობის არსებობის ფაქტი. ოსმალეთის იმპერიაში ამგვარი სახეები ცნობილი იყო იურთლუქისა და ოჯაჭლიქის სახელით. ამ სახის მიწები მხოლოდ სანქაუ-ბეგებს ეძლეოდათ. მაგალითად, ჩილლირის კილაირთში ითხო სანქაუ, ფასასერტი, ლივანი, ნისფი ლივანი და უაგშეთი იურთლუქისა და ოჯაჭლიქის; ე. ი. სამეცნიერო, ხაგარეულო უფლებით გაცემული იყო ქართველ გამამშადანებულ ფეოდალების.

მართალია, ამგვარი სახის მიწები სახელმწიფო საკუთრებას შეაღებნა; მაგრამ ვი მინც სერმეცვალად ითვლებოდა და მამიდან უვიზებ გადადიოდა. აქრებილი გადასასტყვები მისი მფლობელის კუთვნილება იყო. აჭარაში იურთლუქისა და ოჯაჭლიქის უფლებით მამულებზე ბარათები ქვენდათ სანქაუ-ბეგებს; ხიმიაშვილებს, აბაზიძეებს. კართლ აბგარი ფირმანი ლაზისტანის სანქაუის შეგვბისა მოცემული აქვთ დიმიტრი ბაქაცია. იგი გაუცია სულთანს 1640 წელს ვინმე მეტედ-ბეგის შვლის ხოსროსათვის. ბარათში ნათევამია: „...და, ულობდეს ამიერიდან ხოსრო თავის სანქაუს იმავე საფუძველს, როგორც ქართველი ბეგები ულობდნენ თავის მამულებს, და სანამ იგი ერთ-ცული ცეკვება ჩვენი სარწმუნოებისა, და, განაგებდეს მეტევილრეობით და შეუვალად კუთვნილ ციხეებს, სოჭუებსა და გლეხებს და სარგებლობდეს თავისი მამულების შესრულებით. მაღალადმატებულებას ვაზირთა, ბეგლარ-ბეგთა, სანქაუ-ბეგთა და სამხედრო ჩინთაგან ნურავინ მიეკარება ხოსროს სამფლობელოს ხარისი ახალებად, წინააღმდეგ შემთხვევაში ამ ჩვენი უმაღლესი ნების დამრჩევი მიჩეულ იქნა დამაშავედ უცნებესი ღმერტის წინაშე¹².

სამხედრო-ლენი სისტემის გაბატონების მიუხედავად ტაო-კლარჯეთსა და აჭარაში კლირი საკუთრებაში მყოფი მამულებიც არსებობდა, ამ სახის მიწებზე საბუთები გამარტინადან უდიდეს ქართველ ფეოდალებს ეძლეოდათ. მულების კატეგორიის მამულებზე უარჩანის გაცემის ფორმალური საფუძველი უნდა უყოფილიყო სანდაზმულობითი პულობელობა და ტრადიცია. მაგრამ სამდევილი მიზეზი უზრუ სილრმისეულია. ეს იყო ქართველი უკოდალების მოსყიდვის, მაპმადის რკულზე გადაუვანის კიდევ ერთი ვერაგული საშუალება. ამასთან უნდა აღინიშვნოს, რომ რეფორმატორი (თანხიმათი) ოსმალეთის ალექსანდრე დომინირებული მდგომარეობა მანც სამხედრო-ლენი სისტემას უკავშირდება.

სამხედრო-ლენი სისტემის რდველა ჭრ კიდევ მე-17 საუკუნის დამდეგს დაიწყო. უკოდალური ლაშქარი ისმალეთის სახელმწიფოს დამცერობლურ მიზნებს უკვე ვეღარ პასუხისმგებად. ლენის მფლობელები ურჩობდნენ. ამას ემატებოდა კოლონიებში გაშლილი ერავნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობაც.

ისმალეთის იმპერიაში თანდათობით მწიფებრივი პირობები სამხედრო-ლენი სისტემის გაუქმების, ახალი რადიკალური რეფორმების გატარებისათვის. ამ მიზნის რეალიზაციაში მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო იანიჩართა კორპუსის განადგურება, რომელიც 1828 წელს განხორციელდა, მის ნაცვლად რეგულარული არმია უქმნება.

მომდევნო წლებში მთელი რაიგო საჭანონმდებლო აქტები მიიღეს სამხედრო-ლენი სისტემის ლიკვიდაციის მზნით. 1839 წლის 9 ნოემბერს სულთანმა ოფიციალურად გამოაცხადა ჰატი შერიცი (რესკრიპტი), რითაც ოსმალეთის იმპერიაში რეფორმები დაწინადებული იყო. ეს რეფორმები 1870 წლამდე გაგრძელდა და თურქეთის ისტორიაში ცნობილია თანხიმათის სახელით.¹³

თანზიმათის გატარებით ქართველ ფეოდალთა უფლებები და პრივილეგიები იზღუდებოდა. მე-19 საუკუნის 40-იანი წლების დასაწყისში ისინი სტაბილუში კარიბაშები, კართველ შეცეთა და ოურექთის სულთანის მიერ ადრე გაცემული სკრუფული შოტუფებით წაართვეს და ამის შემდეგ ოფიციალურად გამოუცხადეს თანზიმათის ცნობილი სიტყვები: „იმპერიის უკელი ქვეშევრდომნი, განურჩევლად კლასისა და რელიგიისა, ცირთნაირ საუცველზე იხდის გადასახადს. 14

მთავრობის ამ ღონისძიებამ მოსახლეობის, კერძოდ აღა-ბეგების რეაქცია გამოიწვია. ისინი წინ აღუდგნენ სულთანის საადგილმამულო რეფორმას. ტაო-კლარჯერთა და აკარაში არაერთი შეიარაღებული გამოსვლა მოხდა. 1844 წლს, მაგალითად, აჭანუებამ იყვეტეს შავშეთში, რომელსაც სათავეში ჩაუდგა სიმშიაშვილების საგვარეულო სახლის წარმომადგენელი, ამ ქვეყნის გამგებელი სელიმ ხიმშიაშვილი, ამდინ ბეგის ცვლი, სელიმ ფაშის შვილიშვილი. შავშეთში დაწყებული აჭანუება მოხდ სამხრეთ-დასაცლეთ საქართველოს, კერძოდ აჭარას, ფოცხოვს, ლიანის მოედნო. 15 მაგრამ იგი დამირცხებით დამთავრდა. ამ გამოსვლებამ სულთანის მთავრობა აიძულა დროებით უექერებინა საადგილმამულო რეფორმის გატარება. მართლაც, ტაო-კლარჯერთა და აჭარაში საადგილ-მამულო რეფორმა მოვისანებით XIX საუკუნის 50-იან წლების დამდგენ დაიწყო, დაახლოებით ათი წლის განმავლობაში მიმდინარეობდა და 60-იან წლებში დამთავრდა.

საადგილმამულო რეფორმის შემდეგ აღა-ბეგებს მამულები ჩამოართვეს. ბეგებს პენსიები დაუნიშნეს, ხოლო აღები გლეხებს გაუთანაბრენს. გ. ყაზბეგის გადმოცემით შავშეთში, მაგალითად, თანზიმათამდე იყვნენ ძველი ქართველი თავადაზნაურების მემკიდრენი. სულ 90-მდე თავადაზნაურული საგვარეულო ითვლებოდა. მათი პრივილეგია ის იყო, რომ შეეძლოთ გლეხების ყოლა და ომებში იღებდნენ მონაწილეობას. ბეგები თავის მხრივ სარგებლობდნენ სამეცვიდრეო უფლებებით. თანზიმათის შემდეგ, ბეგებს პენსიები დაუნიშნეს, ხოლო აზნაურები გლეხებს შეუთანაბრენს. 16

სამხედრო-ლენების ჩამორთმევის შემდეგ ტაო-კლარჯერთისა და აჭარის ბეგებს სანაცვლილ სამეცვიდრეო პენსიები დაუნიშნეს. ბათუმის საადგილმამულო კომისიის მიერ შედგენილი სიით ასეთ პენსიას 47 ბეგი დებულობდა. მაგალითად, შავშეთში საპენსიო ბარათები საფაროლების 5 ბეგს ჰქონდა. ამ საგვარეულოს სამ ბეგს — მემედს, სულეიმანს, ოსმანს სამ-სამი ბარათი გააჩნდათ. თითოეული მათგანი პირველი ბარათით 488 ყურუშს, მეორეთი — 76, ხოლო მესამეთი — 41 ყურუშს იღებდა. ალიოსმან-ბეგი და მისი ძმა ორ-ორ საპენსიო ბარათს ულოდნენ. თითოეულს პირველი ბარათებით დანიშნული ჰქონდათ 488, ხოლო მეორე ბარათით 76 ყურუში! 17

ლიანაში საადგილმამულო სამეცვიდრეო პენსიის ბარათს 23 ბეგი ფლობდა. აქ რევნენ ბეგები, რომლებიც შედარებით ყველაზე დიდ პენსიებს იღებდნენ. მაგალითად, ერთი მათგანი 1703 ყურუშს, ხოლო ორი ბეგი — 1042 ყურუშს (თითოეული) პენსიას იღებდა. შერიც-ბეგ ნიმშიაშვილის (ზემო აჭარა) საადგილმამულო პენსია 588 ყურუშს, თუვან-ბეგ შერვაშიძის (ქვემო აჭარა) — 62 ყურუშს ითვლიდა. კობულეთში საადგილ-მამულო-სამეცვიდრეო პენსიას თავდგირიძების საგვარეულოს 10 ბეგი იღებდა. მათი პენსიების ოდნობა განსხვავებულია. უმდაბლესი პენსია 27, ხოლო უმაღლესი 250 ყურუშს შეადგენდა. ბათუმელი ბეგების აბაშიძეების საგვარეულოდან საადგილმამულო პენსიას 6 გაცი იღებდა, თოხი მათგანი (ხუსეინი, სალიხი, იბრაიმი და ასმედი) 635 ყურუშს, ხოლო ორი ბეგი — დურისუნი და ისმაილი 317 ყურუშს იღებდნენ. 18 ალიოსმანი საადგილმამულო საპენსიო ბარათები გაცემულია მე-19 საუკუნის 60-70-იან წლებში სულთან აბდულ მექიდიის მიერ.

საადგილმამულო რეფორმის შემდეგ ოსმალეთის იმპერიაში შეიცვალა მიწათ-მფლობელობის წესები, რეფორმა მიზითადად სახელმწიფო და კერძო საკუთრების

შეწებს შეეხო. 1858 წლის 18 აპრილის საადგილმამულო კოდექსის თანახმად მიწების უდიდესი ნაწილი (სახისა-სათესი, საძოვრები, სათიბები, ტყეები) ერაზი-მირიეს კატეგორიას განცემულობიდა. ფაქტობრივად ამ კატეგორიის მიწებში შედიოდა არეოვე მეთორუქე (საზიგადოებრივ სარგებლობაში მყოფი მიწები), რომლის გასხვისება არ შეიძლებოდა და მეგათი (გამოუყენებელი, აუთვისებელი მიწები). აჭარის საკუეთესო ტერიტორიას მიწებელობანი ნაწილი (12 ათასი ჰექტარი) სულთანის საკუთრება იყო.¹⁹ ბარათებს ერაზი-მირიეს მიწების მფლობელობა-სარგებლობისათვის სახელმწიფო იძლეოდა. ამ ბარათებს, თავუს სახელით რომ იყო ცნობილი, მხოლოდ პრივალეგირებული წოდის წარმომადგენლები ყლობდნენ: ამისათვის საჭირო იყო მიწის ღირებულების ა პროცენტის წინასწარ გადახდა, მაგრამ სინამდვილეში, როგორც სამართლიანად შენიშვნავს მცვლევარი ა. ავალიანი, ეს თანხა გაცილებით მეტს, 10 პროც. შეადგენდა.²⁰

რეფორმის შემდეგ გლეხთა მიწისმცულობელობასა და მიწათსარგებლობაში არსებული ცელიდებები არ მომდგარა. შეიცვალა მხოლოდ სიუზენერი. გლეხი სახელმწიფო გლეხთა კატევორიაში გადაიყვანეს. ამიტომიდან ისინი გადასახადებს ყოფილი სამხედრო-ლენების მფლობელების — უცოდალების ნაცვლად სახელმწიფოს უზღიდნენ. რეფორმის შემდეგ სოფლად გადასახადების სბეციალური ამკრეცი სახელმწიფო მოხელის — ცეტარის თანამდებობა დაწესდა.

ერაზი-მირიეს კატეგორიის მიწების მფლობელობა-სარგებლობისათვის საადგილმამულო გადასახადს მოსახლეობის უკეთა უკნი იხდიდა. გამონაკლიის არც მეცხები ყოფილან. თანხიმითის შემდეგ გლეხები ფრონალების (ბეგების) ყმებად აღარ ითვლებოდნენ და საგადასახადო უფლებრივი მდგომარეობით გლეხებს გაუთანასწორებ. სახელმწიფო სახაზისი მიწების მფლობელობა-სარგებლობისათვის ახალი საადგილ-მამულო გადასახადი შემოიღეს, რომელიც ოსმალეთში ცნობილი იყო აშარის სახელმწიფოთ (ოსახლის მეთედი ნაწილი).²¹

ტაო-კლარჯეთისა და აჭარაში, ისევე, როგორც ოსმალეთის იმპერიის დაპარჩენ ქვეყნებში, მოსახლეობა ერაზი-მირიეს მიწებს მეტვიდების უფლებით ფლობდა. კანონმდებლობა ითვალისწინებდა ამ კატევორიის მიწების განსხვისებასაც. ამისათვის საჭირო იყო მთავრობის ნებართვა და იგი ფორმდებოდა სპეციალური საბუთის — ახალი თავუს გაცემით. ამ შემოწვევაში მიწათსარგებლობა-მფლობელის წესები უცვლელი რჩებოდა, მხოლოდ გადასახადის გადამშედელი ცვლებოდა. ამასთან მთავრობის უფლება ჰქონდა მიწის ნაკვეთი ჩამოერთმია იმ მფლობელისათვის, ვინც მას სამი წლის განმავლობაში ზედიზედ არ დამატებავდა. კანონით ერაზი-მირიეს მიწებზე აკრძალული იყო მთავრობის სპეციალური ნებართვის გარეშე მრავალჭანი ნარგავების გაშენება, შენობების აგება, წილისეულის მოპოვება, საშენ მასალების წარმოება.

საადგილმამულო რეფორმა ვაკუფს — მუსლიმანურ ეკლესიებისა და რელიგიური დაწესებულებების მიწებს — თითქმის არ შეებარ, ძირითადად უცვლელი დარჩა ამ კატევორიის მიწებზე მესაკუთრული უფლებები. საგრძნობი ცვლილება ის იყო, რომ შეიქმნა ვაკუფის სამართველო ვეზირის სტატუსი, აკრეცილი გადასახადის საერთო თანხიმიან ა პროც. აღნიშნულ სამართველოს განკარგულებაში გადაიდიდა, აგრეთვე ვაკუფზე სახელმწიფო კონტროლი გაძლიერდა.²² კანონმდებლობით სავაკუფო მიწების კონფისკაცია არ შეიძლებოდა. მუსლიმანური საეკლესიო მამულები სახელმწიფო გადასახადისაგან თავისუფალი იყო. სავაკუფო მიწებიდან შიდებული შემთხვევაში მუსლიმანურ ეკლესიებისა და რელიგიურ დაწესებულებებს ჩემარდებოდა. თუ სავაკუფო მამული შეწირული იყო, მაშინ ამ შემთხვევის ნაწილს მიწების შემწირავა — მეთეველი იღებდა.

თანხიმითის გატარებით ადგილმამულებზე კერძო საკუთრების უფლება საგრძნობლად შეიზღუდა. კანონმდებლობით კერძო საკუთრებაში შეიძლებოდა გადაცემულიყო

შპოლოდ კარმიდამო, ნახევარ დონუმამდე. შემდეგში ამ კატეგორიის მიწების ფართობი გაზარდა. ახალი საკანონმდებლო აქტებით სულთანის განსაკუთრებული ტროპანის საფუტელში, ცერძი საკუთრებაში გადადიოდა სახნა-სათხეს ნაკვეთები, ე. ი. ჩიფა-ლიქები. სიღილის მიხედვით, ჩიფალიქები სამ თანრიგად იყოფოდა: პირველი 70-80 დონუმს შეაღენდა, მეორე — 100 დონუმს, ხოლო მესამე თანრიგისა 130 დონუმს ითვლიდა.²³

მართალია, თანხიმათის შემდეგ ტაო-კუარჯეთისა და აჭარის პრივილეგირებულმა წოლებამ ადგილმამულების დიდი ნაწილი დაკარგეს, მაგრამ ბეგების ერთმა ნაწილმა მაინც შეძლო დიდალი მიწების შენარჩუნება. მათ შორის აღსანიშნავი არიან ხიმშიაშვილები, თავდგირიძეები, ააშიძეები. ტაო-კუარჯეთში ლაზისტანსა და აჭარაში თანხიმათის შემდეგ კველაზე მსხვილი მიწისმულობელი იყვნენ ხიმშიაშვილების საგვარეულოს ბეგები. მაგალითად, შერიც-ბეგ ხიმშიაშვილი, რუსეთის ხატელმწიფოს მიერ შემჩნილი სპეციალური კომისიის დაზუსტებული მონაცემებით, 8391 დეკემბერი კვუთვნდა. ეს მიწები ზემო აჭარასა და არტაანის საწაუში შდგბარეობდა, კონკრეტულად შერიც-ბეგ ხიმშიაშვილის ადგილმამულები ზემო აჭარაში 5834, ხოლო არტაანის საწაუში — 1847 დეკემბერის შეაღენდა.²⁴

ხიმშიაშვილების ფეოდალური საგვარეულო სახლის ასეთი პრივილეგირებული მდგომარეობა შემთხვევითი არ ყოფილა. იგი დაკავშირებულია ახმელ-ფაშას სახელთან. მან ისმალეთის იმპერიაში დადი სახელი მოიხვევა. სულთანისა ახმელ-ფაშა ჰერ კარსის უამიჯიშვლად დაინიშნა; შემდეგ კი არტაუმის სერასკირობა უზოდა. გ. ყაზბეგი წერდა: „,ნებელ-ფაშა ხიმშიაშვილი აჭარაში თურქეთის სახელმწიფოს უფლებების პირველი გამტარებელი იყო. სულთანის წყალობით გულმოგებულმა ბეგმა, რომელიც თურქეთის საქართველოს ნამდგილი ბატონ-პატრონი იყო, პირველმა შემოილო აქ გადასხადები, მისივე მფარველობის ქვეშ მოვიდნენ აჭარაში პირველი თურქი მოხელეები.“²⁵

თანხიმათის შემდეგ ასევე დადგალი შამულები შეინარჩუნეს ქობულეთელში ბეგები მა თავდგირიძებმა. დ. ბაქრაძეს 1874 წელს გურიასა და აჭარაში მოგზაურობისას მათი სახლ-კარმიდამო თვალის ერთი გადაკვრით დაუთვალიერებდა. იგი ისენებს ამ საგვარეულოს ოთხ გავლენიან პირს: ალი ფაშას, ოსმან-ბეგს, ხუსეინ-ბეგსა და მურად-ბეგს.²⁶ მისივე გადმოცემით, ქედელი სასან-ბეგ შერქაშიძე, სულთანის მთავრობის და-გალებით, თავისი კომისიის მეშვეობით აზუსტებდა აჭარისა და ჩურუქსუს უბნების ქონებას საინგრეტარიზაციო წიგნის შესაღენად. ხუსეინ-ბეგ შერქაშიძის ნამზინის თანახმად „ქობულეთელ თავდგირიძეს, შერიც-ბეგის შემდეგ კველაზე შეძლებულ კაცს ამ მხარეში, თაფუს, ანუ დავთრის მიხედვით 1600 ნაკვეთი აქვს. ნაკვეთის სიგრძე და განი 40-40 ნაბიგია.²⁷ თავდგირიძებს ადგილმამულები შექოდათ ჩურუქსუს ნამიეს (უბნის) ათამდე სოფელში და ბათუმის მიდამოებში. ისინი იყვნენ ქობულეთის შეუცვლელი ყაიმაყამები და თურქეთის არმიის სამხედრო ჩინებს ატარებდნენ.

სამხედრო-ლუნური სისტემის გაუქმებამდე ააშიძების საგვარეულო სახლის წევრები აცევე მსხვილი მიწამფლობელები იყვნენ. მათი მამულები ზღვისპირა მიდამოებში მდებარეობდა, გონიოდან დაწყებული ციხესიმირამდე აღწევდა. მაგრამ თანხიმათის შემდეგ მათ მიწების დაზი ნაწილი ერთ შეინარჩუნებს, ჩვენ ჯერჯერობით ხელთ არ შვაქეს დაზუსტებული სრულყოფილი მონაცემები მათ საკუთრებაში არსებული ადგილმამულების შესახებ. ახლა ძნელია გადაკრით ითქვას თუ რა რაოდენობის მიწას ფლობდნენ თანხიმათის შემდეგ.

მიუხედავად ამისა, არაუსატი მონაცემებიდანაც, რომლებიც ჩვენ მოვიდიოთ საქართველოს სახელმწიფო ცენტრალურ ისტორიულ არქივში, შესაძლებელია მიახლოებით წარმოდგენ ვექონით ააშიძების მიწამფლობელების შესახებ. მაგალითად ამ საგვარეულო სახლის წევრები ღურსუნი, მემდი, ზა, ცეისული, რიზა ააშიძები ბა-

თუმის მიღამოებში 372,4 დესეტინას ფლობდნენ. კონკრეტულად: დურსუნ-ბეგ აბაში-ძეს ანგისაში 425 დესეტინი ეკუთვნილა, ფეიზულ-ბეგს — 33,4 დესეტინა, ზია ჭა რუს აბ-ბეგბს — 200 დესეტინა. მათ შორის 172 დესეტინა სახნავ-საოცე, 25 დესეტინა საძოვარი და საბალახო, მათგან ნაწილი ურქესა და ანგისაში მდებარეობდა.²⁸ გარდა ამისა, შემცდ-ბეგ აბაშიძე რუსეთის მთავრობის წინაშე პრეტეზიას აცხადებდა 457 დე-სეტინაშე.²⁹ როგორც ჩანს, აღნიშვნული მაშული თანხიმათის შემდეგაც მათ მფლობელ-ობაში რჩებოდა, მაგრამ სათანადო საბუთი არ გააჩნდათ.

სამხედრო-ლენიური სისტემის გაუქმების შემდეგ ადგილმამულების მნიშვნელოვანი ნაწილი ჩაევის და ქედის ბეგებმაც ბეჟანიძეებმა და შერვაშიძეებმა შეინარჩუნეს. ჩამო-რომეული სამხედრო ლენის ნაცვლად შერვაშიძეების საგარეულო სახლის წარმომად-გენერს მემცდ-თუფან ზადე შერვაშიძეს სამეცველიდრო პენსია დან 62,5 კურუშის ღდენიბით.³⁰ ამ გვარმა შეინარჩუნა ერაზი-მირიეს კატეგორიის მიწები სამეცველიდრო მფლობელობის უფლებით. ასევე ითქმის ჩაეველი ბეგების ბეჟანიძეების შესახებაც-ზე-ან წლებში ცოცხლები იყვნენ ამ გვარის წინაპრის სეფერ-ბეგის შვილები: ხუსეინი, ფერათი და შემედი.³¹ მართალია მათ ოსმალეთის სულთანის ბარათები სამეცველიდრო პენსიების შესახებ კი ჯეონდათ, მაგრამ ჩაევის ხეობის მიწების ნაწილი მათ მფლობე-ლობაში მაინც დარჩა.

ოსმალეთის მთავრობამ, გარევული პოლიტიკური მიზნებით თანხიმათის შემდეგ სომხები, ბერძენები, ბოშები, ჩერქეზები და აფხაზები ჩაასახლა ტაო-კლარჯეთში, აჭარა-სა და ჭანეთში. მათ გამოუყვეს ერაზი-მირიეს კატეგორიის მიწები, რომლებიც ადრე ამ მხარეების მკვიდრ ქართველ მოსახლეობას, კერძოდ, პრივატულ უფრო მცუ-თვნობათ. აფხაზები და ჩერქეზები, რომელთაც მეფის რუსეთმა თავისწინ სამშობლოში სასაკლაო მოუწყო ოსმალეთის მავრობამ 1864-1867 წლებში ქობულეთში, ბათუმში და ჭანეთში ჩაასახლა. დ. ბაქრაძის ცნობით ქობულეთის უბანში 588 ჩერქეზი ემიგრანტი ცხოვრობდა.³² ქ. პალგრევის მონაცემებით ქალაქ ბათუმის მოსახლეობის მეხამედი ჩე-რქეზები, მეთორმეტედი კი ბერძნები ყოფილნ. გარდა ამისა ბათუმის შემოგრევში და გონიოს უბანში ჩერქეზების 585 კომლი, ხოლო ათისას უბანში აფხაზების 47 ოჯახი სახლობდა.³³

ოსმალეთის იმპერიაში ერაზი-მირიეს შემდეგ მნიშვნელოვანი ადგილი სავაუულ მიწებს ეკავათ. ტაო-კლარჯეთსა და აჭარაში ვაჟუფის ორივე სახე არსებობდა: უშუა-ლოდ, მეჩეთების კერძო საკუთრებაში მყოფი მიწები და შეწირული ადგილმამულები. გასული საუკუნის 70-იან წლებში ვაჟუფის კატეგორიის მიწები 143,6 დესეტინას შეა-დგენდა, მათ შორის არტანუჯში, ლივანასა და ზავშეთ-იმერეხევში — 59, ხოლო აჭარა-ში — 84,6 დესეტინა ეკავა.³⁴

ტაო-კლარჯეთსა და აჭარაში მუსლიმანურ ექლესიებსა და რელიგიურ დაწესებუ-ლებებს მიწის მცირე ნაკვეთები მყუთვნოდათ, მაგლითად, შავშეთ-იმერეთში, არტა-ნუჯსა და ლივანში ვაჟუფის კატეგორიის 34, ხოლო აჭარაში 38 მიწის ნაკვეთი აღი-რიცა. შედარებით მსხვილი სავაუული მიწები ჯეონდათ სულოს, ერგეს, ხალს, ბათუ-მის (აჭარა) სოფელ უნუსხევის (ზავშეთ-იმერეხევი) მეჩეთებს.³⁵

ბათუმში ყველაზე დიდი მეჩეთი სულოან აბდულ აზიზის ფირმანით მე-19 საუკუ-ნის ცე-ან წლებში აუგიათ. იგი უნდა მომსახურებოდა აქ დაბანაკებულ თურქეთის რეგულარული არმიის ნაწილს. ამ მეჩეთისათვის ჯერ კიდევ 1861 წლის ერაზი-მირიეს კატეგორიის მიწებიდან 10 დესეტინამდე გამოიყო. თანხიმათმდე ამ მიწებს საწაყ-ბეგები თავდგირიძეები და აბაშიძეები ულობდნენ. მაგრამ რეფორმის შემდეგ ალნიშვ-ლი ადგილმამულები მათ დაკარგეს, სახელმწიფოს უშუალო საკუთრებაში მოეკცა. სახელმწიფომ კი მეჩეთს უბოდა.³⁶

ზემო აჭარაში შედარებით ღიღი მეჩეთი სულოში აუგიათ ასტედ-უაშა სიმშალე-

ლის ინიციატივითა და ხელმძღვანელობით. ამ მეჩეთთან ათამდე შედრესე ჯუშაჟებისთ; რომელიც შეიცავს მოსახლეობას მაშადის მოძღვრებას ასწავლიდნენ. ხელოს მუჩქეთს ასწერდ ფაშა ინიციატივით 1829 წელს ზემო აჭარის ოთხი სოფელი შესწირა. არზრუმის დალა-უაშას მეჩეთზე ჯერ კიდევ მე-16 საუკუნიდან შესწირული იყო შავშეთ-იმერევეის სოფელები: დაბა, ახალდაბა, ზენდაბა, ვერხნალი; ხანთუმეთი. სოფელ ერგეს მეჩეთს აქაურმა ბეგმა გიბინოლიმ 50 დღესტინი სახავ-სათეხი შესწირა.

მუსლიმინური რელიგიური დაწესებულებები დაპყრობილი ქვეყნების ინკორპორაციის, გამჭუხლიმანებისა და გაოსმალების მთავარი დასაყრდენი იყვნენ და დარჩენ ხწორედ ამან განაპირობა მათდამი მთავრობის ახეთი მზრუნველობა და საფაუფო მიწების ხელშეუვალობაც.

ტაო-კლარჯეთსა და აჭარაში ოსმალთა ბატონობის პირობებში შემორჩენილი იყო თემიური მიწათმცულობელობა-სარგებლობის წესები, მისი რეგულირება ტრადიციის, მ. წ. აღათის ძალით ხდებოდა. ამ ტრადიციას ოურჯეთის ხელისუფლებაც ანგარიშს უწევდა, ოუმცა ოსმალეთის საადგილმამულო სამართლისათვის ამ კატეგორიის მიწები უცხოა.

ოსმალეთში სოფლის თემი, როგორც ახეთი, თვითმმართველობის იურიდიული სუბიექტი არ ასებობდა, სოფელს ერთი მოხელე — მუხტარი ჰყავდა, რომელიც, როგორც საჭირო ადგილას ითქვა, მხოლოდ გადასახადების აკრეფის საქმეს აწესრიგებდა. სოფლისა თუ მომიჯნავე სოფელების მცხოვრებლებს შორის ეკონომიკური, უწინარესად საადგილმამულო ურთიერთობა, როგორც აღინიშნა, ადათის, ე. ი. ქართული ტრადიციის მიხედვით რეგულირდებოდა. ადათის მიხედვით ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეები, საბალახოები, საძოვრები და სხვა სოფლის საერთო, სათემო მფლობელობა-სარგებლობაში ითვლებოდა, რომელთა გასხვისება არ შეიძლებოდა.³⁷ ამ მდგომარეობას დ. ბაქრაძის მონაცემებიც ადასტურებს, მაგალითად, ქვემო აჭარის დახასიათებისა იგი წერდა: „ტუე აგარის ფარგლებში მცხოვრებთა საერთო კუთვნილებაა. რაც შეესტება ტყეს აგარის ფარგლებს გარეთ, მთის მწვერალებზე, იგი არავის არ ეკუთვნის და ამიტომ ქველას უფლება აქვს გამოიტანოს იქიდან, რაც სურს, როგორც ყოველდღიური სკირობისათვის, ასევე გასაყდად.³⁸

საადგილმამულო ურთიერთობის რეგულირებაში მნიშვნელოვან როლს ხანდაზმულობით მცულობელობის წესი ასრულებდა. ეს წესი ადგილმამულების შეძენისა თუ შთარივალობით გადაცემისას უპრატესობას იმას ანიჭებდა, ვინც მთ ათი წლის მანილზე შეუსვენებლივ ამუშავებდა. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ ტაო-კლარჯეთისა და აჭარის მოსახლეობის უდიდეს უმრავლესობას — გლეხებს მიწაზე საკუთრებისა თუ მცულობელობა-სარგებლობის დამადასტურებელი საბუთები არ გააჩნიათ.³⁹ ასეთ შემთხვევაში ადგილმამულების მეტყვიდრეობით, შთამომავლობითი სარგებლობა ხანდაზმულობით მფლობელობის წესს ეყარებოდა.

ქართველი კაცისათვის მშობლიური მიწის, ადგილმამულის სიყვარული უპირველესი და უზენაესია. ოსმალეთის მეცვეურებამა სწორედ მიწასთან, მამულთან დაკავშირებს დაპყრობილ მხარეებში ქართველობის ამონირვა, მოსახლეობის გაოსმალება და უამუხლიმანება. მართლია, ქართული ეროვნული სული, მოსახლეობის მგზებარე წინააღმდეგობის გამო, მთლიანად ვერ მოსპეს. მაგრამ ის კი შეძლება, რომ ტაო-კლარჯეთისა და აჭარის მოსახლეობას ისლამი თავს მოახვიოს. დ. ბაქრაძის ცნობით ისლამის პირველად უკი მოიყიდა ლაშეთში, შემდეგ ჭოროხის ხეობაში, სამცენ-ჭავახეთში, აჭარში, ბოლოს მე-18 საუკუნის დასასრულს ქობულეთში და მთლიანად კინტრიშის ხეობაში.⁴⁰

მართალია, სარწმუნოება და ეროვნება განსხვავებული ცნებებია, მაგრამ ისლამის

ურუკოლით გავლენა ქართულ ეროვნულ ცნობიერებაზე საგრძნობლად შესრულებული იყო. დ. ბაქრაძის დაკვირვებით მე-19. საუკუნის 70-იან წლებში ისლამის გავლენის არღების შეგნება მთ წარმომადგენლობაზე მეტისმეტად აპნეული ყოფილა. ეს შეხედულება ამ საკითხზე სარწმუნობის თვალსაზრისითან გამომდინარეობდა და ზოგიერთ უკანს თუ დაარწმუნებოთ სარწმუნოება სხვა და გვარტომობა სხვა, და რომ ჩვენი უნის ერთობლივ საუკეთესოდ ამტკიცებს, რომ ჩვენც და აჭარლებიც ერთი ხალხი კარტ. 41

აჭარლებმა და შავშეთელებმა შეძლეს ქართულ ენის, ქართველობის ამ მთავარი ნიშნის შენარჩუნება. სამწუხაროდ, არტაანში, ყარსში, ოლთიში, ნაწილობრივ არტანუჯსა და ლივანში ქართული ენა თითქმის დავიწყებას მიეცა. ეს მდგომარეობა განაპირობა აგრეთვე ამ შხარების ქართველი მოსახლეობისაგან დაცარილებამ. საქმე ის გახდავთ, რომ ქართველების გაოსმალების და გამუსლიმანების მიზნით სულთანის მთავრობა მიმართავდა უველავზე ბარბაროსულ მეთოდს—მოსახლეობის მშობლიური კერძოდან აყრა-გასახლებას. ეს აგძელით პროცესი XVII საუკუნიდან დაწყონ და საუკუნეების განმავლობაში გრძელდებოდა. XIX საუკუნის ბოლოს ყარსის, არტაანისა და ოლთისის მხარეებში ქართულენოვანი მოსახლეობა თითქმის აღარ ცხოვრიდა.⁴²

გამოვლენაში ღიტორატურა

1. დიმიტრი ბაქრაძე, აქერლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში. გამომცემლობრივი „აჭარა“, 1987, გვ. 72.

2. მ. სეანიძე, საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობის ისტორიიდან მე-16.-17. სს., თბ., 1971, გვ. 57, 81.

3. გ. ყაზბეგი, ლაზისტანის სანგაყის სამხედრო-სტატისტიკური და სტრატეგიული ნარკვევები, ტყილისი, 1876, გვ.. 1. (რუს.).

4 შოთა ლომისაძე, სამცხე-ჭავახეთი, თბ., 1975. გვ. 395.

5 ისმალეთის იმპერიის აგრარული წყობა XV-XVII სს., დოკუმენტები და მასალები. გვ. 107 (რუს.).

6 „ახწა“ თურქული სიტყვაა, ქართულად მოთეთროს ნიშნავს. იგი ოსმალეთის იმპერიაში ფულის ერთეული იყო XIV-XVII საუკუნეებში, ძირითადად ვერცხლისაგან მზადდებოდა.

7 მ. სეანიძე, საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობის ისტორიიდან მე-16, მე-17. სს. თბ., 1971, გვ. 308, 309.

8. საქართველოს ცენტრალური სახელმწ. ისტ. არქივი, ფ. 231, ანაწ. 1, ს. 99, ფ. 7

9. აჭარის სახელმწიფო მუზეუმის არქივი, ხელნაშერთა ფონდი, ს. 48 ფურც. 1-9; საქართველოს ცენა, ფ. 231, ანაწ. 1, ს. 99, ფურც. 7.

10 საქართველოს ცენა, ფ. 2. 231, ანაწ. 1, ს. 99, ფურც. 7.

11 დიმიტრი ბაქრაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 63.

12 დიმიტრი ბაქრაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 33.

13 თანზიმათი არაბული სიტყვაა, რაც ქართულად გარღვევნას, რეფორმას ნიშნავს.

14 გორგო ყაზბეგი აჭარის შესახებ. ბათუმი, 1960, გვ. 120.

15. ყაზბეგი, სამი თვე თურქეთის საქართველოში. რუსეთის იმპერიის სამეფო, ვეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილებების შრომები, ნაკვეთი X, ტიფლის, 1876. გვ. 71-79 (რუს.).

16 გორგო ყაზბეგი აჭარის შესახებ. ბათუმი, 1960. გვ. 43.

17 საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური ისტორიული არქივი, ფ. 231, ანაწ. 1
ს. 36 ფურც. 6, ყურუში არის ასმალური ლითონის ფული, რომელიც შემოკლებულია XVII საუკუნეში.

18 იქვე, ფურც. 6-7.

19 საქართველოს სცია, ფ. 12 ანაწ. 1, ს. 787, ფურც. 2.

20 ა. ავალიანი მიწისმფლობელობის ფორმები აჭარაში. ბათუმი, 1960, გვ. 69.

21 საქართველოს სცია, ფ. 13, ანაწ. 7 ს. 2909, ფურც. 83.

22 საქართველოს სცია, ფ. 13, ანა. 7, ს. 2909, ფურც. 82.

23 კურნ. იურიდიული მიმოხილვა, 1884, № 153, გვ. 262 (რუს.). დონუმი თურქეთში მიწის ფართობის საზომი ერთეული იყო. ერთი დონუმი ორას კვადრატულ საკვენის შე-
ადგენს.

24 საქართველოს სცია, ფ. 13, ანაწ. 7, ს. 2890; ფურც. 103.

25 გ. ყაზბეგი, დასახ. ნაშრ., ტიფლისი, 1876, გვ. 35.

26 დ. ბაქრაძე, დასახ. ნაშრ. გვ. 16.

27 იქვე, გვ. 63.

28 საქართველოს-სახელმწ. ცენტრ. ისტორიული არქივი, ფ. 13, ანაწ. 10, ს. 604;
ფურც. 26-27, 37-38.

29 საქართველოს სცია, ფ. 229, ანაწ. 2, ს. 1276; ფურც. 21.

30 საქართველოს სახ. ცენტრალური ისტ. არქივი, ფ. 231, ანაწ. 1, ს. 36, ფურც. 6.

31 აჭარის სახ. მუზეუმის ხენაწ. ფონდი. ს. 282, ფურც. 11-33.

32 დ. ბაქრაძე, დასახ. ნაშრ. გვ. 18.

33 რუსეთის-იმპერიის გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილების ნა-
წერები, ტ. VII, ტიფლისი, 1881. გვ. 46-69.

34 საქართველოს სცია, ფ. 12, ანაწ. 10, ს. 2026, ფურც. 49-51. დაჭამებულია ავ-
ტორის მიერ.

35 საქართველოს სცია, ფ. 12, ანაწ. 10, ს. 2026, ფურც. 49-51.

36 საქართველოს სცია ფ. 13, ანაწ. 7, ს. 2909. ფურც. 82, ფ. 12, ანაწ. 10, ს. 2026
ფურც. 49-50.

37 საქართველოს სცია ფ. 12, ანაწ. 10, ს. 1026, ფურც. 23.

38 დ. ბაქრაძე, დასახ. ნაშრ. გვ. 47-48.

39 საქართველოს სცია, ფ. 13 ანაწ. 7 ს. 2909, ფურც. 87.

40 დომიტრი ბაქრაძე, არქეოლოგიური მოგზაურობა გურიაში და აჭარაში. გამომ-
ცემლობა „აჭარა“, 1987, გვ. 72.

41 იქვე, გვ. 46.

42 რუსეთის იმპერიის მოსახლეობის 1897 წლის პირველი საყოველო აღწერის
შესალები, ყარსის ოლქი, 1904, გვ. 34-34. ქუთაისის გუბერნია, 1905; გვ. 88-95.



«ქარქ, ცხადი ოცნების თველ-მარგალიტის ქარქ...!»

ჩვენი საოცარი პოეტი, ღიღი გალაკტიონი არაერთხელ სწვევია აჭარას. რაოდენ სასიხარულოა ის, რომ ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც 20 წლისაც არ იყო, ბათუმის მახლობლად, ერთ-ერთი სოფლის სკოლაში მასწავლებლობდა და აქედან ქუთაისში უგზავნიდა პირველი გატაცების აღმოკიდებულ წერილებს რაისა ჩიხლაძეს,¹ რომელმაც არ გაიზიარა მისი გრძნობა. იგი აჭარაში მასწავლებლობდა 1911-1912 წლებში. ჩვენი აზრით, სოფელ ყოროლისთვეში. აქ იგი შემოქმედებითი შთავონებითა და ძალებით ივსებოდა, ქმნიდა ლექსებს, ამასთან ბევრს. ამრიგად, აჭარა პოეტისათვის ტკივილებამდე მისული სიყვარულის, ულრჩეს სულიერ წვდომათა აღმძვრელი ზღაპრული მხარე იყო, სადაც ნიაღვარივით მოსკდა ერთმანეთს უკვდავი სტრიქონები, რომლებიც უართული პოეზის მარგალიტებად იქცნენ.

— ღიღი ხნის წინათ, ბავშვობისას ბათუმში ვიყავი, — იგონებდა პოეტი.² სამრეწველო ქალაქში, ზღვამ, ხომალდებმა, მისახლეობამ, ნარაღმწვანე ზღვისპირეთმა, ეგზოტიკამ წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა მასზე.

1908-1909 წლებს განეკუთვნება გ. ტაბიძის ლექსები „კოლხეთში“, შავი ზღვისადმი მიძღვნილი „რაა ეს გრძნობა“ და სხვა.³ სხვათა შორის, ამ პერიოდში პოეტს ბათუმში, ზღვისპირას მოესმა ქალის საამონ ხმა, რომელიც „გედის სიმღერის“ მოტივზე მღეროდა. ამან ზეგავლენა მოახდინა მასზე. მაშინ „დავწერე ლექსი სათაურით „გედის სიმღერა“, რომელშიაც გამოვიყენე ის მოტივი, რომელზედაც მღეროდა ქალი. მღერის გედი, რომლის ხმა თანდათან ძლიერდება... ძლიერდება და... ბოლოს წყდება...“ — წერდა გ. ტაბიძე.⁴

როგორც ცნობილია, პოეტმა 1915 წელს ამ ლექსს სათაური შეუცვალა და „მთაწმინდის მთვარე“ უწოდა. ამდენად, საქვეყნოდ ცნობილი ეს მარგალიტი ბათუმშია შექმნილი.

როგორც ვთქვით, გ. ტაბიძე 1911 წელსაც აჭარაში იყო. ამას ნათელყოფს ი. ლორთქიფანიძის მიერ მიკვლეული პოეტის წერილი, რო-

მელიც ამ წელსაა დაწერილი და მას ბათუმის ფოსტის დამღვრებულება 1913-1914 წლებს აკუთვნებს გ. ტაბიძე ლექსებს: „გემზე გამოშენება უგაურს“, „ზღვის პირად მდგარი“, „მე ვუკვირდები ამ უძირო ზღვას“ და ა. შ. ალბათ იგი ამ დროსაც ბათუმის სტუმარი იყო, თუმცა შესაძლებელია ეს ლექსები აქ ადრე ყოფნის ანარეკლი იყოს. აჭარამ ადრევე შეაუგარა შემოქმედს შავი ზღვა, ამას მეუღლე ოლღა კუჭავასალმი მიწერილი ბარათიც მოწმობს. მშობლებს არ სურდათ მათი ასულის შეხვედრა პოეტთან, ამიტომაც იგი ბათუმში განიზნეს, მაგრამ შეყვარებულებმა ერთმანეთთან ურთიერთობის დამყარება მაინც მოახერხეს. 1915 წლის 11 მაისს გ. ტაბიძეს მისთვის მიუწერია: „რაც გითხრა ზღვამ“, „მომიკითხე ზღვა“ და სხვა.⁶

სხვათა შორის, 1915 წელს შეიქმნა ლექსი „შენ ზღვის პირად“, რომელშიც პირებელად გამოჩნდა გ. ტაბიძის ლირიკული პოეზიის მშვინიერი ასული მერი: „შენ ზღვის პირად მიდიოდი, მერი, სხივქვეშ ორთოდა შენ ნაზი ტანი“. ესაა მ. შერგაშიძე, რომელიც პარიზში ცხოვრობდა. 1984 წლის ზაფხულში მან ინტერვიუ მისცა საქართველოს ტელევიზიას, რომელმაც მაყურებელთა ინტერვესი გამოიწვია.

1918 და მომდევნო წლები მშფოთვარე პერიოდია აჭარისათვის და საერთოდ საქართველოსათვის. აჭარაში თურქ ინტერვენტებს ინგლისელები ცვლიან, იყიდებენ ფეხს დენიკინელები, დაშნაკთა და სხვათა გაუფები, რომლებიც დღილობენ ჩვენი კუთხე დედასამშობლოს მოვალიჭნ. ეს აღლვებთ და აღმფოთებთ ქართველ პოეტებს, მათ შორის გ. ტაბიძესაც.

ი. ლორთქითანიძე მიუთითებს, რომ 1921 წლიდან სიცოტელის უგანასკნელ ღღემდე გ. ტაბიძე თანამშრომლობდა გაზეთებში „საბჭოთა აჭარა“, „ლიტერატურული აჭარა“, „ქობულეთის კოლმეურნე“. და, სხვა. 1921: წელს ბათუმში გამოცემულ ერთდროულ გაზეთში „პოეზიის დღე“ არის პოეტის ლექსი „ოფორტი“.

1923 წლის ივნისში საქართველოში აღინიშნა გ. ტაბიძის შემოქმედების 15 წლისთავი. იუბილე გაიმართა ბათუმშიც, პოეტმა კვლავ დაგვასაჩუქრა. ლექსებს „ცისფერი“ და „გრიგალი“ თავად მიაწერა: „ბათუმი, 1923 წ.“

სხვათა შორის, ამავე წელს ცნობილი ისტორიკოსის, საზოგადო მოღვაწის, გამომცემლისა და ფოლკლორისტის ზაქარია ჭიჭინაძის იუბილესთან დაკავშირებით გამოიცა საიუბილეო-ბიოგრაფიული ნარკვევი, რომელიც გ. ტაბიძემ დაწერა. ზ. ჭიჭინაძე (1854-1934) ჩვენი მხარის უანგარო მეგობარი იყო, რამდენერმე გვესტუმრა, დაარიგა ქართული წიგნები, გაიჩინა მეგობრები, შეკრიბა. უამრავი საყურადღებო ცნობა,

დოკუმენტი და საყურადღებო წიგნებიც გამოსცა. ცხადია, ამ ამბავშაც
კულტურა დიდ პოეტს ინტერესი აქარისადმი.

1928 წლითაა დათარიღებული ლექსები „ნავსაყუდელთან“, „შეზ
უვაურები“, „პროფესიონი ეძებდა მტერს“, „ფიქრი ზღვის პირად“,
„შავი ზღვის პირად“, აქ ვყითხულობო:

„ჩამავალ მზეში მას მხოლოდ სხვისი
ერქვა მამული.
ხან იშუქებდა, ხან ნელდებოდა
კა მეწამული.“⁷

ცხადია: რომ გამოთქმაში „მას მხოლოდ სხვისი ერქვა მამული“
აგულისხმება ის დრო, როდესაც აჭარა ოსმალთა ულელქვეშ იყო.

1923 წლის ოქტომბერში ბათუმში გამოსვლა იწყო ყოველყვირეულ-
მა სალიტერატურო გაზეთმა „ასპიროზმა“. ამასთან დაკავშირებით რედა-
ქციის კოლეგიამ მოწოდებით მიმართა მკიოხველებს აღმოეჩინათ დახ-
მარება გაზეთის გავრცელებაში. ამ მოწოდებაში ნათქვამია, რომ გაზე-
თის თანამშრომლებად მოწვეული არიან: გ. ტაბიძე, ი. გრიშაშვილი,
პ. იაშვილი; ს. ეფლი (ქურაძე), ნ. ზომლეთელი, ტ. ტაბიძე, გ. ქუჩიშვი-
ლი. ლ. შენგელაძი, ტ. გრანელი, ნ. ლორთქიფანიძე და სხვები.⁸

პოეტი 1933 წელსაც კვლავ აჭარაშია. ამჯერად იგი აქ სულ სხვა გა-
რემორდამ ჩამოიყენა. გ. ტაბიძის თავად წერდა: კაცი არ იყო ამბის მკი-
ოხველი, ბინაში ჩემთან ხუთი წელიწადია არც ერთი მეგობარი არ მო-
სულია. ნუთუ ეს არის უბედურება. მივეჩვევ არაყს, შევიქენი გესლია-
ნი კაცი, ჩამოიშორე ბევრი კარგი მეგობარი.⁹ ალექოჭოლით, კარჩავეტი-
ლობითა და მარტონბით თავმობეზრებულმა პოეტმა თვითმკველელობა
გადაწყვიტა, რისთვისაც ბათუმს გამოეგზავრა. აქედან გემით კი სოხუმში
უნდა წასოლიყო. მოვუსმინოთ გ. ტაბიძეს: „მსურდა სოხუმში გმიგზავ-
რებისას გზაში გემიდან ზღვაში გადავვარდნილიყავო. არ ვაცა რამ შემი-
ცვალა გადაწყვეტილება“...¹⁰ მკურნალობის შედეგად პოეტი გამოჯანმრ-
იცვლდა, დაუბრუნდა მეგობრებს, ცხოვრებას. პ. ტაბიძის უბის წიგნაკში,
რომელიც საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურულ მუზეუმშია და-
ცული, წერია: „ბათუმი 4/3-33 წელს. ჩამოვედი აქ 2 ოქტომბერს. გაეჩე-
რდი სასტუმრო „აჭარისტანში“. ¹¹ ვნახე დათიკო დუმბაძე. მან თქვა: იუბი-
ლე (გ. ტაბიძის — ი. ბ.) მოეწყობა 10-24 აპრილს. საიუბილეო კამპანია
პრესაში 5 აპრილიდან დაიწყება. მპირდებიან ფულით დახმარებას...
(ყაურკვეველია). იქნება ჩემი სახელიბის ქეჩა, სახლი ქობულეთში და
სხვა. თბილისიდან უნდა ჩამოვიდეს სპეციალური პიროვნება ამ საქმისა-
შვის. დღეს გემით „საქართველო“ მივდივარ აფხაზეთში“.¹²

აქ შენიშვნის სახით უნდა დაეუმატოთ, რომ სასტუმრო „აჭარისტუმანი“. იყო აჭარის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის ყოფილ შემსახური ი. გოგებაშვილის ქუჩაზე. დ. ლუმბაძე კი კარგა ხანს გაზეთ „საბჭოთა აჭარას“ რედაქტორობდა. მაშინ გ. ტაბიძეს სახელი მიეკუთვნა ბათუმის იმ საშუალო სკოლას, რომელიც აჭარის პირველმა მფრინავმა ქალმა ფადიქო გოგიტიძემ დამზადვრა.

~ სამი დღის შემდეგ, კერძოდ, 1933 წლის 7 მარტს გ. ტაბიძე გემით კლავ ბათუმში ჩამოვიდა. ამას მოწმობს პოეტის თხზულებათა მეოთხე ტრიმში გამოქვეყნებული იმ პერიოდის ლექსებიც, რომელიც ვფიქრობთ, მაშინ შეუთხვავს. ავრეთვე ლექსები „ჩემი გულის დღეს ეს შავი ზღვა“, და „შეხედე“. ესაა პიმინი ჩენი მხარისადმი.

რა არის ნეტავ ქვეყნად მისთანა,
რომ გამიციოს გული მისრამი,
მიჩვენოს საღმე აჭარისთანა
სხვა რომელიმე კუთხე ახალი,
ახალვაზრღობის დღვე, საიდანაც
ჩემგან პირველი ზღვა ნახული;
შიჩვენეთ საღმე ზღვა ამისთანა
ან მოები ზღვაზე გადასახული.

„შეხედე“ გაზეთთა „საბჭოთა აჭარისტანმა“ 1935 წლის 22 იანვარს გამოქვეყნა, ხოლო „ღირებატურულმა აჭარისტანმა“ სამი დღის შეგვება.

1934 წლის 17 ნოემბერს გაზეთთა „საბჭოთა აჭარისტანმა“ გამოქვეყნა გ. ტაბიძის ლექსი „ოცნება აჭარისტანთან“. მომდევნო დღე-გვებში კი „ახალი აღამიანი“, „სტრიქონები“ და „ბათომს“:

გადამწვანებულ მწვერვალებიდან
მოკრიალებულს დასტერი ბათომში
ესაა — მერთალი ნათელი დილის,
დილის, რომელიც სიხარულს მათოვს.
ო, მოგონებავ! როგორ ვიცილდა
ის სიხარული ცისფერ რტოვბით —
რაგდარ სიცხადია შენ განვიცდა
ყრმობა — გემების მოახლოებით!
მოგონებები! ისინი — როგორც
მოგზაურები ლამაზი ნაგის,
მიმოცურავენ აღმოსავლეთით —
როცა ასეთი ცისკარი ჰყავის!

აქედან „ოცნება აჭარისწყალთან“, „ასფალტი“ და სხვა 1935 წლის
6 იანვარს გაზეთ „ლიტერატურულ აჭარისტანში“ დაიბეჭდა.
აჭარაზე დაწერილ ლექსებს შორის გამოსარჩევია ლექსი „მიყვარს
ბათუმი“.

რა მშვენიერი ზღვა გვაქვს, აჭარა,
რა მომავალი ძვირფასი ბედით...
ქალაქი — ჩვენი ქვეყნის ფანჯარა
აღმოსავლეთით და დასავლეთით...
ბათუმი!.. მისი ზეცა და გემი,
იმისი მიწის ხმა საჯაღოქრო,
საღ დაიბადა სიმღერა ჩემი:
ოქრო აჭარის ლაუგვარდში — ოქრო!

აჭარაში გატარებული პერიოდიდან როგორც ხანგრძლივობით, ისე
შემოქმედებითი ნაყოფიერებით უთუოდ გამოსარჩევია 1944 წელი. იმა-
ვე წელს 28 მარტს გაზეთი „საბჭოთა აჭარა“ მკითხველებს აუწყებდა,
რომ 25 მარტს ბათუმში ჩამოვიდა საქართველოს სახალხო პოეტი გ. ტა-
ბიძე. მას საზეიმოდ შეხვდნენ. შესვენების შემდეგ ავტონომიური რეს-
პუბლიკის სახეომსაბჭოს (ახლა მინისტრთა საბჭო — ი. ბ.) თავმჯდომარე-
სთან ისმაილ ფუტკარაძესთან ერთად პოეტი გაეცნო სოფელ ურეხს, ესა-
უბრა ხაჭერ გორგილაძეს, რომელიც სეზონის განმავლობაში 12 ტონა
ჩაის ფოთოლს კრეფდა. სხვათა შორის, გორგილაძე შემდეგ სოციალის-
ტური შრომის გმირი გახდა, იგი დიდი სიამაყით იგონებდა შეხვედრას
გ. ტაბიძესთან.

27 მარტს დიდ მგოსანს გულთბილი შეხვედრა მოუწყვეს მახინჯა-
ურის კოლეუტრნებმა, ინტელეგუნციის წარმომადგენლებმა, მოსწავლე-
ებმა, ბავშვებმა წაიკითხეს პოეტის ლექსები.

იმავე, ანუ 27 მარტის საღამოს სახელმწიფო თეატრში გაიმართა
ჰვირფასი სტუმრის შემოქმედებითი საღამო. აქ ზღვა ხალხი მოვიდა.

გ. ტაბიძემ გულთადი მაღლობა გადაუხადა დამსწრეთ, აჭარის
მშრომელებს და წაიკითხა ლექსი „მშობლიური ჩემო მიწავ“. დაესწრო
ბათუმელ სტუდენტთა კონცერტს, რომელიც საღამოს დასასრულ
გაიმართა.¹⁴

საქართველოს სახალხო არტისტთა მერაბ ხინიკაძემ 1985 წლის 13
იანვარს გაიხსნა გ. ტაბიძის შემოქმედებით საღამოზე ნათქვამი მისი
სიტყვა: „უბეღნიერესად ვგრძნობ თავს დღეს, როცა საშუალება მეძლევა
სიტყვათ მიემართო ჩვენი ეპოქის უდიდეს შემოქმედს, ერის ზრახვების
ჰაუკეთესოდ ამსახველსა და ფაქიზ ლირიკოსს გ. ტაბიძეს, მივესალმები

პოეზიის მეფეს, შეუდარებელ პოეტს, რომელიც იალბუზივით ჩინიდა
მსოფლიო პოეზიაში”.

იმ საღამოს თვის გამოსვლაში პოეტმა გაიხსენა ფრაგმენტი ქართ-
ველი ხალხის ვულწრფელი მეგობრის ორტურ ლაისტის ჩანახატისა აჭა-
რაზე. „საკვირველია, ქართველი მწერლები და მხატვრები რატომ ტოვე-
ბენ უყურადღებოდ შავი ზღვის საკვირველ მშვენიერებას. საქართველოს
ბუნება ნამდვილი სურათია დაუსრულებელი მწვანე სამოთხისა!... თვალ-
წარმტაცია ბათუმის მიღამოები, აგარაკები, სახლები, თვალს წარიტა-
ცებს მდიდარ წალკოტთა საუცხოო მცენარეები და საუკეთესო ზღვის
სარკისებრი ზედაპირი. ხოლო მეორე მხრით — სანახაობა აჭარის დიდი
მთებისა და მთათა თოვლით დაფარულ. მწვერვალთა...

ვინც ევროპიდან ბათუმს ჩამოვა, პირველად უეჭველად იფიქრებს—
სამოთხეში მოვხვდიო. შავი ზღვის ნაპირს ამკობენ არა მარტო მხოლოდ
შორი და ახლო მთები, არამედ ნაირ-ნაირად მდიდარი, მრავალფეროვანი
მცენარეულობა. მზე თვალებს სჭრის და ფერები ქმნიან სიმფონიას.
ბათუმის მიღამოები ტროპიკულია. საქართველოში ეს ერთადერთი კუთ-
ხეა ასეთი”.¹⁵ ამდენად, ჩვენ, პოეტები ვალში ვართ ამ ზღვისა და სანაზ
პირის წინაშე. ჯერ კიდევ ბევრი უნდა ვთქვათ მათ საღიძებლად, —
რასძინა გალაკტიონმა.

აქვე გაიხსენა ბათუმში, ზღვის პირას როგორ მოესმა ქალის საამო
ხმა, რომელიც მღეროდა მოტივს „გედის სიმღერისა“, როგორც ვთქვით,
1915 წელს ამ ლექსს „მთაშმინდის მთვარე“ ეწოდა. დამსწრეთა თხოვ-
ნით პოეტმა სიამოვნებით წაიკითხა ეს ლექსი.¹⁶

საიუბილეო საღამოს ელფერი შემატა იმან, რომ აჭარის სახეობმსაბ-
ჭოს თავმჯდომარემ ი. ფუტკარაძემ მახინგაურელი ჭაბუკის, გმირულად
დაღუპულ მფრინავ ისრაფილ ჯინჯარძის დედას ფატის გადასცა საბ-
ჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება შვი-
ლისათვის საბჭოთა კავშირის გმირის წოდების მინიჭების შესახებ და
უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მ. კალინინის წერილი
ფატისადმი.

წერილმა, ი. ფუტკარაძის სიტყვებმა, დედის ქვითინმა, ძლიერ იმო-
ქმედა სახალხო მგოსანზე, აქვითითნდა და სცენიდან გავიდა.¹⁷ შემდეგში
გმირ მფრინავს პოეტმა კრცელი ლექსი უძღვნა.

გ. ტაბიძეს მაშინ აჭარის სახეობმსაბჭოს თავმჯდომარესთან საუბარ-
ში უთქვაშს, რომ პირებს თვი მოუყაროს აჭარისაღმი მიძღვნილ ლექ-
სებს, მრავალი ახალიც დაწეროს და გამოსცეს წიგნი „ოქრო აჭარის
ლაჟებარდში“ სახელწოდებით. — მე ცხადია, მესიამოვნა, რომ საქართ-
ველოს სახალხო პოეტმა, აკადემიკოსმა გადაწყვიტა ლექსთა მთელი

კრებული ეძღვნა ჩვენი მხარისათვის, — თქვა ჩვენთან საუბარში იმ ფურცელარაქემ, 1984 წლის ივლისში აგარაკ ბეჭუმში რომ ისვენებდა ისიც დასძინა, რომ მგოსანი ოჯახში მიიწვია და სინანულით უთხრა: აჭარა დალოცვილი მხარეა, ამან გადაარჩინა იგი სრულ გაჩანაგებას. სამწუხაროდ, ქართველი პოეტები ცოტას წერენ მასზე. ამიტომაც ი. ფურცელარაქემ ამ წიგნის გამოქვეყნება პოეტს ბათუმში შესთავაზა და ყველა პირობა შეუქმნა. 1944 წლის პირველ აპრილს გაზეთში „საბჭოთა აჭარამ“ მკითხველებს უკვე აუწყო, რომ „აჭარის სახელმწიფო გამომცემლობასთან დადგებული ხელშეკრულებით გ. ტაბიძე წერს ლექსებს აჭარაზე, რომელიც ცალჭე წიგნად გამოიცემა“.

პოეტს იმხანად ნ. მალაზონისათვის უთქვაშს: „ბევრი ლექსი ვუძღვენი ჩემს საყვარელ აჭარას, მაგრამ ძალიან მინდა წიგნი მთლიანად თუ არა ძირითადად მაინც აჭარაზე იყოს, თანაც ახალი. რა ბუნება, რა ზღვაა, რა სწორი ქუჩებია, ამ სილამაზით რას არ დაწერს კაცი“.¹⁸

საამისოდ თბილისიდან დაბრუნებული პოეტი რკინიგზის ვაგზალთან სასტუმრო „პირველ მაისის“ № 32 თახში დაბინავდა, საღაც არი თვის განმავლობაში შეკრიბა უკვე გამოქვეყნებული ლექსები, ახლებიც დაუმატა... და 1944 წლის დამლევს მკითხველებმა „ოქრო აჭარის ლაჟვარდში“ უკვე მიიღეს. მასში 75 ლექსი შევიდა, რომელთა უმრავლესობას ეპიგრაფად წამდლვარებული აქვს შ. რუსთაველის ის გამონათქვემები, რომლებშიც პოემის პერსონაჟთა სამოქმედო არედ ზღვაა განვითარებილი. წიგნი იმთავითვე ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად იქცა.

ომის შემდეგდროინდელი სტუმრობიდან აღსანიშნავია 1953 წელი, რომლის დამლევს გ. ტაბიძეს ბათუმის სახელმწიფო თეატრში შემოქმედებითი საღამო გაუმართეს. აჭარის რადიოკომიტეტის ოპერატორმა ოვანეს მანუქიანმა, მაგნიტოფირზე ჩაიწერა მგოსნის ლექსები „მთაწმინდის მთვარე“ და „აი მიზეზი, სულო ჩემო, აი მიზეზი“, აგრეთვე სიტყვები „დღევანდელი დღე ზღვის დღედ აღიარებული ქართულ პოეზიაში“ და „ახალგაზრდობისაღმი“, რომლებიც აჭარის რაღიოს იშვიათი ჩანაწერების ფონდში ინახება, სხვათა შორის, ეს ჩანაწერები საქართველოს რაღიომაც წაიღო.

გავეცნოთ გ. ტაბიძის გამოსვლის ფრაგმენტებს. „აქ არაერთჯერ იყო ხსენებული წიგნაკი, რომელიც გამოვიდა 1944-ში, „ოქრო აჭარის ლაჟვარდში“, ძვირფასმა ამხანაგებმა შეფასება მისცეს ამ წიგნის ისეთი, რომლითაც მე სავსებით ქმაყოფილი ვარ, როგორც ავტორი ამ წიგნისა. მე არ ვიცი რომელი ნაწილი წაგვითხოთ ამ ლექსისა. მხოლოდ გადაუშლი, რაც შემხვდება, ამხანაგებო, იმას წაგიკითხავთ (ტაში). აი, ეს ლექსი შემხვდა „ყოველ გრიგოლში თუ ქარიშხალში“... (კითხულობს)...

„ნება მომეცით, დღევანდელი დღე 22 დეკემბერი, 1953 წლის
გამოვაცხადო ქართული ლიტერატურის ისტორიულ დღედ, იმ მიზანის
ბით, რომ დღეს პირველად დაფუძნდა, გამოითქვა აქ მოსაზრება, რომ
არსებობს საქართველოში ზღვის მოტივები, ზღვის ლირიკა, ზღვის პოე-
ზია. ამ მხრივ, ეს ნაბიჯები გადადგმული დღეს აქ, ჩაითვლება ქართული
ლიტერატურის ისტორიულ მოვლენად. ნება მომეცით მივესალმო ამ
ახალ მიმდინარეობას ქართულ ლიტერატურაში, ამ ახალ დაფუძნების,
რომელიც ახალი, სწორედ თქნამედროვე მოტივებით უდერს“.

1956 წლის ზაფხულში გ. ტაბიძემ განსაკუთრებით ბათუმელი
მოსწავლეები გაახარა. უკითხავდა ლექსებს, უამბობდა თავის ცხოვრება-
სა და შემოქმედებაზე. დაესწრო მხატვრული თვითმოქმედი კოლექტივე-
ბის კონცერტებს. იმ წელს აჭარის სახელმწიფო მუზეუმის დაცვითი
მხატვარ ვაგძნლების შეუქმნია ტილო „ბათუმელ პიონერთა შეხვედ-
რა გ. ტაბიძესთან“, რომელიც მუზეუმს დღესაც ამჟვენებს.

1957 წლის ზაფხული პოეტმა ქობულეთში გაატარა... დაწერა ქახა
ლი ლექსებიც: „ერთორიად მოსავალი ვაღიალდა და გახდა მყარი, დაგვის.
ჩაქეის და ხუცუბნის აყვავების საწინდარი“, — წერდა გ. ტაბიძე ერთ
ლექსში.

გ. ტაბიძის თხზულებათა მე-7 ტომში არის განყოფილება „პოეტის
არქივიდან“, რომელშიც შეტანილია დიდი ლექსი „ქობულეთი“.

ასეანიშნავია, რომ შემოინახა ლექსი „ქობულეთის“ კიდევ ერთი
ვარიანტი. წარწერით „საახალწლო სტრიქონები“. — აქ კარგი დრო
გაგვიტარებია, ავდარშიაც ვყოფილვარ და დარშიაც ცხენითაც მიჯირი-
თნიაო, — სიამაყის გრძნობით იგონებდა გ. ტაბიძე.

1973 წელს გამომცემლობა „საბჭოთა ჭარამ“ კვლავ დასტამბა
გ. ტაბიძის წიგნი „ოქრო აჭარის ლაქვარდში“. შემდგენელმა პოეტმა
გ. ვარშანიძემ მასში შეიტანა ბევრი ლექსი 1944 წელს გამოქვეყნებული
გალაკტიონის ამავე სახელმწოდების წიგნიდან, აგრეთვე მომდევნო წლებში
დაწერილი, სულ 70. ისინი შერჩეულია გულმოდგინებით, ადასტუ-
რებენ აჭარისადმი, მისი ხალხისადმი, გმირული წარსულისა და ნათელი
მომავლისადმი ჩვენი სასიქაღულო პოეტის ფაქიზ, გულისხმიერ დამო-
კიდებულებას, უსაზღვრო სიყვარულსა და მოკრძალებას. აქ არის „ოც-
ნება აჭარისწყალთან“, „შეხედე“, „ბათუმი“, უსათაურო „საღამო მთე-
ბის, დღისით ზღვაური...“, „სიძველენი“, „შოთა რუსთაველი შავი ზღვის
პირად“, „ოქროს ნავით“, „აჭარის ლაქვარდში“, „აჭარელი მფრინავი“,
„შავი ზღვის პირად“, „სიმფონია ფესვების“, „ბუნება — მოქანდაკე“,
„ბობოქარ ტალღებს“, „სხვა უკავილები“, „გასწიე ფარდები“, „ჩვენი
შავი ზღვა“, უსათაურო „საღამო ხანს ქობულეთში“.



იხსნება კი უსათაურო ლექსით „რა ორის ოქრო აჭარის“ უწყებელი მნათობი ცისფერ ბაღეში, თვითმურანინავის ტრთა ვარსკვლავთა სიღვარა დეში, ულურჯესი მოები და ჰანგი გრძნობათა მორევის, დიდება. თუ რა ორის ოქრო აჭარის ლექვარდში! ეს ლექსი შესულია გ. ტაბიძის თხზულებათა მე-7 ტომში.

ამ წიგნის ხელახალი გამოცემით „საბჭოთა აჭარამ“ ძალზე კეთილმოსაგონარი და სასარგებლო საქმე გააკეთა. როგორც 1944 წლის, ისე 1973 წლის გმოცემის რედაქტორია პოეტი ნ. მალაზონია. მადლობის მეტი არაფერი გვეთქმის, თუმცა სასურველი იყო შემდგენელს შეენარჩუნებინა ლექსებისათვის ეპიგრაფები „ვეფხისტყაოსნიდან“. ამით არაფერი დაშავდებოდა, პირიქით, წიგნს შენ და დაზიათი შეემატებოდა. და კიდევ: ლექსებს უნდა დართვოდა ავტორის უსული დათარიღიბა, ანუ დაწერის წელი. ამასთან ქეს სანუკერი კრებული. მაგარ ყდაში უნდა ჩაესვათ. ასეთი წიგნი ყოველმხრივ სანიმუშო უნდა იყოს.

1969 წელს, მგოსნის გარდაცვალების 40 წლისთავზე ნ. მალაზონიამ გმოაქცევენა პატარა მოგონება „ზღვა და გალაკტიონი“, რომელიც აჭარაში გ. ტაბიძის 1944 წლის ყოფნას ეხება. პოეტი ყოველ დილით ზღვის პირას გადიოდა და შუაღლებდე რჩებოდა. მერე სასტუმრო „პირზღვა მაისში“ ბრუნდებოდა, ისადილებდა, სამუშაოდ განეწყობოდა, წელს ზეგიოზ კველაფერს გაიხდიდა, ფოსტლებს უშინილდ ჩაიცამდა, მაგრა და მიუჯდებოდა, და მუშაობდა შეუსვენებლივ. წერდა, ხევდა, ასწორებდა, მერე ხმამაღლა კითხულობდა, კვლავ ასწორებდა. ასე ფუსტუსებდა ნაკრება ხანს. შემდეგ იგახშებდა, გარეთ გავიდოდა, დაბრუნებული ნაწერს გადახედავდა და იძინებდა...

ერთ დღეს ძლიერ წვიმდა. ტალღები კისრისტებით აწყდებოდნენ პარკის ნაპირს. ერთ ადგილას ბობოქარი ტალღების საწირზე გარინდულიყო პოეტი.

— ძალიან მოგწონთ, ბატონო გალაკტიონ?

გალაკტიონმა გაიღმია მისთვის ჩვეული ფართო ღიმილით, წარმები შეათამაშა, მხერბში გასწორდა, ნაბიჯები ჩემსყენ გადმოდგა და მარჩვენა შეკლავი მომხვია.

— ხომ კარგია, ძამიკო? ხომ იდეალურია? აი, სიცოცხლე და უსამრულო ენერგია! ზღვა, ზღვა, ზღვა!..

პარკის შუაგულამდე ასე ვიარეთ: კოლონადების ახლოს ძელსკამზე კერ მე დამსკა, ხელი გამიშვა და თვითონ ჩამოჯდა. მე შვება ვიგრძენი, ნახევრად დაბუუებული მელავი რომ გამინთავისუფლდა.

საკეირველია, ჩემთ ძამიკო, რომ ჩვენი პოეტები ზღვაზე არაფერს წერენ, ამაზე უკეთესი თემა სადაა! დღეიდან მე სულ ზღვასთან მექნება საქმე. იგი იქნება ჩემი ლექსის საგანი, უცვლელი ფეხა...

ეს თქვა, ცოტა ხანს იყუჩა და მერე მოწყვეტით წამოდგა. მეც სამსახური ახლა მომავონდა, სწრაფად ავდეჭი და ლუნინიშ ქანისაკენ ავიღე გეზი. ვალაკტიონი უსიტყვოდ დამშორდა. იგი გორელ ნაბიჯებით მიღიოდა. ალბათ, ეჩქარებოდა, ქალალდზე გადაეტანა თავისი შთაბეჭდილებანი".¹⁹

ნ. მალაზონიამ მეორე საინტერესო მოგონება 1973 წლის 23 ოქტომბერს გამოაქვეყნა გაზეთ „საბჭოთა ჭარაში“, რომელზეც ნაწილობრივ უკვე ვთქვით. მისი ცნობით, გადაუდებელი საქმეების გამო გალაჟტიონი თბილის გაემგზავრა, მაგრამ სიტყვა არ გატეხა, ერთ კვირაში დაბრუნდა და შეუდგა ინტენსიურ მუშაობას, რათა ბათუმის გამომცემლობისათვის მალე ჩაებარებინა წიგნი, რომელსაც „ოქრო აჭარის ლაჟვარდში“ უწოდა.

1973 წელს დაიბეჭდა აგრეთვე მხცოვანი მწერლის პ. ლორიას მოგონება. იგი გალაკტიონს ჯერ კიდევ 1923 წლის გაზაფხულზე გასცნობათ. „მუდამ ისეთივე მეჩვენებოდა, როგორიც პირველი შეხვედრისას — უკაღრისი, ამპარტავანი, არც სხვისი გაცნობა აინტერესებს, არც სხვისი ნაწარმოების წაკითხვა“, —წერდა პ. ლორია და დასძენდა: 1940 წელს „დელი მურადის“ გამო გალაკტიონმა წერილი გამომიგზავნა. წიგნს შეუცვალე სახელწოდებაო. შემდეგ წერდა: „მემდურიან აჭარნი, აფხაზნი, რაც სახალხო გახდი, განი გვიწიე, გვიმუხხოვთ“, მაგრამ „თქვენი ვიქნები, ძმებო, სანამ არ შევივერცხლები“.

მისივე ცნობით, გ. ტაბიძე ყოველთვის გაუხმაურებლად მოგზაურობდა აჭარაში, 1953 წელს ხანგრძლივად გვეწვია, ნახა სოფლები, დაესწრო ბათუმის თეატრის წარმოდგენებს.

უნდა შევნიშნო, რომ გ. ტაბიძემ „განი არ გვიწია“, სიკვდილის ბოლო წუთებამდე „ჩვენი იყო“.

კიდევ ის, რომ მგოსნის რჩევისამებრ პ. ლორიამ თავის წიგნს „განთიადი ხევში“ უწოდა.

1973 წლის დეკემბერში ხელვაჩაურის რაიონის ყოროლისწყლის სკოლას ეწვია ამ სოფლის მკვიდრის, მწერლისა და საზოგადო მოღვაწის პაილარ აბაშიძის მეუღლე მარგარიტა წერეთელი. სკოლას, რომელიც მისი მეუღლის სახელს ატარებს, მ. წერეთელმა უსახსოვრა ფოტოსურათი, სურათებზე პ. აბაშიძე აღმისახულია გ. ტაბიძესთან, ი. გრიშაშვილთან, ა. მირცხულავასთან და სხვა მწერლებთან.

1973 წელს გალაკტიონის აჭარასთან ურთიერთობას, ამ მხარისა-

და მიძღვნილი დექსების გარჩევას სტატია უძლვნა ა. შონიამ, შემდეგივე
შეცხოვ და კრიტიკული წერილების კრებულში შეიტანა.

კრთხელ გალაკტიონი ქობულეთის რკინიგზის სადგურში ჩოჩქოლ-
სა და ვაი-ვიშს გადაეყარა — თურმე ზღვა ყოფილა შფოთის მიზეზი.
რისი ტალღები ბობოვების იმ უბანს მივარდნია, რომელიც მეზობელ
სოფელ ციხისძირს ესაზღვრება (და არა სახალვაშოს. ეს სოფელი რამ-
დენიმე კილომეტრითაა დაშორებული ბობოვების-ციხისძირს, ამასთან
ზღვისთან არ მდებარეობს — ი. ბ.). ზღვის მემედ ხალვაშის სახლის ავ-
ნები მოურლვევია და კედლებიც უნდა დაენგრია, მაგრამ მამაცმა ადა-
მიანებმა ბევრი რამ გამოსტაცეს სტიქიას და იქ აიტანეს, მაღალ ფერ-
დობზე, სადაც ზღვით დაშინებული მემედი უკვე აშენებდა ახალ სახლს.
პიძაშვილებმა დიდი პოეტი ახალ სამოსახლოში მიიპატიუეს.

„გალაკტიონი სხვებთან ერთად აუყვა აღმართს. სუნთქვა უჭირდა.
მაინც ყველაზე წინ მიდიოდა... საპატია სტუმარს წინ არ უსწრებდნენ.
გალაკტიონს მოეწონა ნაშენობა.

— უყურეთ მემედს ახლა ოქვენ, რა ლამაზად ამოუყვანია კედლე-
ბი!.. — აქიდან ზღვა კარგად მოჩანდა და ამან ხომ სულ მთლად მოხი-
ბლა.

— უყურე შენ, რა საოცნებო ფერდობზე აშენებს სახლს მემედი!—
ეს თქვა და მასპინძელს ეშმაკურად გაულიმა — მემედ, სახლს აშენებ
ისეთ აღვილას, რომ ზღვა ვერ მიეკაროს ხომ?..

გალაკტიონი უცბად გაშინაურდა. პირველი მიუჯდა ეზოში სახელდა-
ხელოდ გაშლილ სუფრას. საღდეგრძელები კი თქვა, მაგრამ ღვინო არ
დაულევა. ცოტ-ცოტას მოსვამდა ხოლმე. ბათუმში მიეჩარებოდა, იქ
გადაუდებელი საქმე მაქვსონ.

ბათუმის სასტუმრო „პირველ მაისში“, სადაც 1944 წელს ამთავრე-
ბდა წიგნს „ოქრო აჭარის ლაუვარდში“, გალაკტიონი დარჩენილა 23 ავ-
გვისტომდე! (აჭარის ცსა, ფ. 155, ს. 98/19). ამ დროისათვის, როგორც
ჩანს, დაუმთავრებია მუშაობა და ლექსთა კრებული ჩაუბარებია გამომ-
ცემლობისათვის. სტუმართა ჩაწერა-ამოწერის წიგნში შევსებულია გრა-
ფები, მათ შორის დაბადების წელი — 1892, სპეციალობა — პოეტი, თა-
ნამდებობა — პოეტი.

მთელი ზაფხულის ნახაფი გალაკტიონი ბათუმიდან შორს არ წასუ-
ლა. ქობულეთში, ზედ ზღვის პირას, იმ აღვილას, სადაც ახლა სატყეო
მეურნეობის სკოლა-ინტერნატია, რაიონის მაშინდელმა თავგაცემა მას
მისცეს ორი ოთახი და შეუქმნეს დასვენების კარგი პირობები, პიონერთა
ბანაკის უფროსის მოადგილეს, ფრონტიდან ახალდაბრუნებულ დ. თხი-
ლაიშვილს დაკისრეს ხშირად მიეკითხა და ზრუნვა არ მიეკლო. დურ-

სუნი ახლაც სკოლა-ინტერნატის გვერდით ცხოვრობს. დარბასი შეუძლია კურსების სახელი ქვეს. ჩვენ ის გაგვაცნო უურნალისტმა ოთარ კონკრეტული მომენტის სახელი აქვს.

გალავტიონს დიღი უურადლებით მოჰყიდებია ახალგაზრდა კაცი ცის-ფერი თვალებით, როგორც პოეტი იტყოდა — „სავსე ქართული პატიონ-სნეგბით“.

დურსუნს ახლაც უკრთის თვალებში სიკეთის სხივი და შეფარული ხალველი... „— ომი, ძამიკო, ომი საშინებობაა. — ეუბნებოდა პოეტი დურსუნს, — მძულს, და ეს სიძულვილი გამოვხატე ლექსებში... „ამას წინათ ბათუმში დავესწარი საბჭოთა კავშირის გმირის ი. ჯინჭარაძის დელისათვის შეილის დაღუპვის ოფიციალური ცნობის გაცემას... უბე-დური დედა... რას იტანს... მის მწუხარებას ათასი ლექსიც ვერ უშველის“...

ქობულეთში, ბინასთან ახლოს, ზღვის პირად სამი ცად ატყორცნილი სამკუთხედად შეკრული ფიტვი ამოირჩია და მათ შორის ყველაზე დიდ ხის ძირში პატარა სამუშაო მაგიდა დაიდგა...

— დიდი უცნაური კაცი იყო, — ამბობს დურსუნი — ბაღაბის ხელით ეფურებოდა, თითებით ვარცხნილა. სულ წერდა და წერდა. ხანდახნ ხატავდა კიდეც მცენარეებსა და ზღვის ტალღებს. ერთხელ ტალღის ფაფარში ჩაფრენილი ჭინჭებიც დახატა და ბევრი იცინა.

მუშაობით რომ დაიღლებოდა, აღგებოდა და ერთხანს ბოლთას სცე-მდა, ისევ დაჯდებოდა, ნაწერს გადახედავდა, მაგრამ თვალი მაინც ზღვისკენ გაურბოდა. ასეთი, ზღვით გაუმაძღარი კაცი არ მინახვს. ზოგ-ჯერ ახალდაკრეფილ ხილს მივუტანდი, ღვინოსაც მივართმევდი. ჩვენებური „აღესა“ უყვარდა, არაყის ჭიქით სვამდა, თითქოს პირს ისველებდა მარტო.

— ძამიკო, ღვინო ბევრი არ უნდა დალიო... ასე, ა, ცოტ-ცოტა, მა-შინ შეგერგება, — ეუბნებოდა გალაკტიონი.

უფრო მეტად მარტო იჯდა მწვანეთ მოგუმბათებული სამი ფიტვის ქვეშ²⁰...

1980 წელს 18-20 ნოემბერს დიღი ზეიმი ჭერია-აჭარას — აქ გაიმართა თბილისის დღეები. სწორედ მაშინ მგოსნის ბრინჯაოს ძეგლი დაიდგა იქ, სადაც ვინ მოთვლის, რამდენჯერ გაუვლია გ. ტაბიძეს. — კინოთეატრ „თბილისის“ სკვერში.

ძეგლის ავტორია მოქანდაკე ბიძინა ავალიშვილი, არქიტექტორი — ქეთევან კობახიძე.

1982 წლის დეკემბერში აჭარაში ფართოდ აღინიშნა გ. ტაბიძის დაბადების 90 წლისთვევი. გაზეთმა „სოვეტსკაია ალექსანდრიამ“ სამ დეკემბერს გამოაქვეყნა ფილმლოგის მეცნიერებათა კანდიდატის ნ. ვარშანი-

ძის წერილი „გალაკტიონი და აჭარა“, აგრეთვე მგლსნის ფოტოს ფრაზე უკავშირდებოდა გადაღებული 1958 წლის მარტში ქართული ლიტერატურისა და ხელობრივი ნების დეკადის დროს მოსკოვში ფრ. ხალვაშთან და ცნობილ აჭარაზე პოეტი ი. თარბაშთან ერთად.

დასასრულ უჩამბელი ღვთისნიერი ტკბილმოუბარი დედის თენიცილე თურმანიძის ამბავი უნდა მოგითხოოთ... 1959 წლის მარტში რადიომ, გაზეთებში ქვეყანას გრაბიძის გარდაცვალება აუწყეს.

— აჭარის დიდი მომავა, რომელმაც წიგნიც გვიძოვნა. ცოცხალი აღარ არის. თბილისში მეც უნდა დავიტირო იგი, — თქვა მრავალშვილიანმა დედამ თ. თურმანიძემ და ბათუმში შვილებს — საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ბათუმის ფილიალის დოკუმენტი თარისა, და მილიციის მაიორს ზაქროს ჩამოაყითხა. იუხერხელეს შვილებმა. — იმ ხნის ქალს მწერლობაში რა გინდა, რა უნდა უთხრა; ვინმე ვიცნობს თუ რა. — სიტყვას არ გადავთქვამ, მარტოდ წავალო, — თქვა დედამ. შვილები მოლბნენ. დედას თბილისში ოთარი გაჰყვა.

მაჩაბლის ქუჩაზე მწერალთა სასახლე და შემოგარენი ხალხითა სავსე. აირა მარმარილოს კიბე, მთიელ დედას გზა მისცეს და პოტის ცხედართან მიიყვანეს. ვის არ მოგვარა ცრემლი იმ დღეს.

პოეტმა მ. ვარშანიძემ ასე დაიქვა მისი სიტყვები:

— მე აჭარელი ქალი ვარ, დიდო მგლსანო, მთიელი ქალი, მე უჩამბელი დედა ვარ... ჩემი ცხოვრება ტანჯვა და ცრემლი იყო, შავგედი ერგო წილად აჭარელ ქალს, სულ ჩადრში იყო, უსწავლელი, საცოდავი, ვინ მოუსმენდა აჭარელ ქალს! იგი მუნჯი იყო, დიდო მგლსანო.

ქართულ წიგნს ხელს არ დაკარებდა, ცოდვა არისო, ღმერთი გაწყრებათ, ჯოჯოხეთი არ აგცდებათ.

ღვინოს როგორ ახსენებდა, ცოდვა არისო, სტუმარს პირს არ ანახებდა, ცოდვა არისო. ქრისტიან ქალს გულს ნუ მიანდობო, შენ სხვა ხარ და იგი სხვაოთ.

ყურანი გიყვარდესო, ლოცვა გიყვარდესო, ყველა სიკეთეს ღმერთი გვანიჭებს, თავვანი ვცეთ ღმერთსათა... .

ასეთ ტანჯვის დღეში ვიყავი, ჩემი მგლსანო, ვნატრობდი ჩემი ქრისტიანი დების ნათელ ბედის, რას არ ვნატრობდი, რა არ მქონდა მონატრებული! პოდა, მოვედი მე ამ ნათელ დღემდე ოხვრით, გოდებით, მაგრამ მოვიტანე წმინდა ქართული მანდილი, მგლსანო.

ჩემს შვილებს ქართულად ვუდგი ენა, ავაჭიკერდე გულგასახარად, სამი ვაჟი ობლად გავზარდე, ქვეყნის ერთგულად გავზარდე, დიდო მგლსანო.

მინდა გიტირო აჭარელმა ქალმა, მაგრამ სიტყვა არ მყოფნის, უსწავლელი ვარ, რა ვქნა, გული რასაც მეუბნება იმას ვამბობ, პულით

დაგტირი, სულით დაგტირი, და თუ ღირსეულად ვერ დაგრენული მა
პატიკი".²¹

ამრიგად, დიდმა მგოსანმა პირველად აჭარის სანაპიროზე იხილა
ზღვა და სამუდამოდ დარჩა მისი მაღიდებელი. გამორჩევით შეიყვარა
პთელი მხარე, რომელიც ზღაპრულ პანორამად, სიხარულის, ბედნიერების
უშრეტ წყაროდ მიიჩნია. ამიტომ იყო, რომ პოეტის ბობოქარი სული
განსაკუთრებულ შვებას აჭარის უსაზღვრო სილაჟვარდეში ჰპოვებდა.
აյ იყო იგი ქმაყოფილი, დაწყნარებული, მშვენიერი ლექსების დასა-
წერად განწყობილი.

1978 წელს ბათუმის ახალ ლეონიძის დასახლების ახალ ქუჩას
გ. ტაბიძის სახელი ეწოდა. მის სახელს 1961 წლიდან ატარებს ბათუმის
№ 1 სკოლა-ინტერნატი.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ი. ლორთქიფანიძე, გ. ტაბიძის ცხოვრების ქრონიკა, თხზ., 1968, ივ. 42.
2. ფ. ნიშნიანიძე, გალაკტიონის ცხოვრება, თხზ., 1964, გვ. 60.
3. გ. ტაბიძე, თხზ., 12 ტომად, ტ. I, გვ. 72-73, 1966.
4. ფ. ნიშნიანიძე, დასახ ნაშრომი, გვ. 60, გ. ტაბიძე, ოქრო აჭარის ლაჟვარდში, ბათუმი, 1973, გვ. 6.
5. ი. ლორთქიფანიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 42.
6. ფ. ნიშნიანიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 125-126.
7. გ. ტაბიძე, თხზ. ტ. 3 გვ. 60, თხზ. 1966.
- 8 აჭარა საბჭ. ხელისუფლ. განტეპ. და სახალხო მეურნეობის აღდგენის პერიოდი, ბათუმი, 1975, გვ. 395-396. იქვე, გვ. 122.
- 9 ი. ლორთქიფანიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 170.
10. იქვე.
- 11 ასე ერქვა აჭარას 1936 წლის მარტიმდე. აჭარაში საბჭოთა ხელისუფლ. დამყარების 15 წლისთვისადმი მიძღვნილი ავტონომიური რესპუბლიკის ცაკ-ის საიუბილეო სესიის გადაწყვეტილებით მხარეს დაუბრუნდა ძველი სახელწოდება.
- 12 გ. მებუჯე, მოგონებები გალაკტიონზე. უურნ. „ლიტერატურული აჭარა“, 1963, № 3, გვ. 52.
- 13 გაზეთი „საბჭოთა აჭარისტანი“, 1934, 17, 22, 23, 24 ნოემბერი.
- 14 გაზ. „საბჭოთა აჭარა“, 1944, 28 მარტი.
- 15 ი. ბექერიშვილი, აჭარა მეგობრების თვალით, ბათუმი. 1975, გვ. 50-57.
16. ფ. ნიშნიანიძე, გალაკტიონის ცხოვრება, გვ. 61.
- 17 იქვე, გვ. 62.
- 18 ნ. მალაზონია, მოგონება, გაზ. „საბჭოთა აჭარა“, 1973, 23 ოქტომბერი.
- 19 უურნ. „ლიტერატურული აჭარა“, 1969, № 3, გვ. 78-79.
- 20 უურნ. „ჭოროხი“, 1973, № 5, გვ. 78-81, ა. შონია, კრიტიკული ნარკვევები, ბათუმი, 1974, გვ. 23-24-25-26, 28, 31-32.
- 21 გ. ვარშანიძე, ამბავი უჩამბელი დედისა, გაზ. „საბჭოთა აჭარა“, 1978, 6 სექტემბერი, უურნ. „ჭოროხი“, 1980, № 6, გვ. 11-15.

ქართველი მწერლების პირველი ყრიდობა და „ქართველ მწერალთა პავშირის“ შექმნა

რუსეთის თვითმშეყრობელობის დამხობის შემდეგ, საქართველოს, ისე-ვე ჩოგორც უკიდეგანო იმპერიის სხვა ერებს, თავისუფლების მოპოვების რეალური შანსი გაუჩნდა. დამოუკიდებლობის გზაზე შემდგარი ერისათვის, უპირველეს ყოვლისა, აუცილებელი იყო სოციალური პრობლემებით გადაფარული ეროვნული იდეის წინა პლანზე წამოწევა და ათასგარი პარტიებად დანაწევრებულ-დაქსაქსული საქართველოს ამ იდეით გაერთიანება. ეს კი უაღრესად ძნელი, თთქმის შეუძლებელი იყო სოციალ-დემოკრატიული აზროვნების ბატონობის ხანაში. მიუხედავად ამისა, ქართველი საზოგადოების ერთი ნაწილი, იქნებ რიცხობრივად მცირე, მაგრამ განათლებითა და მაღალი ინტელექტით გამორჩეული, ძალ-ღონეს არ იშურებდა ეროვნული თავისუფლების იდეის აღსრულებისათვის, ქართული მწერლობაც, რომელიც ყოველთვის იყო განსაკუთრებული ეროვნული მისის მატარებელი, თვის უმთავრეს მოვალეობად ქვეყნისადმი სამსახურს მიიჩნევდა და ძალ-ღონეს არ იშურებდა..

პოლიტიკური კატაკლიზმების ხანაში მწერლობას გაუჭირდებოდა ერის წინამდღოლის ფუნქციის შესრულება, მაგრამ იგი ყოველთვის ცდილობდა ქართველი ხალხის ილია ჭავჭავაძისეულ გზაზე შეყენებას. და ახლაც თვავად მწერლობას უნდა მიეცა ერთი დიადი იდეის ქვეშ გაერთიანება-შეკავშირების მაგალითი. ეს კი სულაც არ გახლდათ იოლი საქმე. ლიტერატურულ თუ პოლიტიკურ შეხედულებათა სხვადასხვაობა, დიდი რევოლუციური ძვრები უფრო მათს გათიშვას უწყობდა ხელს, ვიდრე შეკავშირებას, მაგრამ მიუხედავად ამისა, მწერლებმა მაინც იგრძნეს გაერთიანების აუცილებლობა, რომ ყოველგვარ პოლიტიკურ თუ ლიტერატურულ ინტერესებზე მაღლა უნდა დაეყენებინათ ყველაზე მთავარი — სამშობლო!

აღსანიშვნით, რომ ქართველმა მწერლებმა ჯერ კიდევ ჩვენი საუკუნის დასაწყისში სცადეს ორგანიზებულად გაერთიანება. 1908 წელს, შემოდგომაზე თბილისში შეიქმნა სიტყვაკაზმული მწერლობის საზოგადოება,¹ რომელსაც ქართული მწერლობის განვითარებისათვის უნდა შევწყო ხელი და ხელმოკლე მწერალთათვის მატერიალური დამარცხაც გაეწია. ამ საზოგადოებამ ვერ იტვირთა გამაერთიანებლის ფუნქცია. ამასთან, იგი მხოლოდ თბილისა და თბილისის გუბერნიას მოიცავდა და ვერ ეწენებოდა მთელ ქართველ მწერლობაზე ზრუნვის პრეტენზია. საჭირო იყო შეკავშირების უფრო სასურველი და მოხერხებული ფორმის მოძებნა. სწორედ ამ მიზნით შეიკრიბა 1919 წლის 4 ივნის² თბილისში, სა-

თავადაზნაურო ბანკის შენობაში ქართველ მწერალთა ერთგულობა რომელთაც იმსჯელეს მწერალთა პროფესიული კავშირის დამსტუძინვა სალიტერატურო უზრნალის შემოღების შესახებ.³ აღსანიშნავია, რომ ამ შეკრების ერთ-ერთი ორგანიზაციონი თვით სიტყვაკაზმული მწერლობის ესაზოგადოება გახლდათ.

შეკრებილმა მწერლებმა იმსჯელეს სხვადასხვა საჭირბოროტო საკითხებშე და აჩსებული პრობლემების მისაგვარებლად უცილებლად ჩათვალეს ყრილობის მოწვევა. აირჩიეს ყრილობის მომწვევი კომისია (ზიური), რომელშიც შედიოდნენ: კოტე მაყაშვილი (თავმჯდომარე), კონსტანტინე გამსახურდია (მდიგანი), შალვა დადიანი, ვარლამ რუხაძე, ლეონ ქიაჩელი და დავით ლიხელი (სულიაშვილი). აღსანიშნავია, აგრეთვე „ცისფერყანწელების“ აქტიური მონაწილეობა ყრილობის მუშაობაში.

ბიურო საქმიოდ გაისარჩა, სანამ დაწყებულ საქმეს ბოლომდე მიიყვანდა. ძნელი იყო მთელ საქართველოში გაფანტული მწერლების თავმოყრა, არც ამა თუ იმ პარტიის წევრთა ან სხვადასხვა ესთეტიკური შეხედულების მქონე პიროვნებათა ერთ ორგანიზაციაში გაერთიანება გახლდათ იოლი, გასათვალისწინებელია რთული პოლიტიკური სიტუაციაც, აღარაფერს ვამზობთ საორგანიზაციო პრობლემებზე... აღმართ ამიტომაც იყო, რომ ბიუროს საქმიანობა ცოტა არ იყოს გაუჭიანურდა. თავდაპირებულ ყრილობა ცხრა ივლისისათვის იყო დანიშნული, პრესაში გამოქვეყნდა კიდეც ყრილობაზე მიწვეული ორასზე მეტი მწერლის სია.⁴ მაგრამ მოულოდნელად თარიღმა ჯერ ექვსი სექტემბრისათვის, შემდეგ კი შვიდ ოქტომბრადე გადაიწია.

კომისია არჩევისთანავე კეთილსინდისერად შეუდგა მუშაობას. გარდა საორგანიზაციო პრობლემებისა, მას ხშირად ყრილობის მოწვევის აუცილებლობის ახსნა-დასაბუთებაც უხდებოდა. კომისიის წევრები მსჯელობდნენ იმ მსხვილმან თუ წვრილმან პრობლემებზე, რომლებიც უნდა მოეგვარებინა მწერალთა კავშირს. მწერალთა ერთი ნაწილი არ იზიარებდა მათ შეხედულებებს. ზოგს მიაჩნდა, რომ ასეთ მძიმე პოლიტიკურ ცითარებაში არ იყო მიზანშეწონილი ყრილობის მოწვევა და იგი უფრო მოხერხებული დროისათვის უნდა გადატანილიყო.⁵ თავი იჩინა აგრეთვე პოლიტიკური შეხედულებების სხვადასხვაობამ, სამწერლო ასპარეზზე არც თუ დიდი ხნის წინ გამოჩენილი პროლეტარი მწერლები პირდაპირ აცხადებდნენ, რომ არ სურდათ ბურჟუაზიულ და მოდერნისტულ-დეკადენტურ მწერლებთან თანამშრომლობა.⁶

ყრილობის მომწვევი ბიურო უპასუხოდ არ ტოვებდა ამგვარ გამოსვლებს. ბიუროს მდიგანი, ქ: გამსახურდია, წერილში „ხელოვნება თუ პოლიტიკანობა“, ეკამათება გიორგი ჭუმბურიძეს და სხვა მოწინააღმდე-

გებს. კიდევ ერთხელ ასაბუთებს მწერალთა გაერთიანების აუცილებელობას. მისი აზრით, არც ერთი დღო არ მოითხოვს „რომ მწერალი და ხელოვანი მთელ თავის ენერგიას „პოლიტიკანობას“ ანდომებდეს. დღეს ჩვენი კულტურის კიდევ ერთი ტრაგიკული ნასკვთაგანი ის გახდავთ, — წერს კ. გამსახურდია, — რომ ქართველი ერის სულიერი ძალა, უმთავრესად პოლიტიკაზე იხარჯება. თვით ჩვენი „მაშენებელი“ წინაპრების ანდერძიც გვიკარნახებს და გვასწვლის — პოლიტიკურ აურჩაურში კულტურული მუშაობის წერაქვსა და კალას ხელი არ გაუშვაო. ასე რომ არ ყოფილყო, ქართველი ერის ნერვიანი წარსული ნებას არ მისცემდა ქართველ ხელოვანსა და კულტურულ მუშაქს ცხოვრების ყრუ და უსიამო ლაბირინთებში ჩუმი კულტურული მუშაობა ეწიომოებინა. როცა მხედარი მამულის ბეჭისე სწერდნენ საკუთარის სისხლით ეროვნული არსებობის გარანტიას, ხელოვანნი და ხუროთმოძღვარნი მტვრიან ფოლიანტებს ამაგრებდნენ სულისა და ესპრის ქმნილებათ“⁷

საბედნიეროდ, მწერალთა უმრავლესობამ მხარი დაუჭირა ყრილობის მოწვევას, მეტიც, ისინი სიხარულით და იმედით ელოდნენ შეკრებას. ამას ადასტურებს მაშინდელ პრესაში გამოქვეყნებული წერილები.⁸ რაც შეეხება ყრილობის მომწვევ ბიუროს. — მან წარმატებით გაართვა თავი დაკისრებულ მოვალეობას და 1917 წლის 7 ოქტომბერს თბილისში, ქართული კლუბის დარბაზში გაიხსნა ქართველ ხელოვან მწერალთა პირველი ყრილობა*

ქართველ ხელოვან მწერალთა პირველი ყრილობა მეტად მწვავედ წარიმართა. იგი თითქოს ანარეკლი იყო მაშინდელი ცხოვრებისა. ქართველ მწერლებსაც გადასდებოდათ არეული ეპოქის ნერვული სულისკვეთება. პარტიულ ნიადაგზე დაპირისპირებას ემატებოდა ესთეტიკურ შეხედულებათა სხვადასხვაობა და დროდადრო ისე გამწვავდებოდა კამათი, ყრილობის ჩაშლის საფრთხეც ჩნდებოდა ხოლმე.

ყრილობამ, როგორც უკვე ვთქვით, მუშაობა შვიდ ოქტომბერს დაიწყო,⁹ თუმცა, ოფიციალურად იგი 8 ოქტომბერს გაიხსნა.¹⁰ (ყრილობის თავმჯდომარედ აირჩიეს კოტე მაყაშვილი, ამხანაგებად (მოადგილებად) — შ. დადიანი და პ. ქავთარაძე, მდივნებად — დ. ლიხელი და ლ. მეტრეველი).

შვიდში მხოლოდ წინასწარი თაობირი გამართა, რომელზედაც იმსჯელეს სხდომაზე განსახილველი საკითხების შესახებ. სწორედ ამ თათბირზე გამწვავდა პირველად მდგომარეობა ყრილობის მონაწილეთა შორის. კონფლიქტის მიზეზი გახდა საპატიო თავმჯდომარეთა არჩევა. კერძოდ დასახელებული იყვნენ დავით კლდიაშვილი, მელანია (ნიკოლოზ ნათაძე), დუტუ მეგრელი (დიმიტრი ხოშტარია), სოფრომ მგალობლიშვილი, ეკატერინე გაბაშვილი, ვასილ ბარნოვი და ნიკო ნიკოლაძე. ამ კანდიდა-

ტურებს, რასაკვირველია, არავითარი წინააღმდევობა არ შეხვერდს კონსტანტინე „ცისფერყანწელთა“ ჯგუფმა დაასახელა რუსი მწერლი კონსტანტინე ბალმონტი. ამ წინადაღებამ მწვავე კამათი გამოიწვია.

რასაკვირველია, ერთი შეხედვით, უცნაურად ჩანს ქართველ მწერალთა პირველ ყრილობაზე საპატიო თავმჯდომარედ რუსი მწერლის არჩევის მცდელობა. ისიც ცხადია, რომ სწორად მოიქცნენ ქართველი მწერლები, როცა სიმბოლისტების წინადაღება უარყვეს, მაგრამ ამ შემთხვევაში „ცისფერყანწელები“ ყბაღაღებული და იმხანად პოპულარული „ინტერნაციონალიზმის“ ლოზუნგით კი არ გამოდიოდნენ, არამედ, პირიქით, მათი წინადაღება სწორედაც რომ პატრიოტის წინადაღება იყო. მდენად, თუმცა ვერ დავთანხმებით, მაგრამ ამ წინადაღების გაეგბა შეიძლება: კერძოდ ისინი თავიანთ აზრს იმით ასაბუთებდნენ, რომ ბალმონტს უდიდესი ამაგი მიუძღვის ქართველი ერის წინაშეო. გარდა იმისა, რომ მან „ვეფხისტყაოსანი“ თარგმნა რუსულად, რითაც უდიდესი ღვაწლი დასდო ქართულ კულტურას, იგი ერთადერთი კაცია რუსეთში, რომელმაც შეძლო მოსვლა საქართველოს გულთან და გააკეთა ეს სრული გულწრფელობით. და მიუხედავად იმისა, რომ საქართველო დღეს რუსეთის დაბყრობილი პროვინციაა, ჩვენ მაინც უნდა ვაფასებდეთ ბალმონტის ყურადღებასო. „დღეს აღსანიშნავია — წერდა ტიციან ტაბიძე, ყრილობამდე რამდენიმე თვით ადრე, — რომ კ. ბალმონტი ძველ რუსეთში ერთადართო კაცია, რომელსაც უფლება აქვს საქართველოდან მაღლობა მიიღოს. მისმა კეთილშობილურმა საქმემ ბევრი გამოისწორა. იმან პირველად თქვა საქართველოზე ღირსეული სიტყვა — მაღალს მაღალი ყურადღება. დღეს, როცა პირველად გვეძლევა საშუალება ხმამალლა მართლის სიტყვის თქმისა, ჩვენც არ გვექნება უკეთესი სიტყვები, — მაღალს მაღალი ყურადღება: კონსტანტინე ბალმონტი/ ღირსია ამისი და ჩვენ მოვალენი!“

სიმბოლისტების წინადაღებას მხარი დაუჭირეს სოციალ-დემოკრატიული ორიენტაციის მწერლებმა, რომელთაოთვისაც ბალმონტის ეროვნებას მაინც დამაინც დიდი მნიშვნელობა არ ჰქონდა. სამაგიეროდ წინააღმდეგ გამოვიდნენ ი. გრიშაშვილი, ი. ნაკაშიძე, კ. გამსახურდია და სხვები. განსაკუთრებით ეს უკანასკნელი აქტიურობდა, რის გამოც გრიგოლ რობაქიძემ „კულტურული ბარბაროსი“ უწოდა. არც სხვათაგან დაკლებია მსგავსი „ეპითეტები“. მიუხედავად ამისა, მან დასაბუთებულად უარყო ბალმონტის საპატიო თავმჯდომარედ არჩევის იდეა ჯერ ყრილობაზე გამართულ კამათში, შემდეგ კი პრესაშიც. იგი თვლიდა, რომ ცდებოდნენ გრ. რობაქიძე და სხვა სიმბოლისტები, როცა მიიჩნევონ — იქ სადაც ხელხები და მეფეები იბრძვიან, მწერლები და ხელოვანი მმურად ხელს უნდა უწვდიდნენ ერთმანეთსო მწერლის აზრით, ორი ერის ბრძოლის

დროს არა მიმდინარეობს არა მხოლოდ დიპლომატიისა და ზარბაზნების მეშვეობით, არამედ, მთელი კულტურული სისტემით, წიგნებით, გაზეოთით, კალმით. ას სწორედ ამ მოსაზრებით ვარ წინააღმდეგი ბალმონტის არჩევისათ. „ბალმონტს სხვებზე ნაკლებად პატივს არა ვცემ, — აღნიშვნავდა იგი, — მაგრამ ჩვენს მწერლობას ეროვნული გზა აქვს და დღეს ქართველ მწერალთა კრებას, არ შეშვენოდა უცხოელი აერჩია თავმჯდომარედ“.¹² ყრილობამ სწორედ კ. გამსახურდიას და მის მომხრეთა მოსაზრება გაიზიარა, ბალმონტი საპატიო თავმჯდომარედ არ აურჩევიათ, მას მხოლოდ მისასაღებელი დეპეშა გაუგზავნეს, როგორც ქართული კულტურის მოამაგეს.

ბალმონტის გარდა კრებამ მისაღმებები გაუგზავნა ოლივერ უორდ-რობს, არტურ ლაისტს, ავადმყოფ კიტა აბაშიძეს, ინტერპარტიულ საბჭოს, სამხედრო კავშირს, ნოე უორდანიასა და ირაკლი წერეთელს. სწორედ ირაკლი (კავი) წერეთლისადმი მისაღმების საკითხი იქცა მეორე დიდი კონფლიქტის მიზეზად... მასზე მისაღმება როგორც ჩანს. იმიტომ ჩათვალეს საჭიროდ, რომ ჯერ ერთი, იგი მნიშვნელოვანი ფიგურა იყო მთელი რუსეთის სოციალ-დემოკრატიაში, მეორეც, სწორედ ყრილობის წინა დღეებში დაბრუნდა საქართველოში ათწლიანი განმორჩების შემდეგ. სოციალ-დემოკრატიული (და არა მარტო სოციალ-დემოკრატიული) პრესა აღფრთვანებით შეეგება მთელს იმპერიაში ცნობილ მოღვაწეს.. ყრილობაზე, საკითხის წინასწარი განხილვის გარეშე, ათი ოქტომბრის სხდომაზე წაიკითხეს მისაღმების შემდეგი ტექსტი: „ქართველ მწერალთა კონფერენციის პრეზიდიუმი მიესალმება რუსეთის რევოლუციის ერთ თავდადებულ ბელადთაგანს ირ. წერეთელს, ამ სრულს გამოსახვას უანგარო რაინდობისას, იმ საქართველოსი, რომელიც თვითონ ჩაგრული და წამებული ხშირად ივიწყებს საკუთარ მძიმე იარებს და ქარიშხალში შობილ საყოველთაო თავისუფლების სამსხვერპლოზე აჟყავს თავისი საუკეთესო შვილები“.¹³

ეს მისაღმება ბევრისათვის მოულოდნელი აღმოჩნდა და მის წინააღმდეგ პროტესტი განაცხადეს კ. გამსახურდიამ, ს. დადიანმა, გ. დიასამიძემ, ლ. მეტრეველმა, ი. გრიშაშვილმა, ნ. ნაკაშიძემ და სხვებმა. ისინი აცხადებდნენ, რომ წერეთელს საქართველოსთვის არა გაუკეთებია რა და არც ის დაუმსახურებია ქართველ მწერალთა ყრილობა რომ მისაღმებოდათ (თუმცა, ზოგი მათგანი წინააღმდეგი იყო არა მისაღმებისა, არამედ მხოლოდ ამგვარი ტექსტისა), თუ გავითვალისწინებთ იმას, რამხელა გავლენა პქნდათ მაშინ საზოგადოებაზე მეწევიკ ლიდერებს და პირალად კავი წერეთელს, იმასაც, რომ ყრილობაზე ცოტა როდი იყო სოციალ-დემოკრატიული ორიენტაციის მწერალი, ადგილი წარმოსადგენია, რა მოჰყებოდა ამგვარ პროტესტს. განსაკუთრებით აღშფოთება გამოთქვეს ს. თა-

ვაძემ, ს. ჭურიძემ, ს. ფაშალიშვილმა და სხვებმა. მერა კუთხით გუცმა საერთოდ მიატოვა სხდომა. მისალმებას მხარი დაჭირეს „ცის-ფერყანწელებმაც“, მაგრამ მაინც თავის მართლებას ჰყავდა გრიგოლ რობაქიძის გამოსვლა:

„წერეთელს იმის მეასედიც არ გაჲკეთებია საქართველოსათვის, რაც რუსებისათვის გააკეთა, იგი რუსის რევოლუციონერია, თუ მას მივესალმებით, რატომ არ უნდა მივესალმოთ კერძნების, ჩეხიძეს და სხვებს. მაგრამ რადგან ქართული დარბაისლობა გვიყარნახებს წერეთლის მისალმებას (გ. რობაქიძეს მხედველობაში უნდა ჰქონდეს წერეთლის დაბრუნება სამშობლოში მრავალწლიანი განშორების შემდეგ. მ. ჩ.), მე, როგორც ერთი შემდგენელთაგანი ამ დეპეშისა, კვლავ ვიმეორებ, რომ წერეთელს მხოლოდ ამ შინაარსის დეპეშა უნდა გაეგზავნოს“.¹⁴

საინტერესოა, რომ თუ გამოვრიცხავთ დემოკრატიული სკოლის წარმომადგენლებს, მოკამათეთა შორის კავი წერეთლის პიროვნების შეფასებისას აზრთა სხვადასხვაობა თითქმის არ ყოფილა.¹⁵ მისალმების მოწინააღმდეგები მხოლოდ ეროვნული პოზიციებიდან გამოდიოდნენ და ასაბუთებდნენ თავიანთ მოსაზრებებს. კერძოდ, კ. გამსახურდია აღნიშნავდა: „ბატონი კავი წერეთელი რუსის პოლიტიკური მოღვაწეა... მე მხარს არ ვუჰქრა ასეთ წინადაღებას, რადგან ის ადამიანი, რომელიც თვითონ აღიარებს, რომ მისი სამშობლო დიდი რუსეთია, ის ადამიანი, რომელიც წელიწადში ერთხელაც არ ახსენებს სიტყვას საქართველოს, ქართველს, ქართველ ერსა და მის ინტერესებს, რომლის გულს არ სწავს მშობელი ერის სიყვარული, ჩემის ღრმა რწმენით ეროვნული რენეგატია და არაა იმის ღირსი, რომ ქართველ მწრალთა კრება მიესალმოს მან...“¹⁶

კავი წერეთელს მისალმება მაინც გაუგზავნეს, ხოლო კ. გამსახურდიამ მეტად პრინციპული და აქტიური პოზიციის გამო ყრილობის გაკიცხვაც დაიმსახურა. კამათი პრესაშიც გაგრძელდა. გამსახურდიას წინააღმდეგ გაილაშქრეს „ერთობამ“ და „საქართველომ“ (ამ უკანასკნელში თანამშრომლობდნენ ძირითადად „ყანწელები“); ხოლო მხარი დაუჭირა „სახალხო საქმემ“. კერძოდ, ს. ფირცხალავა წერდა: „ნურავინ იტყვის, რომ ჩვენი თანამემამულე რუსეთის საქმეს ჟერებს და ამითი საქართველოს საქმესაც ემსახურებათ. ჩვენ გვესმის ეს, ამის გაებას დიდი მიხვედრა არ სჭირია, საქართველოსაც ერგება ერთი ლუკმა გამხმარი პური, მაგრამ გაცილებით უფრო მოგებული არ იქნებოდა და მშერი ქართველი ერი, მშერი ქონებრივად და გონებრივად, რომ წერეთლები მთელის არსებით მას ემსახურებოდნენ, მას შეეწირონ მსხვე-

რპლად. ქართველ ერს მეტისმეტად ძლიერი სატკივარი აქვს და მისი შეილები ამისთვის უნდა ზრუნვლენენ უპირველესად.¹⁷

გარდა ზემოხსენებული მისალმებისა, ყრილობამ მოწოდებით მიმართა სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქს — კირიონს (საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის გამო). კ. გამსახურდის აზრით აუცილებელი იყო ყრილობას მანიფესტით მიემართა არა მარტო ქართველი ხალხისათვის, არამედ მთელი კულტურული კაცობრიობისათვის, რათა გაეგო მსოფლიოს, რომ მიუხედავად რევოლუციისა, თავისუფალ რუსეთში, რომელსაც მუდამ პირზე აკერია შაბლონური პრინციპი ერთა თვითგამორკვევისა, საქართველო ჯერაც ვერაა თავისუფალი. მისივე წინადაღებით ქალაქის საბჭოს წინაშე უნდა აღძრულიყო შუამდგომლობა, რათა გოლოვინის პროსპექტს დარქმეოდა რუსთაველის სახელი. პ. იაშვილმა წამოაყენა წინადაღება რუსთაველის ძეგლის აგებისა და ქართული ხელოვნებისთვის ერთი სადღესასწაულო დღის გამოყოფის შესახებ. ასევე მოიწონეს აზრი: რომ რუმინეთიდან გადმოესვენებინათ ბესიკის ნეშტი (ტ. ტაბიძის წინადაღება), ხოლო პეტერბურგიდან. — გრ. აბაშიძის (ს. დადიანი). ყრილობაზე გადაწყდა სალიტერატურო უურნალის დაარსება.

მაგრამ ყრილობის კველაზე მთავარი, კველაზე მნიშვნელოვანი შედეგთაგანი იყო, რომ შეიქმნა მწერალთა კავშირი, ქართველმა მწერლებმა მოახერხეს ორგანიზაციულად გაერთიანება, მიუხედავად განსხვავებული პოლიტიკური თუ ესთეტიკური შეხედულებებისა. ამას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა არა მხოლოდ იმიტომ, რომ ახლადშექმნილ მწერალთა კავშირს ხელი უნდა შეეწყო მხატვრული სიტყვის განვითარებისათვის, არამედ, იმიტომაც, რომ ქართული აზროვნების კველაზე მოწინავე ნაწილის — ქართველი მწერლების გაერთიანება-შეკავშირება უნდა გამხდარიყო მაგალითი პარტიებად და სოციალურ ჯგუფებად დაქსაქსულ-დანაწევრებული საქართველოსათვის. ამდენად, მწერალთა გაერთიანებას არა მხოლოდ ვიწრო პროფესიული, არამედ, ზოგად-ეროვნული მნიშვნელობაც ჰქონდა. მწერლებმა, მიუხედავად იმ ნერვული და დაძაბული ატმოსფეროსი, რომელიც ყრილობაზე სუფევდა სხვადასხვა პრობლემებზე კამათისა და შეხლა-შემოხლის გამო, მაინც შესძლეს დაწყებული საქმის ბოლომდე მიყვანა, სწორედ მწერლების უდიდეს მისია ითვალისწინებდა ნიკო ნიკოლაძე, როცა ამბობდა: „ქართული მწერლობა ამდენ ხანს შეგნებულად უკან მისდევდა რუსულ მწერლობას. დღეს უთუოდ უნდა აღდგენილ იქნას დამოუკიდებლობა მწერლობის და ეს შესაძლებელია ხალხის სულიერი შემოქმედების გაებით და სახელით. დღეს აუცილებელია დავივიწყოთ საკუთარი ჯგუფური და პარტიული თავმოყვარეობა და ხალხის სიყვარულით ყოველგვარი მსხვერპლი გავიღოთ. თუ რუსების სამშობლო გასაჭირშია, ჩვენი არანაკლებ მდგომარე-

ობაშია, მწერლობა არის ერთი იმ იარაღთაგანი, რომელიც ასახავს კურთა მთლიანობას, სწორედ ამიტომ არის აუცილებელი ერთიანი თუ მართვა უქმნა¹⁸.

ამ ერთიანი ორგანოს,— მწერალთა კავშირის წესდება, ცხრა ოქტობრის სხდომაზე, — რომელიც სალამოს რვა საათზე გაიმართა თავადა- წნაურთა დეპუტატების საკრებულოში, — წარმოადგინა შალვა დადია- ნშა (სხდომას დუტუ მეგრელი, თავმჯდომარეობდა). ეს წესდება აღრევი იყო მოწონებული კომისიის მიერ და არც ყრილობაზე განხილვისას ჟენევედრია დიდი წინააღმდეგობა. კამათი მხოლოდ ორგანიზაციის სახელ- წოდებას შეეხო, მაგრამ მალევე შეთანხმდნენ და ახალ ორგანიზაციის „ქართველ მწერალთა კავშირი“ ეწოდა.

ყრილობამ ბოლო სხდომაზე, 15 ოქტომბერს, დახურული კენჭის- ურით აირჩია „ქართველ მწერალთა კავშირის“ საბჭოს თერთმეტი წევრი: შალვა დადიანი, კოტე მაყაშვილი, ლეო ქიაჩელი, პაოლო იაშვილი, ავარ პაპავა, გრიგოლ რობაჭიძე,¹⁹ დავით ლიხელი, ტიციან ტაბაძე, კონსტან- ტინე გამსახურდია, პავლე ინგოროვა და სამსონ დადიანი, იორჩიეს აგ- რეთვე სარევიზო კომისია: არტემ ახნაზაროვი, გიორგი მუმლაძე და ლევან მეტრეველი.

ამრიგად, ქართველ ხელოვან მწერალთა პირველი ყრილობა წარმა- ტებით დასრულდა, — ქართველი მწერლები ორგანიზაციულად გაერ- თიანდნენ, რაღა თქმა უნდა ყრილობაზე იყო მწვავე კამათი და კონფლი- ქტები, მაგრამ ამ დაძაბულ დროში მშვიდი და უემოციო მსჯელობა წარ- მოუღენელიც იქნებოდა. ეს იყო ბუნებრივი და ჩვეულებრივი დაბი- რისპირება სხვადასხვა მიმართულებების გვუფთა შორის და ამაზე შორს საქმე არ წასულა... რაც მთავარია, ყრილობას მკვეთრად გამოხატული ეროვნული სახე ჰქონდა და სწორედ ეს იყო მისი ძირითადი ნი- ზანი: და თვით იმ მწვავე კონფლიქტებსაც, რომლებზედაც ზემოთ გვქონდა საუბარი, თუ უფრო ღრმად ჩავუკვირდებით, შესაძლებელია ეს აზრთა დაპირისპირებანი უფრო დადგებითად შევაფასოთ, ვიდრე უარყო- ფითად. სწორედ ამ ერთი შეხედვით ზღვარგადასულ კამათში ჩნდებიდა მთელი სიმძაფრით და სიცხადით, რომ მწერალთა ყრილობა პოლიტიკუ- რი ცხოვრებიდან შორს არ იდგა, მხოლოდ გარედან მაყურებლის როლით არ კმაყოფილდებოდა და ერისთვის მეტნაქლებად მნიშვნელოვან ყველა მოვლენას თავადაც მტკიცნეულად განიცდიდა.

ქართველი მწერლების ამგვარა პოზიცია ბუნებრივა და გასაგები. უჩვეულო და უცნაური ამაში არაფერი არაა. ისტორიული ბედუქულმარ- თობის გამო ქართველ მწერალს ხშირად უხდებოდა მთელი თავისი ენერ- გია ერის სატკივარის დასამებლად მიემართა და ამ მხრივ არც ჩვენი საუკუნის დასაწყისის შემოქმედნი, იყვნენ გამონაკლისნი. მაგრამ ათიანი

წლების მიწურულს ეს პატრიოტიზმი ორმაგად უფრო სასიმოვნო კურსების მიზნების მიხედვით არა ეს ის დროა, როცა საქართველოს პოლიტიკური სარჩევები სოციალ-დემოკრატები ბატონობდნენ. ამ უკანასკნელთათვის კი, ყველაზე ნაკლებმიზნელოვანი სწორედ ეროვნული პრობლემებია. მათ შეუძლიათ არც კი ასენონ საქართველო სამშობლო და მაშინაც კი, როცა ახლოა ეროვნული დამოუკიდებლობა, მუდარით გაიწვდინონ ხელები რუსეთისაკენ. ამის მაგალითად მწერალთა შექრებიდან სულ რაღაც ერთი თვის შემდეგ, 1917 წლის 20 ნოემბერს გამართული საქართველოს პირველი ეროვნული ყრილობაც გამოიდგებოდა. ამ დროილობაზე მეწევევიების ლიდერმა ნოე ქორდანიამ გიანაცხადა: „ის დილემა, რომელიც ამ ასი წლის წინ არსებობდა ჩვენი წინაპრებისათვის და დღესაც წამოიჭრა ჩვენს წინაშე დაუხანებლივ გადასჭრელად, ასე უნდა გადავწყვიტოთ: ჩვენ ვრჩებით რუსეთის ჩატჩოში, როგორც გადაწყვიტეს ჩვენმა წინაპრებმა და მათივე მსგავსად მოვითხოვთ მოგვეცეს შინაურ მართვა-გამგებლობაში! დამოუკიდებლობა“.²⁰ ხოლო კიდევ უფრო მოვინებით, უკვე დამოუკიდებელ საქართველოში, ეროვნულმა პარლამენტმა რამდენიმე სხდომა მოანდომა იმის გარკვევას, თუ რომელ ენაზე უნდა ცლაპარაკათ საქართველოს რესპუბლიკის უმაღლეს ორგანოში ერივნულ უმცირესობას, ბოლოს კი, სოციალ-დემოკრატების ძალისხმევათ აუსული დაკანონეს“.²¹

აი, სწორედ ასეთი აზროვნების პირობებში ქართველ მწერალთა დიდი უმეტესობა პრინციპულად უბირისპირდებოდა მაშინ ერთობ პო-კულარულ ანტიეროვნულ იდეებს და თითქმის დემონსტრაციულად დგებოდა ნაციონალურ პოზიციებზე, პირდაპირ აცხადებდნენ, რომ მათვის უპირველესი სწორედ ქართველობაა და არა „კლასიკური ძმობა“. ეს აისახა თვით ახალი ორგანიზაციის სახელწირებაშიც, როცა მას, მიუხედავად იმისა, რომ ამ დროს საქართველოში აქტიურ შემოქმედებით მუშაობას ეწეოდნენ სხვა ერთს მწერლებიც — „ქართველ მწერალთა კავ-ნირი“ ეწოდა. ეს აისახა თავის წესდებაშიც. კერძოდ, ჩვენ მხედველობაში გვაძეს მეშვიდე და მერვე მუხლები, საღაც მწრალთა კავშირის წევრებზეა საუბარი. აი, ეს მუხლებიც:

„**მუხლი 7.** საპატიო წევრებად შეიძლება არჩეულ იქნან ისინი, რომელთაც დიდი სამსახური მიუძღვით ქართულ სიტყვაზმულ მწერლობის წინაშე.

შენიშვნა 1-ლი: განსაკუთრებულ შემთხვევაში, უკეთუ ამას საზოგადო კრება საჭიროდ დაინახავს, საპატიო წევრად არაქართველიც შეიძლება: იქნას არჩეული.

მუხლი 8. ნამდვილ წევრებად მიღებიან სქესისა და სარწმუნოების განურჩევლად მხოლოდ ქართველი მწერალი, სახელდიმი, ბელეტრის-

ტები, მგოსნები, დრამატურგები, კრიტიკოსები, ესტეტიკოსები და
მთარგმნელნი...”²²

როგორც ვხედავთ, აქაც საგანგებოდ არის ხაზგასმული, რომ მწერალთა კავშირის წევრი მხოლოდ ქართველი შეიძლება იყოს. თვით საპატიო წევრადაც არაქართველის არჩევა მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაშია შესაძლებელი. ჩვენი აზრით, იმ ეროვნული ნიჭილიზმის ფონზე, რაც დამახასიათებელი იყო მაშინდელი ეპოქისათვის, ქართველი მწერლების ეს ნაბიჯი დადებითად უნდა შეფასდეს. ყოველ შემთხვევაში, ერთი რამ ცხადია, — რომ ქართული სიტყვის ოსტატებმა რუსეთის იმპერიის ნგრევისა და ახალი ქართული სახელმწიფოს აღმშენებლობის მიჯნაზე, გარდა იმისა, რომ ძირითადად მოახერხეს გაერთიანება-შეკავშირება, რაც, თავისთავად, უმნიშვნელოვანესი ფაქტია, ამასთან ერთად, მტკიცედ გამოხატეს ეროვნული იდეალებისადმი ერთგულება, ყველაფერზე მაღლა სამშობლოს სიყვარულისა და ერთიანობის გრძნობა დააყენეს. სწორედ ამ ნიშნით იყო აღბეჭდილი ქართველ მწერალთა პირველი ყრილობა, სწორედ ამას მოუწოდებდა ყრილობის გახსნის დღესვე კოტე მაყაშვილი თავის მოხსენებაში: „ვერიდნეთ დანაწილების, დაქსაჭივის შხამს. ნუ შეგმინდებათ ჩვენში არსებულ ლიტერატურულ მიმღინარეობათა სხვადასხვაობის! ჩვენ ყველანი ძიების ხანაში ვართ, ვეძებთ ჭეშმარიტებისა და მშვენიერების მწვერვალებს. მიზანი ერთი ვაკეს, მხოლოდ მივდივარ სხვადასხვა გზით. ეს მიზანი გვაერთებს ჩვენ, როგორც ეხლა უერთებს ყველა ქართველს, — პარტიათა და კლასთა განურჩევლად, — სამშობლოსადმი სიყვარული!...”²³

ამავე სულისკვეთებით იყო გამსჭვალული ქართველი ერისადმი მოწოდება, რომელიც პირველ ყრილობაზე მიიღოს. აქ უფრო მკვეთრად გამოჩენდა თავისუფლებისაკენ ლტოლვა და მომავლის იმედი, აქ უფრო ნათლად აისახა ქართველი მწერლების ერისადმი სამსახურის მზადყოფნა:

„...ისტორიის შეუწყვეტალმა ტანჯვამ ვერ ჩაჰქლა შენი გმირული სული, რომელსაც არასდროს არ სჭირდებოდა გამოცოცხლება და გამოფხიზლება ისე, როგორც დღეს.

ჩრდილოეთის ნისლი უნდა ჩამოსცილდეს შენი ქვეყნის მხურვალებით სავსე მზეს და მის უხვად დაფარულ სხივებქვეშ უნდა იგრძნო ჯანალებული ბედნიერება.

...ჩვენ მზად ვართ ვიდლესასწაულოთ დასაწყისი შენი სიხარულისა და განახლებისა.

...სრულიად საქართველოს მწერალთა ყრილობა მხურვალე საღმით შოგმართავს შენ, ქართველო ერო და მოგიწოდებს იხსნა შენი უფლება,

რაინდობა და კეთილშობილი სიამაყე, და ჩვენც მოგვცე საშუალება რეაგირების ასეულად შევასრულოთ ჩვენი წმინდა მოვალეობა შენსა და უსაყვარლეს სამშობლოს წინაშე“.²⁴

გალეაზ ჩოხარაძე

გამოქანებული ღითხატურა

1. რ. კვერენწილაძე — საქართველოს მწერალთა კავშირი თბ., 1983, წ. გვ. 48.
2. თარილის შესახებ იხილე: მ. ჩოხარაძე, — კონსტანტინე გამსახურდის ერთი წერილის გამო, „ჭოროხი“, № 5, 1991 წ. გვ. 78.
3. ინფორმაციები ამ შეკრების / შესახებ იხ.: „საქართველო, № 118, თიბათვის 3, № 120, თიბათვის 6, „სახალხო ფურცელი“, № 881, 6 ივნისი, „ერთობა“, № 64, 6 ივნისი, 1917 წ.

4 „სახალხო ფურცელი“, № 891, 17 ივნისი, 1917 წ.

5 გ. ჭუმბურიძე — ქართველ მწერალთა ყრილის მწვევების გამო, „სახალხო საქმე“, № 30, 20 აგვისტო, 1917 წ.; მოგვანებით თითქმის იგივე აზრი გამოთქვა ს. ქიშვარდიშვილმა (ული), წერილში „ესეც კონფერენცია“, „ერთობა“, № 169, 13 ოქტომბერი, 1917 წ. უფრო გვიან ყრილობა მოუხერხებელ დროს მწვევების და სხვა მიზეზების გამო გააკრიტიკა მარტინ შუამდინარელმა, — „სახალხო საქმე“, № 653, 15 ოქტომბერი, 1919 წ.

6 რ. კვერენწილაძე, დასახ. ნაშრომი. გვ. 9.

7 კ. გამსახურდია, „ხელოვნება თუ პოლიტიკანობა“ (ამ. გ. ჭუმბურიძის საგულისხმოდ), „სახალხო საქმე“, № 32, 23 აგვისტო, 1917 წ.

8 ი. მჭედლიშვილი, — ქართველ მწერალთა დღევანდელი კონფერენციისათვის, „სახალხო საქმე“, № 70, 7 ოქტომბერი; ტ. ტაბიძე — ქართველ მწერალთა კონფერენცია, „საქართველო“, № 220, 7 ოქტომბერი; ბ. კლდიაშვილი, — მიძინებული პარასი, „ალიონი“, № 47, 8 ოქტ. 1917 წ. და სხვა.

* მწერალთა ამ შეკრების თავად მწერლები მაშინდელ პრესში ხან ყრილობათ მოიხსენიებდნენ, ხან კონფერენციად, ხოლო მოგვანებით, ქართული ლიტერატურის ისტორიაში უმეტესწილად კონფერენცია ეწოდებოდა, რათა არ არეულიყო ზე 1926 წლის მწერალთა ყრილობაში. ვფიქრობთ თავისი შედეგებით და მნიშვნელობით 1917 წლის ოქტომბრის შეკრება სცილდება კონფერენციის ფარგლებს და ამიტომაც მას — ყრილობად მოვიხსენიებთ.

9 ალანიშვილი, რომ მწერალთა ყრილობაზე აჭარიდან მიწვეული იყენენ ცნობილი საზოგადო მოღვაწეები და პუბლიცისტები: ჰაიდარ აბაშიძე, შემედ აბაშიძე. შემდგომში ყრილობის მონაწილეთა შორის მათი გვარები იღარ ისენება. სავარაუდოა, რომ მათ ვერ შეძლებ ყრილობაზე მისვლა, ან კიდევ მათი მონაწილეობის შესახებ ფაქტები ისტორიაში აღარ შემოინახა.

10 სხდომის ანგარიშები იხ.: „სახალხო საქმე“, № 72, 10 ოქტ. № 75, 13 ოქტ. № 78, 17 ოქტ. „ალიონი“, № 49, 15 ოქტ. № 50, 19 ოქტ. „საქართველო“ № 222, 10 ოქტ. № 224, 12 ოქტ. № 227, 15 ოქტ. № 228, 17 ოქტ. 1917 წ.

11 ტ. ტაბიძე, — „პალმონტი და საქართველო“, „საქართველო“, № 129, თიბათვის 16, 1917 წ.



- 12 კ. გამსახურდია, — მწერლის დღიური (ქართველ მწერალთა კურსულის სახალხო საქმე), № 77, 15 ოქტ. 1917 წ.
- 13 ქართველ მწერალთა ყრილობა, „ალიონი“, № 50, 19 ოქტ. 1917 წ.
- 14 ქართველ ხელოვან მწერალთა ყრილობა, „სახ. საქმე“, № 75, 13 ოქტ. 1917 წ.
- 15 ტაციან ტაბიძე, რომელიც ასევე აქტიურად უჭერდა მხარს მისალმების გაგვანას, მოგვიანებით როცა 1917 წლის ხელოვანებას მიმოიხილავდა, კავი წერეთლის სახებ წერდა: „წარსული წელი საქართველოში მხოლოდ პოლიტიკურ პირებს აძლევ შეძლებას გამოეჩინა თავისი ბუნება. მაგრამ რუსეთის უნიჭით რევოლუცია არც ჩვენ იყო შეღნიერი ახალი ტალღებთ. საქართველოც გაბრუებული იყო მიტინგები სიცემით, არშიც ჯველაფერი იყო გარდა გულწრფელობის და აღფრთვონების. თბილის ნახა სახელოვანი რევოლუციონერი, როგორც ირაკლი წერეთლი, მაგრამ იმასაც შეუტანა ამ რუსობაში განთხება. თავის სიცევებში ის შეუბრალებლად იმეორებ „ერთბის“ ანინიმურ მეთაურებს და თუ რუსეთში ჰყავირდა, — „ათასჯერ რნგითხონ, უნდა იცოცხლოს რუსეთმა, მე ათასჯერ ვიტყვი, — უნდა იცოცხლოს“; ქართველოში მას საქართველო არც უსცნებია. (ტ. ტაბიძე, — ქართული ხელოვან 1917 წ. „საქართველო“ № 4, 5 (18) იანვარი, 1918 წ.)
- 16 კ. გამსახურდია, — მწერლის დღიური...
- 17 სიმონ ფირცხალვა, — ხელოვანთა პოლიტიკა, „სახალხო საქმე“. № 77. ოქტ. 1917 წ.
- 18 ქართველ მწერალთა ყრილობა, — „ალიონი“, № 50, 19 ოქტ. 1917 წ.
- 19 ალესიშვილია, რომ წლების განმავლობაში, როცა გრიგოლ რობაქიძის ხელიც კი აქტიურული იყო, ქართული ლიტერატურის ისტორია ძალაუნებურად გვერ უვლიდა მის მონაწილეობას ქართველ მწერალთა პირველ ყრილობაში და ბუნებრივ საბჭოს შემადგენლობაშიც არ მოიხსენებდნენ, საბჭოში კი მხოლოდ ათ კაცს ასახელ დღნენ. ეს კი, სხვა კულტურულ რომ თავი დავანებოთ, ისტორიული ფაქტების დამსახურებაა. უკანასკნელ წლებში ეს სამწუხარო უზუსტობა გამოსწორდა და გამოვლი რომ ქიდებ ხელასლა დამკვიდრა თავისი კუთხინილი აღვილი ქართული ლიტერატურის ტორიაში.
- 20 „სახ. საქმე“, № 109, 23 ნოემბერი, 1917 წ.
- 21 იხ. ლ. გაფარიძე, „წერილები პარლამენტიდან“, „საქართველო“, № 193, ღ ნოემბერის 13, 1918 წ. საქართველოს პარლამენტის 11 ოქტომბ. სხდომის სტენოგრაფიული ჩანაწერი, „სახალხო საქმე“, № 357, 13 ოქტ. 1918 წ.
- 22 საქართველოს ლიტერატურისა და ხელოვნების ცენტრალური არქივი, ფონ ტ (საქართველოს მწერალთა კავშირი), ღმწერილი 1, საქმე 1. ფურცელი 2.
- 23 საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურის მუზეუმი, 5743-ბ.
- 24 ქართველ მწერალთა მოწოდება, — „სახალხო საქმე“, № 91, 1 ნოემბერი, 1917 წ.

ზ 0 5 5 6 4 6 6 0

პოეზია, პროზა

ჯემალ ქათამაძე — შურისძიება (მოთხრობა)

ჯემალ ჯახალი — ლექსები

დავით ლისენკო — ლექსები

ნოდარ მოდეგაძე — ჩეენ ცხოვრება გვინდა! ანუ დაკარგული ცხოვრების ქრონიკა (ორი თავი რომანიდან)

ურთა ჭობიძე — უსანქციონ სონეტები

ახალი თარგმანები

ნატალია პრიბოვა — პოეტის პროზა

ვლადიმერ ვისოცკი — რომანი გოგონებზე (თარგმნა მარინე ბოლქვაძემ)

ლიონ უოისტჩანგერი — სტალინი და ტრუცკი (თავი VI) თარგმნები თინა შიომვილმა და ალექს ჩხარტიშვილმა

მ ე რ ი ლ მ ზ ი

რაფიელ უამილაშვილი — საკაცობრიო მეთოდიკური აზროვნების უკვდავი ძეგლი

ოთარ თურანიძე — მიწისმფლობელობის ოსმალური წესების გავრცელება ტაო-კლარჯეთსა და აჭარაში და მისი გავლენა მხარის გამოსლიმანებაზე

იოსებ პეტიონშვილი — „აჭარა, ცხადი ოცნების თვალ-მარგალიტთა აჭარა!..“

გალეაზ ჩოხარაძე — ქართველი მწერლების პირველი ყრილობა და „ქართველ მწერალთა კავშირის“ შექმნა.

6226/1
ଓଡ଼ିଆ ଲାଙ୍ଘଣି
ଶ୍ରୀମତୀ ପରୀକ୍ଷା

ପଦ

ନାଥ କରାନାଥ

କରାନାଥ କରାନାଥ

(କରାନାଥଙ୍କିରୁ କରାନାଥଙ୍କିରୁ — କରାନାଥଙ୍କିରୁ କରାନାଥଙ୍କିରୁ
 କରାନାଥଙ୍କିରୁ — କରାନାଥଙ୍କିରୁ କରାନାଥଙ୍କିରୁ
 କରାନାଥଙ୍କିରୁ — କରାନାଥଙ୍କିରୁ କରାନାଥଙ୍କିରୁ
 (କରାନାଥଙ୍କିରୁ କରାନାଥଙ୍କିରୁ କରାନାଥଙ୍କିରୁ — କରାନାଥଙ୍କିରୁ କରାନାଥଙ୍କିରୁ
 କରାନାଥଙ୍କିରୁ କରାନାଥଙ୍କିରୁ କରାନାଥଙ୍କିରୁ କରାନାଥଙ୍କିରୁ)

ପଦ

କରାନାଥ କରାନାଥ

କରାନାଥ କରାନାଥ

କରାନାଥ କରାନାଥ — କରାନାଥ କରାନାଥ
 କରାନାଥ କରାନାଥ କରାନାଥ କରାନାଥ କରାନାଥ — କରାନାଥ କରାନାଥ
 (କରାନାଥ କରାନାଥ କରାନାଥ — କରାନାଥ କରାନାଥ କରାନାଥ
 କରାନାଥ କରାନାଥ କରାନାଥ କରାନାଥ କରାନାଥ)

ଶରକାଳ „ବାହାରିବେ“ IV-V ବାହାରିବେ

ବାହାରିବେ ବାହାରିବେ

ବାହାରିବେ ବାହାରିବେ — ବାହାରିବେ ବାହାରିବେ

ବାହାରିବେ

କରାନାଥ କରାନାଥ କରାନାଥ କରାନାଥ — କରାନାଥ କରାନାଥ
 କରାନାଥ କରାନାଥ କରାନାଥ କରାନାଥ କରାନାଥ — କରାନାଥ କରାନାଥ

କରାନାଥ କରାନାଥ

କରାନାଥ କରାନାଥ କରାନାଥ କରାନାଥ — କରାନାଥ କରାନାଥ
 କରାନାଥ କରାନାଥ କରାନାଥ କରାନାଥ — କରାନାଥ କରାନାଥ

କରାନାଥ କରାନାଥ

କରାନାଥ କରାନାଥ କରାନାଥ କରାନାଥ — କରାନାଥ କରାନାଥ
 କରାନାଥ କରାନାଥ କରାନାଥ କରାନାଥ — କରାନାଥ କରାନାଥ

କରାନାଥ କରାନାଥ